4

ქართული

მასწავლებლის წიგნი

ნინო გორდელაძე
თინათინ კუხიანიძე
ნათია ნაფეტვარიძე
თეა გაბისონია

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2018 წელს.

ქართული 4
მასწავლებლის წიგნი

თბილისი, 2018

ავტორები: **ნინო გორდელაძე, თინათინ კუხიანიძე**
ნათია ნაფეტვარიძე, თეა გაბისონია
რედაქტორი **რუსუდან გორგაძე**
ტექნიკური დიზაინერი **ლადო ლომსაძე**

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 2910954, 2911165
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-014-1

Georgian 4
Teacher’s Book

© Sulakauri Publishing, 2018
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ 5

2. შესავალი

საგნის სწავლების მიზანი 6

3. ეროვნული სასწავლო გეგმა 11

IV კლასი – საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და

მათი შეფასების ინდიკატორები 12

4. სახელმძღვანელოს შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან 20

5. სახელმძღვანელოს კომპონენტები და სტრუქტურა 29

6. რეკომენდაციები შეფასებაში

ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან 37

დაკვირვება 41

მოსწავლეთა თვითშეფასება 42

განმავითარებელი შეფასება 43

7. პრაქტიკული ნაწილი –გაკვეთილების გეგმები და სცენარები,

მოსასმენი ტექსტები 47

8. რვეულში მოცემული ტესტების პასუხები 156

9. დამატებითი რეკომენდაციები 163

9.1. კითხვის ხელშეწყობა 164

9.2. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი 170

9.3. შეფასების რუბრიკების ნიმუშები 182

9.4. ინკლუზიური განათლება 189

1. ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ

თქვენ წინაშეა დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების კარგად გააზრებული კურსი, რომელიც წლების განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა ავტორთა მიერ. მუშაობის პროცესში შესაძლებლობა გვქონდა, შეგვემოწმებინა ჩვენ მიერ შედგენილი გაკვეთილები საკლასო გარემოში, განსხვავებული უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლეებთან. შესაბამისად, აქტივობები შედგენილია საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით. მასწავლებელს ადვილად შეუძლია მოარგოს ისინი საკუთარ გარემოებებს, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა თუ სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

შევეცადეთ, მრავალფეროვანი თემებითა და აქტივობებით დაგვეკმაყოფილებინა ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნის სწავლების სტანდარტის ყველა მოთხოვნა. მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანია, შევაყვაროთ ბავშვებს მშობლიური ენა, გავუღვივოთ ინტერესი გრამატიკისა და ლიტერატურისადმი, გავხადოთ შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილეები და ინიციატორები. ამიტომ შევეცადეთ, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სამყარო წარმოგვეჩინა მოსწავლეებისთვის საინტერესო კუთხით, მიგვეწოდებინა მათთვის არა მხოლოდ კლასიკური, არამედ თანამედროვე ტექსტები და მნიშვნელოვანი თეორიული მასალა, რომელიც გაუზრდიდა ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს საგნისადმი.

მასწავლებლისთვის გაკვეთილების სცენარები გაწერილია დეტალურად (ზოგ შემთხვევაში მოცემულია მხოლოდ გაკვეთილის გეგმა) და შეიცავს სრულ ინფორმაციას გაკვეთილზე მოსწავლეებისთვის მისაწოდებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული სამუშაოს შესახებ. მასწავლებელს შეუძლია სიტყვასიტყვით მისდიოს სცენარში აღწერილ გაკვეთილის მსვლელობას, ან სცენარი გამოიყენოს, როგორც საბაზო რესურსი ან იდეა და საკუთარი თვალთახედვით შეარჩიოს სასაუბრო თუ საილუსტრაციო მასალა. წიგნში ასევე მოცემულია ცოდნის გასამყარებელი, სააზროვნო უნარების განმავითარებელი აქტივობები.

მოსწავლეთა აქტივობები შედგენილია ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, მიწოდებულია გასაგები ფორმით, ხშირად თამაშებისა და შემოქმედებითი ექსპერიმენტების სახით. დამოუკიდებლად გაკეთებული აღმოჩენა (მაგალითად, გრამატიკის კურსში, რომელიც ამ სერიის მნიშვნელოვანი ნაწილია) განსაკუთრებით დასამახსოვრებელს გახდის თითოეულ გაკვეთილს. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელო თავებად დაყოფილია არა მისაღწევი შედეგების, არამედ თემების მიხედვით, რაც მუშაობას გაუადვილებს როგორც პედაგოგებს, ასევე მოსწავლეებს. ბავშვები შეძლებენ, ერთი თემის ფარგლებში გაეცნონ სხვადასხვა ტიპის ტექსტს. გარდა ამისა, კურსის მასალა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, ორგანიზებულობის, ანალიზის, ინტერპრეტაციის, შეფასებისა და რეფლექსიის უნარების ფორმირებას.

დღევანდელი საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი მომავალი თაობის აღზრდა, რომელიც ორიენტირებული იქნება იზრუნოს არა მხოლოდ ეკონომიკურ წინსვლაზე, არამედ დემოკრატიული საზოგადოების შექმნასა თუ ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრაზე. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებას ვერც ეროვნული სასწავლო გეგმა აუვლის გვერდს. ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო მასალაში (ნებისმიერი საგნობრივი მიმართულებით) ამ საკითხებზე კონცენტრირებას. მდგრადი განვითარების მიზნები მოიცავს მდგრადი განვითარების სამ განზომილებას: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა. სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები და დავალებები შესანიშნავ საშუალებას იძლევა, დაწყებითი კლასების მოსწავლეებს განუვითაროს აზროვნება თითოეული მიმართულებით; მაგალითად, თავების, „ბუნების სურათები“, „კარგი და ცუდი“, „ადამიანი და ცხოველი“, „იგავ-არაკები“ და „სამშობლო და პოეტები“ სწავლების დროს მასწავლებელი ყურადღებას გაუმახვილებს ტოლერანტობაზე, კაცთმოყვარეობაზე, საკუთარი მოვალეობების შეგნებაზე, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაზე, ბუნების სიყვარულზე და ა.შ.

დაწვრილებითი ინფორმაცია მდგრად განვითარებასა და მის პრინციპებზე მასწავლებელს შეუძლია მიიღოს შესაბამისი ლიტერატურიდან; მაგ.: tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/747850.pdf

http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals#.WuRY-DNRXMw და სხვ.

საგნის სწავლების მიზანი

ასაკობრივ თავისებურებებზე საუბრისას გამოყენებულია მანანა მელიქიშვილის „შუა ბავშვობა“ (უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები)

ბავშვის განვითარების თავისებურებები სხვადასხვა სფეროს მიხედვით

სწავლა ცოდნის აგების პროცესია, ამიტომაც მნიშვნელოვანია მასში მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული. მან საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით უნდა აღმოაჩინოს და დაამუშავოს ახალი საკითხები. ასე უკეთ გაიაზრებს ახალშეძენილ ცოდნას. მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს მხოლოდ აუცილებელი მასალა, დასვას მიმანიშნებელი კითხვები და მისცეს საშუალება დააკვირდნენ, გამოთქვან მოსაზრებები. მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი ფორმები: დისკუსია, ლიტერატურასთან მუშაობა, ემპირიული ინფორმაციის შეგროვება და სხვ. მყარდება კავშირი ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. მუშაობის სხვადასხვა ფორმისა თუ სტრატეგიის გამოყენება ხელს უწყობს სხვადასხვა საჭირო უნარის განვითარებას.

შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დავამახსოვრებინოთ მოსწავლეს მიღებული ინფორმაცია, არამედ დავეხმაროთ ამ ინფორმაციის მყარ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნაში. ამგვარი ცოდნის მიღება კი შესაძლებელია მხოლოდ გაღრმავებული სწავლებით, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად დამუშავებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, ათვისებული ცოდნის განმტკიცებას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენასა და საერთო ასპექტების დამუშავებას.

სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარსამართავად აუცილებელია გავითვალისწინოთ მოტივაციის როლი. ამიტომ, სასწავლო გეგმის შედგენისას, მასწავლებელი უნდა დაფიქრდეს მოტივებზე და გაიაზროს, რისი გაკეთებაა საჭირო, რომ მოსწავლეებს სწავლის სურვილი გაუღვიძოს; როგორ განუვითაროს და აუმაღლოს მათ მოტივაცია სასწავლო გეგმის ფარგლებში. უპირველეს ყოვლისა, ბავშვებს უნდა გაუჩნდეთ წინსვლის შეგრძნება. ამისათვის თითოეულ მოსწავლეს, მიუხედავად მათი აკადემიური მიღწევებისა, უნდა მივცეთ ეტაპობრივი პროგრესირების საშუალება საკუთარ შესაძლებლობებსა და ცოდნაზე დაყრდნობით. ამდენად, აუცილებელია, თითოეული მოსწავლისათვის სწორად შეირჩეს დავალებათა სირთულის დონე. თუ მოსწავლეს მივცემთ ზედმეტად რთულ, მისთვის დაუძლეველ დავალებებს, ის წინსვლის იმედს დაკარგავს.

სასურველი შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება. სახელმძღვანელოს შედგენისას სწორედ ეს იყო ჩვენთვის ამოსავალი. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი ფიზიკურად აქტიურია. აქვს ჭარბი ენერგია, რომელიც ფიზიკური აქტივობის საფუძველს წარმოადგენს. უყვარს თავგადასავლები, შთაბეჭდილებები, ფიზიკური ვარჯიში. ამ ასაკის ბავშვი ძალიანაა დაკავებული თავისი ყოველდღიური თავგადასავლებით. ამიტომ აუცილებელია მისთვის მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზება, რათა სასწავლო პროცესი უინტერესო არ გახდეს.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეების აღქმა არასაკმარისად არის დანაწევრებული და განისაზღვრება ობიექტის მახასიათებლებით. ბავშვები საგანში ხშირად ამჩნევენ არა მთავარს, მნიშვნელოვანს, არამედ საგნის თვალშისაცემ, მკვეთრ თვისებებს. ამიტომ მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ ისეთი აქტივობები, რომლებიც განუვითარებთ მათ დაკვირვების უნარს. ხატვა, ილუსტრაციების შექმნა, სურათების დათვალიერება-თანმიმდევრულად დალაგება, აღწერა, მსგავსება-განსხვავების პოვნა, ზღაპრების, ლექსების, მოთხრობების მოსმენა და შეთხზვა, გამოცანების გამოცნობა და სხვ. ეხმარება მოსწავლეს ობიექტური მასალის გარდაქმნასა და საგნის ობიექტური თვისებების აღქმაში.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებში სუსტად არის განვითარებული ნებისმიერი ყურაღება, სამაგიეროდ, კარგად არის განვითარებული უნე-

ბლიე ყურადღება. ყველაფერი ახალი, მოულოდნელი, საინტერესო, ნათელი აინტერესებს. შეიძლება არ შეაჩეროს ყურადღება სასწავლო მასალაში არსებით დეტალებზე და შეაჩეროს არაარსებითზე, იმიტომ, რომ მათ მიიზიდონ.

გარდა ამისა, ბავშვის ყურადღება მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნებასთან. მას უჭირს ყურადღების კონცენტრაცია მისთვის გაუგებარ, ბუნდოვან მასალაზე. მნიშვნელოვანია ყოველი გაკვეთილი მოსწავლეთა მომზადების დონის შესაბამისად წარიმართოს. ჩვენს სახელმძღვანელოში თემატიკა ისეა შერჩეული და დალაგებული, რომ ახალი მასალა მოსწავლის ცოდნასა და გამოცდილებას ეყრდნობა და მის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს. უფრო მეტიც, ყოველი ახალი თემა ეფუძნება წინა კლასში ნასწავლს. მოსწავლეები არა მხოლოდ ახალ ნაწარმოებებს ეცნობიან, არამედ მათ ხშირად გასულ წლებში განვლილი მასალის თემატიკურ ჭრილშიც განიხილავენ და ამით ერთგვარად ამთლიანებენ ცოდნას.

6-8 წლის ასაკის ბავშვი **დამკვირვებელია**.
9-11 წლის ბავშვი **მკვლევარია**.

ამ ასაკის ბავშვიც ასევე კარგი დამკვირვებელია, მაგრამ უფრო ყურადღებით აკვირდება და ლოგიკურად აზროვნებს. სვამს ბევრ კითხვას და შეუძლია თვითონ იპოვოს მათზე პასუხი.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებს უჩნდებათ ლოგიკური აზროვნების ნიშნები, რომელიც ჯერ კიდევ მხოლოდ კონკრეტულია. ბავშვის მსჯელობა, როგორც წესი, ემყარება კონკრეტულ მაგალითებსა და პირად გამოცდილებას. ამიტომ, ახსნისას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ კონკრეტული მაგალითების გამოყენებას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვს არ შეუძლია კარგად გაიგოს თეორიული ცოდნა, რომელიც მას ეძლევა გამზადებული სახით. ნამდვილ გაგებას ადგილი ექნება მხოლოდ ობიექტებზე აქტივობის განხორციელების შედეგად – ტრანსფორმაცია, გადაადგილება, დაკავშირება, კომბინაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ აზროვნების ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებელი არ აღმოცენდება ერთდროულად („ერთ მშვენიერ დღეს“). ბავშვს სჭირდება რამდენიმე წელიწადი, რათა შეძლოს აზროვნების აღნიშნული მახასიათებლების გამოყენება პრობლემის გადასაწყვეტად.

მასწავლებელმა უნდა განავითაროს ბავშვებში ცნებითი და ლოგიკური აზროვნება, მსჯელობა, დასკვნის გაკეთების უნარი.

დავალებებისა და საგაკვეთილო სცენარების შედგენისას ჩვენ ეს პრინციპები მაქსიმალურად გავითვალისწინეთ, დანარჩენი კი მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული. ჩვენს ყოველ რეკომენდაციას მასწავლებელი შემოქმედებითად უნდა მიუდგეს. წიგნში მოცემულ მასალაში ჩვენ განვსაზღვრავთ მუშაობის მიმართულებას, მიზნის მიღწევის შესაძლო გზებს. საუკეთესო ვარიანტი კი მასწავლებელმა თვითონ უნდა შეარჩიოს. რა თქმა უნდა, მასწავლებელს შეეძლება გადააადგილოს გაკვეთილში მოცემული დავალებები, საჭიროების მიხედვით, და ამისთვის შეუძლია სარეზერვო საათები გამოიყენოს.

დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის მიმართულებით. ამავე დროს, ეს პროცესი გულისხმობს იმ მინიმალური ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებას, რომელიც ენის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით არის აქტუალური და შეესაბამება მოსწავლის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება დაწყებით საფეხურზე ეფუძნება მდიდარ ტექსტურ კორპუსს - სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ, ასევე მულტიმედიურ ტექსტებს.

ტექსტების ნაირსახეობა ქმნის იმ აუცილებელ თემატურ გარემოს, რომლის გაცნობაც მოსწავლეს შესძენს ცხოვრებისეული ურთიერთობებისათვის საჭირო გამოცდილებას. მოსწავლეები უნდა დაეუფლონ მხატვრული, საინფორმაციო-შემეცნებითი და პრაგმატული ტექსტების აღქმის, გაგების, გამოყენებისა და შექმნის, ასევე ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების საბაზისო უნარ-ჩვევებს. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ასევე მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ მიღებული ცოდნისა თუ ენობრივი გამოცდილების საფუძველზე ახალი ტექსტების შექმნა და თვითგამოხატვა.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, I-IV კლასების სტანდარტის მოთხოვნების შესრულებისას ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს მოსწავლეთა ბუნებრივი ენობრივი უნარების კორექციასა და შემდგომ

განვითარებაზე, ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე; ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის კულტურის გამომუშავებაზე (საწყის დონეზე). მუშაობა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებითაც, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური დამოკიდებულება კითხვისა და, ზოგადად, სწავლის მიმართ, განუვითარდეთ მეტაკოგნიტური უნარები საწყის დონეზე (საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვება, დამოუკიდებლად მუშაობა, სასწავლო საქმიანობის ორგანიზება და სხვ.).

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა ზეპირმეტყველების უნარების განვითარებას სისტემური და თანამიმდევრული ხასიათი უნდა მიეცეს. მოსმენილის ზეპირად გადმოცემა/თხრობა, მასზე აზრის გამოთქმა, პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვა ხელს უწყობს გაგება-გააზრების პროცესებს. სწავლების პროცესში მოსმენილი ტექსტობრივი მასალის ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და შესწავლილი სიტყვების აქტიურად გამოყენებით კი თანდათანობით მდიდრდება მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი, იხვეწება მათი მეტყველება.

კითხვის სწავლების საბოლოო მიზანია წაკითხულის გააზრება, რაც გულისხმობს მკითხველის აქტიურ მონაწილეობას კითხვის პროცესის სამივე ეტაპზე: კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროსა და კითხვის შემდეგ. კითხვის ტექნიკის თანდათანობით სრულყოფა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გახდნენ გაწაფული მკითხველები, გაიგონ და გაიაზრონ წაკითხული.

წაკითხულის გაგება-გააზრება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ლექსიკურ მარაგზე - რაც უფრო მდიდარია მოსწავლის ლექსიკური მარაგი, მით უფრო წარმატებულია იგი, როგორც მკითხველი. ამდენად, ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრებაზე ზრუნვას სწავლების საწყის ეტაპზევე საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს. ზეპირი და ბეჭდური ვერბალური ტექსტების გარდა, მუშაობა უნდა წარიმართოს ასევე მულტიმედიური ტექსტების კითხვა-გაგების მიმართულებითაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ზოგადი წიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარებას.

სხვადასხვა სახისა და ტიპის ტექსტების შედგენაზე მუშაობა თავდაპირველად უნდა წარიმართოს მასწავლებლის ხელმძღვანელობით, საყრდენების/მინიშნებების გამოყენებით თუ მოდელის მიხედვით. მკაფიო და გასაგები ინსტრუქციების თანხლებით, მრავალფეროვანი და შინაარსიანი კონტექსტის მქონე წერითი დავალებების შესრულების გზით მოსწავლეები თანდათან დახვეწენ კალიგრაფიას, გაიწაფებიან წერაში და შეიქმნიან გარკვეულ წარმოდგენას წერის პროცესზე, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას წერის სამივე ეტაპზე: წერის დაწყებამდე, წერის პროცესში, წერის შემდეგ.

სახელმძღვანელოს აგების მთავარი პრინციპი სწორედ ამ სამი მიმართულების (წერის, კითხვის, ზეპირმეტყველების) ინტეგრირებულად სწავლებაა.

მნიშვნელოვანია საგნის სწავლებისას ყურადღება გამახვილდეს გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზეც: საოცრად სწრაფად ცვალებად მსოფლიოში წარმატების მისაღწევად მოსწავლეებს უნდა შესწევდეთ ინფორმაციის მიკვლევისა და იმის გადაწყვეტის უნარი, თუ რა არის მნიშვნელოვანი ამ ინფორმაციიდან და რა – არა. მათ უნდა შეეძლოთ ინფორმაციის დახარისხება, დამუშავება და გამოყენება. ამდენად, დღევანდელი ხედვით, ცოდნას მარტო მაშინ აქვს ფასი, როდესაც მას სარგებლობა მოაქვს. დღეს სარგებლობა მხოლოდ იმ ცოდნას მოაქვს, რომელიც კონცეპტუალურად არის გააზრებული და შესაძლებელია მისი პრაქტიკული, შემოქმედებითი და კრიტიკული გამოყენება.

ამიტომ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მოვამზადოთ მოსწავლე შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნებისთვის, რათა მან შეძლოს ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება, კრიტიკული განსჯა, შეფასება და გამოყენება თავისი ამოცანების განსახორციელებლად.

ჩვენ მიერ შექმნილი სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს მოსწავლეებში როგორც საგნობრივი ცოდნის შეძენასა და გაღრმავებას, ისე სხვადასხვა სასწავლო-სოციალური უნარ-ჩვევის განვითარებას. წიგნში მოცემულია არა მარტო მრავალფეროვანი ლიტერატურული ტექსტები, არამედ აღწერითი და საინფორმაციო ხასიათის მასალაც, რაც დაეხმარება მასწავლებელს განუვითაროს მოსწავლეებს კითხვის უნარ-ჩვევები და ჩამოუყალიბოს ლიტერატურული გემოვნება. სახელმძღვანელო გათვლილია ყველა ტიპის მოსწავლეზე და ითვალისწინებს მათ აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

ტექსტებს დართული აქვს სავარჯიშოები, რომლებიც განსაზღვრავს მუშობის ძირითად სპეციფიკას.

სახელმძღვანელოში მოცემული შეკითხვები

გადის ყველა სააზროვნო დონეზე. მაღალი სააზროვნო დონის შეკითხვებზე წინასწარ განსაზღვრული სწორი პასუხები ხშირად არ არსებობს, მათი დანიშნულებაა მოსწავლეებში ღრმა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება. კითხვებს შორის ზოგჯერ გვხვდება დაბალი სააზროვნო დონის, ანუ მეხსიერებაზე ორიენტირებული კითხვებიც. მათი პასუხები ადვილი მოსაძებნია თვით ტექსტში. კითხვის დასმისა და მასზე რეაგირების ხერხების ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია ეფექტური სწავლებისთვის.

სასწავლო პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასწავლო გარემოს მოწყობას, განსაკუთრებით კი დაწყებით კლასებში, მათი ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე. სასწავლო გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ხელს უწყობდეს სასწავლო პროცესის ეფექტურობის ამაღლებას, მოსწავლეთა დამოუკიდებელ და შემოქმედებით მუშაობას, სწავლების ორგანიზაციას და საგნისადმი ინტერესის გაღვივებას.

ეს საკმაოდ რთული, კომპლექსური სისტემაა და მოიცავს, როგორც საკლასო ოთახის ფიზიკურ მახასიათებლებს (მაგ; განათება, ტემპერატურა, სასწავლო ავეჯი და სხვ.), ისე სწავლებისათვის საჭირო სხვადასხვა სახის რესურსებს (მაგ; საპრეზენტაციო და საექსპოზიციო მასალებს, მოწყობილობებს, სასწავლო-მეთოდურ კომპლექტებს და სხვ.).

სასწავლო გარემოსა და სწორედ შერჩეული რესურსების საშუალებით მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლეში აღძრას საგნისადმი ინტერესი, გააღვივოს კვლევის სურვილი და შეუქმნას მას ისეთი მიმზიდველი და პრაქტიკული გარემო, სადაც ის შეძლებს მუშაობასა და სწავლას. კლასში უნდა არსებობდეს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისათვის, კვლევისათვის, დასვენებისა და თამაშისათვის საჭირო პირობები.

სასწავლო რესურსები სასწავლო პროცესში უნდა იძლეოდეს სტიმულს, აადვილებდეს კლასში მუშაობას და სასწავლო პროცესს უფრო დინამიურსა და ინტერაქტიულს ხდიდეს. რესურსების გულისყურით შერჩევას, შესაბამისი სახით წარდგენას და მათ მიზნობრივ გამოყენებასგანსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბუნებისმეტყველების სწავლების პროცესში.

სხვადასხვა სახის სასწავლო რესურსი ის საკომუნიკაციო საშუალებაა, რომელმაც მოსწავლეებში უნდა განავითაროს აზროვნება, შემოქმედებითობა, დაკვირვება, კვლევა, ესთეტიური გემოვნება და სხვ. ასევე ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში ინფორმაციის ვიზუალურად მიღებასა და გაგებას, სწავლის, ანალიზის, კვლევის და სხვა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა განვითარებას.

დამხმარე საშუალებების, მასალებისა და რესურსების საჭიროებისამებრ გამოყენება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეესაბამება ის გაკვეთილის მიზანს. ამიტომ მასწავლებელმა გაკვეთილის დაგეგმვის დროს პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს, თუ რა სახის რესურსები სჭირდება და როგორ გამოიყენოს ისინი მიზნობრივად და ეფექტიანად.

საგანმანათლებლო რესურსების შესაფასებლად მეტად მნიშვნელოვანია ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინება, როგორებიცაა: საჭიროება (რა რესურსების საჭირო სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად?), ხელმისაწვდომობა (რა რესურსებია ხელმისაწვდომი საკლასო ოთახში, სკოლაში, საზოგადოებაში?), შენახვის უზრუნველყოფა (როგორ ინახება რესურსები და რამდენადაა ისინი დაცული საკლასო ოთახში, სკოლაში?), მათი უსაფრთხო მახმარება (უსაფრთხოების რა ზომების დაცვაა საჭირო) და დახმარება (რა სახის დახმარებაა საჭირო?).

ინფორმაციის მოძიების დროს მნიშვნელოვანია მასწავლებელმა მიუთითოს კონკრეტული ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსები, რათა მოსწავლემ შეძლოს სწორი და ღირებული მასალის მოპოვება.

წარმატებული და შედეგზე ორიენტირებული სწავლებისათვის გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანობის შესამოწმებლად მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გაითვალისწინოს რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ რამდენად შესაძლებელია მათი დახმარებით:

1. გავუღვივოთ მოსწავლეებს სწავლის სურვილი (რა არის რესურსებში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლებში მოტივაციას, ინტერესს?);
2. მოსწავლეებმა შეძლონ სწავლა კეთებით (რა არის რესურსებში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს სწავლას გამოცდილების საფუძველზე, პრაქტიკით);
3. მოსწავლეებმა შეძლონ უკუგება (როგორი იქნება ამ რესურსების გამოყენებისას უკუგება ანუ გააცნობიერებენ თუ არა მოსწავლეები, როგორ მიმდინარეობს სწავლების პროცესი კლასში, რა ისწავლეს ერთმანეთის-

გან და მასწავლებლისგან?);

4. მოსწავლეებმა შეძლონ მასალის ათვისება (შეუწყობს თუ არა ეს რესურსი ნასწავლის უფრო უკეთ გააზრება-გაგებას?).

სასწავლო გარემოსა და რესურსების შექმნის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია თავად მოსწავლეების ჩართვაც.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული გაკვეთილების გეგმები/სცენარები უპირატესად სამფაზიანი გაკვეთილის მოდელზეა აწყობილი. მასწავლებლებს ვთავაზობთ, ერთი მხრივ, კონკრეტულ გაკვეთილზე მორგებულ, ზედმიწევნით, ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილ სცენარებს, მეორე მხრივ, გეგმებს, რომლებიც, მართალია, აღწერს ამ თუ იმ მეთოდის მიმდინარეობას სახელმძღვანელოში მოცემული ნაწარმოებების საფუძველზე, თუმცა მასწავლებელს შეუძლია მათი მოდიფიცირება და სხვა თემისთვის გამოყენება მიზნის შესაბამისად. ამ ტიპის გაკვეთილების აღწერისას ჩვენ შეგნებულად მივეცით მასწავლებლებს მეტი თავისუფლება, არ მივუთითეთ დრო და ხშირად ალტერნატიული აქტივობები შევთავაზეთ.

როგორც უკვე გითხარით, ჩვენ მასწავლებელს ვთავაზობთ სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტების დამუშავებისა და კრიტიკულად გააზრების რამდენიმე ეფექტურ მეთოდს, ხოლო პედაგოგმა თავისით უნდა გადაწყვიტოს, რომელ შემთხვევაში გაკვეთილის რომელი მეთოდით ჩატარება იქნება უმჯობესი. ეს მეთოდები, სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს ერთმანეთის მონაცვლეობით, რათა ბავშვებისთვის სწავლა მოსაბეზრებელი არ გახდეს. ბუნებრივია, პედაგოგს შეუძლია ზოგჯერ ტექსტის დამუშავების ტრადიციული ხერხებიც გამოიყენოს ან შემოქმედებითად გაამდიდროს.

რაც შეეხება მოსწავლეთა შეფასებას, ჩვენ გეგმების ბოლოს მითითებული გვაქვს კრიტერიუმები, თუმცა მასწავლებელს აქაც შეუძლია, საჭიროებიდან გამომდინარე, შეაფასოს ყველა კრიტერიუმის მიხედვით, ან მოცემულიდან შეარჩიოს. მასწავლებლის წიგნში მოცემულია ჩაშლილი შეფასების რუბრიკებიც.

მასწავლებელს სახელმძღვანელოს შინაარსიდან გამომდინარე რჩება სარეზერვო დრო, რომელსაც სხვადასხვა აქტივობისა და დამოუკიდებელი სამუშაოსთვის გამოიყენებს.

საგაკვეთილო პროცესის გასამრავალფეროვნებლად, მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს სხვადასხვა ელექტრონული თუ ბეჭდური დამხმარე რესურსით. ელექტრონული რესურსების წყაროდ შესაძლებელია გამოიყენოს შემდეგი ვებგვერდები:

tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/747850.pdf
http://mastsavlebeli.ge/?p=12760
http://mastsavlebeli.ge/?p=12743
http://mastsavlebeli.ge/?p=12733

ასევე, მასწავლებელს შეუძლია შესწავლილ მასალასთან დაკავშირებით არსებული ვიდეო რესურსების/ფილმებისა/ნახატების გამოყენება, რომელთა მოძიებაც საკმაოდ მარტივია საძიებო სისტემების მეშვეობით. თუმცა, ზოგიერთი გაკვეთილის აღწერაში ჩვენ თავად ვთავაზობთ მასწავლებელს ისტ-ის გამოყენების ნიმუშებს.

რაც შეეხება ბეჭდურ რესურსებს, შეგიძლიათ მოსწავლეებს შესთავაზოთ ასაკის შესაბამისი საკითხავი ლიტერატურა, მაგალითად: ქართული ხალხური და/ან მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, ქართველ საბავშვო მწერალთა (იაკობ გოგებაშვილის, რევაზ ინანიშვილის, ეკატერინე გაბაშვილის, ნოდარ დუმბაძის, გოდერძი ჩოხელის, არჩილ სულაკაურის, ვაჟა-ფშაველას, თედო რაზიკაშვილის...) ნაწარმოებები, შარლ პეროს, ჰანს ქრისტიან ანდერსენის, ძმები გრიმების ზღაპართა კრებულები, ანე-კატერინე ვესტლის თხზულებები, ასტრიდ ლინდგრენის ტექსტები, დონალდ ბისეტის „ყველაფერი ყირამალა“, ჯეიმს მეთიუ ბარის „პიტერ პენი“, ჩარლზ დიკენსის „ოლივერ ტვისტი“, ლუის კეროლის „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“, მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი “ „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“ და ა.შ.

სახელმძღვანელოს შინაარსი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებსა და ინდიკატორებს.

3. ეროვნული სასწავლო გეგმა

ქართული ენა და ლიტერატურა (სტანდარტი)

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში. **ქართ.დაწყ.(I).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა. **ქართ.დაწყ.(I).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა. **ქართ.დაწყ.(I).4.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა. **ქართ.დაწყ.(I).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.	**ქართ.დაწყ.(I).6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა. **ქართ.დაწყ.(I).7.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება. **ქართ.დაწყ.(I).8.** მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით. **ქართ.დაწყ.(I).9.** მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება. **ქართ.დაწყ.(I).10.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა. **ქართ.დაწყ.(I).11.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება. **ქართ.დაწყ.(I).12.** მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.	**ქართ.დაწყ.(I).13.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე. **ქართ.დაწყ.(I).14.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა. **ქართ.დაწყ.(I).15.** მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

IV კლასი – საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კორექტულად, ეტიკეტის დაცვით გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას დისკუსიის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს;
- ყურადღებით ისმენს სხვათა მოსაზრებებს, არ აწყვეტინებს მოსაუბრეს ლაპარაკს.

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და განარჩევს სასაუბრო ტექსტების სახეებს (აღწერას, თხრობას, დიალოგს...);
- ამოიცნობს ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციას;
- ახარისხებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული ნიშან-თვისებების მიხედვით;
- ამოიცნობს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში ექსპლიციტურად მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას, მათ შორის, არსებულ ლოგიკურ (მიზეზშედეგობრივ, ოპოზიციურ, სხვ.) კავშირებს;
- მსჯელობს მხატვრულ ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე;
- თანამიმდევრულობის დაცვით გადმოსცემს ტექსტების შინაარსს (ვრცლად და/ან მოკლედ);
- მიჰყვება მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს და თანამიმდევრულად გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს;
- გადმოსცემს არამხატვრული ტექსტების შინარსს ლოგიკური ხაზის დაცვით;
- შინაარსის გადმოცემისას ერთმანეთს ანაცვლებს თხრობასა და აღწერას.

ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე აზრის გამოთქმისას/მსჯელობისას ცდილობს მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ასპექტის გამოკვეთას;
- ასახელებს მოსმენილი ტექსტიდან ესთეტიკურად ღირებულ ადგილებს;
- აფასებს გმირის საქციელს და განმარტავს თავის დამოკიდებულებას;
- უკავშირებს პერსონაჟის მოქმედებას პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას და იხსენებს მსგავს სიტუაციებს;
- მონაწილეობს მხატვრული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში;
- მონაწილეობს საბავშვო სპექტაკლის ან ზღაპრის განხილვაში;
- გამოხატავს საკუთარ ემოციებს/განცდებს და ცდილობს მათ ახსნას („გამიკვირდა იმიტომ, რომ...“, „აღვშფოთდი იმიტომ, რომ...“).

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განასხვავებს არაფორმალური გარემოს (მაგ., შინაური გარემოს) სასაუბრო სტილსა და ოფიციალური გარემოს (მაგ., სასკოლო საქმიანი სიტუაციის) ენას, ადეკვატურად იყენებს მათ საკომუნიკაციო მიზნისა და სიტუაციის შესაბამისად;
- განასხვავებს პირდაპირ და ირიბ ნათქვამს და დანიშნულებისამებრ იყენებს მათ (მაგ. ტექსტის შინაარსის გადმოცემისას);
- ყოფითი სიტუაციების აღწერისას სათანადოდ რთავს მეტყველებაში სპეციფიკურ ლექსიკას;
- თხრობისას იყენებს ავტორისეულ ლექსიკას;
- მასწავლებლის მიერ მითითებული ნიმუშების მიხედვით შემოქმედებითად იყენებს სიტყვათა სემანტიკურ კავშირებს (სინონიმებს, ანტონიმებს...);
- სათანადო კონტექსტებში სწორად ჩაანაცვლებს სახელებს (არსებითს, ზედსართავს, რიცხვითს) ნაცვალსახელებით (ეს, ის, ასეთი, ამდენი...) და მარტივი ზმნიზედებით (აქ, იქ, მაშინ, ამიტომ...);
- კონტექსტის მიხედვით სწორად იყენებს ზმნის გრამატიკული დროის ფორმებს (მაგ., შარშან დავისვენეთ - გაისად დავისვენებთ და ა. შ.);
- მეტყველებისას იცავს ბრუნვისა და პირის ნიშნებთან დაკავშირებულ მართლმეტყველების წესებს (მაგ. ვვარჯიშობ, ვუთხარი, თბილისს, ქათამმა, კარგად ვარ და ა. შ.);
- სწორად უთანხმებს ზმნას არსებით სახელებსა და ნაცვალსახელებს პირისა და რიცხვის მიხედვით;
- სწორად ათანხმებს მსაზღვრელ-საზღვრულს;
- მეტყველებს მკაფიოდ და გარკვევით;
- იყენებს ინტონაციას სასვენი ნიშნების ფუნქციით.

ქართ.დაწყ.(I).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საკომუნიკაციო მიზნის შესაბამისად იყენებს ნიმუშებს, საყრდენებს;
- ადგენს მარტივი სახის მოკლე ჩანაწერებს დისკუსიების დროს (ჩაინიშნავს მნიშვნელოვან სიტყვას/სიტყვებს სხვათა და/ან საკუთარ მოსაზრებას, კონკრეტულ საკითხს და სხვ.).

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- ილუსტრაციების მიხედვით პერსონაჟთა გახმოვანება შესაბამისი ტემბრით, ინტონაციით, ჟესტებისა და მიმიკის გამოყენებით;
- როლური თამაშის ორგანიზება, იმპროვიზაციის გათამაშება;
- მინიდისკუსია მხატვრული ნაწარმოების შესახებ;
- ინტერაქცია (კითხვა-პასუხი) ნაცნობი ნაწარმოების შესახებ;
- საბავშვო სპექტაკლის, ფილმის, მულტფილმის განხილვა;
- ინტერვიუს გათამაშება ავტორთან/პერსონაჟთან (შეკითხვების დასმა ნაწარმოების „ავტორის“ და/ან „პერსონაჟის“ მიმართ, რომლის როლსაც ერთ-ერთი მოსწავლე „მოირგებს“, დანარჩენი მოსწავლეები მას უსვამენ შეკითხვებს ტექსტის შესახებ);
- ”სიტყვობანა” - სახალისო თამაში ლექსიკური ერთეულებით (მაგ., შეთავაზებული სიტყვის სინონიმების და/ან ანტონიმების რიგრიგობით დასახელება);
- ლექსიკური რუკის შევსება;
- ნაცნობი მხატვრული ტექსტის შინაარსის გადმოცემა მთხრობელის ჩანაცვლების გზით (მაგ., როგორ მოყვებოდა ნაცარქექიასთან შეხვედრის ამბავს დევი);
- შინაარსის გადმოცემა: დეტალური თხრობა, მოკლე შინაარსის თხრობა, გამოკრებილი თხრობა (ტექსტის ცალკეული ეპიზოდის შინაარსის გადმოცემა);
- კონკურსი გამომსახველობით კითხვაში
- და სხვა.

მიმართულება: კითხვა

ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გაბმულად (შეფერხებების გარეშე), სათანადო ტემპითა და შესაბამისი ინტონაციით ხმამაღლა კითხულობს ნაცნობ და უცნობ ტექსტებს/ტექსტების მონაკვეთებს;
- ხმამაღლა კითხულობს კლასის წინაშე სასურველ / შერჩეულ ნაწყვეტს ნაცნობი ტექსტიდან და ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს.

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ნაწარმოების თემას, დედააზრს (მთავარ იდეას);
- საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის მოკლე შინაარსს;
- გამოყოფს ტექსტის მთავარ საკითხს, ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;
- მოიძიებს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., მოვლენათა, მოქმედებათა დროსა და ადგილს);
- აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები;
- ამოიცნობს ტექსტში გადმოცემულ მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებულ ქრონოლოგიურ და ლოგიკურ (მიზეზშედეგობრივ, ოპოზიციურ, პირობით, დათმობით და სხვა) კავშირებს;
- აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით (მსგავსება-განსხვავების, მზარდი-კლებადი ხარისხისა და ა.შ. მიხედვით);
- ასახელებს მხატვრული ნაწარმოების მოქმედ პირებს, განსაზღვრავს ხედვის კუთხეს (ვისი თვალით არის აღქმული მოვლენები);
- განარჩევს ერთმანეთისგან ფაქტსა და სურვილს/ოცნებას;
- გამოყოფს მხატვრულ ტექსტში სიუჟეტის განვითარების ეტაპებს (დასაწყისს, ამბის შუა ნაწილს, დასასრულს);
- აანალიზებს ცალკეულ რეპლიკას - ვის ეკუთვნის, ვინ არის ადრესატი, რა არის რეპლიკის მიზანი (მაგ., რჩევის მიცემა, ინფორმირება, ახსნა, საყვედურის გამოთქმა, შენიშვნის მიცემა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვა);
- განარჩევს ტექსტში ავტორისა და პერსონაჟების სიტყვებს, დიალოგსა და მონოლოგს;
- აკვირდება პერსონაჟთა ქცევას, მოქმედებას, თვისებებს და დაკვირვების საფუძველზე გამოაქვს სათანადო დასკვნა მათი აზრების, განზრახვების, განცდების შესახებ;
- საუბრობს სათაურისა და ტექსტის აზრობრივ/ შინაარსობრივ ურთიერთკავშირზე;
- ამოიცნობს საბავშვო, შემეცნებით (შემეცნებით-გასართობ), მუსიკალურ, სპორტულ და საინფორმაციო გადაცემებს სპეციფიკური ნიშნების (მუსიკალური ქუდის, ლოგოს, დასაწყისისა და ა.შ.) მიხედვით.

ქართ.დაწყ.(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განავრცობს მოკლედ გადმოცემულ ამბავს;
- ასახელებს სათაურის ალტერნატიულ ვარიანტებს;
- გადმოსცემს ნაწარმოებში ასახულ ამბავს ერთ-ერთი პერსონაჟის პირით;
- თავისი შეხედულებისამებრ ინტერპრეტაციას უკეთებს მხატვრულ ტექსტს (სათაურის, დასასრულის შეცვლა, გაგრძელება, სიუჟეტის ელემენტების ცვლილება და ა.შ.);
- საბავშვო სპექტაკლისათვის ამზადებს და წარმოადგენს მასწავლებლის მითითებით ან

საკუთარი სურვილით შერჩეულ როლს;

- საბავშვო სპექტაკლისათვის შეარჩევს (თვითონ ხატავს ან მოიძიებს) როლის შესაბამის ვიზუალურ მასალას (კოსტუმს, ნიღაბს, სხვ.);
- როლის (მოლაპარაკე ცხოველების, უსულო საგნების) განსასახიერებლად ადეკვატურად იყენებს დამხმარე საშუალებებს (ჟესტს, მიმიკას, დამახასიათებელ მოძრაობას, გარკვეულ არტიკულაციას; მოხერხებულობის, ტყუილის თუ სხვა თვისებებისა და გრძნობების გამომხატველ მინიშნებებს);
- წარმოადგენს მიმიკურ მიზანსცენებს წაკითხული ტექსტის ცალკეული ეპიზოდის / ეპიზოდების საფუძველზე (თანაკლასელთა ჯგუფთან ერთად);
- ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ.

ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ავლენს მხატვრული ტექსტების ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილს;
- აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას საკუთარ გამოცდილებასთან, გამოკვეთს მათ შორის, არსებულ მსგავსება-განსხვავებას, გამოაქვს სათანადო დასკვნა;
- საკუთარი შეხედულების/შეფასების დასასაბუთებლად იყენებს შესაბამის ადგილებს წაკითხული ტექსტიდან ან მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან.
- ასახელებს საყვარელ წიგნს, ტექსტს / მხატვრულ ნაწარმოებს, ავტორს, პერსონაჟს და ხსნის თავის არჩევანს;
- მიუთითებს, რით დაინტერესდა / რა მოეწონა ტექსტში (ინფორმაცია, ამბავი, პერსონაჟის საქციელი, ბუნების აღწერა, დიალოგები თუ სხვა);
- მონაწილეობს წაკითხულის შესახებ გამართულ დისკუსიებში; საკუთარი შეხედულების დასასაბუთებლად იყენებს შესაბამის ადგილებს წაკითხული ტექსტიდან ან მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან.

ქართ.დაწყ.(I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტე-ბის მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ახასიათებს სხვადასხვა სახის ტექსტს სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით (მაგ., ღია ბარათს დასაწყისში აქვს მიმართვის ფორმა, მას მოსდევს ძირითადი ტექსტი, ბოლოს კი არის ხელმოწერა; კულინარიული რეცეპტი შედგება სათაურისა და ორი ძირითადი ნაწილისაგან: ინგრედიენტთა ჩამონათვალი და დამზადების წესი; დარგობრივ-შემეცნებით ტექსტს აქვს სათაური, ახლავს ილუსტრაციები წარწერებით და აბზაცებად დაყოფილი ტექსტი და ა.შ.);
- ადეკვატურად იყენებს საბავშვო წიგნში გამოყენებულ პირობით ნიშნებს (ლოგოს, რუბრიკას, სქემას), ილუსტრაციებს, დამხმარე ცხრილებსა და მარტივ დიაგრამებს.

ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მხატვრულ ტექსტებში აკვირდება მწერლის ენას, ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეს იმებს, ანტონიმებს, ფრაზეოლოგიზმებს და ა.შ.), ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას);
- დამოუკიდებლად პოულობს ტექსტში სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც ავტორი იყენებს პერსონაჟების, ფაქტებისა და მოვლენების აღსაწერად;
- ამოიცნობს და ასახელებს მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს, რომელთა საშუალებით აბზაცში / ტექსტის ცალკეულ ეპიზოდში / ტექსტში გადმოცემულია მოვლენათა თანამიმდევრობა (მაგ. ჯერ დახატა, მერე გაუგზავნა მეგობარს; ჯერ წავიდა, შემდეგ იყიდა, ბოლოს კი შეჭამა...);

- ამოიცნობს და ასახელებს საგნისა (მაგ., წითელი ფანქარი; კარგი ამინდი, მაღალი სახლი) და მოქმედების (ლამაზად წერს) დამახასიათებელ ნიშნებს;
- ამოიცნობს მარტივი აღწერითი ტექსტის ძირითად ენობრივ მახასიათებლებს, მაგ., შედგენილი შემასმენლის აქტიურად გამოყენებას (ეს კალამია, ის რვეულია, ეს კი ჩემი ჩანთაა), აღსაწერი საგნის / ობიექტის აღმნიშვნელი სიტყვის ჩანაცვლებას ნაცვალსახელით ან ზმნიზედით (თბილისი საქართველოს დედაქალაქია; ის დააარსა ვახტანგ გორგასალმა. შარშან თბილისში ვიყავი. იქ ბევრი ლამაზი სახლი ვნახე) და ა.შ.;
- ამოიცნობს და ასახელებს ძირითად სინტაქსურ მიმართებებს, მაგ., შეთანხმებას სახელებს შორის ბრუნვაში (მაგ., ორმა მეგობარმა, ლამაზი სახლი);
- ამოიცნობს და ასახელებს ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნებს, ამჩნევს მათი წარმოების თავისებურებებს (დედა მყავს, რვეული მაქვს).

ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს უცნობი სიტყვების / გამოთქმების მნიშვნელობას ნაცნობი ელემენტების (ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, კონტექსტისა და სხვ.) დახმარებით;
- ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით სვამს კითხვებს წაკითხულთან დაკავშირებით;
- ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ;
- აკვირდება ტექსტში მოცემულ ინფორმაციას, უკავშირებს მას წინარე ცოდნას და ამის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა;
- დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ აზუსტებს, რამდენად დარწმუნებულია პასუხის სისწორეში („დარწმუნებული ვარ“, „თითქმის დარწმუნებული ვარ“, „არა ვარ დარწმუნებული“);
- უბრუნდება ტექსტის შესაბამის/სათანადო მონაკვეთს იმ საკითხების დასაზუსტებლად, რაშიც არ არის დარწმუნებული;
- აცნობიერებს სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ტექსტის გაგებას უწყობს ხელს (ტექსტში გადმოცემული ამბების წარმოსახვაში გაცოცხლება, ტექსტში გადმოცემული ამბის ინსცენირება, ტექსტის ცალკეული მონაკვეთის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა და სხვ.);
- ადეკვატურად იყენებს საბავშვო წიგნში გამოყენებულ პირობით ნიშნებს (ლოგოს, რუბრიკას, სქემას), ილუსტრაციებს, დამხმარე ცხრილებსა და მარტივ დიაგრამებს.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- ელექტრონული პროგრამის გამოყენებით მარტივი ცნების რუკის შედგენა/შევსება;
- ინფორმაციის კონკრეტული ნიშნის (მსგავსება-განსხვავების, მზარდი-კლებადი ხარისხისა და ა.შ.) მიხედვით დაჯგუფება;
- ტექსტში არსებითი ინფორმაციის გამოკვეთა;
- ავტორის მიზნის ამოცნობა;
- პრაგმატული ტექსტის დანიშნულების განსაზღვრა;
- საკლასო ბიბლიოთეკის შექმნა და წიგნების მიმოხილვა;
- პერსონაჟთა დამახასიათებელი ადგილების (სიტყვები, ფრაზები, ეპიზოდები) მოძიება და გრაფიკულ სქემებში ორგანიზება;
- პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ აზრობრივი რუკების შექმნა-გამოყენება;
- სათაურის ალტერნატიული ვარიანტების დასახელება;
- წიგნის/ნაწარმოების პრეზენტაციები (წაკითხული ნაწარმოების შესახებ შთაბეჭდილების გაზიარება თანაკლასელებისათვის, თუ რატომ უნდა წაიკითხონ ესა თუ ის ნაწარმოები);
- მინიდისკუსია წაკითხული ნაწარმოების შესახებ;
- მხატვრული ნაწარმოების დასასრულის შეცვლა;
- ტექსტის დაყოფა კომპოზიციური და სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით;

- აბზაცებში საყრდენი სიტყვის ან წინადადების მოძიება და აბზაცების დასათაურება;
- ნაცნობი და უცნობი ლექსიკის აქტივაცია - მათი გამოყენებით ახალი წინადადებების შექმნა;
- სიტყვების დაჯგუფება კითხვების საშუალებით;
- სინონიმებისა და ანტონიმების დაჯგუფება;
- სიტყვებისაგან / ფრაზებისგან წინადადებების აგება;
- საყვარელი ნაწარმოებებისგან (საკუთარი ან ნასწავლი/წაკითხული ლექსები, გამონათქვამები, ციტატები, ანდაზები, გამოცანები, და ა.შ.) პატარა ჟურნალის ან წიგნის შექმნა;
- ტექსტის მარკირება მასწავლებლის მიერ მითითებული ინსტრუქციის მიხედვით;
- ტექსტის შინაარსის გეგმის შედგენა;
- საძიებო ელექტრონული სისტემების გამოყენება
- და სხვა.

მიმართულება: წერა

ქართ.დაწყ.(I).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადგენს მარტივ პრაგმატულ ტექსტებს (წერილს, შეკითხვებს ინტერვიუსთვის);
- ადგენს მარტივ დარგობრივ/ინფორმაციულ ტექსტებს, მიზნის შესაბამისად წარმოადგენს სათანადო ინფორმაციას;
- ადგენს მცირე ზომის ტექსტებს ცხოვრებისეული და/ან ლიტერატურული გამოცდილების საფუძველზე, თანამიმდევრულად გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს;
- ადგენს აღწერით ტექსტებს, ცდილობს მნიშვნელოვანი დეტალების წარმოჩენას;
- გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას/დამოკიდებულებას, ცდილობს მის ახსნას.

ქართ.დაწყ.(I).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს შესაფერის სპეციალურ ლექსიკას (დარგობრივ ტექსტებში);
- მხატვრული ტექსტის შინაარსის გადმოცემისას ცდილობს ავტორისეული ლექსიკის გამოყენებას;
- აკვირდება სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობას და კონტექსტის გათვალისწინებით შეურჩევს მათ ადგილს;
- ავლენს სახელის ფორმაცვალების წესების ცოდნას (მაგ., სწორად არჩევს სახელის ბრუნვის ფორმებს ზმნის სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით) და სათანადოდ იყენებს მას;
- მართებულად ხმარობს სიტყვებს: თითოეული, ყველა, ზოგი (ზოგიერთი), რამდენიმე და სწორად უთანხმებს რიცხვში ზმნებს;
- სათანადოდ იყენებს ნაცნობი გრამატიკული ფორმების მართლწერის წესებს წინადადების/ ფრაზის აგებისას;
- მართებულად იყენებს სასვენ ნიშნებს (წერტილს, კითხვისა და ძახილის ნიშნებს, ბრჭყალებს, ორწერტილს, ტირეს, მრავალწერტილს);
- საჭიროებისამებრ ყოფს ნამუშევარს აბზაცებად შინაარსობრივი თანამიმდევრულობისა და ლოგიკურ შესაბამისობის დაცვით.

ქართ.დაწყ.(I).15. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერის დაწყებამდე განსაზღვრავს ტექსტის დანიშნულებას და ადრესატს პრაგმატული

ტექსტებისთვის;
- იყენებს მოდელს, საყრდენებს, მითითებებს; საჭიროებისამებრ იყენებს მარტივ გრაფიკულ მაორგანიზებლებს;
- მოდელზე დაყრდნობით (მითითებების მიხედვით) სათანადოდ აფორმებს მარტივ პრაგმატულ ტექსტებს;
- მარტივი საძიებო სისტემის მეშვეობით წინასწარ მოიძიებს საჭირო ინფორმაციას (ბეჭდური/ელექტრონული რესურსების გამოყენებით);
- შეადგენს ტექსტის, წერითი დავალების მოკლე გეგმას;
- უბრუნდება ნაწერს კორექტირებისთვის, ამჩნევს და ასწორებს სხვადასხვა სახის შეცდომებს (ჩაამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში ასოს, სიტყვას, ფრაზას/წინადადებას);
- ხმამაღლა კითხულობს საკუთარ ნაწერს, ცვლის ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთს ესთეტიკური თვალსაზრისით უკეთესი ვარიანტით.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:
- ნაცნობი ტექსტის/ეპიზოდის შინაარსის გადმოცემა;
- მცირე ზომის მარტივი დარგობრივი ტექსტის შედგენა სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის საფუძველზე (მაგ., კლიმატური პირობების, გეოგრაფიული გარემოს აღწერა, მათემატიკური ამოცანის პირობის შედგენა);
- ტექსტის მარტივი გეგმის შედგენა;
- შეკითხვების შედგენა საყვარელ მწერალთან წარმოსახვითი ინტერვიუსთვის;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა პერსონაჟის მიმართ (მოკლე დახასიათების, პერსონაჟის საქციელზე გაკეთებული კომენტარის სახით);
- მხატვრული ტექსტის დასასრულის განსხვავებული ვერსიის შექმნა;
- კონკრეტული ცხოვრებისული გამოცდილების/განცდილი შთაბეჭდილების ამსახველი მცირე ზომის ტექსტის შედგენა (მაგ., „ერთ თოვლიან დღეს", „დიდ შესვენებაზე");
- აღწერითი ტექსტის შედგენა (მაგ., „ჩემი ოთახი", „ხედი ჩემი სახლის ფანჯრიდან", „ჩემი სკოლის ეზო")
- და სხვა.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: ლექსიკური ფონდის შევსება: სპეციალური ლექსიკა და ტერმინოლოგია; სიტყვათა სემანტიკური კავშირების (სინონიმის, ანტონიმის, ლექსიკური ბუდეების...) აქტიურად, შემოქმედებითად გამოყენება; ერთი სემანტიკური ჯგუფის სიტყვების კონტექსტურად შერჩევა; სიტყვათა ლექსიკური კავშირები (სიტყვაწარმოების საწყისი წესები, ახალ სიტყვათა წარმოქმნა); რთული შედგენილობის სიტყვები; სიტყვის მრავალმნიშვნელიანობა.
გრამატიკული ასპექტი: სახელის ბრუნვისა და ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებული ორთოგრაფიის წესები; სივრცული, დროითი და მიზეზშედეგობრივი მიმართებების გამომხატველი ენობრივ-გრამატიკული საშუალებები; სიტყვათა ძირითადი კლასები (მეტყველების ნაწილები) და მნიშვნელოვანი სინტაქსური მიმართებები სიტყვათა შორის; სიტყვის მორფოლოგიური აგებულება საწყის დონეზე; სიტყვათა ფორმაცვალების კანონზომიერებათა აღმოჩენა (მაგ., ზმნის უღლება, მხოლობითისა და მრავლობითის ფორმების წარმოება), სასვენი ნიშნები (წერტილი, მძიმე, კითხვისა და

ძახილის ნიშნები, ბრჭყალები, ორწერტილი, მრავალწერტილი, ტირე).

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები
ძირითადი თემატიკა: საკომუნიკაციო ამოცანა და მისი გადაჭრის ხერხები; ჯგუფური აქტივობა (როლის შესრულება / მოკლე ზეპირი გამოსვლა); ენის სხვადასხვა ფუნქციური სტილი (სასაუბრო, სალიტერატურო) და მათი გამოყენების სფეროები; პრაგმატული ტექსტები (აბრა, რეკლამა, პლაკატი, რეცეპტი, სამახსოვრო წესები, ინსტრუქცია, სხვადასხვა ხასიათის წერილები), მათი ჩაწერისა და გაფორმების წესები.

3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა
ძირითადი თემატიკა: სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ცხოვრება, სათავგადასავლო ნაწარმოებები, დიდაქტიკური თხზულებები, ფანტასტიკა, იუმორისტული და სატირული ნაწარმოებები; ყოფითი, პატრიოტული და ჰეროიკული თემები.

საკითხავი მასალა: ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება; ნიმუშები მსოფლიოს ხალხთა

ფოლკლორიდან: ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები (ქართული, ბერძნული, რომაული და სხვ.); ადაპტირებული ნაწარმოებები, ლიტერატურული ზღაპრები (ქართველი და უცხოელი მწერლების), ლექსები და პროზაული თხზულებები; მარტივი საინფორმაციო / შემეცნებითი ტექსტები; სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტები

წერა	**I. 15.** მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.					
	I. 14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.					
	I. 13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.					
კითხვა	**I. 12.** მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.					
	I. 11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.					
	I. 10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.					
	I. 9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.					
	I. 8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.					
	I. 7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება.					
	I. 6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.					
ზეპირმეტყველება	**I. 5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.					
	I. 4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.					
	I. 3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.					
	I. 2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.					
	I. 1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.					
სასწავლო დროის ხანგრძლივობა (სთ)		12				
გაკვეთილების და თემების და-სახელება		თავი 1. ხელოვნების ძალა	მეჩონგური	**ვრცელი.** ქართული ანბანი და ასოთა სახელები	სალამურას თავგადასავალი	**ვრცელი.** მეფერი და ყრუ თანხმოვნები

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
მოსასმენი: პატარა თიხის გუნდა																
ხელოვნების სამი დარგი																
თავი 2. ჩემო კარგო ქვეყანავ	18															
ქორობია																
მოსასმენი: მეხუთე საუკუნე და ვახტანგ გორგასალი																
გრამატიკა. არსებითი სახელი																
თეორია. პოეზია და პროზა																
ცხრა ძმა ხერხეულიძე																
მოსასმენი: მეფე ფარნავაზი																
ასეთი დარი თუ იყო მაშინ																
მოსასმენი: ასპინძას მიდის მეფე ერეკლე																
გრამატიკა. არსებითი სახელის რიცხვი																
სამასი თავდადებული ქართველი																
სამასი სპარტელი																

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
კრწანისის ყაყაჩოები (სამასი არაგველის ხსოვნას)							■	■		■		■				
გრამატიკა. მრავლობითის ძველი ფორმა			■		■										■	
სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები					■										■	
თავი 3. ბუნების სურათები	30															
წელიწადის ორი დრო							■			■		■				
*** (ცელი კივის და ველები)							■	■				■				
თეორია. ჯვარედინი რითმა								■				■	■			
მოსასმენი: ორი ლექსი		■	■	■								■				
ცის და მიწის მეფეები – არწივი და ლომი. არწივი								■				■	■			
გრამატიკა. არსებითი სახელის ბრუნება					■										■	
გრამატიკა. არსებითი სახელის კვეცა					■			■							■	
ლომი								■	■				■	■		
მზე და ღრუბელი							■					■		■		
გრამატიკა. არსებითი სახელის კუმშვა					■			■							■	

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ფშა																
ტყეებს ნუ კაფავ!																
გრამატიკა. კუმშვად-კვეცადი სახელები																
ქორი და წიწილა																
მოსასმენი: ორაგულის სიყმაწვილე																
ორაგულის ცხოვრება. ორაგული სამშობლოდან ზღვისკენ მიდის																
გრამატიკა. -დან თუ -გან?																
ორაგული ზღვიდან სამშობლოში ბრუნდება																
შინ, სამშობლოში!																
გრამატიკა. ზმნა																
ყაყაჩო																
თეორია. გაპიროვნება																
მოსასმენი: ცისარტყელა																
თავი 4. უხსოვარი დროის ამბებიდან	24															
*** (მზე და მთვარე)																
გრამატიკა. ზმნის უღლება																

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ცეცხლის მოთვინიერების ამბავი																
გრამატიკა. ზმნა და არსებითი სახელი																
ძველი თქმულება																
*** (ორშაბათობით აშენდა)																
გრამატიკა. ზმნის წინა მარცვალი																
უღუ და თეთ																
თეორია. აღწერა																
უძველესი ნახატები																
თეორია. ფაქტი და ვარაუდი																
მოსასმენი: სათაფლია																
თავი 5. ადამიანი და ცხოველი	18															
ანდროკლე და ლომი																
მოსასმენი: ლმობიერი მონადირე და ირმის გონიერება																
გრამატიკა. ზმნა და ახლანდელი დრო																
მოსასმენი: წიქარა – 1-ლი და მე-2 ნაწ.																
წიქარა																
გრამატიკა. აწმყო, წარსული და მომავალი																

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
მოხუცი და ბროლია																
მხატვრობა და ფოტოხელოვნება																
მოსასმენი: მოსწავლისჩანთიანი სპილო																
თავი 6. სახალისო ამგები	18															
მელა და ყურძენი																
მოსასმენი: მსხლის ქურდი																
გრამატიკა. სახალისო საკითხავი																
ჭკვიანი ყვავი																
მოსასმენი: ჩხუბი არაფერზე																
გრამატიკა. რიცხვში მონაცვლე ზმნები																
ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი																
მოსასმენი: ნახევარცხენი. თამაში ხელის წავლებით																
თეორია. თხრობის ხერხი – ცოცხალი ტყუილი																
ცოცხალი ტყუილები																
გრამატიკა. რიცხვითი სახელი																

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
თავი 7. იყო და არა იყო რა	18															
ოქროსტარიანი ცული																
მოსასმენი: ჭიამაია და ბოროტი კაცი																
გრამატიკა. რიცხვითი სახელის მართლწერა																
მეფე და სკვინჩა																
მოსასმენი: კურდღლების მიწისძვრა																
თეორია. ზღაპარი																
გრამატიკა. ზედსართავი სახელი																
საგნის აღწერა																
თავი 8. იგავ-არაკები	12															
უკან მიდევნებული ლამპარი																
ენით დაკოდილი																
მოსასმენი: იგავი																
მოსასმენი: უტკბესი და უმწარესი																
მგელი და კრავი																
თეორია. დიალოგი																
მოსასმენი: ყველას ვალი																

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
გრამატიკა. ზედსართავისა და არსებითი სახელების ბრუნება					■											
თავი 9. კარგი და ცუდი	18															
მოთხრობები წმინდა ზნეობაზე		■	■	■		■		■	■	■			■	■	■	■
მოსასმენი: სირცხვილის აშორება			■	■										■	■	■
გრამატიკა. სიტყვის შერჩევა					■										■	
თავდადებული მღვდელი თევდორე			■					■								
გრამატიკა. ზმნა და ზმნიზედა					■			■								
ორი ლექსი							■		■	■		■				
საცოდავი თრიები			■	■				■								
განთავისუფლება								■	■	■	■			■	■	■
მოსასმენი: დედამიწამ რა სთქვა			■	■	■	■										
გრამატიკა. ნაცვალსახელი					■											
თავი 10. თარგმანის ხელოვნება	6															
მოსასმენი: ჰაიდი			■										■			
თვითონაც არ ვიცით, რას ვშვრებით								■					■			
თეორია. თარგმანი								■					■			

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
მოსასმენი: უჩინარი ბავშვი		■	■	■	■	■										
თავი 11. სამშობლო და პოეტები	12															
გიორგი ლეონიძე								■					■			
გრამატიკა. ჩვენებითი ნაცვალსახელი					■			■								
ძველი საქართველო							■		■	■		■				
მხოლოდ შენ			■									■				
მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“							■					■				
გრამატიკა. თხრობითი და კითხვითი წინადადებები					■							■				
თეორია. განმარტებითი ლექსიკონი								■								
თავი 12. დიდები და პატარები	18															
გრამატიკა. გაიცანით ბიძია სევა					■			■								
ძახილის ნიშანი					■			■								
ჩვენი ყოჩაღი სკვინჩა				■		■	■	■	■	■				■	■	■
მოსასმენი: შემთხვევით მოსმენილი საუბარი		■	■	■	■											
გრამატიკა. საკუთარი სახელები					■										■	
ერეკლე მეფე და ინგილო ქალი			■	■				■								

5. სახელმძღვანელოს კომპონენტები და სტრუქტურა

წინამდებარე სახელმძღვანელო თვისებრივად შეესაბამება და აგრძელებს ამავე ავტორთა მიერ მესამეკლასელთათვის შედგენილ წიგნს. ის შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და მოიცავს 36 სასწავლო კვირის სასწავლო კურსს.

სახელმძღვანელო რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება:

მოსწავლის წიგნი (ორ ნაწილად)
მასწავლებლის წიგნი
მოსწავლის რვეული

მოსწავლის წიგნი და მისი სტრუქტურა

მოსწავლის წიგნი მეოთხე კლასის სახელმძღვანელოს ძირითადი კომპონენტია. სახელმძღვანელოს აგების საფუძველი, ისევე, როგორც წინა კლასებში, ამჯერადაც მასალის თემატურად მოწესრიგებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმძღვანელოს ყოველი თავი ერთი კონკრეტული თემისა და ამ თემაზე შექმნილი სხვადასხვა ტიპის ნაწარმოებების (მხატვრული და შემეცნებითი ტექსტების) შესწავლას მოიცავს. სულ 12 თემაა, ზოგ თემას ერთი კვირა ეთმობა, ზოგს – ორი ან სამი. გამონაკლისს წარმოადგენს მესამე თემა („ბუნების სურათები“), რომელსაც ხუთი კვირა აქვს დათმობილი. ვფიქრობთ, აღნიშნული თემა ამ ასაკის მოზარდთა დიდ ინტერესს გამოიწვევს. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში ჩართულია ტესტების კრებულით მუშაობაც. ჯამურად სახელმძღვანელოში მოცემულია 34 კვირის მასალა (იგულისხმება, რომ თემების რაოდენობა ოდნავ ნაკლებია სასწავლო კვირების მთლიან მაქსიმალურ რაოდენობაზე (ანუ 36 კვირაზე), რათა მასწავლებელს რამდენიმე საათი თადარიგში ჰქონდეს).

თემების განაწილება თავებისა და კვირების მიხედვით ასეთია:

თავი 1	ხელოვნების ძალა	2 კვირა (12 საათი)
თავი 2	„ჩემო კარგო ქვეყანავ“	3 კვირა (18 საათი)
თავი 3	ბუნების სურათები	5 კვირა (30 საათი)
თავი 4	უხსოვარი დროის ამბებიდან	4 კვირა (24 საათი)
თავი 5	ადამიანი და ცხოველი	3 კვირა (18 საათი)
თავი 6	სახალისო ამბები	3 კვირა (18 საათი)
თავი 7	იყო და არა იყო რა	3 კვირა (18 საათი)
თავი 8	იგავ-არაკები	2 კვირა (12 საათი)
თავი 9	კარგი და ცუდი	3 კვირა (18 საათი)
თავი 10	თარგმნის ხელოვნება	1 კვირა (6 საათი)
თავი 11	სამშობლო და პოეტები	2 კვირა (12 საათი)
თავი 12	დიდები და პატარები	3 კვირა (18 საათი)

სახელმძღვანელოს მიხედვით, პირველ თავში მოცემული გაკვეთილების რაოდენობა არ ემთხვევა პირველი თავისთვის ცხრილში მოცემული საათების ოდენობას, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელს წიგნით მუშაობის დაწყებამდე ჩასატარებელი აქვს შესავალი მეცადინეობა, და, გარდა ამისა, მას სჭირდება დრო მოსწავლის რვეულზე სამუშაოდ. იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენი თავების შესახებაც.

შენიშვნა: მოსწავლის წიგნი გაყოფილია ორ ნაწილად. მეორე ნაწილი დანომრილია ორგვარად. სარჩევში გვერდები მითითებულია პირველი, მსხვილი შრიფტით მოცემული ნუმერაციის მიხედვით.

მეორე, მკრთალი და პატარა შრიფტით დაბეჭდილი ნუმერაცია გულისხმობს პირველი წიგნის გაგრძელებას, რაც დატოვებულია სპეციალურად. ეს მასწავლებელს გაუადვილებს, იოლად იპოვოს ის გვერდი, რომლის ნომერიც ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებლის წიგნშია მითითებული (სავარჯიშოების პასუხები, კონკრეტული სავარჯიშოს ან დავალების მითითება და ა.შ.).

ყოველი თავის დასაწყისში ცალკე გვერდზე მოთავსებულია თავის ნომერი, მითითებულია თემის სათაური, გვერდი გაფორმებულია სათანადო ნახატით და ერთვის ეპიგრაფები: ანდაზები ან ლექსები, რომლებიც ამ თემას შეესაბამება და ჩამოთვლილია, რა შეისწავლება ამ თავში. ეს გვერდი გამიზნულია ერთგვარი შესავალი საუბრისათვის.

ყოველი თავი მოიცავს ტექსტებს, გრამატიკულ მასალას, თეორიულ საკითხებს. წიგნის ბოლოს მოცემულია ლექსიკონი, რომელშიც განმარტებულია ტექსტების სავარაუდოდ უცნობი სიტყვები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ლექსიკონში თავმოყრილი სიტყვები კარგი მასალაა დამატებითი დავალებებისათვის. თუ მასწავლებელს ამა თუ იმ გაკვეთილზე დრო მორჩება, მას შესაძლებლობა აქვს, დაავალოს მოსწავლეებს წინადადებების შედგენა ამ სიტყვების გამოყენებით.

ტექსტები

სახელმძღვანელოში შეტანილია მოთხრობები, ზღაპრები, ლეგენდები, იგავ-არაკები, ლექსები, ენციკლოპედიურ-შემეცნებითი ხასიათის ტექსტები.

სახელმძღვანელოს ტექსტები შერჩეულია რამდენიმე ნიშნით: 1) შეესაბამებოდეს თემას; 2) ჰქონდეს მხატვრული (ან შემეცნებითი) ღირებულება; 3) შეესაბამებოდეს და ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს; 4) ასახული იყოს ის ენობრივ-გრამატიკული მომენტები, რომლებიც შესაბამის თავში შეისწავლება.

უმეტესი წილი ამ ტექსტებისა ქართული კლასიკური ლიტერატურაა. არის ნაწყვეტები თარგმანებიდანაც, მოსწავლეთა თვალსაწიერის გასაფართოებლად და წარმატებული თარგმანის ნიმუშის გასაცნობად.

ყველა ტექსტი ილუსტრირებულია ფერადად, ბავშვისათვის გასაგები, თემის შესაბამისი სურათებით. ტექსტები სპეციალურად შერჩეული, ადვილად აღსაქმელი, კარგად საკითხავი შრიფტით არის აწყობილი.

ისევე, როგორც წინა კლასების სახელმძღვანელოებში, აქაც უზარმაზარი როლი ენიჭება ლექსიკაზე მუშაობას. ლექსიკური სავარჯიშოები უხვადაა დავალებათა ბლოკებში და რვეულში, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

წიგნის ყოველ ტექსტს მოსდევს **სავარჯიშოების ბლოკი**. ამ ბლოკში სხვადასხვა ტიპის დავალებები გვხვდება. განვიხილოთ ეს დავალებები რუბრიკების მიხედვით:

უპასუხე შეკითხვებს – ამ რუბრიკაში ძირითადად მოცემულია ტექსტების შინაარსთან უშუალოდ დაკავშირებული შეკითხვები, რომლებზეც მოსწავლემ მოკლე პასუხი უნდა გასცეს. მაგალითად:

ა) ვის შეადარა პოეტმა ქალაქი თბილისი? (მეფე ერეკლეს)

ბ)სად მდებარეობს სოფელი მარაბდა? (თბილისის სამხრეთით)

ამგვარი შეკითხვების მიზანია, მოსწავლემ იპოვოს და დაიმახსოვროს ტექსტში ცხადად მოცემული მნიშვნელოვანი დეტალები.

ტექსტის შინაარსი – ამ რუბრიკის სავარჯიშოები კი მოსწავლისაგან ტექსტის რომელიმე ეპიზოდის შინაარსის გააზრებასა და გადმოცემას მოითხოვს. მაგალითად:

ა) „როგორ გამოიჩინა თავი სამასმა მეომარმა ბრძოლის ველზე? აღწერე მათი ბრძოლა შენი სიტყვებით.“

ბ) „რა იყო მიზეზი იმისა, რომ უფლისწული უამრავ სიზმარს ნახულობდა? “

შეკითხვები ორგვარია: 1) ასარჩევი პასუხებით და 2) ღია, პასუხის ალტერნატივების გარეშე.

იმსჯელე – როგორც რუბრიკის სახელიდან ჩანს, აქ გაერთიანებული სავარჯიშოები მოსწავლისაგან ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას მოითხოვს. მაგალითად:

ა) „დაახასიათეთ უფლისწული ქონდარუხი: ჩამოთვალეთ მისი სამი თვისება და დაიმოწმეთ ტექსტიდან შესაბამისი მაგალითები."

ბ) „შეარჩიეთ თანაკლასელი, რომელიც თავის თხზულებას კლასის წინაშე წაიკითხავს. როცა ის თხზულების კითხვას დაასრულებს, შეაფასეთ მისი ნამუშევარი:

- იმსჯელეთ, ხომ არ გამორჩა მას ნაწერში ზემოთ მოცემული მითითების რომელიმე საკითხი;
- თქვენ რას დაუმატებდით ამ თხზულებას?
- აუცილებლად აღნიშნეთ, რა მოგეწონათ მოსმენილ თხზულებაში."

გ) „გაიხსენე, რა არის სახელმძღვანელოს პირველი თავის თემა. შენი აზრით, რატომ შეიტანეს ზღაპარი „მეჩონგურე" სახელმძღვანელოს სწორედ ამ თავში?"

დ) „დაახასიათეთ მზია, მოთხრობის მიხედვით წარმოიდგინეთ მისი გარეგნობა და თვისებები:

- იპოვეთ ტექსტში აღწერა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ გოგონა გამხდარია;
- აღნიშნეთ, რა არის ნათქვამი მისი სამოსის შესახებ;
- დააკვირდით, როდის და როგორ მიგვანიშნა მწერალმა, რომ გოგონა ძალიან მორიდებულია.
- შეაფასეთ მისი საქციელი, ჩიტის მიმართ თანაგრძნობა;
- გაიაზრეთ, გოგონას გაცნობის შემდეგ რატომ მოაგონდა მთხრობელს „წყნარი კეთილი მუსიკა".

ეს სავარჯიშოები მოსწავლეებს განუვითარებს კრიტიკული აზროვნების უნარს და დაეხმარება მათ ტექსტის მთავარი სათქმელის გააზრებაში.

გაიხსენე – ამ რუბრიკის სავარჯიშოები მოსწავლისაგან მოითხოვს, გაიხსენოს ესა თუ ის შესწავლილი ნაწარმოები ან ამა თუ იმ ნაწარმოების პერსონაჟები და დაუკავშიროს პერსონაჟების მოქმედება ახლად შესწავლილ მასალას თუ პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას. გარდა ამისა, მოსწავლემ უნდა გაიხსენოს რომელიმე საკვანძო სიტყვის მნიშვნელობა...

მოძებნე ტექსტში – ამ რუბრიკაში მოცემული სავარჯიშოები მოსწავლეს ტექსტში ორიენტირებაში ეხმარება. მაგალითად:

ა) „ტექსტში იპოვე სიტყვა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ქსერქსეს ლაშქარი ბევრად აღემატებოდა ბერძნებისას."

ბ) „იპოვე ტექსტში მინიშნება, რომლითაც ივარაუდებ, რომ ჩიტს საჭმელი გოგონას წყალობით უპოვია."

გ) „რომელ სტრიქონებშია აღწერილი ბუნების სურათი?"

დ) „მეორე აბზაცში ყველაზე მეტად რომელი წინადადება მიანიშნებს იმას, რომ ქართველთა და სპარსელთა შორის განსაკუთრებულად სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა? მონიშნე ეს წინადადება."

და ასე შემდეგ.

ამ სავარჯიშოების მიზანია, მოსწავლემ შენიშნოს ტექსტში ნაგულისხმევი, შეფარულად მოწოდებული ინფორმაცია.

მოიპოვე ინფორმაცია – ამ რუბრიკაში გაერთიანებული სავარჯიშოები მოსწავლეს სთხოვს, ამა თუ იმ საკითხზე მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია საბავშვო ენციკლოპედიიდან, მოიძიოს სასურველი წიგნი ბიბლიოთეკაში (ეს უკანასკნელი კი თავისთავად გულისხმობს, რომ მოსწავლეს უნდა შეეძლოს საბავშვო ბიბლიოთეკის ანბანური და თემატური კატალოგებით სარგებლობა და ბიბლიოთეკის კატალოგებსა და ბარათებზე განთავსებული ინფორმაციის სწორად ამოკითხვა.). მაგალითად:

ა) „საბავშვო ენციკლოპედიიდან მოიპოვე ცნობა იმის შესახებ, თუ როდის მოხდა თერმოპილეს ბრძოლა. შეძლებისდაგვარად შეაგროვე დამატებითი ინფორმაცია ამ ომის შესახებ."

ბ) „საბავშვო ენციკლოპედიიდან ან სხვა წყაროდან მოიპოვე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ

როგორ აფერადებდნენ პირველყოფილი მხატვრები თავიანთ ნახატებს.“

წაიკითხე წიგნი – რუბრიკაში მოცემულია ამ ასაკის შესაბამისი საყმაწვილო წიგნების სათაურები, რომლებიც მოსწავლემ უნდა წაიკითხოს და შეასრულოს შესაბამისი აქტივობები. მაგალითად:

„თქვენი ოჯახის ან სკოლის ბიბლიოთეკაში იპოვეთ არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავალი“ და მთლიანად წაიკითხეთ.

ამ გაკვეთილიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ გამართეთ ვიქტორინა:

- კლასი დაიყოფა ორ ჯგუფად. ჯგუფები ერთმანეთს დაუსვამენ შეკითხვებს ამ ნაწარმოების შინაარსის ცოდნის შესამოწმებლად.
- გამარჯვებულია ჯგუფი, რომელიც მეტ შეკითხვას უპასუხებს სწორად.“

სახელმძღვანელოში განზრახ არის შეტანილი ფრაგმენტები ისეთი წიგნებიდან, რომელთაც მოსწავლეები შემდეგ მთლიანად წაიკითხავენ.

ივარჯიშე გამოთქმაში – ამ რუბრიკაში შესული სავარჯიშოების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს:

„ქართულ მეტყველებაში ლ-ს წარმოთქმისას ენის წვერი კბილებს ებჯინება. ივარჯიშე ქვემოთ მოცემული სიტყვების გამოთქმაში:

- სპილო
- ლომი
- ძაღლი
- ლოქო
- ლოკოკინა
- თოლია
- ბულბული
- პეპელა “

დაწერე – ამ რუბრიკაში თავმოყრილია წერითი სავარჯიშოები. მაგალითად:

ა) „ტექსტი დაყოფილია 6 აბზაცად. შეურჩიე აბზაცებს სათაურები და გეგმის სახით ჩამოწერე.“

ბ) “დაწერე მოთხრობის მოკლე შინაარსი შენ მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით.“

გ) “წარმოიდგინე, რომ მწერალი წლების შემდეგ კვლავ ესტუმრა ივრის ჭალას და ნატვრა აუხდა. დაწერე მისი მონათხრობი; დაიწყე ასე: „ჩემი სოფლიდან ივრის ჭალისაკენ გავეშურე...“

დ) “დაწერე პატარა თხზულება იმის შესახებ, თუ როგორ მოაშინაურეს უღუმ და თეთმა კატა. თხზულებას შეურჩიე სათაური.“ ...

გრამატიკა – როგორც სათაურიდანაც ჩანს, ამ რუბრიკაში გაერთიანებულია გრამატიკული სავარჯიშოები. მაგალითად:

ა) რომელი მარცვალი შეიძლება დაერთოს ამ ზმნებს? ჩამოწერე ყველა შესაძლებელი ვარიანტი:

- **მო**იყვანა, **მი**იყვანა ....
- **შე**ავლო, **მო**ავლო ....
- **გა**ანათა, **ჩა**ანათა ....
- **შე**სცქეროდა ....

ბ) „იპოვე შეცდომა და სწორად გადაიწერე:

- ჭიამაია მაშინვე გაშლის ფრთებს და ამინდის გასაგებათ გაფრინდება.“

გ) „ტექსტიდან ამოიწერე ხუთი ზმნა და ხუთი არსებითი სახელი.“

დ) „მოიფიქრე და დაწერე ორი ბრძანებითი და ორი ძახილის წინადადება. რა განცდას გადმოსცემს შენ მიერ მოფიქრებული ძახილის წინადადებები?“

ე) „ქვემოთ მოცემული სიტყვებით წინადადებები შეადგინე. გაითვალისწინე, რომ წინადადებებში ეს სიტყვები შეკუმშული ფორმით უნდა იყოს:

- შველი
- მწერალი
- ფუტკარი
- მხატვარი“

ვ) „წინადადებებში ჩასვი რიცხვითი სახელები: სამი, მესამე, ერთი, პირველი

- მეგობრები ... დღეს დაბრუნდნენ მოგზაურობიდან.
- მეგობრები ... დღის შემდეგ დაბრუნდნენ მოგზაურობიდან.
- მე გავიხსენე ... ამბავი ჩემი ცხოვრებიდან.
- გამახსენდა სწავლის დაწყების ... დღე.“

თეორია – რუბრიკაში მოცემულია სავარჯიშოები, რომლებიც სახელმძღვანელოში შეტანილ ლიტერატურის თეორიის საკითხებს უკავშირდება:

ა) „ლექსიდან „ყაყაჩო“ ამოიწერე გაპიროვნების ნიმუშები.“

ბ) „უღუ და თეთის“ პირველი თავის რომელ აბზაცში აღწერს ავტორი უღუსა და თეთს? კიდევ ვისი პორტრეტებია მოცემული ტექსტში?“

გ) „აღწერე პეიზაჟი, რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდა ცხოვრებაში (გაიხსენე შენი მოგზაურობები ზაფხულის თუ ზამთრის არდადეგების დროს, ასევე, ექსკურსიები).“

დახატე – ეს რუბრიკა სახელმძღვანელოში შედარებით იშვიათად გვხვდება. რუბრიკა მიზნად ისახავს, მოსწავლეებმა სცადონ ტექსტის ამა თუ იმ ეპიზოდის, ან მისგან მიღებული შთაბეჭდილების ნახატით გადმოცემა. მაგალითად:

ა) „მოძებნე ტექსტში ის ადგილი, სადაც აღწერილია უფლისწულის სიზმარი; წარმოიდგინე და დახატე „ქონდარუხის სიზმარი“.

ბ) „წარმოიდგინე, რომ წიგნის მხატვარი ხარ: ლექსი ლამაზად გადაიწერე და ილუსტრაცია გაუკეთე.“

გ) „დახატე ფშა თავისი ბინადრებით. ნახატს შეურჩიე სათაური. მოაწყვეთ გამოფენა და შეარჩიეთ სამი ნახატი, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს მწერლის განწყობას.“

გარდა ამისა, სახელმძღვანელოში მოცემულია ინსტრუქციები, როგორ უნდა გარდასახონ მოსწავლეებმა მოთხრობა სპექტაკლად და როგორ დადგან წარმოდგენა კლასში.

ზოგიერთი სავარჯიშო მოითხოვს, მოსწავლემ თავად მოიფიქროს შეკითხვა ამა თუ იმ ტექსტთან დაკავშირებით და დაუსვას თანაკლასელს.

ერთი ტექსტის ბოლოს სამი, ოთხი, ხუთი ან მეტი რუბრიკის სავარჯიშოები შეიძლება იყოს მოცემული. სავარჯიშოების ერთი ბლოკის ფარგლებში შესაძლებელია, რუბრიკა მეორდებოდეს. მაგალითად ასე:

- **უპასუხე შეკითხვებს**
- **დაწერე**
- **იმსჯელე**
- **უპასუხე შეკითხვებს**

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი რეკომენდაციით მასწავლებელმა ამ თანმიმდევრობით უნდა შეასრულებინოს კლასს სავარჯიშოები.

მოსწავლის წიგნის სავარჯიშოებში ასევე მითითებულია, მათგან რომელია ჯგუფებში ან წყვილებში სამუშაო და რომელი ეძლევა მოსწავლეებს დავალებად, რაც მასწავლებელს დაეხმარება სასწავლო პროცესის ორგანიზებაში.

თეორიული საკითხები

ყოველ თავში შეტანილია გარკვეული თეორიული მასალა. მიზანი ის კი არ არის, რომ ბავშვებს ეს მცირე თეორიული ტექსტები გავაზეპირებინოთ, არამედ ის, რომ მოსწავლეს შეეძლოს, შეძენილი ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენოს. მაგალითად, IV თავში შემოდის „ფაქტი და ვარაუდი“. არ არის აუცილებელი შესაბამისი ტექსტუალური მასალის ზეპირად ან თუნდაც თხრობით დასწავლა. მთავარია, მოსწავლემ შეძლოს სავარჯიშოების შესრულება – ფაქტისა და ვარაუდის ერთმანეთისაგან გარჩევა საინფორმაციო ხასიათის იმ ტექსტებში, რომლებიც შეტანილია სახელმძღვანელოში.

გრამატიკა

სწავლების მიზანია, მოსწავლეებს შეუქმნას აუცილებელი ბაზა მშობლიური ენის გრამატიკის დასაუფლებლად. სწავლების პროცესში მუდმივად უნდა იქნას გათვალისწინებული მოსწავლის ასაკობრივი ფსიქიკური თავისებურებანი. ამიტომაც აუცილებელია მასალის მიწოდება გარკვეული თანმიმდევრობით. შერჩეული მასალა ემყარება იმ პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც მოსწავლეს უკვე შეძენილი აქვს:

9-10 წლის ბავშვს უკვე გავლილი აქვს მშობლიური ენის ათვისების ადრეული და სკოლამდელი ეტაპები, მოცემული ასაკისთვის ფლობს (რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლები შეზღუდვებით) ენობრივ სისტემას: ძირითადად სწორად იყენებს (ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ) ენობრივ ერთეულებს; დაგროვებული აქვს გარკვეული ლექსიკა და პრაქტიკულად დაუფლებულია სემანტიკურ ასპექტებს – იყენებს ანალოგიას, ფლობს სიტყვათშეთანხმების მოდელებს. სწავლების მიზანია ამ ცოდნის გამოვლენა – გაცნობიერება, მისი ობიექტივაცია. ამგვარი მიდგომა გააადვილებს არა მხოლოდ გრამატიკული მასალის ათვისებას, არამედ თავიდან აგვაცილებს ზედმეტ სირთულეებს, რომლებიც სწავლებისას შეიძლება გაჩნდეს. ჩვენ შევეცადეთ, მეცნიერული გრამატიკის რთული ცნებითი სისტემის ერთგვარად გამარტივებით ბავშვი მიგვეახლოებინა გრამატიკული ფაქტის გაცნობიერებასთან.

გრამატიკის სწავლების სახელმძღვანელოში აღწერილი მიდგომა აგრძელებს წინა კლასის სახელმძღვანელოს ტრადიციას – წინ წამოწეულია პრაქტიკული გრამატიკის საკითხები.

იმის გამო, რომ ცალკეული სიტყვები მათი ფორმაცვალებადობის შესასწავლად არაფრის მომცემია ბავშვებისთვის, მათ სიტყვები მიეწოდებათ კონტექსტში, წინადადებაში, რათა სემანტიკა დაეხმაროთ ენის ფორმალური ნიშნების აღმოჩენასა და დაუფლებაში. მაგალითისთვის განვიხილავთ არსებითი სახელის ბრუნებას. თავდაპირველად მოსწავლეებს არ ვაცნობთ ყველა გრამატიკულ ტერმინს. მაგალითად, სახელის ბრუნების გაცნობისას მასწავლებელი სავარჯიშოდან იღებს ჯერ პირველ წინადადებას, ქვეშ მიუწერს მეორე წინადადებას და ა. შ. როდესაც შვიდივე წინადადება დაიწერება, ბავშვები თავიდან ბოლომდე ჩაიკითხავენ მათ. მოსწავლეებმა უნდა აღიქვან სისტემა მთლიანად და ყურადღება მიაქციონ სახელში ბრუნვის ნიშნების ცვალებადობას. შემდეგ კი შეიძინონ ცოდნა გრამატიკული ტერმინების შესახებ.

ასეთი მიდგომით მოსწავლე პრაქტიკულად ეუფლება სახელის ბრუნებას, მას შეუძლია კონკრეტული სახელის სწორად ჩასმა ყველა ბრუნვაში, მეოთხე კლასში ამ საკითხთან მიმართებაში სიახლე ის არის, რომ ვასწავლით ბრუნვათა სახელებს, ასევე ყურადღებას ვამახვილებინებთ, რომელ ბრუნვებში ხდება კუმშვა და კვეცა (გრამატიკული საკითხების ჩამონათვალი იხილეთ მოსწავლის წიგნის სარჩევში).

გრამატიკული მასალა ყოველთვის ცალკე გვერდზეა მოთავსებული. ამ გვერდების დიზაინიც განსხვავებულია. გვერდს ზედა ზოლზე მითითებული აქვს რუბრიკა „გრამატიკა“ და შესაბამისი საკითხის სათაური.

გარდა ამისა, ყოველი თავის ბოლო გვერდი ერთგვარ შემაჯამებელ სავარჯიშოთა გვერდს წარმოადგენს, სადაც დაგეგმილია შესწავლილი გრამატიკული მასალის გამეორება-განმტკიცება.

მოსასმენი ტექსტები

წიგნის ყოველ თავში **სპეციალური ნიშნით** გამოყოფილია ტექსტის სათაური. ეს ტექსტები მასწავლებლის წიგნშია მოცემული შესაბამისი თავის გაკვეთილების აღწერის ბოლოს. დიდ ნაწილს იქვე ახლავს დავალებები. ეს ტექსტები სასწავლო პროცესში რამდენიმე დანიშნულებით შეგვიძლია ჩავრთოთ:

ა. **როგორც მოსასმენი ტექსტი**: მასწავლებელი უკითხავს ტექსტს, რომელიც მოსწავლის წიგნში არ წერია. შემდეგ უსვამს შინაარსთან დაკავშირებულ შეკითხვებს, აძლევს დასახატს ან წერით დავალებას.

ბ. **როგორც უცხო ტექსტი**: მასწავლებელი აკეთებს ტექსტის ასლს და შეაქვს კლასში როგორც უცხო ტექსტი. მოსწავლეები კითხულობენ მას. შემდეგ კი პედაგოგი უსვამს შინაარსთან დაკავშირებულ შეკითხვებს, აძლევს დასახატს ან წერით დავალებას (ხშირად ასეთი დავალებები თავად ტექსტებსაც ახლავს).

გ. **კარნახით წერა** სწორედ ამ ტექსტებით ივარჯიშებენ მოსწავლეები კარნახით წერაში.

მოანყვეთ ჩვენება

ეკრანის ლოგოთი აღნიშნულია ნაწარმოებები, რომელზეც გადაღებულია ასაკისთვის შესაბამისი ფილმი ან მულტფილმი, ან საერთოა (ემთხვევა) პერსონაჟი და თემა (მაგალითად, „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და „ბემბი“) ან ფილმი ეხება თემას, რომელიც გაშლილია შესასწავლ თავში და ა.შ.

თუ მოსწავლის წიგნში ნაწარმოების სათაურთან მოცემულია მითითებული ნიშანი, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმძღვანელოს ავტორების რეკომენდაციით, მასწავლებელმა, სასურველია, მოიძიოს მითითებული ვიდეომასალა, მოკლე ინფორმაცია ფილმის გამოშვების წლის, რეჟისორის თუ სხვა მნიშვნელოვან ამბებისა და პიროვნებების შესახებ და ამ ნაწარმოების შესწავლის შემდეგ აჩვენოს მოსწავლეებს კლასში. ჩვენება შეიძლება 2 საგაკვეთილო საათსაც გაგრძელდეს. ქვემოთ მოცემულია ვიდეომასალის დამუშავებისას საგაკვეთილო პროცესში დასმული შეკითხვებისა და განსახორციელებელი აქტივობების ნიმუშები:

- სად გაწყდა ფილმის ჩვენება? რა იყო პირველ ნაწყვეტში? იგულისხმება შინაარსი;
- ემთხვევა თუ არა ნაწარმოებისა და ეკრანიზაციის სათაური? და თუ არის განსხვავება, იმსჯელონ, რომელი ვერსია მოსწონთ და რატომ;
- ვიდეომასალაში (ფილმში, მულტფილმში...) რა არის მოცემული განსხვავებულად? დამატებულია ან აკლია პერსონაჟი თუ ამბავი; შეცვლილია ფინალი... აქვე გაიმართება მსჯელობა რეჟისორის ფანტაზიით შექმნილ მასალაზე;
- შესაძლებელია შეფასდეს კოსტიუმები და დაისვას კითხვები, რომელ პერსონაჟს რა ტიპის ტანსაცმელი უფრო მოუხდებოდა და რატომ;
- შეიქმნას ფილმის აფიშა;
- შეიქმნას ფილმის რეკლამა: მოსწავლეების ჩართულობით დაიწეროს სცენარი რომელშიც ჩაერთვება ბავშვების მიერ ხმათა უმრავლესობით არჩეული მუსიკა. მასწავლებელმა საბოლოო პროდუქტი ვიდეოზე აღბეჭდოს. ან: გაკეთდეს სარეკლამო პლაკატი ჩანახატებითა და სლოგანებით.
- დაიდგას კოსტიუმირებული სპექტაკლი ამ ნაწარმოების მიხედვით. სასურველია, ამ კოსტიუმების მხატვრები თავად მოსწავლეები იყვნენ. მაგალითად, ჩვეულებრივი ტანსაცმელი ქაღალდის ელემენტებით იყოს შეფუთული.

მოსწავლის რვეული

სახელმძღვანელოს ახლავს სპეციალურად შექმნილი რვეული, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია თითოეული თავის შესწავლის შემდეგ შესასრულებელი შემაჯამებელი სავარჯიშოები, მეორე ნაწილი კი ტესტებს აერთიანებს და განკუთვნილია მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის შესამოწმებლად.

რვეულის მეორე ნაწილს „სიტყვის მარაგი“ ვუწოდეთ. მისი დახმარებით შეგვიძლია შევამოწმოთ, რამდენად კარგად აითვისეს მოსწავლეებმა მშობლიური ენის ლექსიკური ერთეულები და შეუძლიათ თუ არა მათ უცნობი ტექსტის დამოუკიდებლად გააზრება. მთლიანობაში სავარჯიშოების ტიპები ასეთია:

ა) ლექსიკა:

კრებულში შეტანილია 22 ტესტი. აქ თავმოყრილი სავარჯიშოები მოითხოვს:

1. შინაარსით ახლოს მდგომი სიტყვების (სინონიმების) დაწყვილებას;
2. საპირისპირო შინაარსის მქონე სიტყვების (ანტონიმების) დაწყვილებას;
3. წინადადებაში გამოტოვებული სიტყვის ამოცნობას;
4. სიტყვის განმარტების ამოცნობას;
5. ენის ბუნებივი გამოთქმების ამოცნობას (მაგალითად: მიწის ბელტი, ღრუბლის ქულა და სხვა.);
6. ხატოვანი გამოთქმების მნიშვნელობის ამოცნობას;
7. სინონიმებს შორის განსხვავების ამოცნობასა და ამ სიტყვების წინადადებებში სწორად განაწილებას;
8. რთული სიტყვების (კომპოზიტების) შედგენას.

ამ სავარჯიშოების მიზანია მოსწავლეთა სიტყვის მარაგის გამდიდრება და ენობრივი ალღოს განვითარება.

ბ) წაკითხულის გააზრება:

კრებულში შეტანილია მოსწავლეებისათვის უცნობი ტექსტი, რომელთაც ერთვის ტესტური კითხვები და დავალებები წაკითხულის გააზრების პროცესების შესამოწმებლად. ვამოწმებთ, მოსწავლეს შეუძლია თუ არა:

1. ტექსტში ცხადად მოცემული ინფორმაციის პოვნა;
2. ტექსტიდან უშუალოდ გამომდინარე დასკვნების გამოტანა;
3. ტექსტის მთლიანობაში გააზრება და მთავარი იდეის ამოცნობა;
4. ტექსტის ნაწილებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დანახვა;
5. ტექსტის ენობრივი ანალიზი და შეფასება.

გ) წერითი მეტყველება:

კრებულში შეტანილია დავალებები, რომელთა მიზანია, შემოწმდეს, შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს საკუთარი აზრის წერილობით გადმოცემა; განსჯა; ფანტაზიის გამოვლენა; მშობლიური ენის მართლწერის ნორმების დაცვა (რა თქმა უნდა, იგულისხმება ის მასალა, რომელიც მათ უკვე შესწავლილი აქვთ სახელმძღვანელოს ამ კურსის მიხედვით).

მასწავლებლის წიგნის ბოლოს შეტანილია როგორც ტესტური კითხვების პასუხთა შეფასების სქემა, ისე წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები.

ასევე, **მასწავლებლის წიგნში** (გვ. 127) გთავაზობთ ტექსტს, რომელიც თავისი ტესტური კითხვებით გამოყენებული იყო წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში (PIRLS). საქართველოში ამ კვლევის ორგანიზატორია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი – ია კუტალაძე.

თქვენ შეგიძლიათ, დიაგნოსტიკური ტესტირება ჩაატაროთ, შეისწავლოთ თქვენი მოსწავლეების კითხვის, წაკითხულის გააზრების უნარები და მისცეთ სათანადო რჩევები მოსწავლეებს. ტესტს თან დართული აქვს შეფასების სქემა.

ამონარიდი „ეროვნული სასწავლო გეგმიდან“

მოსწავლის შეფასების სისტემა

მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და ამოცანები

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

2. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

3. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

4. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

1. შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

2. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

3. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	**მასწავლებელი**: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ. **მოსწავლეები**: თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე

1. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებენ მოსწავლეს, აღნიშნავენ მის წარმატებებს და მიუთითებენ, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

2. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი – 10.

3. V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

მოსწავლის შეფასების კომპონენტები

1. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

2. მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.

3. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),

ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),

გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს ერთნაირი შეფასებითი ღირებულება გააჩნია.

5. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

6. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

7. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზისო და საშუალო საფეხურები
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

8. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შეთხზვა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშაოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

9. ეროვნული სასწავლო გეგმა V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზისო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას.

10. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში).

11. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

12. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლებითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

დაკვირვება

მასწავლებლისათვის მოსწავლეებზე **დაკვირვება შეფასების ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი ფორმაა.** მასწავლებლები დაკვირვებას აწარმოებენ როგორც ფორმალურ (გაკვეთილის დროს), ისე არაფორმალურ გარემოში (ბავშვებთან ყოველდღიური ურთიერთობისა და თამაშისას). დაკვირვებისას მასწავლებელი ცდილობს, გაარკვიოს ბავშვის ინტერესების სფეროები. მას ასევე შეუძლია გაარკვიოს, როგორ ამყარებს ბავშვი ურთიერთობას უფროსებთან და თანატოლებთან, როგორ სწავლობს. თუკი უეცრად ბავშვი ცვლის ჩვეულ ქცევას, მასწავლებელს ძალუძს, შეამჩნიოს ეს ცვლილება და ეცადოს, შესაბამისი რეაგირება მოახდინოს მასზე.

არსებობს დაკვირვების დოკუმენტირების მრავალი გზა. შესაძლებელია, მასწავლებლებს გამოადგეთ მათ მიერვე შედგენილი სქემები, რომლებშიც გამოყოფილია დაკვირვებისათვის საინტერესო ქცევა.

კლასზე დაკვირვების სქემა

მასწავლებელი ირჩევს ქცევის ტიპებს, რომლებსაც რომელიმე კონკრეტული გაკვეთილის განმავლობაში დააკვირდება, მათ გასწვრივ კი წერს ბავშვების სახელებს. ქვემოთ მოცემულია მაგალითი მხოლოდ ოთხი სახელით. გაკვეთილის განმავლობაში მასწავლებელი ქცევას აღნიშნავს შესაბამის გრაფაში, ქვემოთ წარმოდგენილი პირობითი აღნიშვნებით:

ყ = ყოველთვის
ხ = ხანდახან
ი = იშვიათად
ა = არასოდეს

	დათო	მარიამი	ანა	გიორგი
იღებს მონაწილეობას დისკუსიებში				
ტექსტთან დაკავშირებით გამოთქვამს წინასწარ ვარაუდებს				
ადასტურებს ან უარყოფს წინა ვარაუდებს				
იყენებს ტქსტს, რათა დაასაბუთოს ვარაუდები				
კითხულობს გამართულად				
იყენებს კონტექსტს სიტყვის მნიშვნელობის გამოსაცნობად				
შეუძლია საკუთარი სიტყვებით ტექსტის შინაარსის გადმოცემა				
შეუძლია დავალებების კეთება სხვებთან ერთად				

მოსწავლეთა თვითშეფასება

ყოველი თავის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს მიეცით საშუალება, კიდევ ერთხელ ჩაუფიქრდნენ განვლილ მასალას და შეაფასონ საკუთარი დამოკიდებულება.

გამოიყენეთ თვითშეფასების კითხვარი.

1. რა იყო შენთვის განსაკუთრებით საინტერესო?

2. რას გაითვალისწინებდი, გამოიყენებდი ცხოვრებაში?

3. რომელი ნაწარმოები იყო განსაკუთრებით სახალისო?

4. რა გაგიჭირდა ყველაზე მეტად? რომელი დავალების შესრულება გაგიჭირდა?

5. ასრულებ თუ არა დავალებებს ყოველთვის მონდომებით?

6. ისმენ თუ არა თანაკლასელების აზრს ყურადღებით?

7. გამოთქვამ თუ არა გაკვეთილზე საკუთარ შეხედულებებს?

განმავითარებელი შეფასება

ყველა მასწავლებელი აცნობიერებს კავშირს სწავლებასა და შემაჯამებელ ტესტირებას შორის. როგორც წესი, ეფექტურ სწავლებას მოსწავლეთა კარგი შედეგები მოსდევს შემაჯამებელ ტესტებში. თუმცა არ უნდა გამოვტოვოთ მნიშვნელოვანი ელემენტი – როგორ ამოწმებს მასწავლებელი მოსწავლეთა მოსწრებას არა მხოლოდ სასწავლო პროცესის ბოლოს, არამედ უშუალოდ სწავლის პროცესში. რაც უფრო ხშირად ამოწმებს მასწავლებელი სწავლას, მით უფრო ეფექტურია სწავლება.

განმავითარებელი შეფასების დანიშნულებაა მოსწავლის სწავლის მონიტორინგი და მუდმივი უკუკავშირი, რაც ეხმარება მასწავლებლებს სწავლების, ხოლო მოსწავლეებს _ სწავლის გაუმჯობესებაში. განმავითარებელი შეფასება არის მოსწავლეების სწავლაზე მუდმივი დაკვირვების, აღრიცხვისა და ანალიზის პროცესი. მაგალითად, თუ მასწავლებელი შეამჩნევს, რომ რამდენიმე მოსწავლეს უჭირს გრძელი სიტყვების წაკითხვა ან პერსონაჟის ქცევების დახასიათება, მას შეუძლია შეცვალოს აქტივობები, დავალებები, სასწავლო რესურსები და ამგვარად დაეხმაროს მოსწავლეებს.

მოცემულ შემთხვევებში მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სიტყვების სკივრი ან მოიტანოს

ცხოვრებისეული მაგალითები პერსონაჟის თვისებების გამოსაკვეთად. განმავითარებელი შეფასების შედეგები მასწავლებელს აჩვენებს, რამდენად ეფექტურად წარმართავს იგი სწავლების პროცესს და საჭიროა თუ არა მისი მხრიდან მიდგომების, სტრატეგიების, რესურსების შეცვლა.

განმავითარებელი შეფასება მოიცავს მიმდინარე შემოწმებას, დაკვირვებას, შეჯამებებსა და განხილვებს, რომლებიც მასწავლებელს საჭირო ინფორმაციას აწვდის სწავლების პროცესში და რომელთა საფუძველზეც მოსწავლეები რეგულარულად იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს.

განმავითარებელი შეფასება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დიფერენცირებულ საკლასო ოთახშიც, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ სხედან განსხვავებული მზაობისა და მიღწევების მქონე მოსწავლეები. რეგულარული განმავითარებელი შეფასების, ანუ ათვისების შემოწმების გარეშე მასწავლებელი ვერ გაიგებს, თუ რა სჭირდება თითოეულ მოსწავლეს სტანდარტებით გათვალისწინებული წარმატების მისაღწევად.

როგორც წესი, მასწავლებლები უფრო აქტიურად იყენებენ საკონტროლო და შემაჯამებელ შეფასებას იმის დასადგენად, თუ რა ოდენობის მასალა აითვისეს მოსწავლეებმა დროის გარკვეულ მომენტამდე. ნასწავლის შეფასების ასეთი ფორმის გამოყენებით ვრწმუნდებით, რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა დასახულ სასწავლო მიზნებს სახელმძღვანელოს ერთი თავის გავლის ან დროის გარკვეული მონაკვეთის გასვლის შემდეგ. ნასწავლის განმსაზღვრელი შეფასება მნიშვნელოვანია ანგარიშგების მიზნით, ოღონდ მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს განმავითარებელ შეფასებაზეც, რომელიც აუმჯობესებს მოსწავლეთა სწავლას უშუალოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.

მიუხედავად განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვანი როლისა, სულაც არაა საჭირო მისთვის ზედმეტი დროის დათმობა. მნიშვნელოვანია, რომ პროექტებისა და თხზულებების გარდა არსებობს განმავითარებელი შეფასების ბევრი ინსტრუმენტი, რომლებიც სწრაფად და იოლად გამოიყენება ყოველდღიურ პრაქტიკაში.

რატომ უნდა გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასება?

1. განმავითარებელი შეფასება აძლიერებს მოსწავლის რეფლექსიას სწავლის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. ამით ის ხელს უწყობს მოსწავლეთა გააქტიურებასა და თვითმონიტორინგს.

2. განმავითარებელი შეფასებისას მოსწავლეთა აზროვნებისა და შემეცნების პროცესები

უფრო თვალსაჩინო ხდება როგორც თვით მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლისათვის. ეს ეხმარება მასწავლებელს ადეკვატური მეთოდებისა და სასწავლო რესურსების შერჩევაში.

3. განმავითარებელი შეფასება მოსწავლეებს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რას სწავლობენ და რამდენად კარგად ეუფლებიან ცოდნას.

4. განმავითარებელი შეფასება გვეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ რამდენად მზადაა ბავშვი, რომ ცოდნა და უნარები ახალ სიტუაციებში გამოიყენოს.

5. განმავითარებელი შეფასება გვეხმარება სწავლების დიფერენცირებაში, ჯგუფების სწორად დაკომპლექტებაში და მოსწავლეებისთვის ადეკვატური დავალებების შერჩევაში.

6. მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს ჩატარებული გაკვეთილის ეფექტურობა.

7. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას.

8. განმავითარებელი შეფასება ეხმარება სასწავლო პროცესის მონაწილეებს კონსტრუქციული უკუკავშირის გაცემასა და გამოყენებაში (მასწავლებელი-მოსწავლე, მოსწავლე-მოსწავლე, მოსწავლე-მასწავლებელი).

9. განმავითარებელი შეფასების მეშვეობით მასწავლებელი ღებულობს ინფორმაციას და გა-

11. განმავითარებელი შეფასება კომფორტს უქმნის და თავდაჯერებას მატებს მოსწავლეს მოსაზრებების საჯაროდ გამოხატვისას.

კვირის განმავლობაშიმრავალფეროვანიგანმავითარებელი შეფასების გამოყენებით მასწავლებელი მიიღებს რეალურ სურათს იმის შესახებ, თუ რა აქვთ ათვისებული და კიდევ რის ათვისება სჭირდებათ მოსწავლეებს საბოლოო მიზნის მისაღწევად. ყოველდღიურად, სულ მცირე, თითო ტიპის განმავითარებელი შეფასების გამოყენებით მასწავლებელს ეძლევა საშუალება, შეაფასოს სწავლის პროცესი და მიიღოს პასუხი საკვანძო კითხვებზე: როგორ ვითარდება თითოეული მოსწავლის ცოდნა და უნარები? რით შემიძლია დავეხმარო მოსწავლეებს ამა თუ იმ დავალების შესრულებასა თუ უნარის განაფვაში?

ეფექტურ საკლასო ოთახში განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. კარგი მასწავლებლები:

- მუდმივად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, როგორც ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს;
- შეაქვთ ადეკვატური ცვლილება-დამატებები სწავლების პროცესში მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- სწრაფად რეაგირებენ ცალკეულ მოსწავლეთა შეფერხებებზე და სთავაზობენ მათ ადეკვატურ დახმარებას (სკაფოლდინგი); აძლევენ ამ მოსწავლეებს ხელახლა მოსინჯვისა და წარმატების მიღწევის შანსს;
- ადეკვატურ აქტივობებში ჩართვითა და სათანადო სირთულის დავალებების მიცემით

შემდგომი განვითარების შესაძლებლობას აძლევენ წარმატებულ მოსწავლეებს.

მოსწავლეთა მიერ საკითხის/უნარის ათვისების გადამოწმების შემდეგ მასწავლებელი სვამს ისეთ შეკითხვებს, როგორებიცაა:

- ვის სჭირდება ახლა ჩემი ყურადღება?
- რომელი მოსწავლეები საჭიროებენ სწავლების სხვაგვარ მიდგომებს?
- რომელი მოსწავლეები ვერ ახერხებენ ახალი ცოდნის დაუფლებას?
- რა შემიძლია გავაკეთო იმისთვის, რომ თითოეულმა მოსწავლემ გადადგას ნაბიჯი ახალი უნარების გამოყენების მიმართულებით?

სწავლისა და ათვისების შემოწმება მოითხოვს მასწავლებლის დიდ ძალისხმევასა და ერთგულებას. მასწავლებელმა უნდა გაისიგრძეგანოს, რომ მოსწავლეებს აქვთ განსხვავებული საჭიროებები, რომლებსაც უნდა მოვარგოთ სწავლების მეთოდები და ტემპი. ზოგიერთი მოსწავლე მყისიერად იგებს ახალ საკითხს და ამიტომ შედარებით რთული დავალებები სჭირდება განვითარებისთვის. ზოგიერთი მოსწავლისთვის კი განმეორებითი სწავლება და ნაბიჯ-ნაბიჯ დახმარებაა აუცილებელი.

ეფექტური აქტივობები და ინსტრუმენტები განმავითარებელი შეფასებისთვის არსებობს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა ვრცელი ნაირსახეობა. ეს ინსტრუმენტები (შემაჯამებელი შეკითხვები – *დროგამოშვებით მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს წერილობით დავალებას და სთხოვს, ფურცლის/ბარათის ერთ მხარეს დაწერონ დამუშავებული ტექსტის მთავარი აზრი მაქსიმუმ სამი წინადადებით;*

ფურცლის მეორე მხარეს კი დასვან შეკითხვა ტექსტის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც კარგად ვერ გაიგეს; 12-სიტყვიანი რეზიუმე (შეჯამება) – *გაკვეთილის დასრულებისას მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ რეზიუმე (შეჯამება), რომლისთვისაც მხოლოდ 12 სიტყვას გამოიყენებენ. ეს ეხმარება მასწავლებელს იმის დადგენაში, თუ რამდენად აითვისეს მოსწავლეებმა გაკვეთილის მასალა და მისი ძირითადი კომპონენტები. სიტყვების რაოდენობის შეზღუდვა `აიძულებს~ მოსწავლეებს, ყველაზე მნიშვნელოვან აზრებს მოუყარონ თავი. შესაძლებელია სიტყვების ნაცვლად წინადადებების რაოდენობის შეზღუდვაც (მაგალითად, დაწერონ რეზიუმე ორი ან სამი წინადადებით);* ერთწუთიანი ესეი – *სწრაფი წერილობითი რეაგირება კონკრეტულ შეკითხვაზე;* ცნების/გონებრივი რუკა – *მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შეავსონ სხვადასხვა ვიზუალური სქემა/გრაფიკული ორგანიზატორი. შევსებული სქემების/ფორმების გადამოწმებით მასწავლებელი დაადგენს, თუ როგორ გაიაზრეს მოსწავლეებმა კავშირები და მიმართებები ცნებებს, მოვლენებს, იდეებს შორის.* და ა.შ.) გვეხმარება, სწრაფად გადავამოწმოთ მიმდინარე სასწავლო სიტუაციის ეფექტურობა. მათი გამოყენებით შეგვიძლია სწრაფად გავიგოთ, თუ როგორ მოგვყვებიან მოსწავლეები, რას ითვისებენ და რაში სჭირდებათ დამატებითი დახმარება.

კონსტრუქციული უკუკავშირი

უკუკავშირი არის რეაგირება იმაზე, თუ როგორ ასრულებს მოსწავლე ამა თუ იმ დავალებას და როგორ იყენებს ცოდნას/უნარებს მისი შესრულების დროს. როგორც წესი, უკუკავშირს ზეპირი ან წერილობითი კომენტარის სახე აქვს და მოიცავს შეფასებას, წახალისებას და რჩევებს. უკუკავშირი სწავლის შეფასების არსებითი ნაწილია. სწავლის შეფასება განსხვავდება ნასწავლის შეფასებისგან. მისი საშუალებით შეგროვებული ინფორმაცია კონკრეტული მიზნით გამოიყენება – დავეხმაროთ მოსწავლეებს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში უშუალოდ სწავლის პროცესში, ანუ მანამდე, სანამ შემაჯამებელ შეფასებამდე მივალთ. როგორ ზემოქმედებს უკუკავშირი მოსწავლეთა სწავლის მოტივაციასა და შედეგებზე? მრავალი კვლევა ადასტურებს უკუკავშირის დიდ გავლენას მოსწრებაზე. აღმოჩნდა, რომ გავლენა შეიძლება იყოს დადებითიც იყოს და უარყოფითიც. ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული: უკუკავშირის ტიპზე, მიწოდების დროსა და ფორმაზე. ამას გარდა, უკუკავშირის სტრუქტურა, ფოკუსი და მოცულობაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მის ეფექტურობას. უკუკავშირის ზოგიერთი ტიპი, მაგალითად, უხეში ნეგატიური შეფასება, სხვა მოსწავლეებთან შედარება, საჯაროდ გაკრიტიკება კლასის წინაშე, გამოკვეთილად უარყოფით ზეგავლენას ახდენს სწავლასა და მოტივაციაზე. ასეთი უკუკავშირი შთააგონებს მოსწავლეებს, რომ ისინი არასაკმარისად უნარიანები არიან, რაც ამცირებს მათ სწრაფვას წარმატებისკენ. ეფექტური უკუკავშირი აუცილებლად შეიცავს პასუხს სამ შეკითხვაზე:

1. რა გაკეთდა კარგად?

კომპლიმენტი და შექება აუცილებელია იმისათვის, რომ მოსწავლემ: • უმტკივნეულოდ მიიღოს კრიტიკული შენიშვნები და დაიწყოს ფიქრი გასაუმჯობესებელ მხარეებზე; • გააცნობიეროს საკუთარი ძლიერი მხარეები და აქტიურად გამოყენოს ისინი მომავალში; • თავდაჯერებულად და მოტივირებულად გააგრძელოს სწავლა. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი შეიცავდეს ერთზე მეტ კომპლიმენტს სამუშაოს შესრულების სრულიად კონკრეტული ასპექტების შესახებ. უნდა მოვერიდოთ დაუმსახურებელ ქებას.

2. რა საჭიროებს გაუმჯობესებას?

ზოგჯერ აუცილებელია სამუშაოს შესრულების ნეგატიურ ასპექტებზე კონცენტრირება, რათა მოსწავლემ: • ყურადღება გაამახვილოს გასაუმჯობესებელ მხარეებზე და გააანალიზოს ისინი; • შეგნებულად აარიდოს თავი ხარვეზების გამეორებას მომავალში. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი კონკრეტულად აღწერდეს იმას, თუ რის გაუმჯობესებას მოელიან მოსწავლისგან. ზოგჯერ მეტად სასარგებლოა რეფლექსიური შეკითხვის დასმა, რათა მოსწავლემ თავად გამოთქვას გასაუმჯობესებელი მხარეები. უნდა მოვერიდოთ პიროვნების გაკრიტიკებას, მკაცრ ტონს და ისეთ ასპექტებზე საუბარს, რომელთა ფაქტობრივი დასაბუთებაც გაგვიძნელდება.

3. როგორ უნდა გაუმჯობესდეს ..... ?

ეფექტური უკუკავშირი მოსწავლეს აწვდის დეტალურ და კონკრეტულ ინფორმაციას სწავლის გაუმჯობესების გზების შესახებ. მოსწავლემ აუცილებლად უნდა მიიღოს მკაფიო მითითებები და რჩევები გაუმჯობესებისთვის საჭირო შემდგომი მოქმედებების შესახებ, რათა მან: • აიღოს პასუხისმგებლობა გაუმჯობესებაზე; • გადადგას პრაქტიკული, თანმიმდევრული ნაბიჯები სამუშაოს უკეთ შესასრულებლად და სასწავლო მიზნის მისაღწევად; • გაუძლიერდეს თვითრწმენა და სამუშაოს უკეთ შესრულების მოლოდინი. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი კონკრეტულ (არაბუნდოვან და არააბსტრაქტულ) ინფორმაციას იძლეოდეს იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ უკუკავშირის მიღების შემდეგ. კვლევა და პრაქტიკა გვეუბნება, რომ უკუკავშირს კონსტრუქციული ეფექტი აქვს, როდესაც ის: – მიბმული და ფოკუსირებულია დასახულ სასწავლო მიზნებზე/ამოცანებზე. მოსწავლისთვის ნათელი უნდა იყოს, თუ რის ცოდნას და რომელ უნარს ეხება უკუკავშირი; - არის კონკრეტული. არ არის ზოგადი და ფრაგმენტული. ფოკუსირებულია სწავლის ერთ ან ორ პრაქტიკულ ასპექტზე. შეიცავს დეტალებსა და ინფორმაციას კონკრეტული დავალების/აქტივობის შესრულების შესახებ; - იძლევა სასარგებლო, პრაქტიკულ ინფორმაციას ამა თუ იმ უნარის განაფვისათვის ან სტრატეგიის გამოყენებისათვის, ასევე, რჩევებს კონკრეტული ხარვეზის აღმოსაფხვრელად. რეკომენდაციების განხორციელება შესაძლებელია დროის განსაზღვრულ პერიოდში; – არის ობიექტური, ეყრდნობა ფაქტობრივ ინფორმაციას და გამყარებულია კონკრეტული მაგალითებით. აღწერითი ტიპისაა და არ ეხება მოსწავლის პიროვნულ მახასიათებლებს; – ფორმულირებულია მკაფიოდ, გასაგებად და მეგობრული ტონით. არ შეიცავს უხეშ კრიტიკას და ბუნდოვან, ზოგად მითითებებს. არ არის ზედმეტად ვრცელი; – არის დროული. მიეწოდება სამუშაოს/დავალების შესრულების პროცესში, სამუშაოს დასრულებისთანავე ან დასრულებიდან არცთუ დიდი დროის გასვლის შემდეგ. მომდევნო შანსი მოსწავლეს წუთებისა და საათების შემდეგ მიეცემა და არა – კვირებისა და თვეების შემდეგ; - არის მიმდინარე და უწყვეტი. მიეწოდება ხშირად და რეგულარულად. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი კონსტრუქციულად დაიწყოს. ქვემოთ მოყვანილია უკუკავშირის ტექსტის გახსნითი ფრაზები, რომლებიც დაგეხმარებათ მოსწავლის საჭიროებებსა და კონკრეტულ სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული უკუკავშირის ჩამოსაყალიბებლად: • ეს კარგი ნაშრომია, რადგან ..... • შენი ნააზრევიდან გამოჩნდა, რომ ..... • შენ მართლაც კარგად გააკეთე ორი რამ: ..... და ..... • სასურველია, რომ ამის შემდეგი ნაბიჯი იყოს ..... • იქნებ გეცადა ..... • საკითხის ახსნისას შენ ..... • კიდევ ერთი რამ, რაც უნდა გააუმჯობესო, არის ..... • შენ გჭირდება უფრო მეტი ძალისხმევა, რათა ..... • შენ ნაკლებად გჭირდება ..... • შეეცადე, მეტი ყურადღება დაუთმო ..... • გაიხსენე, როგორ ვაკეთებთ ..... • შემდეგ ჯერზე გამოიყენე ..... სასწავლო მიზნების მისაღწევად მოსწავლეებს სჭირდებათ უწყვეტი უკუკავშირი. უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეებს, რომ მასწავლებლის მიერ მიცემული დავალებები აღიქვან, როგორც სწავლისა და განვითარების შესაძლებლობა და არა მათი გაკრიტიკების საშუალება. ხშირი, ეფექტური უკუკავშირი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა წარმატებას მიაღწიეს და, ამასთანავე, როგორ მიაღწიონ უკეთეს შედეგს მომავალში. მთავარია, რომ უკუკავშირის მიღების შედეგად მოსწავლემ გააცნობიეროს არსებული მდგომარეობა და პრაქტიკული ნაბიჯები გადადგას სასწავლო მიზნის მისაღწევად.

გამოყენებული წყარო:
http://kargiskola.ge/teacherintro/teacher-resurswignebi-maswavleblebistvis.php

7. პრაქტიკული ნაწილი – გაკვეთილების გეგმები და სცენარები, მოსასმენი ტექსტები

თავი I – ხელოვნების ძალა

მეჩონგური (პირველი თავი)

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, მსჯელობა კონკრეტული მაგალითების მოხმობით.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ. დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორ-მაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- აკვირდება პერსონაჟთა ქცევას, მოქმედებას, თვისებებს და დაკვირვების საფუძველზე გამოაქვს სათანადო დასკვნა მათი აზრების, განზრახვების, განცდების შესახებ;
- საუბრობს სათაურისა და ტექსტის აზრობრივ/ შინაარსობრივ ურთიერთკავშირზე;

ქართ.დაწყ(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.

- საბავშვო სპექტაკლისათვის ამზადებს და წარმოადგენს მასწავლებლის მითითებით ან საკუთარი სურვილით შერჩეულ როლს;
- ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს აქვთ ტექსტის მოსმენა-გააზრებისა და ლოგიკური მსჯელობის ელემენტარული უნარები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ინდივიდუალური, წყვილური, ჯგუფური.

აქტივობა 1. *მსჯელობა ხელოვნების ძალაზე (კითხვა-პასუხი)*

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს კითხვით:

– ხელოვნების რომელ დარგს იცნობთ?

მოსწავლეები ჩამოთვლიან. მასწავლებელი შეავსებს მათ ჩამონათვალს.

მასწავლებელი ეკითხება:

– თქვენი აზრით, რა ძალა აქვს ხელოვნებას? რა ზემოქმედება მოუხდენია თქვენზე მუსიკას, ნახატს, ნაწარმოებს, სპექტაკლს, ფილმს?

შემდეგ გადადის გაკვეთილის თემაზე და მოსწავლეებს უხსნის, რომ ისინი შეისწავლიან ხალხურ

ზღაპარ „მეჩონგურეს“. იმსჯელებენ ზღაპრის მახასიათებლებზე, გაიხსენებენ სხვა საინტერესო ზღაპრებს.

აქტივობა 2. *ზღაპრის მახასიათებლების გახსენება*

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ, რა იციან ზღაპარზე და როგორ ესმით სიტყვა „ხალხური“. მასწავლებელი გამოათქმევინებს აზრს რამდენიმე მოსწავლეს, ბოლოს აჯამებს და ავსებს მათ მოსაზრებებს.

აქტივობა 3. *მსჯელობა სათაურის თაობაზე (კითხვა-პასუხი)*

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, როგორ ესმით სიტყვა „მეჩონგურე“? რა კავშირი აქვს სათაურს ხელოვნებასთან? უნახავთ თუ არა ჩონგური?

აქტივობა 4. *ლექსიკაზე მუშაობა*

მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს შემდეგ სიტყვებს: უკვდავება, ვაშლის ხე, მზეთუნახავი, ხელი სთხოვა, გველეშაპი.

მოსწავლეებს სთხოვს, წყვილებად იმსჯელონ და განმარტონ ეს სიტყვები; გამოთქვან ვარაუდი, მათი აზრით, რაზე იქნება ტექსტი.

აქტივობა 5. *ტექსტის წაკითხვა გაგრძელებით*

მოსწავლეთა მსჯელობის შემდეგ მასწავლებელი ინტონაციის დაცვით, აბზაც-აბზაც აკითხებს ტექსტს მოსწავლეებს. აბზაცის წაკითხვის მერე განმარტავენ სიტყვებს, სვამს კითხვებს კონკრეტულ ფრაზებზე (მაგ.: მზეს ეცილებოდა, ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა, გულსაკლავი სიმღერა...).

აქტივობა 6. *წაკითხულის გაგება-გააზრება (კითხვა-პასუხი)*

კითხვის დასრულების შემდეგ სვამს შეკითხვებს იმის გასარკვევად, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა ტექსტი. მაგ.: რატომ ვერ ბედავდა მეჩონგურე ხელმწიფესთან მისვლას?

გამართლდა თუ არა მათი ვარაუდი ტექსტის შინაარსის შესახებ?

აქტივობა 7. *პარალელები*

მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს მცირე ჯგუფებად და სთხოვს, შეასრულონ სახელმძღვანელოში მოცემული მე-4 დავალება: გაიხსენონ სხვა ზღაპრები, რომლებშიც რომელიმე პერსონაჟი რთული დავალების შესასრულებლად მიდის. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რომელიც ყველაზე მეტ ზღაპარს გაიხსენებს.

აქტივობა 8. *პრეზენტაცია*

გამარჯვებული ჯგუფი ჩამოთვლის ზღაპრებს, დანარჩენები კი ასახელებენ იმ ნაწარმოებებს, რომლებიც გამომსვლელებს გამორჩათ.

აქტივობა 9. *ვარაუდების გამოთქმა*

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, მათი აზრით, როგორ გაგრძელდება ნაწარმოები? სთხოვს, დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრება.

აქტივობა10. *შეჯამება*

გაკვეთილის დასასრულს ეკითხება, რა იყო მათთვის მნიშვნელოვანი, რა გააკეთეს ყველაზე კარგად და რა გაუძნელდათ.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს საშინაო დავალებად აძლევს სახელმძღვანელოში მოცემულ მეორე სავარჯიშოს (მოსწ. წიგნი, გვ. 9).

შეფასება

მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია აზრის ნათლად და ლოგიკურად ჩამოყალიბება, ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, დასაბუთებული მსჯელობა.

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და გააზრება, მსჯელობა პერსონაჟის განცე-ბის, თვისებების შესახებ, მთავარი სათქმელის გამოკვეთა, მის ირგვლივ დასაბუთებული მსჯელობა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორ-მაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- ამოიცნობს ნაწარმოების თემას, დედააზრს (მთავარ იდეას);
- გამოყოფს ტექსტის მთავარ საკითხს, ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;
- აკვირდება პერსონაჟთა ქცევას, მოქმედებას, თვისებებს და დაკვირვების საფუძველზე გამოაქვს სათანადო დასკვნა მათი აზრების, განზრახვების, განცდების შესახებ;

ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და მისი ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.

- საკუთარი შეხედულების/შეფასების დასასაბუთებლად იყენებს შესაბამის ადგილებს წაკითხული ტექსტიდან ან მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან.

ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.

- დამოუკიდებლად პოულობს ტექსტში სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც ავტორი იყენებს პერსონაჟების, ფაქტებისა და მოვლენების აღსაწერად;

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ ტექსტის მოსმენა და შინაარსის გაგება-გააზრება.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, წყვილური, ინდივიდუალური.

აქტივობა 1. *საშინაო დავალების გამოკითხვა*

მასწავლებელი გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ იწყებს დავალების გამოკითხვას, ეკითხება მოსწავლეებს, რამე ხომ არ იყო გაუგებარი, შეახსენებს, შინაარსის მოყოლისას რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, კონკრეტულად: თანმიმდევრულობა, ლექსიკა, ინტონაცია...

აქტივობა 2. *ტექსტის წაკითხვა ჩუმი კითხვის სტრატეგის გამოყენებით*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით წაიკითხონ ტექსტი და მონიშნონ:

ა) ბუნდოვანი მონაკვეთები;

ბ) მნიშვნელოვანი ფრაზები;

ფრაზების განმარტების შემდეგ, იმის დასადგენად, თუ რამდენად გაიგეს წაკითხულის შინაარსი მოსწავლეებმა, მასწავლებელი სვამს შეკითხვებს სახელმძღვანელოდან.

აქტივობა 3. *პერსონაჟები*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წყვილებად იმუშაონ და ამოიწერონ ზედსართავი სახელები, რომლებიც მიემართება მეჩონგურესა თუ გველვეშაპს:

მეჩონგურე	გველვეშაპი

აქტივობა 4. *პრეზენტაცია*

რამდენიმე წყვილი წარადგენს ნამუშევრებს და ავსებეს ერთ საერთო ცხრილს – ერთად მსჯელობენ იმის შესახებ, ძირითადად რა თვისებებზეა გამახვილებული ყურადღება.

აქტივობა 5. *მთავარი სათქმელი (ჯგუფური სამუშაო)*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაამახვილონ ყურადღება საკითხებზე, რამ გაამარჯვებინა მეჩონგურეს და რამ შეცვალა გველვეშაპი, იმსჯელონ თემაზე – ხელოვნების ძალა.

რამდენიმე წყვილი აკეთებს პრეზენტაციას, დანარჩენები ავსებენ.

აქტივობა 6. *შეჯამება*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რამდენიმე სიტყვით ისაუბრონ გაკვეთილის შესახებ – რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ რამდენიმე ნაწარმოები ან ფილმი, რომლებშიც ბოროტი ხდება კეთილი (მაგალითად, „მზეთუნახავი და ურჩხული“). შემდეგ აძლევს საშინაო დავალებას: იმსჯელონ წერილობით, რა ეხმარება ბოროტს, გახდეს კეთილი.

ან მასწავლებელს შეუძლია, პროვოცირების მიზნით, თავად უჩვენოს ფილმის (ან ანიმაციის) ნაწყვეტი ან სრული ვერსია და მოსწავლეებს ამ საკითხზე გაკვეთილზე მსჯელობის საშუალება მისცეს.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, შეუძლიათ თუ არა წაკითხულის გაგება-გააზრება, დასაბუთებული მსჯელობა და საკუთარი შთაბეჭდილების ნათლად გამოხატვა.

გრამატიკა – ქართული ანბანი და ასოთა სახელები

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს ტექსტის გააზრება და მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოკრება.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- გამოყოფს ტექსტის მთავარ საკითხს, ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;
- მოიძიებს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., მოვლენათა, მოქმედებათა დროსა და ადგილს);
- აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით (მსგავსება-განსხვავების, მზარდი-კლებადი ხარისხისა და ა.შ. მიხედვით);

წინარე ცოდნა

მოსწავლეებმა იციან ქართული ანბანი, ხმოვანი და თანხმოვანი, შეუძლიათ ტექსტიდან ინფორმაციის ამოკრება, იციან გრაფიკულ მაორგანიზებელზე მუშაობა.

რესურსები

პიქტოგრამების, იეროგლიფების, ანბანური დამწერლობის სხვადასხვა ნიმუშები

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, წყვილური, ინდივიდუალური.

აქტივობა 1. *მოტივაცია*

ინტერესის აღძვრის მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს სხვადასხვა სახის დამწერლობის ნიმუშებს: პიქტოგრამებს, იეროგლიფებს, ანბანური დამწერლობის სხვადასხვა გამოსახულებებს და ეკითხება, რა განსხვავებაა მათ შორის. თუ მოსწავლეები ვერ უპასუხებენ ზუსტად, მასწავლებელი უხსნის, რომ ყველა მათგანი დამწერლობის ნიმუშია, თუმცა ანბანური აღნიშნავს მხოლოდ თითოეულ ბგერას და, შესაბამისად, ბევრად უფრო მარტივია მისი საშუალებით აზრის გამოხატვა. იმ ენებში, რომლებსაც ანბანი არ აქვთ, აზრის ნათლად და გასაგებად გადმოსაცემად ათასობით პიქტოგრამაა საჭირო. ანბანურ დამწერლობას კი ამისათვის სულ 2-3 ათეული ასო-ნიშანი სჭირდება.

აქტივობა 2. *წინარე ცოდნის გააქტიურება*

წინარე ცოდნის გასააქტიურებლად, მასწავლებელი იყენებს სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებს:

1. რამდენი ასოა ქართულ ანბანში?
2. რამდენი ხმოვანია ქართულ ანბანში? რამდენი თანხმოვანია?
3. შენთვის ნაცნობი უცხო ენის ანბანში რამდენი ასოა? რამდენი ხმოვანია და რამდენი თანხმოვანი?
4. რა ასო მოსდევს ქართულ ანბანში ღ-ს? ხ-ს?
5. რომელია ქართული ანბანის ბოლო ასო?

6. რომელ ადგილზეა ქართულ ანბანში ბოლო ხმოვანი?

აქტივობა 3. *ქართული ანბანი, გრაფიკული მაორგანიზებლის შევსება*

მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ცხრილს, რომელსაც მოსწავლეები გადაიტანენ რვეულში და წყვილებად შეავსებენ პირველ ორ სვეტს (რა იციან ქართულ ანბანზე და რა უნდათ, იცოდნენ):

ვიცი	მინდა ვიცოდე	გავიგე

აქტივობის დასრულების შემდეგ რამდენიმე წყვილი აკეთებს პრეზენტაციას, დანარჩენები ავსებენ.

აქტივობა 4. *ტექსტის წაკითხვა-გააზრება (წყვილებში მუშაობა)*

მასწავლებელი იმავე წყვილებს ურიგებს ფურცელზე წინასწარ გამზადებულ ტექსტს (ან უგზავნის ბუკებში) და სთხოვს, მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციით შეავსონ მესამე გრაფა:

მსოფლიოში არსებობს 14 ძირითადი დამწერლობა. ესენია: ქართული, ლათინური, ბერძნული, კირილიცა, სომხური, არაბული, ებრაული, სირიული, ეთიოპიური, იაპონური, კორეული, ჩინური, ინდური, მონღოლური.

მეთერთმეტე საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, ლეონტი მროველის ცნობით, ქართული ანბანი ძვ. წ. მესამე საუკუნეში შექმნა ქართლის პირველმა მეფემ, ფარნავაზმა.

ქართული დამწერლობის სამი სახე არსებობს: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. პირველი ქართული წარწერები შემორჩენილია პალესტინისა და ბოლნისის სიონის მონასტრებში და ისინი მეხუთე საუკუნით თარიღდება. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ქართულ ანბანს არათუ მომხიბვლელობა არ დაუკარგავს, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ დამწერლობად აღიარეს უცხოელებმა.

აქტივობა 5. *პრეზენტაცია*

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რა ინფორმაცია გადაიტანეს ცხრილში და გაეცა თუ არა პასუხი მათ კითხვებს (კითხვებში იგულისხმება ის საკითხები, რომლებიც მათ აქვთ მონიშნული სვეტში „მინდა ვიცოდე“). თუ რომელიმე საკითხი დარჩა, ამაზე თავად გასცემს მასწავლებელი პასუხს, ან მიუთითებს შესაბამის წყაროს, ან მოამზადებს მასალას შემდეგი გაკვეთილისთვის.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად სახელმძღვანელოში მოცემულ მე-7-13 სავარჯიშოებს.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს წინარე ცოდნის გამოვლენა, ტექსტიდან ინფორმაციის ამოკრება, წყვილებად მუშაობა.

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს ინტონაციის დაცვით ტექსტის წაკითხვა, მოსმენა, გაგება -გააზრება, პერსონაჟის დახასიათება.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.

- გაბმულად (შეფერხებების გარეშე), სათანადო ტემპითა და შესაბამისი ინტონაციით ხმამაღლა კითხულობს ნაცნობ და უცნობ ტექსტებს/ტექსტების მონაკვეთებს;

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

- ამოიცნობს ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციას;
- მსჯელობს მხატვრულ ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე;

ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს აქვთ ტექსტის მოსმენისა და შინაარსის გააზრების ელემენტარული უნარები.

რესურსები

ფორმატი, მარკერები

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ჯგუფური, ინდივიდუალური.

აქტივობა 1. თემისა და მიზნის გაცნობა

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემასა და მიზანს, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სალამურას თავგადასავალი არის ძალიან საინტერესო ზღაპარი, რომლის მიხედვითაც დადგმულია რამდენიმე სპექტაკლი, გადაღებულია ანიმაციური ფილმი და რომ ისინი შეისწავლიან რამდენიმე ნაწყვეტს „სალამურას თავგადასავლიდან“.

აქტივობა 2. *სათაურისა და ილუსტრაციის გააზრება*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს:

1. დააკვირდნენ ტექსტის სათაურს და იმსჯელონ, რა ინფორმაციას იძლევა სათაური პერსონაჟზე;
2. დააკვირდნენ ილუსტრაციას და იმსჯელონ პერსონაჟზე, არის თუ არა ის, მათი აზრით, სალამურა. პასუხი დაასაბუთონ.

აქტივობა 3. *ტექსტის წაკითხვა, ლექსიკაზე მუშაობა*

მასწავლებელი დაფაზე წერს ან აკრავს წინასწარ გამზადებულ ფორმატზე ჩამოწერილ სიტყვებს,

უხსნის მოსწავლეებს, რომ ეს სიტყვები ამოწერა ტექსტიდან და სთხოვს, იმსჯელონ, როგორ ესმით მათი მნიშვნელობა, გაიხსენონ წინადადებები, ტექსტები, რომლებშიც შეხვედრიათ ეს სიტყვები, მოიფიქრონ სინონიმები. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად და გამოთქვამენ ვარაუდებს.მასწავლებელი აკითხებს რამდენიმე წყვილს; შეცომების შემთხვევაში, სთავაზობს სწორ ვარიანტს.

უფლისწული

ქონდრისკაცი

სასთუმალი

ციცინათელა

მოოჭვილი

თვალები დაჭყიტა

აქტივობა 4. *ტექსტის წაკითხვა, გაგრძელებით კითხვის მეთოდის გამოყენებით*

მასწავლებელი ყოფს ტექსტს ოთხ ნაწილად:

1. „ერთხელ ქონდრისკაცების ულამაზესი ქვეყნის... – ...იმას ხედავდა ძილში უფლისწული“.
2. „ქონდარუხი თითქმის ძილში გაიზარდა... – ...ზღაპარი უამბო“.
3. „უფლისწულს მართლაც დაესიზმრა... – ...მოოჭვილი გეგონებოდათ“.
4. „როცა ქონდარუხს გაეღვიძა...“ – ბოლომდე.

პირველ ნაწილს კითხულობს თვითონ, ინტონაციის დაცვით, შემდეგ კი აკითხებს ხმამაღლა იმ მოსწავლეებს, რომელებიც გამართულად კითხულობენ, თითოეული მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ სვამს კითხვებს იმის გასაგებად, რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა ტექსტი. შეუძლია გამოიყენოს კითხვები სახელმძღვანელოდან.

აქტივობა 5. *პერსონაჟის დახასიათება.*

მოსწავლეები ავსებენ პერსონაჟის რუკას, რომელიც მოამზადა მასწავლებელმა – ასახელებენ სამ ან მეტ თვისებას და ამყარებენ მას მაგალითებით ტექსტიდან.



აქტივობა 6. *შეჯამება*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ, ყველაზე სახალისო და ყველაზე მოსაწყენი აქტივობა გაკვეთილიდან, დაასაბუთონ საკუთარი არჩევანი.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს სახელმძღვანელოდან აძლევს დავალებად სავარჯიშოს „დაწერე და დახატე“ (მოსწ. წიგნი, გვ. 16).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს ტექსტის გაგება-გააზრება; კითხვებზე ლოგიკური პასუხის გაცემა, პერსონაჟის თვისებებისა და შესაბამისი არგუმენტების დასახელება.

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა-გააზრება, ლოგიკური კითხვების დასმა და შესაბამისი პასუხების გაცემა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება;

- გამოყოფს ტექსტის მთავარ საკითხს, ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;
- მოიძიებს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., მოვლენათა, მოქმედებათა დროსა და ადგილს);

ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- ამოიცნობს უცნობი სიტყვების/გამოთქმების მნიშვნელობას ნაცნობი ელემენტების (ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, კონტექსტისა და სხვ.) დახმარებით;
- ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით სვამს კითხვებს წაკითხულის შესახებ;
- დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ აზუსტებს, რამდენად დარწმუნებულია პასუხის სისწორეში („დარწმუნებული ვარ“, „თითქმის დარწმუნებული ვარ“, „არა ვარ დარწმუნებული“);
- უბრუნდება ტექსტის შესაბამის/სათანადო მონაკვეთს იმ საკითხების დასაზუსტებლად, რომლებშიც არ არის დარწმუნებული;

წინარე ცოდნა

იციან „სალამურას თავგადასავლის“ პირველი თავი, შეუძლიათ დამოუკიდებლად ტექსტის წაკითხვა და მის შესახებ კითხვების დასმა.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ინდივიდუალური, წყვილური.

აქტივობა 1. *საშინაო დავალების გამოკითხვა*

მასწავლებელი თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ გამოიკითხავს საშინაო დავალებას, რამდენიმე მოსწავლე წარადგენს თავის ნამუშევარს, მასწავლებელი აკეთებს კომენტარს შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით.

აქტივობა 2. *წინარე ცოდნის გააქტიურება, კითხვა-პასუხი (საერთო საკლასო სამუშაო)*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, რა ისაუბრეს წინა გაკვეთილზე სალამურას შესახებ (სათაურზე მსჯელობის დროს), რა იციან ჭიამაიებზე, უნახავთ თუ არა ისინი...

აქტივობა 3. *ტექსტის წაკითხვა*

მასწავლებელი ყოფს ტექსტს ხუთ ნებისმიერ ნაწილად, მოსწავლეებს ანაწილებს ჯგუფებად ან წყვილებად და უნაწილებს როლებს, სთხოვს, ჯერ ინდივიდუალურად წაიკითხონ ტექსტი, შემდეგ ერთმა მონაწილემ დასვას ლექსიკური კითხვები, მეორემ – შინაარსობრივი. ჯგუფის შემთხვევაში, ორი სვამს

კითხვას და ორი პასუხობს), შემდეგ გაუცვალონ ერთმანეთს კითხვები და შეძლებისდაგვარად გასცენ პასუხები. ასე ამუშავებენ ხუთივე მონაკვეთს, ყოველი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი აკეთებინებს პრეზენტაციას ერთ ჯგუფს, დანარჩენები ავსებენ მას.

აქტივობა 4.

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წერილობით შეასრულონ მე-9 სავარჯიშო.

აქტივობა 5. *პრეზენტაციები*

მასწავლებელი რამდენიმე მოსწავლეს სთხოვს, კლასში ხმამაღლა წაიკითხონ შესრულებული დავალება (სავრჯიშო 9).

აქტივობა 6. *შეჯამება*

მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, დაასახელონ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც დაამახსოვრ-დათ გაკვეთილიდან.

საშინაო დავალება

მოსწავლეებს მასწავლებელი საშინაო დავალებად აძლევს სახელმძღვანელოში მოცემულ წერით სავარჯიშოს (პერსონაჟის დახასიათება მითითებების მიხედვით. მოსწ. წიგნი, გვ. 18).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს ტექსტის გაგება-გააზრება, შესაბამისი კითხვების დასმა და პასუხის გაცემა.

სალამურას თავგადასავალი (3. გრიგალი. შეხვედრა ტყის პირას)

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა-გააზრება; ძირითადი აზრის გამოტანა; განუვითარდეს ლექსიკაზე მუშაობის უნარ-ჩვევა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონ-სტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.

- მეტყველებს მკაფიოდ და გარკვევით;
- იყენებს ინტონაციას სასვენი ნიშნების ფუნქციით.

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორ-მაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- ამოიცნობს ნაწარმოების თემას, დედააზრს (მთავარ იდეას);
- საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის მოკლე შინაარსს;
- გამოყოფს ტექსტის მთავარ საკითხს, ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;

ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- ამოიცნობს უცნობი სიტყვების/გამოთქმების მნიშვნელობას ნაცნობი ელემენტების (ილუსტრა-ციების, ნაცნობი ფუძის, კონტექსტისა და სხვ.) დახმარებით;

წინარე ცოდნა

იციან „სალამურას თავგადასავლის“ მე-2 თავი, კითხვის სხვადასხვა სტრატეგია.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ჯგუფური.

აქტივობა 1. *დავალების გამოკითხვა*

მასწავლებელი თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ გაკვეთილს იწყებს საშინაო დავალების გამოკ-ითხვით, აწყვილებს ან აჯგუფებს მოსწავლეებს და შეახსენებს, რომ მათ უნდა შეაფასონ თანაკლასელის თხზულება შემდეგი მითითებების მიხედვით:

ხომ არ გამორჩა მას ნაწერში მითითებებიდან რამე;

რას დაუმატებდით თხზულებას;

რა მოგეწონათ.

აქტივობა 2. *ტექსტის წაკითხვა-გააზრება*

დავალების გამოკითხვის შემდეგ მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ სალამურას თავგა-

დასავალი გრძელდება, მას კიდევ ბევრი საინტერესო ამბავი გადახდება თავს...

მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს ჯგუფებად და უხსნის შემდეგი აქტივობის ინსტრუქციას: მათ დაუნაწილდებათ ნაწყვეტები ტექსტიდან, გაუნაწილდებათ როლები და ყოველი ჯგუფი პასუხისმგებელი იქნება თავის ნაწილზე – თითოეული უნდა შეეცადოს, რაც შეიძლება სრულად და საინტერესოდ აუხსნას მონაკვეთი კლასელებს.

ტექსტი უნდა დანაწილდეს ლოგიკურად დასრულებულ მონაკვეთებად (მაგ.: „მეორე დღეს, ის იყო სალამურა... – ...ასეთი რამ არ დაგვემართებოდა"; „გვიან გამოიდარა... – ...როცა ჭიამაიაებთან ერთად იძინებდა და იღვიძებდა"; „ტყის თავზე მთვარე შემოჯდა... – ...გოგონას სიმღერას შეუხმატკბილა". „გოგონამ სალამურის ხმა რომ გაიგონა"... – ბოლომდე).

მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, ჯგუფში გაინაწილონ როლები:

ერთი მოჰყვება ნაწყვეტის მოკლე შინაარსს;

მეორე იმუშავებს ლექსიკაზე, ამოწერს და შეძლებისდაგვარად ახსნის ბუნდოვან ან, მათი აზრით, საინტერესო სიტყვებს, ფრაზებს;

მესამე ისაუბრებს აბზაცის მთავარ სათქმელზე/მონიშნავს აბზაცის საკვანძო ფრაზებს.

აქტივობა 3. *პრეზენტაციები*

მოსწავლეები უხსნიან ერთმანეთს ტექსტს, ჯგუფებს ეძლევათ საშუალება, დაუსვან ერთმანეთს კითხვები.

მასწავლებელი ავსებს მოსწავლეთა გამოსვლებს.

აქტივობა 4. *შეჯამება*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ, მათი აზრით, რომელი ჯგუფის პრეზენტაცია იყო უფრო სრულყოფილი და რატომ; ერთობლივად აყალიბებენ, რა უნდა გაითვალისწინონ, როცა ერთმანეთს უხსნიან ტექსტს.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა-გააზრება. მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა, აზრის ნათლად ჩამოყალიბება.

გრამატიკა – მჟღერი და ყრუ თანხმოვნები

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეებმა შეძლონ მჟღერი და ყრუ თანხმოვნების გარჩევა, ინსტრუქციის მიხედვით დავალების შესრულება.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონ-სტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ გამართულად კითხვა, მასწავლებლის მიცემული ინსტრუქციების შესრულება.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, წყვილური, ინდივიდუალური.

აქტივობა 1. *მოტივაცია*

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს: ვამბობ, ვაკეთებ, ჩუმად, კარგად, რომლებსაც ხმამაღლა გამოათქმევინებს მოსწავლეებს. შემდეგ სთხოვს, ცალკე წარმოთქვან ბგერა ბ, მერე – ბგერა ფ. და ეკითხება მოსწავლეებს: რომელი ჟღერს უფრო ძლიერად, ბ თუ ფ? შემდეგ სთხოვს, ცალკე წარმოთქვან ბგერა დ, მერე – ბგერა თ. და ეკითხება მოსწავლეებს: რომელი ჟღერს უფრო ძლიერად, დ თუ თ?

აქტივობა 2. *მინილექცია – მჟღერი და ყრუ თანხმოვნები*

მასწავლებელი მინილექციის საშუალებით უხსნის მოსწავლეებს განსხვავებას მჟღერ და ყრუ თანხ-მოვნებს შორის, აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ზოგი თანხმოვანი უფრო ძლიერად ჟღერს. მათ მჟღერი ბგერები ეწოდება, ზოგი კი უფრო ყრუდ ისმის და, შესაბამისად, ყრუ თანხმოვნებს ვუწოდებთ.

აქტივობა 3. *ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების გარჩევა*

მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს რამდენიმე მჟღერ და რამდენიმე ყრუ თანხმოვანს ცალ-ცალკე (მაგ.: ბ – ფ, დ – თ, გ – ქ), და წააკითხებს რამდენიმე მოსწავლეს. სთხოვს, დააკვირდნენ წარმოთქმის დროს რა განსხვავებას ხედავენ მათ შორის. სავარაუდოდ, მოსწავლეები იტყვიან, რომ მჟღერი ბგერები უფრო ძლიერად ისმის, ვიდრე ყრუ.

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ, თუ მჟღერ ბგერებს მკვეთრად არ გამოვთქვამთ, ისინი ყრუ ბგერებს დაემსგავსება.

აქტივობა 4. *მასალის განმტკიცება*

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ნაწყვეტებს მარტივი ტექსტებიდან (შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელო ან ბუკი) და სთხოვს, გახაზონ მჟღერი ბგერები და ამოწერონ სიტყვა, რომელშიც

ყველაზე მეტი ასეთი თანხმოვანი შეხვდებათ. აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ასახელებენ თავიანთ მონიშნულ სიტყვებს.

აქტივობა 5. *პრაქტიკული სავარჯიშო*

მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს, ურიგებს ფურცელზე დაწერილ სავარჯიშოს ან უგზავნის ბუკებში; სთხოვს, იპოვონ და მონიშნონ შეცდომები:

1. ვფიქროფ, დღესვე შევასრულეფ მეგობრის თხოვნას.
2. კარქი შვილი დედის გულის ვარდიაო.
3. კოხტათ ჩაცმული გოგო სკოლაში მიდის.
4. ძველ ამბეფს ხშირათ იხსენებენ მეგობრები.

შეჯამება

მასწავლებელი კითხვების მიხედვით აჯამებს გაკვეთილს: რა გავიგეთ ახალი? როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგან ყრუ და მჟღერი თანხმოვანი?

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად სახელმძღვანელოში მოცემულ სავარჯიშოს (მოსწ. წიგნი, გვ. 25).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს მჟღერი და ყრუ თანხმოვნების გარჩევა, ინსტრუქციის მიხედვით დავალების შესრულება, აქტიურად ჩართვა მუშაობაში.

პატარა თიხის გუნდა (მოსასმენი ტექსტი)

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, დეტალებზე დაკვირვება, ვერბალური ინფორმაციის არავერბალურად გარდაქმნა, საკუთარი თუ ჯგუფის ნაშრომის კლასის წინაშე ნათლად, წარმოდგენა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

- ამოიცნობს ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციას;
- თანამიმდევრულობის დაცვით გადმოსცემს ტექსტების შინაარსს (ვრცლად და/ან მოკლედ);
- მიჰყვება მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს და თანამიმდევრულად გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს;

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.

- მეტყველებს მკაფიოდ და გარკვევით;
- იყენებს ინტონაციას სასვენი ნიშნების ფუნქციით.

ქართ.დაწყ.I.8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.

- საბავშვო სპექტაკლისათვის შეარჩევს (თვითონ ხატავს ან მოიძიებს) როლის შესაბამის ვიზუალურ მასალას (კოსტიუმს, ნიღაბსა და სხვ.);

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს აქვთ ტექსტის მოსმენა-გააზრების, ვერბალური ინფორმაციის არავერბალურად გარდაქმნის უნარები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ინდივიდუალური, ჯგუფური.

აქტივობა 1. *მოტივაცია*

მასწავლებელი თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ კითხულობს მოთხრობის – „პატარა თიხის გუნდა“ – სათაურს და შემდეგ ეკითხება მოსწავლეებს:

– რა ვიცით თიხის შესახებ?

– რა შეიძლება გაკეთდეს თიხისგან?

მოსწავლეთა პასუხების შემდეგ მასწავლებელი პროექტორის (ან ბუკების) დახმარებით უხსნის მოსწავლეებს თიხის გამოყენების ტექნოლოგიას და აჩვენებს ამ მასალით დამზადებულ ნივთებს.

აქტივობა 2. *ტექსტის წაკითხვა ეპიზოდებად*

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს ეპიზოდებად:

1. „ერთი ძველი კოშკის... – ...იმედს კარგავდა“.
2. „ერთ დღეს... – ...ოთახი დაწყნარდა“.
3. „პატარა თიხის გუნდა... – ...უიმედოდ გამომშრალი სიღრმიდან“.
4. „ერთ ღრუბელს... – ...როგორიც ძველად“.
5. „გათენდა... – ...მას სახელურიც გაუჩნდა“.
6. „ – დედა, დედა...“ – ბოლომდე.

თითოეული ეპიზოდის წაკითხვის შემდეგ სვამს შეკითხვებს იმის შესამოწმებლად, რამდენად გაიგეს ბავშვებმა ტექსტში ზედაპირულად, ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაცია, შემდეგ კი სთხოვს, დაასათაურონ ეპიზოდი და სათაურის ქვეშ ინდივიდუალურად ჩამოწერონ მნიშვნელოვანი დეტალები; უხსნის, რომ ეს გამოადგებათ შემდეგი აქტივობის შესასრულებლად – ილუსტრირებისთვის.

აქტივობა 3. *რა დამამახსოვრდა?*

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს 6 ჯგუფად, ურიგებს შესაბამის ეპიზოდს, სთხოვს, გამოიყენონ საკუთარი ჩანაწერები, შეაჯერონ და მოამზადონ მონაკვეთი თხრობით გადმოსაცემად. აქტივობის დასასრულს ჯგუფები წარმოადგენენ ნამუშევრებს.

აქტივობა 4. *ილუსტრირება*

მასწავლებელი იმავე ჯგუფებს ურიგებს საჭირო რესურსს და თითოეულ ჯგუფს სთხოვს, დახატონ ან გამოძერწონ შესაბამისი ეპიზოდი. დავალების შესრულებისას ყურადღება გაამახვილონ არა მხოლოდ ეპიზოდის აღწერაზე, არამედ პერსონაჟისა თუ გარემოს ვიზუალურ მხარეზე.

აქტივობა 5. *პრეზენტაცია*

მოსწავლეები წარმოადგენენ ნამუშევრებს და პრეზენტაციის დროს აფასებენ ერთმანეთს იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს დეტალების დამახსოვრება და საინტერესო ილუსტრაციის დამზადება.

აქტივობა 6. *შეჯამება*

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები მსჯელობენ, რომელი პრეზენტაცია იყო მათთვის ყველაზე საინტერესო, თავად რამდენად კმაყოფილნი იყვნენ ჯგუფურად მუშაობის და რას გაითვალისწინებენ მომავალში მსგავსი აქტივობის განხორციელებისას.

შეფასება

ყველა მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, რამდენად შეუძლია ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, დეტალების დამახსოვრება, ვერბალური ინფორმაციის არავერბალურად გარდაქმნა, საკუთარი თუ ჯგუფის ნაშრომის კლასის წინაშე ნათლად წარმოდგენა.

ხელოვნების სამი დარგი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს ნაწარმოების ესთეტიკურ მხარეზე დაკვირვება და მის შესახებ მსჯელობა, საინ-ფორმაციო ტექსტის წარსადგენად მომზადება. განუვითარდება ლოგიკური აზროვნებისა და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორ-მაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- გამოყოფს ტექსტის მთავარ საკითხს, ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

- გადმოსცემს არამხატვრული ტექსტების შინაარსს ლოგიკური ხაზის დაცვით;

ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.

- გამოხატავს საკუთარ ემოციებს/განცდებს და ცდილობს მათ ახსნას („გამიკვირდა იმიტომ, რომ...“, „აღვშფოთდი იმიტომ, რომ...“).

ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.

- მხატვრულ ტექსტებში აკვირდება მწერლის ენას, ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეს (სინონიმებს, ანტონიმებს, ფრაზეოლოგიზმებს და ა.შ.), ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას).

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა და გააზრება, მსჯელობა ნაცნობ თემაზე.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, წყვილური, ინდივიდუალური.

აქტივობა 1. *მოტივაცია*

მოტივაციის მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს შემოდგომის ნებისმიერ პეიზაჟს და სთხოვს აღწერონ, რას ხედავენ ნახატზე და რა ემოცია უჩნდებათ. მოსწავლეების პასუხის შემდეგ უკითხავს ლექსს შემოდგომაზე:

შემოდგომა

რამოდენა ვენახია,
ან რამდენი ყურძენია!
რთველი დადგა, მოსაკრეფად
გამოსულან უთენია.

მე ვენახში პირველად ვარ,
ყველა ჩუმად მაკვირდება,
ჯერ არც კრეფა შემიძლია,
არც კალათის აკიდება.

არც იმაზე ვდარდობ, წლეულს
მოსავალი როგორია,
ჩემ წინ მწიფე ყურძნით სავსე
სამნაირი გოდორია.

ერთში – თეთრი, ერთში – შავი,
ერთში კიდევ – ქარვისფერი...
ხან ერთს ვყლაპავ, ხან მეორეს,
ლამის არის დავითვერი.

პატარა ვარ, გავიზრდები,
მოვა ჩემი გარჯის ჯერიც,
ჯერ ჯაგანი მომაწოდეთ,
ან აკიდო ამიჭერით.

რომ ყურძენი სახლის სხვენზე
ზამთარშიაც ეწყოს ბლომად...
უხვმა რთველმა, ბევრმა ხილმა
შემაყვარა შემოდგომა.

გრიგოლ აბაშიძე

მასწავლებელს, სურვილისამებრ, შეუძლია სხვა ლექსი წაუკითხოს ან ნაწყვეტი პროზაული ტექსტიდან ამავე თემაზე.

ნაწარმოების წაკითხვისა და მოსმენის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, ისაუბრონ, რის შესახებ იყო ტექსტი, რა ემოცია აღეძრათ და ა. შ.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს მუსიკალურ ნაწარმოებს ამავე თემაზე, მაგ., ვივალდის „წელიწადის დრონის“ ან რომელიმე სხვას (სასურველია, მასწავლებელმა მუსიკალური ვიდეოკლიპი უჩვენოს, რათა აღქმა არ გაუჭირდეთ მოსწავლეებს). როდესაც მუსიკა დასრულდება, მასწავლებელი ისევ სთხოვს მათ, ისაუბრონ მუსიკით აღძრულ ემოციებსა და განცდებზე.

აქტივობა 2. *მინილექცია – ხელოვნების დარგები*

მასწავლებელი უხსნის, რომ ადამიანი თავისი ბუნებით შემოქმედია: ზოგი სიტყვებში აქცევს საკუთარ განცდას თუ აზრს; ზოგი ხატავს და ისე გადმოგვცემს თავის სათქმელს; ზოგი კი მუსიკას ქმნის, მუსიკის ენაზე გველაპარაკება...

ის, ვინც შემოქმედების ნიჭით გამორჩეულია, ხელოვანია.

მწერლობა, მუსიკა და მხატვრობა ხელოვნების დარგებია და ყველა თავისებურად გამოხატავს ემოციას.

აქტივობა 3. *ჯგუფური მუშაობა – ტექსტის წაკითხვა-გაა ზრება*

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად და ტექსტიდან („ხელოვნების სამი დარგი“) უნაწილებს დავალებებს: პოეზია („პოეზიაში რითმა ... გავატარო სიცოცხლე ჩემი“), სახვითი ხელოვნება („მხატვრობაში ... აღქმაში გვეხმარება“), მუსიკა („მუსიკოსს ... ასაკში დაუკრა“).

შენიშვნა: ჯგუფებად განაწილებისას, კარგი იქნება, თუ მასწავლებელი მოსწავლეთა ინტერესებს გაითვალისწინებს და გამოიყენებს. მისცემს მათ საშუალებას, ტექსტში მოცემული ინფორმაცია შეავსონ საკუთარი გამოცდილებით ან სხვა ცნობებით.

მოსწავლეებმა უნდა დაამუშავონ მათთვის მიცემული დავალება და მოამზადონ წარსადგენად.

აქტივობა 4. *პრეზენტაცია*

აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ატარებენ პრეზენტაციებს. მასწავლებელი და სხვა ჯგუფის წევრები აფასებენ გამომსვლელებს იმის მიხედვით, თუ რამდენად ნათლად და გასაგებად ჩამოაყალიბეს მათ საკითხი.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, მოიძიონ ინფორმაცია საყვარელი მწერლის, კომპოზიტორის ან მხატვრის და მათი ერთ-ერთი ნაწარმოების შესახებ და მოამზადონ კლასის წინაშე წარსადგენად; ისაუბრონ, მათი აზრით, რითია ის გამორჩეული.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს ნაწარმოებების ესთეტიკურ მხარეზე დაკვირვება, წაკითხულის წარსადგენად მომზადება.

პატარა თიხის გუნდა

ერთი ძველი კოშკის ზედა სართულზე სახელოსნო მოეწყოთ. ეს იყო მეთუნის სახელოსნო სხვადასხვა ფერის მინანქრით სავსე კასრებით, მეთუნის დაზგებით, ღუმელით და, რაღა თქმა უნდა, თიხით. ფანჯრის მახლობლად ერთი დიდი, მძიმესახურავიანი ხის ყუთი იდგა. იქ თიხა ინახებოდა. ყუთის ძირზე, კუთხეში, ერთი პატარა თიხის გუნდა მიყუჟულიყო. მას ბუნდოვნად ახსოვდა, უკანასკნელად როდის იყო ადამიანის ხელში. მას შემდეგ დიდი დრო გასულიყო. მძიმე სახურავი ყოველდღე იხსნებოდა. ყუთში ხელები ძვრებოდნენ და სწრაფად ამოჰქონდათ იქიდან თიხა. პატარა თიხის გუნდას ადამიანების მხიარული ხმები ჩაესმოდა, მაგრამ მას ხელს არავინ ჰკიდებდა. ყველა თავისი საქმით იყო გართული.

– ნეტა ჩემი ჯერი როდის დადგება?! – ფიქრობდა თიხის გუნდა და ჩაბნელებულ ყუთში გატარებული ყოველი დღის გასვლასთან ერთად იმედს კარგავდა.

ერთ დღეს სახელოსნოში მასწავლებელთან ერთად ბავშვების დიდი ჯგუფი მოვიდა. ყუთში აუარება ხელი ჩაძვრა. პატარა თიხის გუნდა სულ ბოლოს აირჩიეს, მაგრამ ყუთიდან ხომ ამოაღწია!

– ჩემი ჯერიც დადგა! – გაიფიქრა მან და სინათლეზე გამოსულმა თვალები უნებლიეთ მოჭუტა.

ერთმა ბიჭმა პატარა თიხის გუნდა მეთუნის დაზგაზე მოათავსა და დაზგა მთელი ძალით სწრაფად დაატრიალა. „რა ბედნიერებაა!“ – გაიფიქრა პატარა თიხის გუნდამ. დაზგა ტრიალებდა და ტრიალებდა. ბიჭი თიხისთვის ფორმის მიცემას ცდილობდა. პატარა თიხის გუნდა ღელავდა იმის გამო, რომ რაღაცად უნდა ქცეულიყო. ბიჭი თითქოს ჯამის გამოძერწვას ცდილობდა, მაგრამ უეცრად გადაიფიქრა და თიხისაგან ერთი უბრალო ბურთი მოაგუნდავა.

– დროა, აქაურობა გაასუფთაოთ, – თქვა მასწავლებელმა. სახელოსნო ბავშვების ხმებით აივსო. ისინი ჯაგრისებით ასუფთავებდნენ, წმენდდნენ, ამშრალებდნენ და მტვერს აცილებდნენ გარშემო ყველაფერს.

ბიჭმა თიხის გუნდა იქვე, ფანჯარასთან მიაგდო და გარეთ გავარდა, თავის მეგობრებს რომ დასწეოდა. ცოტა ხანში სახელოსნო დაცარიელდა. ოთახი დაწყნარდა.

პატარა თიხის გუნდა შიშმა შეიპყრო. მას ყუთის სინესტე მოენატრა და თან იმასაც მიხვდა, რომ საფრთხეში ჩავარდნილიყო.

– ყველაფერი დამთავრდა, – გაიფიქრა სასოწარკვეთილმა, – აქ ვიჯდები და გამოვშრები. ბოლოს კლდესავით გავმაგრდები.

ბავშვებს ფანჯარა ღია დარჩენოდათ, ფანჯრიდან ცივი ჰაერი შემოდიოდა. საბრალო თიხის გუნდას განძრევა არ შეეძლო და გრძნობდა, როგორ შრებოდა. ნელ-ნელა დღის შუქმა იკლო, ღამის ნიავმა დაუბერა და გუნდაც კლდესავით გამაგრდა. ისე გამაგრდა, რომ ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა. უიმედობამ შეიპყრო.

სადღაც, სიღრმეში, პატარა თიხის გუნდაში წყლის პაწაწინა წვეთი ჩარჩენილიყო და გუნდა ამ წვეთის შენარჩუნებას ცდილობდა.

– წვიმა, – გაიფიქრა მან.

– წყალი, – ამოიკვნესა.

– მიშველეთ, – აღმოხდა ბოლოს უიმედოდ გამომშრალი სიღრმიდან.

ერთ ღრუბელს, რომელიც ამ დროს ცაზე მიცურავდა, ძალიან შეეცოდა თიხის პატარა გუნდა. და უცებ, აი, რა საოცარი რამ მოხდა – ფანჯარაზე წვიმის უზარმაზარი წვეთების კაკუნის ხმა გაისმა და წვეთები პატარა თიხის გუნდას დაეცა. მთელ ღამეს გადაუღებლად წვიმდა და დილით გუნდა ისეთივე რბილი იყო, როგორიც ძველად.

გათენდა დილა. სახელოსნოში ვიღაცის ხმა გაისმა.

– ღმერთო ჩემო, – ეს მეთუნე ქალი იყო. ის ხშირად მოდიოდა ხოლმე სახელოსნოში, – ვიღაცას ფანჯარა ღია დაუტოვებია! ყველაფერი უნდა გავწმინდოთ. შენ თიხით გაერთე, სანამ მე რაიმე ტილოს ვნახავ და აქაურობას მოვასუფთავებ, – უთხრა მან თავის ქალიშვილს.

პატარა გოგონამ ფანჯრის რაფაზე მიყუჟული პატარა თიხის გუნდა დაინახა.

– ეს თიხა ნამდვილად გამომადგება, – თქვა მან.

მალე გოგონამ თიხის გუნდა მოზილა და მას რაღაც ფორმა მისცა. პატარა თიხის გუნდას მისი თითების შეხებაზე არაჩვეულებრივი შეგრძნება დაეუფლა.

გოგონა თან მუშაობდა და თან ფიქრობდა, რა გამოეძერწა. მისი ხელები მიზანდასახულად მოძრაობდნენ. პატარა თიხის გუნდა გრძნობდა, რომ გოგონა მას ფრთხილად ეხებოდა და ნელ-ნელა მრგვალ, თან ჩაღრმავებულ ფორმას აძლევდა. ერთი-ორი ხელის დაჭერა და მას სახელურიც გაუჩნდა.

– დედა, დედა! – დაიძახა გოგონამ, – ნახე, ფინჯანი გავაკეთე.

– რა მშვენიერია! – შეაქო დედამ, – თაროზე დადგი და ღუმელში გამოვწვავ. შემდეგ შეგიძლია, მოჭიქო, რა ფერადაც გინდა.

მალე პატარა ფინჯანი მზად იყო ახალ სახლში გადასასვლელად.

ახლა ის სამზარეულოში, თაროზე ცხოვრობს სხვა ფინჯნებთან, ლამბაქებთან და ტოლჩებთან ერთად. ისინი ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან. პატარა ფინჯანი განსაკუთრებით ლამაზია.

– საუზმე მზადაა, – ამბობს ხოლმე დედა, მაგიდაზე ახალ ფინჯანს დგამს და ცხელი შოკოლადით ავსებს.

პატარა გოგონას ფინჯანი ფრთხილად უჭირავს. რა ბედნიერია ფინჯანი, როდესაც თავისი ახალი მოყვანილობის ნატიფ ხაზებს გრძნობს, რა კარგად ასრულებს თავის მოვალეობას!

პატარა ფინჯანი ამაყად დგას თაროზე და ფიქრობს: „როგორც იქნა, რაღაცა ვარ“.

დიანა ენგელი

თარგმნა თამარ ოთხმეზურმა

თავი 2 – ჩემო კარგო ქვეყანავ

გრამატიკა – სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს სწორი გრამატიკული და ორთოგრაფიული თვალსაზრისით ფორმების გამოყენება; სიტყვების – ბევრი, ყველა, რამდენიმე, ზოგიერთი – მართებულად ხმარება, ზმნებთან სწორად შეთანხმება.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.

- სწორად უთანხმებს ზმნას არსებით სახელებსა და ნაცვალსახელებს პირისა და რიცხვის მიხედვით;

ქართ.დაწყ.(I).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მართებულად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.

- მართებულად ხმარობს სიტყვებს: თითოეული, ყველა, ზოგი (ზოგიერთი), რამდენიმე; და სწორად უთანხმებს რიცხვში ზმნებს;

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *მოსმენა, მეტყველება, წერა*

ცოდნის შემოწმება, ნასწავლის გამეორება ახალი გრამატიკული მასალის ათვისებამდე

ახალ გაკვეთილს ტექსტის სათაურზე ყურადღების გამახვილებით იწყებთ.

გადააშლევინეთ მოსწავლეებს წიგნები 44-ე გვერდზე და სთხოვეთ, წაიკითხონ სათაური.

მასწავლებელი: – დღეს გრამატიკის გაკვეთილი გვაქვს. რა არის ჩვენი გაკვეთილის თემა? (სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები)

– მოდი, ჯერ განვლილი მასალა გავიხსენოთ. არსებითი სახელი თქვენ უკვე ისწავლეთ. ერთხელ კიდევ გავიმეოროთ, რა ვიცით მის შესახებ; გავიხსენოთ, რომელ სიტყვებს უწოდეს ენათმეცნიერებმა არსებითი სახელები.

შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს წინადადებებს და ბავშვებს სთხოვს, რვეულებში გადაიწერონ:

მეომრებმა გზა განაგრძეს.

იქ შუბები და მუზარადები ეწყო.

გამოიყენეთ ე. წ. სწრაფი გამოკითხვის სტრატეგია, დაუსვით შეკითხვები კლასს:

– ამ წინადადებებში რომელია არსებითი სახელები? (მეომრებმა, გზა, შუბები, მუზარადები)

– ამათგან რომელია სულიერი და რომელი – უსულო? (მეომრები – სულიერი, გზა, შუბები, მუზარადები – უსულო)

– რა კითხვა დაესმის ამ არსებით სახელებს? (პირველს – ვინ? დანარჩენებს – რა?)

– რომელ რიცხვშია ეს არსებითი სახელები? (მრავლობითში).

მოსწავლეები მიიღებენ დავალებას:

– გადაიყვანეთ წინადადებები მხოლობით რიცხვში და რვეულში ჩაწერეთ (მეომარმა გზა განაგრძო. იქ შუბი და მუზარადი ეწყო.).

– რა ემატება მრავლობითში არსებით სახელს? ნიშანს ქვეშ ხაზი გაუსვით (-ებ).

– რამდენი სიტყვაა თითოეულ წინადადებაში?

– იპოვეთ ზმნები და შემოხაზეთ.

აქტივობა 2. *მოსმენა, კითხვა, მეტყველება, წერა*

ახალი გრამატიკული მასალის გაცნობა (სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები)

სტრატეგია – კონკრეტულ მაგალითებზე დაკვირვების შემდეგ ზოგადი წესის ჩამოყალიბება.

მასწავლებელი დაფაზე ახალ წინადადებებს დაწერს:

მეფემ უამრავი ეკლესია და მონასტერი ააშენა.

ტყეში მრავალი ნადირი ბუდობდა.

– აქ რომელ რიცხვშია არსებითი სახელები? (მხოლობითში)

– შეგიძლიათ, ამ წინადადებების მიხედვით მითხრათ, ზუსტად რამდენი ეკლესია ააშენა მეფემ ან რამდენი ნადირი ბუდობდა ტყეში?!

ბავშვები „აღმოაჩენენ“, რომ ეს შეუძლებელია. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მათ, ჩაიხედონ წიგნში და წაიკითხონ მინაწერი ნახატების ქვეშ. თვითონ კი დაფაზე დაწერს:

ურიცხვი მეომარი

აუარებელი მუზარადი

მასწავლებელი:

– რომელი სიტყვები უძღვის წინ არსებით სახელებს? (ურიცხვი, აუარებელი)

– ეს სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვებია. რა შენიშნეთ, არსებითი სახელი ამ სიტყვებთან მხოლობით რიცხვშია თუ მრავლობითში? (მხოლობით რიცხვში)

– რომელი წესი მოგაგონდათ? (რიცხვითი სახელის გვერდით არსებითი სახელი ყოველთვის მხოლობით რიცხვშია)

– სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები სწორედ რიცხვით სახელებს მიეკუთვნება. რა კითხვა დაესმის ამ სიტყვებს? (რამდენი?)

– გავიხსენოთ და ჩამოვწეროთ სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები.

მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს:

რამდენი? ბევრი, მრავალი, უამრავი, უთვალავი, ურიცხვი, აუარებელი, ყველა.

სასურველია, მასწავლებელმა ჯერ მოსწავლეებს მისცეს დრო ამ სიტყვების გასახსენებლად.

აქტივობა 3. *მოსმენა, კითხვა, მეტყველება, წერა*

ახალი გრამატიკული მასალის ათვისება, დაუფლება (სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები)

სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩახედონ წიგნს და ყურადღება მიაქციონ გაკვეთილის თემას – სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები. მოსწავლეები მიიღებენ დავალებას, მოძებნონ გაკვეთილში ის ადგილი, რომელშიც ჩამოთვლილია სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები. შემდეგ კლასშივე შესრულდება პირველი სავარჯიშო.

მასწავლებელი მიუთითებს დაფაზე ჩამოწერილ სიმრავლის აღმნიშვნელ სიტყვებზე და ამბობს:

– ამ სიტყვებს არსებითი სახელები შევუსაბამოთ. რა შეიძლება იყოს ბევრი? (წიგნი ბიბლიოთეკაში, სათამაშო დახლზე ...)

– შეიძლება, რომ მრავალი ვთქვათ იმავე საგნებზე? (შესაძლებელია)

– ურიცხვი? (ალბათ არა: იმიტომ, რომ წიგნებისა და სათამაშოების დათვლა მაინც შესაძლებელია. ურიცხვი კი შეიძლება იყოს, მაგალითად, კენჭი. ურიცხვი კენჭი ზღვის პირას...)

მოსწავლეებს მიეცემათ ინდივიდუალური დავალება, სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვებიდან აირჩიონ სამი სიტყვა და თავიანთ რვეულებში თითოეულს ერთი არსებითი სახელი შეუსაბამონ.

– როგორ სიტყვებს გავეცანით დღეს?

– რა წესი ვისწავლეთ?

– იპოვეთ, წერია თუ არა სახელმძღვანელოში ეს წესი.

– თვალი გადაავლეთ გაკვეთილს და მითხარით, კიდევ რომელი სიტყვები ემორჩილება ამ წესს? (რამდენიმე, ზოგი, ზოგიერთი, ცოტა, სხვადასხვა)

აქტივობა 3. *კითხვა, წერა*

ახალი გრამატიკული მასალის ათვისების შემოწმება

დაწერეთ დაფაზე წინადადებები შეცდომებით და სთხოვეთ მოსწავლეებს, იპოვონ შეცდომა, გაასწორონ და წინადადებები რვეულში სწორად ჩაწერონ:

რამდენიმე წინადადებები შევადგინე.
ორი მეგობარი მესტუმრნენ.
გუშინ ყველა მოსწავლეებმა იცოდნენ გაკვეთილი.
მინდორში ეკლები ამოვიდნენ.

– რა შეცდომაა პირველ წინადადებაში, რომელი წესია დარღვეული?

– მეორე წინადადებაში რომელი წესია დარღვეული? ...

გაკვეთილის დასასრულს ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს წიგნში მოცემული წერითი დავალება სახლში შესასრულებლად (სავარჯიშოების ნაწილის დარჩენილი ორი სავარჯიშო – მოსწ. წიგნი, გვ. 44).

შეფასება

მოსწავლე ფასდება იმის მიხედვით, რამდენად შეძლო არსებითი სახელებისა და რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვების ზმნებთან სწორად შეთანხმება.

მეხუთე საუკუნე და ვახტანგ გორგასალი

მეხუთე საუკუნეში საქართველოს სამეფო ტახტი დაობლდა, მეფე გარდაიცვალა. მაშინ ტახტის მემკვიდრე ვახტანგი მხოლოდ ექვსი წლისა იყო. ამიტომაც სამეფოს მართვა უფლისწულის დედამ – დედოფალმა იტვირთა. მტრებმა ისარგებლეს საქართველოს დაობლებით და აქეთ-იქიდან შემოსევა დაიწყეს. აღმოსავლეთიდან სპარსელები აწუხებდნენ ჩვენს ქვეყანას, დასავლეთიდან – ბერძნები, ჩრდილოეთიდან – ოსები.

უფლისწულმა ვახტანგმა ჩინებული აღზრდა მიიღო. სამეფო საქმეებს მას ჯარის საუკეთესო წინამძღოლნი – საურმაგი და ჯუანშერი ასწავლიდნენ. მათგან შეისწავლა ვახტანგმა წარსული საქართველოსი, სამხედრო ოსტატობა და სამეფოს გამგებლობა. როცა ვახტანგი თხუთმეტი წლისა შესრულდა, იგი იყო ახოვანი, ჭკვიანი და მცოდნე ყმაწვილი. ამიტომ დედოფალმა აღარ დააყოვნა და სამეფო ტახტი შვილს დაუთმო.

ავიდა თუ არა ვახტანგი ტახტზე, მაშინვე შეუდგა მტრების დასჯას. პირველად გაილაშქრა ოსების წინააღმდეგ: შეყარა დიდძალი ჯარი, არაგვის ხეობით ავიდა კავკასიონის ქედზე და წინდახვედრილი ოსების ჯარი სრულიად დაამარცხა. დამარცხებულმა ოსებმა მეფეს პატიება და ზავი სთხოვეს, მოჰგვარეს ვახტანგს მისი და, რომელიც მათ ტყვედ ჰყავდათ წაყვანილი ქართლში შემოსევის დროს. ამასთან, დიდი ჯარიმაც გადაიხადეს.

შემდეგ ვახტანგმა გაილაშქრა ბერძნების წინააღმდეგ. ამათ ვახტანგის პატარაობის დროს დაიპყრეს მთელი დასავლეთი საქართველო და გამგებლად დააყენეს ქართველი გუბაძე, რომელმაც მეფეს უღალატა და ბერძნების მორჩილების ქვეშ შევიდა. ვახტანგმა დაამარცხა გუბაძე, გააძევა* სამშობლოდან და დასავლეთი საქართველო კვლავ შემოიერთა. ბერძნების ხელმწიფემ – ლეონმა – ნახა რა ძლიერება ვახტანგისა, არა მხოლოდ შეურიგდა მას, არამედ სიძედაც აირჩია: ცოლად შერთო თავისი ასული ელენე.

მეტსახელი გორგასალი ვახტანგ მეფეს სპარსელებთან ბრძოლის დროს უწოდეს. სპარსულ ენაზე „გორგასალი“ მგლისთავიანს ნიშნავს (გორგ – მგელი, სარი – თავი). ვახტანგის მუზარადზე მგელი ყოფილა გამოსახული.

ყველაზე დაუვიწყარი სახსოვარი ვახტანგ გორგასალმა თბილისის

დაფუძნებით დაგვიტოვა. ის ადგილი, სადაც ახლა თბილისია, ვახტანგის მეფობამდე უღრან ტყეს ეკავა. აქ ბუდობდა მრავალი ნადირი. გადმოცემის თანახმად, ვახტანგი ერთხელ ნადირობდა აქა და გაწვრთნილი მიმინო ხოხობს დაადევნა. ორივენი ჩაიმალნენ ღრმა ხევში და აღარ გამოჩნდნენ. მაშინ ვახტანგი თავისი ამალით ჩავიდა ამ ხევში, ნახა მომდინარე ცხელი ნაკადული და შიგ ჩაცვენილი მიმინო და ხოხობი. მეფე მიხვდა იმ ცხელი წყლის მარგებლობას. გაუსინჯა ამ ადგილს მდებარეობა და სცნო იგი მოხერხებულ ადგილად ციხე-ქალაქისათვის. ვახტანგმა ბრძანა, გაეკაფათ ტყე, გაესწორებინათ ეს ადგილი და სახლების აშენებას შესდგომოდნენ. ასე დააფუძნა ვახტანგ გორგასალმა ახალი ქალაქი, რომელსაც თბილისი დაარქვა იმის გამო, რომ თბილი წყლის პირას იდგა. როცა თბილისი გადიდდა და გამშვენიერდა, იგი აღიარებულ იქმნა დედაქალაქად. მცხეთის ნაცვლად სამეფო ტახტი თბილისში გადმოიტანეს.

ჩვენმა მხნე და დაუღალავმა მეფემ უამრავი ეკლესია და მონასტერი ააშენა. ის ქართველთა სწავლა-განათლებაზეც ზრუნავდა. ყოველ მონასტერთან, ეკლესიასთან მართავდა სკოლას, სადაც ასწავლიდნენ წერა-კითხვას, საღმრთო წერილს, საქართველოს ისტორიასა და ზოგ უცხო ენასაც.



დიდი მხნეობა, დაუღალავი შრომა და აუარებელი ხარჯი იყო საჭირო ქალაქებისა და ტაძრების ასაშენებლად. ყოველივე ამას სძლია ვახტანგმა და თავისი სიკვდილის შემდეგ საქართველო გაძლიერებული დატოვა.

იაკობ გოგებაშვილი

უპასუხე შეკითხვებს

1. რატომ იტვირთა დედოფალმა სამეფოს მართვა?
2. რა მოჰყვა შედეგად მეფის ნაადრევად გარდაცვალებას მე-5 საუკუნის საქართველოში?
3. როგორ აღზარდეს უფლისწული ვახტანგი, რა შეასწავლეს მას?
4. რა ერქვათ ტახტის მემკვიდრის აღმზრდელებს?
5. რატომ დასვეს ტახტზე ვახტანგი თხუტმეტი წლის ასაკში?
6. რა იყო ვახტანგ მეფის პირველი წარმატება?
7. როგორ გამოისყიდეს ოსებმა თავიანთი დანაშაული?
8. ვინ იყო გუბაძე და რა ბედი ეწია მას?
9. რა ურთიერთობა დამყარდა ვახტანგსა და საბერძნეთის მეფეს – ლეონს შორის?
10. როდის უწოდეს ვახტანგ მეფეს გორგასალი? რას აღნიშნავს ეს სიტყვა?
11. როგორ შეაფასა ავტორმა ვახტანგის მიერ თბილისის დაარსების ამბავი?
12. რა გავიგეთ ქალაქ მცხეთის შესახებ?
13. შეარჩიე ტექსტიდან მონაკვეთი, რომლითაც დაასაბუთებ, რომ ვახტანგ გორგასალი განათლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

იმსჯელე

14. ჩამოთვალეთ ვახტანგ მეფის წარმატებები და შეაფასეთ მისი მოღვაწეობა.

გრამატიკა

15. ვინ თუ რა?

ა) ტყვე	ა) დაავადება	ა) ამალა
ბ) ხარჯი	ბ) მტერი	ბ) მხნეობა

* * *

ქართველი ხალხი იხსენიებს და ადიდებს იმ თავის მეფეებს, რომელნიც დიდ ჭკუასა და მამაცობას იჩენდნენ, მტერზე ბრწყინვალედ იმარჯვებდნენ, კაცთმოყვარეობით იყვნენ შემკულნი, ხალხზე ზრუნავდნენ და განათლებას ჰფენდნენ ხალხში. ასეთები იყვნენ: მეფე ფარნაოზი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დიმიტრი თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე და ერეკლე მეორე.

პირველი მეფე საქართველოსი ფარნაოზია.

(ზოგიერთი წყარო მას ფარნავაზის სახელით მოიხსენიებს.)

ფარნაოზის მამა მცხეთის მამასახლისი იყო. ფარნაოზის ბავშვობის დროს საქართველოს შემოესია მაკედონელთა წინამძღოლი იაზონი დიდძალი ჯარით. სძლია ხანგრძლივ ომში ქართველ ჯარს, მოუკლა მას წინამძღოლი, მცხეთის მამასახლისი, და ჩვენს ქვეყანას კისერზე მონობის უღელი დაადგა.

მამასახლისის დაქვრივებულ ცოლს ეშინოდა იაზონისა და ამის გამო გაეცალა ქართლს, წავიდა ჩრდილოეთისაკენ და თავი შეაფარა ოსეთში, თან გაიყოლა პატარა ფარნაოზიც. ოსებმა დიდი პატივით მიიღეს ორივენი და გულწრფელი ზრუნვა აღმოუჩინეს.

როცა ფარნაოზი დავაჟკაცდა, მისი დედა სხვა სახელით ჩამოვიდა ქართლში. აქ ფარნაოზი ფარულად შეუდგა სამშობლოს განთავისუფლების საქმეს. ხელი ძლიერ შეუწყო მას ერთმა გარემოებამ: ნადირობის დროს ფარნაოზმა დიდძალი განძი იპოვა ერთ მივარდნილ გამოქვაბულში. ამ განძის წყალობით, მან ყველაფერი მოამზადა საომრად და საშველად მოიწვია სამეგრელოს მამასახლისი ქუჯი და სხვა კუთხეების მამასახლისები... შეერთებული ქართველთა ჯარი შეებრძოლა მაკედონელთა ჯარს მცხეთის ზევით, მუხრანის მინდვრებში, საშინლად დაამარცხა და გააძევა საქართველოს არემარიდან.

მადლიერმა ქართველებმა ფარნაოზი მთელი საქართველოს მეფედ გამოაცხადეს. კარგი მეფე გამოდგა ფარნაოზი. მან შექმნა ძლიერი ჯარი, დაუნიშნა საუკეთესო წინამძღოლი, განაახლა ყველა ციხე, მაკედონელთაგან დანგრეული. მცხეთას შემოარტყა მაღალი და განიერი

გალავანი. ასე რომ, ჩვენი დედაქალაქის აღება მტრისაგან თითქმის შეუძლებელი გახდა.

ამასთან ფარნაოზმა ხელუხლებელი დატოვა თვითმმართველობა ყოველი კუთხისა. მამასახლისები შეინარჩუნეს სამეგრელომ, იმერეთმა, გურიამ, კახეთმა და სხვა მხარეებმა. მხოლოდ მათ წინანდელი უფლება შეუმცირა და თავის თანაშემწეებად გაიხადა.

დამოუკიდებელმა ცხოვრებამ ქართველი ხალხი ფეხზე დააყენა, წელში გამართა. განათლების წყურვილმაც იმატა, ქართული მწიგნობრობა აღორძინდა.

იაკობ გოგებაშვილი

* * *

ასპინძას მიდის მეფე ერეკლე,
თათარზე მიჰყავს ქართლის ლაშქარი...
გადაიარეს ბებერ ხერთვისთან,
საათაბაგოს მტვერი აშალეს...
უკან დატოვეს ძველი აწყური –
ისიც მრავალი ბრძოლის მომლევი...
ბევრი მტერი გყავს, დიდო მეფეო,
არავინაა შენი მომრევი!
მზე ბრწყინავს შენი ლაშქრის მარჯვენას,
მზე კელაპტარობს იმათ მახვილზე...
სულ გამარჯვებით, ძლევით, მხედრებო,
ესმოდეს მიწას თქვენი ძახილი;
შენ გაგიმარჯოს, ხალხის ლაშქარო,
ქართლის ხსენება რომ არ წაშალე!..
გადაიარეს ბებერ ხერთვისთან,
საათაბაგოს მტვერი აშალეს.

ანა კალანდაძე

თავი 3 – ბუნების სურათები

წელიწადის ორი დრო

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს წაკითხული მხატვრული ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა; ტექსტის ესთეტიკური შეფასება.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და მისი ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.

- ავლენს მხატვრული ტექსტების ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილს;
- მიუთითებს, რით დაინტერესდა/რა მოეწონა ტექსტში (ინფორმაცია, ამბავი, პერსონაჟის საქციელი, ბუნების აღწერა, დიალოგები თუ სხვა);

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *მოსმენა, მეტყველება*

გაკვეთილი დაიწყება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ საუბრით; მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ გალაკტიონის ლექსები. მოსალოდნელია, რომ ბავშვები გაიხსენებენ IV კლასში შესწავლილ ფრაგმენტს – „მშობლიურო ჩემო მიწავ“, ასევე, III კლასში ნასწავლი ლექსების ფრაგმენტებს: „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“ და „ატყდა ქუხილი, გავარდა მეხი...“

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ლექსის წაკითხვას, სწორ ინტონაციას.

მასწავლებლის შეკითხვები:

– რა ანიჭებს კეთილხმოვანებას გალაკტიონის ამ ლექსებს?

(სტრიქონებში მარცვალთა თანაბარი რაოდენობა, რითმები).

– რომელი რითმა მოგეწონათ განსაკუთრებით?

(მოსალოდნელი პასუხები: ნათელ მხარეს / სიანკარეს, ძველისძველად / და სახელად, სახელს ვფიცავ / კვლავ დაგიცავ, ხარხარი / ჩქარ-ჩქარი და სხვ.).

სამივე ლექსის პირველი სტრიქონი დაფაზე დაწერეთ.

– რამდენმარცვლიანია პირველი ლექსის სტრიქონები? მეორის? მესამის? (8, 10, 10).

– თქვენ მიერ დასახელებულ ლექსებში ხატავს თუ არა პოეტი ბუნების სურათებს? (ა) ნათელი ზეცა პირველ ლექსში, ბ) აფხაზეთის აღწერა, გ) გაწვიმების აღწერა).

აქტივობა 2. *მოსმენა, მხატვრული კითხვა*

მასწავლებელი:

– ლექსები, რომელთაც დღეს გავეცნობით, წელიწადის ორ დროს აღწერს. „ორი დრო“ ამ უსათაურო

ლექსების პირობითი სათაურია. მოუსმინეთ და ერთად განვიხილოთ გალაკტიონის ორივე ლექსი.

წაუკითხეთ პირველი ლექსი. კითხვისას გააძლიერეთ მახვილი სალექსო სტრიქონის მეორე მარცვალზე, ხოლო სტრიქონის ბოლო მარცვალზე ოდნავ დაადაბლეთ ხმა. სთხოვეთ ბავშვებს, ჯერ ყველამ ჩუმად წაიკითხოს იგივე ლექსი; შემდეგ კი, მათი სურვილის მიხედვით, ხმამაღლა წააკითხეთ ორ-სამ მოსწავლეს. მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები შეეცდებიან, მასწავლებლის მსგავსად წაიკითხონ ეს ლექსი და სიამოვნება მიიღონ მისი მელოდიის შეგრძნებით.

– დააკვირდით, ამ ლექსის სტრიქონებში რამდენი მარცვალია? (7) როგორც ხედავთ, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში, მარცვალთა რაოდენობის მიხედვით, დიდი მრავალფეროვნებაა (8, 10, 7). პოეტი ერთმანეთისაგან განსხვავებულ მელოდიებს გვთავაზობს.

– მონიშნეთ, რომელი სიტყვები გარითმა პოეტმა? (რომელიმე მოსწავლეს ხმამაღლა წააკითხეთ.)

აქტივობა 3. *წაკითხულის გააზრება*

მასწავლებლის შეკითხვები:

– რა აღწერა ამ ლექსში გალაკტიონმა? (გაზაფხულის მოსვლა)

– როგორ განმარტავთ სიტყვას „დაფნარი“? ხომ ვერ გაიხსენებდით სხვა სიტყვებსაც, რომელთაც მსგავსი ჟღერადობა აქვს? (მოსწავლეებს შეასრულებინეთ პირველი სავარჯიშო: ბუჩქნარი, ფიჭვნარი, ნაძვნარი, თხილნარი, ყვავილნარი)

– რა არის „ზეფირი“? დაიხმარეთ სახელმძღვანელოს ლექსიკონი და განმარტეთ ამ ლექსის ბოლო სტრიქონი (გაზაფხულის სიო, ნიავი).

სასურველია, მოსწავლეებს გააცნობიერებინოთ მთლიანად ეს სემანტიკური ველი: სიო, ზეფირი, ნიავი, ნიავ-ქარი, ქარი, ქარაშოტი, გრიგალი...

– ლექსის მიხედვით, რა მოხდება, როცა გაზაფხული მოვა? – პასუხად შეარჩიეთ ორი სტრიქონი, რომლებიც თქვენ ყველაზე მეტად მოგეწონათ (მოსწავლეებს წააკითხეთ არჩევანი).

– გაიხსენეთ, რომ სათაური ნაწარმოების თემასა თუ განწყობას მიანიშნებს. თქვენ როგორ დაასათაურებდით ამ ლექსს? შეურჩიეთ მას ორსიტყვიანი სათაური (მოსალოდნელი ვარიანტები: „გაზაფხულის ზეფირი“, „ფერადი გაზაფხული“, „გაზაფხულის სურნელი“, „მოდის გაზაფხული“ და სხვ. მოსწავლეებს საკუთარი ვარიანტი ხმამაღლა წააკითხეთ.)

– განმარტეთ, რა განასხვავებს ერთმანეთისაგან სიტყვებს – „სუნი“ და „სურნელი“?

– როგორ გესმით ლექსში აღნიშნული – მთის მწვერვალისა და ტყის პირის „გაცოცხლება“? (ნათელი დღეები დადგება და მთის მწვერვალი გამოჩნდება; ტყის პირას ყვავილები ამოყოფს თავს...)

აქტივობა 4. *მოსმენა, მხატვრული კითხვა*

ჯერ თქვენ წაუკითხეთ მოსწავლეებს მეორე ლექსი („ცელი კივის“). შემდეგ ორ მოსწავლეს წააკითხეთ.

– დააკვირდით, ეს ლექსი რამდენმარცვლიანია? (8)

– აქ რომელი დრო აღწერა პოეტმა? (შემოდგომა)

– ლექსი გაზაფხულზე უფრო სწრაფად იკითხება თუ ლექსი შემოდგომაზე? (გაზაფხულზე).

– როგორ ფიქრობთ, რატომ შეურჩია პოეტმა წელიწადის ამ დროებს სხვადასხვაგვარად – სწრაფად და შედარებით ნელა, მდორედ საკითხავი სტრიქონები? (გაზაფხული თითქოს უფრო უეცარია, სწრაფია...)

– გარდა სტრიქონში მარცვალთა თანაბარი რაოდენობისა და რითმებისა, კიდევ რა ანიჭებს ამ ლექსს კეთილხმოვანებას?! იპოვეთ ლექსში სტრიქონები, რომელთა ყველა სიტყვაში ერთი და იგივე თანხმოვანი მეორდება! (ა) თივას თიბვენ მთიბველები, ბ) მალე მოვა შემოდგომა). აუხსენით მოსწავლეებს, რომ

ბგერების განზრახ გამეორება ერთგვარი ხერხია, რომელსაც პოეტები ლექსის კეთილხმოვანებისთვის იყენებენ.

აქტივობა 5. *წაკითხულის გააზრება*

მასწავლებლის შეკითხვები:

– იპოვეთ სახელმძღვანელოს ლექსიკონში, როგორ არის განმარტებული „დიბა“ და განმარტეთ სტრიქონები: „დროს არ უყვარს დიდხანს დგომა / და ყვავილებს ართმევს დიბას“ (წელიწადის ერთ დროს მეორე ცვლის, ზაფხულს შემოდგომა მოსდევს; გაზაფხულ-ზაფხულში აფერადებულ ყვავილებს შემოდგომაზე ფერი უხუნდება).

– დააკვირდით, პირველ სტრიქონში პოეტი გასულიერების ხერხს იყენებს; რა იგულისხმა მან ცელისა და ველების „კივილში“? (ველებს შეფენილი მთიბავების მიერ ძლიერად მოქნეული ცელის ხმა; ბასრი ცელით ბალახის დაუნდობლად ჭრის, მოცელვის ხმა...).

– პირველი სტროფის რომელი სტრიქონით დაადასტურებთ, რომ კარგი დარი დგას? („ცა ლურჯია გუმბათივით“)

– თქვენი აზრით, რატომ შეადარა პოეტმა ცა ტაძრის გუმბათს? (მოსალოდნელი პასუხები: რადგან კარგი დარი დგას, ცა მაღალია, თითქოს გუმბათივით ზემოთ არის აწეული (აზიდული); ლურჯი ცა წმინდაა, როგორც გუმბათი...)

– როგორ ფიქრობთ, ამ ლექსის რომელი სტრიქონია ყველაზე მეტად სევდიანი?

(„მალე მოვა შემოდგომა / და ყველაფერს გადათიბავს“).

– რა განასხვავებს ამ ლექსისაგან მეორე ლექსს? (პირველში ბუნება ფერს კარგავს, ბალახს ეთხოვება, მეორეში კი, პირიქით: ცოცხლდება, ფერადდება... ეს ლექსი სევდიანია, ის კი – უფრო ხალისიანი...)

გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეები მიიღებენ საშინაო დავალებას:

ა) გვერდი 46:

1. შეურჩიე ლექსს ორსიტყვიანი სათაური;
2. გადაიწერე ლექსი.

ბ) ლექსების ზეპირად დასწავლა.

შენიშვნა:

მომდევნო გაკვეთილზე, დავალების შემოწმებისა და ლექსების მოსმენის შემდეგ, მასწავლებელმა უნდა ისაუბროს ე. წ. ჯვარედინი რითმის შესახებ (იხილე გვ. 48). თავდაპირველად, სასურველია, თვითონ მოსწავლეებს აღმოვაჩენინოთ ამ ორ ლექსს შორის მსგავსება – ორივეში გარითმულია პირველი სტრიქონი მესამესთან, მეორე კი მეოთხესთან. ბავშვებმა გაკვეთილზევე უნდა შეასრულონ ამ მასალის შესაბამისი დავალებაც (გვ. 48). სახლში შესასრულებლად დაგეგმილი დავალება კი მოთავსებულია 51-ე გვერდზე (მოსწავლეებმა სკოლის ბიბლიოთეკაში უნდა შეარჩიონ ლექსების კრებული და მოიძიონ ლექსი, რომელშიც პოეტი წელიწადის რომელიმე დროს აღწერს. სასურველია, მასწავლებელმა თუ ბიბლიოთეკის თანამშრომელმა მათ შესთავაზოს:

ა) ანა კალანდაძის ლექსების კრებული (მოსალოდნელია, რომ ბავშვები ყურადღებას მიაქცევენ თავის ეპიგრაფში მითითებულ ლექსს „ბეთანიის გზაზე“ და ამოიცნობენ შემოდგომის სურათს);

ბ) გიორგი ლეონიძის ლექსი „მაისური“ („მიყვარს, ყანაში როცა მიდიხარ“...) – ლექსი გაზაფხულზე.

მასწავლებელს საშუალება აქვს, შემდეგ გაკვეთილზე სწორედ ეს ლექსები მოასმენინოს მოსწავლეებს აუდიოდისკის დახმარებით, ან თვითონ წაუკითხოს მასწავლებლის წიგნიდან. ასევე შესაძლებელია,

ერთგვარი გამოცანის სახით წაუკითხოს ანა კალანდაძის ეს ლექსიც და ამოაცნობინოს, რომელ დროს გულისხმობს პოეტი:

„თეთრი თოვლის ქვეშ ლამაზ ენძელას
სძინავს უთვალავს...
როცა ისინი მოიშორებენ
თოვლის სუდარას,
მეც მაშინ მოვალ შენთან, მთებში,
ჩემო ლურჯთვალავ...“

(სათაური – „როცა“)

შეფასება:

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, ლექსის ესთეტიკური შეფასება.

გრამატიკა – არსებითი სახელის ბრუნება

გაკვეთილის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ უნდა გაიხსენოს, რომ არსებითი სახელი დაბოლოებას იცვლის – იბრუნვის.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მართებულად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.

- ავლენს სახელის ფორმაცვალების წესების ცოდნას (მაგ., სწორად არჩევს სახელის ბრუნვის ფორმებს ზმნის სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით) და სათანადოდ იყენებს მას;
- სათანადოდ იყენებს ნაცნობი გრამატიკული ფორმების მართლწერის წესებს წინადადების/ფრაზის აგებისას.

სტრატეგია

სიტყვის ფორმაცვალების აღქმა წინადადების მთლიანი შინაარსის დახმარებით.

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *კითხვა, მეტყველება*

სთხოვეთ მოსწავლეებს, გადაშალონ წიგნები 55-ე გვერდზე და წაიკითხონ გაკვეთილში მოცემული პირველი სამი წინადადება. როცა მოსწავლე წინადადებას კითხულობს, მასწავლებელი მას დაფაზე წერს:

არწივი ყველა ფრინველის მეფედ ითვლება.
არწივს საცხოვრებლად მთიანი ადგილები უყვარს.
არწივის ხმით გულგახეთქილი ფრინველები აქეთ-იქით იფანტებიან.

შეარჩიეთ ერთ-ერთი მოსწავლე და სთხოვეთ, სამივე წინადადებაში გახაზოს არსებითი სახელი – არწივი.

– რა დაემართა ამ სიტყვას წინადადებებში ჩასმისას? (ფორმა, დაბოლოება შეიცვალა.)
– წინადადებებში არსებითი სახელი დაბოლოებას იცვლის (შემოხაზეთ სამივე ფორმის დაბოლოება).
– რა ეწოდება არსებითი სახელის ასეთ ფორმაცვალებას? (ბრუნება)

აქტივობა 2. *მოსმენა, კითხვა, მეტყველება*

ა) მოსწავლეებს სთხოვეთ, გაკვეთილის ბოლოში მოცემული წინადადებები წაიკითხონ. მათი კარნახით თქვენ ამ წინადადებებს დაფაზე ჩამოწერთ:

არწივი ძლიერი ფრინველია.
არწივმა ცაში შეინავარდა.
არწივს ფრინველების მეფეს უწოდებენ.
არწივის თვალებს რა დაემალება!

არწივით ამაყობენ მთაში მცხოვრებნი.
არწივად ყოფნას ყველა ფრინველი ისურვებდა.
არწივო, მზესთან აფრინდი!

– სულ რამდენი წინადადება ჩამოვწერეთ?
დანომრეთ დაფაზე ჩამოწერილი წინადადებები.
– რამდენი ბრუნვა ყოფილა ქართულში?
შეარჩიეთ მოსწავლე და სთხოვეთ, შვიდივე წინადადებაში გახაზოს არსებითი სახელი – არწივი.

ბ) შეარჩიეთ კიდევ ერთი მოსწავლე და სთხოვეთ, ყველა ხაზგასმული სიტყვა თანმიმდევრობით წაიკითხოს (არწივი, არწივმა, არწივს, არწივის, არწივით, არწივად, არწივო).
მონაცვლეობით წააკითხეთ 7 მოსწავლეს წინადადებები. შემდეგ კი დასვით შეკითხვები:
– ესე იგი, რამდენჯერ ვაბრუნებთ არსებით სახელს ქართულ ენაში?
– რომელ რიცხვშია არსებითი სახელი არწივი ამ წინადადებებში?
გ) – მოდი, ახლა ამ ბრუნვების სახელებს გავეცნოთ!
დაფაზე ჩამოწერილ წინადადებებს შესაბამისი ბრუნვის ფორმის სახელებს მიუწერთ:

1. სახელობითი: არწივი ძლიერი ფრინველია.
2. მოთხრობითი: არწივმა ცაში შეინავარდა.
3. მიცემითი: არწივს ფრინველების მეფეს უწოდებენ.
4. ნათესაობითი: არწივის თვალებს რა დაემალება!
5. მოქმედებითი: არწივით ამაყობენ მთაში მცხოვრებნი.
6. ვითარებითი: არწივად ყოფნას ყველა ფრინველი ისურვებდა.
7. წოდებითი: არწივო, მზესთან აფრინდი!

შემოხაზეთ არსებითი სახელის დაბოლოებები სხვადასხვა ბრუნვაში.
შემდეგ მოსწავლეებს სთხოვეთ, გადაშალონ წიგნები და გაეცნონ გაკვეთილის პირველი სავარჯიშოს პირობას. გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია.
– რას გვეკითხება ეს სავარჯიშო?
– რომელი ყოფილა ამ სიტყვის სახელობითი ბრუნვის ფორმა?
– მოთხრობითი ბრუნვის ფორმა?
– მიცემითი ბრუნვის ფორმა?... და ა. შ.

აქტივობა 3. *წერა*
ა) შეასრულებინეთ მოსწავლეებს დამოუკიდებელი სამუშაო:
სთხოვეთ ბავშვებს, მოიფიქრონ წინადადებები არწივის სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვის ფორმების გამოყენებით და რვეულში ჩაწერონ; ისარგებლეთ დროის ამ მონაკვეთით და დაფაზე დაწერეთ 7 წინადადება, ისე რომ არსებითი სახელი „დათვი“ ყველგან გამოტოვებული იყოს. მიცემული დავალების გამოკითხვის შემდეგ კი სთხოვეთ ბავშვებს, გამოიცნონ, როგორ უნდა ჩაემატოს სიტყვა „დათვი“ დაფაზე ჩამოწერილ წინადადებებში; სწორად შევსებული წინადადებები რვეულში ჩაწერონ.
მასწავლებელი: ამ წინადადებებში გამოტოვებულია არსებითი სახელი „დათვი“; წაიკითხეთ და გამოიცანით, როგორი დაბოლოება უნდა ჰქონდეს ამ სიტყვას თითოეულ წინადადებაში?

1. სახელობითი: ... ტყეში დაბაჯბაჯებს.
2. მოთხრობითი ... ბუნაგიდან გამოიხედა.
3. მიცემითი ... თაფლი უყვარს.
4. ნათესაობითი ... შვილს ბელი ჰქვია.
5. მოქმედებითი ... ბელები ამაყობენ.
6. ვითარებითი ... ყოფნას მელა ნატრობდაო.
7. წოდებითი ... ყანას ნუ ანადგურებ!

ბ) შეარჩიეთ 7 მოსწავლე და თითო-თითო წინადადება წააკითხეთ:

1. „დათვი“ ტყეში დაბაჯბაჯებს. 2. „დათვმა“ ბუნაგიდან გამოიხედა. 3. „დათვს“ თაფლი უყვარს. 4. „დათვის“ შვილს ბელი ჰქვია. 5. „დათვით“ ბელები ამაყობენ. 6. „დათვად“ ყოფნას მელა ნატრობდაო. 7. „დათვო“, ყანას ნუ ანადგურებ!

გ) სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩაიხედონ წიგნში და მოძებნონ, რა წერია მეორე სავარჯიშოს პირობაში. გამოიყენეთ კვლავ ჩუმი კითხვის სტრატეგია და ბავშვებს ტექსტი წააკითხეთ. ეს სავარჯიშოც კლასში შესრულდება.

საშინაო დავალება

გაკვეთილის დასარულს ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს წიგნში მოცემული წერითი დავალება სახლში შესასრულებლად (მოსწ. წიგნი, გვ. 51).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს სახელის ბრუნების ფორმების შერჩევა და მართლწერის ნორმების დაცვით წინადადებების შედგენა.

ორი ლექსი

ბეთანიის გზაზე

ასკილი, მოცხარი, მოცვი...
გზადაგზა კუნელიც გვხვდება...
აღარ წვიმს... ლამაზი მხრები
გაშალეს ლამაზმა მთებმა...
მივდივართ, მივდივართ, ცივი
სექტემბრის ქარები ქრიან...
სველ გზაზე წაბლის და იფნის
და მუხის ფოთლები ყრია...
მოვედით სამადლოს ხევთან...
ნისლებში დანთქმულა ისიც...
მე მინდა... სულ ვიყო შენთან,
როგორც ეს მთები და ნისლი!
ასკილი, მოცხარი, მოცვი
გზადაგზა კუნელიც გვხვდება...
აღარ წვიმს, ლამაზი მხრები
გაშალეს ლამაზმა მთებმა...

ანა კალანდაძე

მაისური

მიყვარს, ყანაში როცა მიდიხარ,
მიყვარს ვენახში თუთის დარხევა;
როცა გაისმის ქართლში გვრიტის ხმა
და გაზაფხული გაიჩარხება.

მიყვარს მთებიდან ნათქრიალები
ბარში ნიაღვრის ღვართა გალობა;
როცა სიმღერით ხეებს ქალები
შეესევიან ახალბალობას...

მიყვარს მშუქარი ვაზის ყვავილი,
ხეს რომ ფოთოლი დაეწმინდება,
როცა ოცნებით ყანას გავივლი,
ყანის სიწმინდე როს მომინდება.

მომელანდება სხვა სიხარული,
დაუღალავი მისი მშვენება,
და ლურჯი ზეცა მტრედისმხარული
გულზე ნათელით დამესვენება.

გიორგი ლეონიძე

ორაგულის ცხოვრება

1. ორაგულის სიყმაწვილე

შუა ქართლში, კავკასიონის ქედის კალთიდან, პაწია წყარომ ცელქად გამოხეთქა, თამაშით დაეშვა ქვემოთ და სწრაფად დაიწყო ჩანჩქარი მინდვრებსა და ტყიან მთებს შუა. ჩვენი ჩანჩქარა წყარო ბროლივით წმინდა იყო, ამიტომ მის ნაპირზე ამოსული ტირიფები ისე ჩანდა წყალში, როგორც სარკეში; მის ძირზე კი კენჭებს სათითაოდ დაითვლიდი. წყაროს წყლის ძირზე, ქვებს შუა, ათასობით ეწყო თევზის პაწაწა კვერცხები, ანუ ქვირითი. ამ კვერცხებს ნაჭუჭის მაგივრად სიფრიფანა კანი ჰქონდა და ამ გამჭვირვალე კანში ყველაფერი ჩანდა.

შუადღისას მზე თავის შუქს ღონივრად ჩაანათებდა ხოლმე ფშანში და წყალსა და ქვებს ათბობდა. ცხელ დღეში რომ ქვირითს დაჰკვირვებოდი, შიგ ერთ ბეწო ლიფსიტებს დაინახავდი. თითოეულ ლიფსიტას პირი და თვალები უჩანდა. ახალი ჩასახული თევზი ისეთი წვრილი და ბროლივით წმინდა იყო, რომ ცხადად დაინახავდი იმის სისხლის მოძრაობასა და ძარღვის ფეთქვას.

აი, პაწაწა ლიფსიტამ სიფრიფანა რბილი კანიდან გარეთ გამოიტანა ჯერ თავი, მერე ტანი და უკანასკნელად ბოლო, რომელიც ჯერ ისევ მორკალული იყო, რადგანაც ქვირითში თევზი რკალივით მოხვეული იწვა. როცა თანდათან ბოლო გაუსწორდა, ლიფსიტამ წყალს დაჰკრა და გაცურა. რამდენიმე საათის შემდეგ ქვიშიდან და ქვებიდან უკვე ათასობით გამოიცქირებოდნენ პაწაწინა ლიფსიტები. კვერცხებიდან გამოსვლის შემდეგ ისინი მყუდრო, პატარა ყურისკენ* მისრიალებდნენ. ამ ლიფსიტებს არც დედა ჰყავდათ გვერდით და არც მამა, ცურვასაც არავინ ასწავლიდათ. ყველა თვითონ ცდილობდა, გზა გაეკვლია ცხოვრებაში.

ჩვენი პაწაწინა ლიფსიტების კანი ერთი ფერისა არ იყო: გვერდზე მოლურჯო ფერი დაჰკრავდა, მუცელზე – მოწითალო, ზურგზე კი – მოშავო. მზეზე ლიფსიტები ვერცხლივით ბრჭყვიალებდნენ, შუბლზე შავი ნიშანი უჩანდათ. ეს ლიფსიტები პატარა ორაგულები იყვნენ. წყალს დაჰქონდა ისინი და არხევდა, როგორც დედა არწევს თავის შვილს აკვანში. წყალივე ზრუნავდა იმათ საჭმელზე, მიჰქონდა სწორედ იმათ პირთან გემრიელი ჭიები, მატლები, თევზებს პირის გაღებისა და ჩაყლაპვის მეტი აღარა უნდოდათ რა. ლიფსიტები წყალს ზემოთ მარდად მოექცეოდნენ ხოლმე და მხიარულად ქანაობდნენ თავიანთი საცურაო ფრთების შემწე-

ობით. ცურვაში მათ დიდად შველოდა საცურაო ბუშტი, რომელიც სხეულის შიგნით იყო მოქცეული და ჰაერით იყო გავსებული. თითო გარტყმა ბოლოსი წყალზე ლიფსიტებს შორს ამოაყოფინებდა ხოლმე თავს. რადგან ტანი ნავსავით ჰქონდათ მოყვანილი, ლიფსიტები წყალს ადვილად აპობდნენ და შიგ საკვირველი სისწრაფით დასრიალებდნენ.

რამდენადაც ღონე და სიმარდე ემატებოდათ ჩვენს პატარა თევზებს, იმდენად უფრო გულადნი ხდებოდნენ; თანდათან უფრო და უფრო შორს მიდიოდნენ მყუდრო ყურიდან, ეჩვეოდნენ დაქანებულ წყალთან ბრძოლას, სწავლობდნენ ტალღის წინააღმდეგ ცურვას და ერთმანეთს სწრაფად სრიალში ეჯიბრებოდნენ.

უპასუხე

1. რატომ ადარებს მწერალი წყაროს ერთგან ბროლს და მეორეგან – სარკეს?

გაიხსენე

2. რა არის საერთო ამ ტექსტსა და რევაზ ინანიშვილის „ფშას“ შორის?

მოძებნე ტექსტში

3. რა შეძლეს პატარა თევზებმა, როცა ღონე და სიმარდე მოემატათ (ჩამოთვალე მათი ოთხი მოქმედება)?

უპასუხე შეკითხვებს

4. ბოკვრისა და მართვესაგან განსხვავებით, როგორ იწყებს ცხოვრებას ლიფსიტა?
5. რატომ შეადარა მწერალმა წყაროს წყალი დედას?
6. აღწერე ორაგულის ლიფსიტას გარეგნობა (კანის ფერები, ტანის მოყვანილობა და სხეულის ნაწილები).

დაწერე (დავალება)

7. დაწერე მოსმენილი მოთხრობის მოკლე შინაარსი.

ცისარტყელა

მაისი იდგა. ცა შავად მოიღრუბლა და კარგა ხანს იწვიმა. ამ დროს ფარდულს ქვეშ იდგნენ სოსო და დიმიტრი და სიამოვნებით ყურს უგდებდნენ წვიმის შხაპაშხუპს მცენარეებზე. შემდეგ ღრუბლებმა თანდათან აღმოსავლეთისკენ მოგროვება იწყო. პატარა ხანს უკან დასავლეთისკენ ცა სრულიად მოიწმინდა და აღმოსავლეთისკენ კი ისევ წვიმდა. მზემ გამოანათა თუ არა, მაშინვე აღმოსავლეთისკენ ცას მშვენიერი ფერადი რკალი გადაეკრა. ჩვენმა ყმაწვილებმა დიდი სიამოვნებით დაუწყეს ცქერა ბუნების ამ საამურ მოვლენას.

– მართლა, ეს ფერადი ცისარტყელა როგორღა ჩნდება? – ჰკითხა უეცრად სოსომ დიმიტრის.

– ცისარტყელა, ჩემო სოსო, მზის სხივებისაგან წარმოდგება. მზის თეთრი სხივი მარტივი არ არის; იმას შეადგენს შვიდი ფერი: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, მტრედისფერი და იისფერი. როცა ეს შვიდივე ფერი ერთად არის შეერთებული, მაშინ მზის სხივს თეთრი ფერი აქვს. მაგრამ თუ წყლის ნამები ბლომად მოდის მაღლიდან ქვევით და ამ დროს იმათ მზე მიადგა, მაშინ მზის სხივი, წყლის ნამში გავლის დროს, შვიდ ნაწილად იყოფა, თითოეულ ფერს ცალ-ცალკე დავინახავთ და ცისარტყელას მსგავსი მოვლენა გაჩნდება. ეს მოხდება ხოლმე, მაგალითად, იქ, სადაც მდინარე მაღლობიდან ქვევით, ღრანტეში გადაქუხს; კიდევ მაშინ, როცა შადრევნიდან წყალი მაღლა ადის და ამას მზის შუქი ადგას. მე შენთვის, სოსო, შინაც ბევრჯერ მიჩვენებია ცისარტყელასთანა მოვლენა. ფანჯარაზე წყლით სავსე სურა რამდენჯერმე დამიდგამს მზის პირდაპირ და სიხარულით გიყურებია, როცა მზის სხივი სურაში გავლის შემდეგ შვიდფრად გარდაქცეულა და სურის მეორე გვერდზე ფერადი სარტყელივით გაგრძელებულა. ცაშიაც სწორედ ასე ჩნდება ცისარტყელა. ცისარტყელა მაშინ გამოისახება ხოლმე, როცა ერთ მხარეზე ხშირი წვიმა მოდის, როგორც, აი, ახლა, და მეორე მხრიდან მზე იცქირება; მზის სხივები წვიმის წვეთებში გავლის დროს შვიდფრად იყოფება და ფერადი სარტყელივით ცას გადაეკვრება ხოლმე. ამას ვეძახით ჩვენ ცისარტყელას.

იაკობ გოგებაშვილი

თავი 4 – უხსოვარი დროის ამბებიდან

გრამატიკა – ზმნა და არსებითი სახელი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ უნდა შეისწავლოს სახელის ფორმაცვალების წესები; სწორად შეარჩიოს სახელის ბრუნვის ფორმა ზმნის სინტაქსური კონსტრუქციის მიხედვით.

მოსწავლემ უნდა შეძლოს ზმნისა და არსებითი სახელის ერთმანეთისაგან გარჩევა და გაიაზროს, რა კავშირი შეიძლება იყოს ზმნასა და არსებით სახელს შორის წინადადებაში.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.

- სწორად უთანხმებს ზმნას არსებით სახელებსა და ნაცვალსახელებს პირისა და რიცხვის მიხედვით;

ქართ.დაწყ.(I).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მართებულად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.

- ავლენს სახელის ფორმაცვალების წესების ცოდნას (მაგ., სწორად არჩევს სახელის ბრუნვის ფორმებს ზმნის სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით) და სათანადოდ იყენებს მას;

სტრატეგიები

1. დაჯგუფება მსგავსების აღმოჩენის მიზნით; 2. შედარება განსხვავების აღმოსაჩენად.

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *მოსმენა, კითხვა, წერა*

ა) აუხსენით მოსწავლეებს, რომ მათ გრამატიკის გაკვეთილი უტარდებათ; ისაუბრეთ გრამატიკის შესახებ:

გრამატიკა ენის თავისებურებებსა და წესებს შეისწავლის. ყოველ ენას თავისი წესები აქვს. ენის მკვლევრები აკვირდებიან სიტყვას თუ წინადადებას და გარკვეულ წესებს აღმოაჩენენ. ენის კარგი ცოდნა კი ამ წესების დაცვას ნიშნავს.

დღეს ჩვენ სიტყვებს უნდა დავაკვირდეთ. ენათმეცნიერებმა სიტყვები მსგავსების მიხედვით დააჯ-გუფეს – კლასებად დაყვეს. მაგალითად, სიტყვების ერთ კლასს ზმნა ეწოდება.

ბ) დაწერეთ დაფაზე წინადადებები შესწავლილი ნაწარმოებებიდან:

ქორმა წიწილა წაიღო.

ორაგული ბადიდან გამოძვრა.

დასვით შეკითხვები:

– რამდენი წინადადება წერია დაფაზე? რამდენი სიტყვაა თითოეულ წინადადებაში?

– რომელი სიტყვა გამოხატავს ქორის მოქმედებას? ორაგულის მოქმედებას?

– რა უწოდეს სიტყვებს, რომლებიც მოქმედებას გამოხატავს? (სიტყვებს, რომლებიც მოქმედებას გამოხატავს, ზმნა ეწოდება.)

რომელიმე მოსწავლეს სთხოვეთ, გამოვიდეს დაფასთან და წინადადებებში ზმნებს ხაზი გაუსვას.

– რა ქნა ქორმა? ორაგულმა?

გ) დაწერეთ დაფაზე ახალი საგაკვეთილო მასალის პირველი წინადადება:

ადამიანი მზეს ეთაყვანება.

სთხოვეთ ბავშვებს, წინადადება დაფიდან რვეულში გადაიწერონ და ზმნას ქვეშ ხაზი გაუსვან. დასვით შეკითხვა: რას შვრება ადამიანი? აპოვნინეთ მოსწავლეებს ზმნა.

დაფაზე დაწერეთ სხვა წინადადება:

ძაღლმა კატა დაინახა, შეუღრინა და აყეფდა.

მიმართეთ მოსწავლეებს:

– ამ წინადადებაში კი სამი ზმნაა. ვფიქრობ, თქვენ შეგიძლიათ მათი ამოცნობა.

სთხოვეთ მოსწავლეებს, ეს წინადადებაც რვეულში ჩაწერონ და ზმნებს ხაზი გაუსვან. გააფრთხილეთ ბავშვები, დაიხმარონ შეკითხვა: რა ქნა?

ამუშავეთ მოსწავლეები წყვილებად: დაავალეთ მათ, გაცვალონ რვეულები და შეუმოწმონ ერთმანეთს ნაწერი: მართლაც სწორად არის თუ არა ხაზგასმული სამივე ზმნა (დაინახა, შეუღრინა, აყეფდა).

შემდეგ კი შესამოწმებლად დაფაზე ზმნები თქვენც გახაზეთ.

დ) წარმოაჩინეთ ენაში ზმნის დიდი როლი და მნიშვნელობა:

– ზმნა წინადადების ყველაზე მთავარი წევრია. ზმნა ისეთი სიტყვაა, რომლითაც ზოგჯერ მთლიანად წინადადებას გამოვხატავთ. მაგალითისათვის დაწერეთ დაფაზე ერთსიტყვიანი წინადადებები: წვიმს. ცივა. თენდება...

– ვინ მოიფიქრებს სხვა ერთსიტყვიან წინადადებას? (ღამდება, თოვს და სხვ.)

– დააკვირდით დაფაზე დაწერილ წინადადებებს. მას თუ ზმნებს ამოვაკლებთ, ამბავს მაინც გავიგებთ? წაშალეთ ზმნები დაფაზე მოცემულ წინადადებებში:

ქორმა წიწილა	ორაგული ბადიდან ... .
ადამიანი მზეს	ძაღლმა კატა ..., ... და ... .

აქტივობა 2. *მოსმენა, კითხვა*

ა) დაფაზე დაწერეთ მაგალითები საგაკვეთილო მასალიდან:

მხოლობითი რიცხვი:	მრავლობითი რიცხვი:
ადამიანი მზეს ეთაყვანება.	ადამიანები მზეს ეთაყვანებიან.
ძაღლი აყეფდა.	ძაღლები აყეფდნენ.
ცაზე ვარსკვლავი მოჩანს.	ცაზე ვარსკვლავები მოჩანს.

ჰკითხეთ მოსწავლეებს:

– რომელ წინადადებებშია არსებითი სახელი მრავლობით რიცხვში?

– რომელ წინადადებებშია არსებითი სახელი მხოლობით რიცხვში?

– რომელ წინადადებაშია არსებითი სახელიც და ზმნაც მრავლობით რიცხვში?

– რომელ წინადადებაშია არსებითი სახელი მრავლობით რიცხვში, ხოლო ზმნა – მხოლობითში? რატომ? როგორია ეს არსებითი სახელი?

– რა წესს მივაგენით? (უსულო არსებით სახელებთან ზმნა მხოლობით რიცხვშია.)

ბ) შემდეგ დაწერეთ დაფაზე წინადადებები, გახაზეთ მრავლობით რიცხვში მდგარი არსებითი სახელები და **სთხოვეთ მოსწავლეებს, ზმნები დაასრულონ**:

მინდორში ყაყაჩოები ამოვიდ... (ამოვიდა).

მინდორში უამრავი ყაყაჩო ამოვიდ... (ამოვიდა).

ცეცხლისაგან მხოლოდ ნაკვერჩხლები დარჩ... (დარჩა).

ცეცხლისაგან უამრავი ნაკვერჩხალი დარჩ... (დარჩა).

ბაღში ვარდები გაიშალ... (გაიშალა).

ბაღში ბევრი ადამიანი სეირნობ... (სეირნობს).

ადამიანები დედამიწაზე რამდენიმე მილიონი წლის წინ გაჩნდ... (გაჩნდნენ).

ან: შეგიძლიათ, დაფასთან სათითაოდ გამოიყვანოთ მოსწავლეები და ეს დავალებები 5 მოსწავლეს ინდივიდუალურად შეასრულებინოთ.

დასვით შეკითხვა:

– **პირველ ექვს წინადადებაში არსებითი სახელები მრავლობითშია, ზმნები კი – მხოლობითში; რატომ?! როგორია ეს არსებითი სახელები?** (უსულო)

გარდა ამისა, აუხსენეთ მოსწავლეებს ქართულ ენაში სულიერი და უსულო არსებითი სახელების ზმნებთან შეწყვილების თავისებურებანი. მაგალითად: ქალმა ჩანთა (უსულო) აიღო და ბავშვი (სულიერი) აიყვანა; წიგნი დადო, ბავშვი დასვა.

აქტივობა 3. *წერა*

შეასრულებინეთ მოსწავლეებს დამოუკიდებელი სამუშაო:

ა) სთხოვეთ მათ, იპოვონ წიგნში პირველი სავარჯიშო, ყურადღებით გადაიწერონ წინადადებები და ზმნები დაასრულონ.

ამუშავეთ მოსწავლეები წყვილებში: დაავალეთ მათ, გაცვალონ რვეულები და შეუმოწმონ ერთმანეთს ნაწერი: მართლაც სწორად არის თუ არა დასრულებული ზმნები. შემოწმების მიზნით, შეარჩიეთ 3 მოსწავლე, თითო წინადადება წააკითხეთ და დააზუსტეთ, როგორ შეასრულა კლასმა სამუშაო.

მოსწავლეებთან ერთად ჩამოთვალეთ, როგორ უნდა დაესრულებინათ ეს ზმნები და დაფაზე ჩამოწერეთ.

გაკვეთილის დასარულს ჩაანიშნინეთ მოსწავლეებს წიგნში მოცემული წერითი დავალება (მე-2 სავარჯიშო) სახლში შესასრულებლად: მათ ჯ. ნადირაძის ტექსტიდან უნდა ამოიწერონ მესამე პირში მდგარი ზმნების მხოლობითისა და მრავლობითის სამ-სამი ფორმა (მოსწ. წიგნი, გვ 82).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლეს ზმნისა და არსებითი სახელის ერთმანეთისაგან გარჩევა; რიცხვში არსებითი სახელებისა და ზმნის სწორად შეთანხმება.

ულუ და თეთ (I და II ამბავი)

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს კითხვის (წაკითხულის გააზრების) ძირითადი სტრატეგიების ათვისება და გამოყენება; ტექსტის მთავარი საკითხების გამოყოფა; მოვლენებსა და ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ამოცნობა, როგორც ტექსტის ერთ მონაკვეთში, ისე მის სხვადასხვა ნაწილს შორის; პერსონაჟთა განცდებისა და მიზნების ამოცნობა და დასკვნის გამოტანა; პერსონაჟის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- გამოყოფს ტექსტის მთავარ საკითხს, ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;
- მოიძიებს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., მოვლენათა, მოქმედებათა დროსა და ადგილს);
- აკვირდება პერსონაჟთა ქცევას, მოქმედებას, თვისებებს და დაკვირვების საფუძველზე გამოაქვს სათანადო დასკვნა მათი აზრების, განზრახვების, განცდების შესახებ;
- საუბრობს სათაურისა და ტექსტის აზრობრივ/ შინაარსობრივ ურთიერთკავშირზე;

ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.

- ავლენს მხატვრული ტექსტების ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილს;
- მიუთითებს, რით დაინტერესდა/რა მოეწონა ტექსტში (ინფორმაცია, ამბავი, პერსონაჟის საქციელი, ბუნების აღწერა, დიალოგები თუ სხვა);

ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.

- დამოუკიდებლად პოულობს ტექსტში სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც ავტორი იყენებს პერსონაჟების, ფაქტებისა და მოვლენების აღსაწერად;

ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- ამოიცნობს უცნობი სიტყვების/გამოთქმების მნიშვნელობას ნაცნობი ელემენტების (ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, კონტექსტისა და სხვ.) დახმარებით.

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *კითხვა და მეტყველება*

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს, უკითხავს შესავალ ტექსტს უძველესი ადამიანების შესახებ და ყურადღებას ამახვილებს მოთხრობის სათაურზე „ულუ და თეთ“.

– დააკვირდით ამ ტექსტის სათაურს („ულუ და თეთ“).

– თქვენი აზრით, ვინ არიან ულუ და თეთ? (მოთხრობის პერსონაჟები)

– ამ პერსონაჟებიდან ერთი გოგონაა, მეორე კი – ბიჭი. სახელების ხმოვანების (ჟღერადობის) მიხედვით, თქვენი აზრით, რომელია გოგონა და რომელია ბიჭი? (სავარაუდო პასუხები: თეთ გოგონაა, რადგან

ეს სახელი უფრო რბილად ჟღერს, უფრო ნაზად გამოითქმის. უღუ ბიჭი უნდა იყოს, ეს სახელი უფრო მკაცრად, ვაჟკაცურად ჟღერს).

– რატომ მოუგონა ავტორმა ასეთი უცნაური, თანაც მოკლე სახელები თავის პერსონაჟებს? (სავარაუდო პასუხები: ამ უცნაური სახელების მეშვეობით უფრო კარგად რომ შევიგრძნოთ ის შორეული, იდუმალებით აღსავსე დრო, რომელიც ამ მოთხრობაშია აღწერილი; თავისი პერსონაჟებისათვის მოკლე სახელების შერქმევით ავტორს სურს, გვიჩვენოს, რომ პირველყოფილი ადამიანის მეტყველება კარგად განვითარებული არ იყო, ის მოკლე, მარტივი სიტყვებისაგან შედგებოდა და მისთ.) იმსჯელეთ კლასში ამის შესახებ.

– რას ფიქრობთ, რა თავგადასავლები გადახდებათ უღუსა და თეთს?

შესავალ ტექსტზე „უძველესი ადამიანები“ დაყრდნობით გამოათქმევინეთ ბავშვებს საკუთარი ვერსიები.

აქტივობა 2. *I ნაწილის წაკითხვა, წაკითხულის გააზრება, მეტყველება*

I ნაწილი (უღუს, თეთისა და მათი მშობლების გარეგნული აღწერა, მათი გამოქვაბულის აღწერა).

ა) გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია. ყველა მოსწავლე დამოუკიდებლად, ჩუმად კითხულობს. მოსალოდნელია, კითხვისას შეიქმნას სირთულე ზოგიერთ ლექსიკურ ერთეულთან მიმართებით (სერი, ხალვათი, ცქვიტი, მონუსხულივით, წვივსაკრავები). ჩამოწერეთ ისინი დაფაზე და ტექსტის კითხვის დასრულების შემდეგ მოუწოდეთ ბავშვებს, თვითონ ახსნან ეს სიტყვები კონტექსტიდან გამომდინარე.

ბ) გამოიყენეთ ამორჩევით კითხვის სტრატეგია – ტექსტის ერთი რომელიმე პასაჟის მოძებნა და წაკითხვა.

სთხოვეთ ერთ-ერთ მოსწავლეს, იპოვოს და წაიკითხოს ტექსტის ის პასაჟი, რომელშიც აღწერილია პეიზაჟი (II აბზაცი), ბავშვებს ყურადღება გაამახვილებინეთ მხატვრულ სახეზე „მზისფერი მდინარე“.

– რა მოჩანდა იმ მღვიმიდან, რომელშიც უღუ და თეთ ცხოვრობდნენ?

სხვა მოსწავლეებს სთხოვეთ, ხმამაღლა წაიკითხონ ის პასაჟი, რომელშიც აღწერილნი არიან ბავშვები (III აბზაცი) და მათი მშობლები (IV აბზაცი). შემდეგ კლასში იმსჯელეთ:

– უღუს, თეთისა და მათი მშობლების, ბასა და ნენის, გარეგნობათა აღწერიდან რომელია, თქვენი აზრით, ყველაზე სრულყოფილი? სთხოვეთ მოსწავლეებს, საკუთარი აზრი დაასაბუთონ ტექსტიდან მოყვანილი მაგალითებით (სავარაუდო პასუხი: ყველაზე კარგად ბავშვების დედა, ნენ არის აღწერილი. მის შესახებ ვიგებთ, თუ როგორი თვალები და თმები ჰქონდა, რა ეცვა და როგორ სამკაულს ატარებდა).

მოსწავლეებს სთხოვეთ, კარგად დააკვირდნენ II აბზაცს. გარდა გარეგნობის აღწერისა, ხომ არ იძლევა ეს პასაჟი ინფორმაციას უღუსა და თეთის ხასიათის თვისებების შესახებ?

– როგორი ბიჭია უღუ? როგორია თეთ? დაასაბუთეთ თქვენი აზრი ტექსტის მიხედვით (სავარაუდო პასუხი: უღუ „ხშირად იჯდა მღვიმის პირას და მონუსხულივით შეჰყურებდა თვალწარმტაც სანახაობას“ – ე. ი. ის მეოცნებე ბიჭია, უყვარს ბუნება და აფასებს მშვენიერებას. „თეთს უფრო გამოქვაბულში ფუსფუსი ეხალისებოდა“ – ე. ი. ის მზრუნველი გოგონაა, ფიქრობს თავის ახლობლებზე).

მოსწავლეებს ესაუბრეთ აღწერის, როგორც მხატვრული ხერხის შესახებ (მოსწავლის წიგნის მე-100 გვერდი).

აქტივობა 3. *II ნაწილის წაკითხვა, წაკითხულის გააზრება, მეტყველება*

II ნაწილი: უღუ – პირველყოფილი მხატვარი

გამოაცხადეთ კითხვის წუთები. გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია.

კითხვების დასმისას შეეცადეთ, ბავშვებს ყურადღება გაამახვილებინოთ ნადირობის ექსპრესიულ

სურათზე და იმაზე, თუ რამ მისცა ბიძგი უღუს, მოეხატა გამოქვაბული – შეექმნა ხელოვნების ნიმუში.

– რით გამოირჩეოდა ეს უცნაური ნადირობა ჩვეულებრივი ნადირობისაგან? რა მატებდა მას განსაკუთრებულ სისასტიკეს? (სავარაუდო პასუხი: განსაკუთრებულ სისასტიკეს ამ ნადირობას მატებს ის, რომ ცხოველები ორმაგ საფრთხეში არიან ჩაცვენილნი, ალმოდებული ტყიდან გაქცეულები, კლდეებიდან იჩეხებიან, რასაც ადამიანთა სისასტიკეც ემატება).

– იპოვეთ ტექსტში ის წინადადება, რომლიდანაც ჩანს, რომ უღუ ძალიან ააღელვა ამ უცნაური ნადირობის ხილვამ („უღუ გარინდებული შესცქეროდა ამ სანახაობას. უცებ ადგილს მოსწყდა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა მღვიმისაკენ“.).

კლასში იმსჯელეთ იმის შესახებ, თუ რა გრძნობა გამოიწვია მოსწავლეებში ნადირობის სცენის წაკითხვამ, ვისთვის რომელი ფრაზა აღმოჩნდა განსაკუთრებით შთამბეჭდავი, დინამიკური და რატომ.

– რატომ გამოსახა უღუმ მღვიმის კედელზე ნადირობის სურათი?

(ა) მას უნდოდა, ამ ნახატის საშუალებით გადმოეცა ნადირობის ამბავი ბასა და ნენისათვის.

(ბ) მას ამ ნახატით თავისი მღვიმის მორთვა და გალამაზება უნდოდა.

(გ) მას ამ ნახატით თავისი გრძნობებისა და განცდების გამოხატვა მოუნდა (ან: ხატვა მისთვის თავისი გრძნობებისა და განცდების გამოხატვის საშუალება აღმოჩნდა.).

ეს არის შეკითხვა არჩევითი პასუხით, რომელსაც სამი სავარაუდო ვარიანტი ახლავს. სწორი პასუხია (გ). შეკითხვა რთულ კატეგორიას განეკუთვნება. მკითხველმა უნდა შეძლოს ტექსტში ფარულად, ინპლიციტურად ჩადებული აზრის ამოცნობა, ამიტომ შეიძლება დამატებითი საუბრით დავეხმაროთ მოსწავლეებს. მაგალითად, ვესაუბროთ საკითხებზე, როგორიცაა: აღელვებული ადამიანი ცდილობს თავისი გრძნობების გამოხატვას და ამას სხვადასხვა გზით ახერხებს, როგორია ამ კუთხით თავად ბავშვების ცხოვრებისეული გამოცდილება, რა დამოკიდებულება აქვთ მათ ხატვისადმი. სწორი პასუხის განსაზღვრის შემდეგ ბავშვებთან ერთად განიხილეთ, თუ რატომ არ არის სწორი პასუხები (ა) და (ბ). ისინი არასწორია იმიტომ, რომ ამის შესახებ (ნახატის საშუალებით მშობლებისათვის ნადირობის ამბის აღწერა, გამოქვაბულის გალამაზება) ტექსტში არაფერია ნათქვამი. ეს გამოცდილება მათ მომავალშიც დაეხმარება ტესტურ კითხვებზე მუშაობისას.

აქტივობა 4. *კითხვა, წერა*

მოსწავლეებს კლასში დამოუკიდებლად შეასრულებინეთ II ტექსტზე დართული წერითი დავალებები:

– დაასათაურე ტექსტის II აბზაცი (სავარაუდო სათაურები: „პირველი მხატვრის დაბადება“, „უძველესი ნახატები“ და მისთ.)

– ამოწერე მღვიმის კედელზე გამოსახული სურათის აღწერიდან ის სიტყვები, რომლებიდანაც ჩანს, რომ უღუს ნახატი ძალიან კარგად ასახავდა სინამდვილეს (ნებისმიერი ფრაზა პასაჟიდან: „ხატავდა აქოჩრილ მთაზე ხანძარს ... ცხოველთა ღმუილის ხმა მოისმოდა“.).

მიეცით საშინაო დავალება წერილობით შესასრულებლად:

– წარმოიდგინე, რომ ხარ უღუსა და თეთის ძმა (ან და) და თქვენ ყველანი ერთად წახვედით ოქროსფერ მდინარეზე. იქ პირველად ნახეთ თევზები. როგორი იყო თქვენი შთაბეჭდილება? რა ქენით, როგორ მოიქეცით?

აუხსენით ბავშვებს, რომ მათ უნდა დაწერონ I პირში პატარა მოთხრობა („მე და ჩემი და-ძმა ...ჩვენ ...“), რომელშიც აღწერილი იქნება მოგზაურობა ოქროსფერი მდინარისაკენ, ბავშვების ფიქრები, განცდები და შთაბეჭდილებები ამ მოგზაურობისას (სათაური – „ოქროსფერი მდინარე“).

უძველესი ნახატები

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს ილუსტრაციის დახმარებით ტექსტის უცნობი სიტყვების გაგება; შეკითხვების დასმა წაკითხულის თაობაზე; ტექსტში მოცემული ამბების წარმოსახვაში გაცოცხლება; ტექსტის ინფორმაციის დაკავშირება საკუთარ ცოდნასთან და, შედეგად, დასკვნის გამოტანა; ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების წერილობით გადმოცემა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და მისი ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.

- აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას საკუთარ გამოცდილებასთან, გამოკვეთს მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებას, გამოაქვს სათანადო დასკვნა;
- მიუთითებს, რით დაინტერესდა / რა მოეწონა ტექსტში (ინფორმაცია, ამბავი, პერსონაჟის საქციელი, ბუნების აღწერა, დიალოგები თუ სხვა);

ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით სვამს კითხვებს წაკითხულის შესახებ;
- აცნობიერებს სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ტექსტის გაგებას უწყობს ხელს (მასში გადმოცემული ამბების წარმოსახვაში გაცოცხლება, ტექსტში გადმოცემული ამბის ინსცენირება, ცალკეული მონაკვეთის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა და სხვ.);

ქართ.დაწყ.(I).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.

- გამოხატავს საკუთარ მოსაზრებას/დამოკიდებულებას, ცდილობს მის ახსნას.

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *კითხვა და მეტყველება*

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას ამახვილებს გაკვეთილის სათაურზე „უძველესი ნახატები“.

– ეს ტექსტი უკავშირდება თქვენ მიერ უკვე ნასწავლ მოთხრობას „უღუ და თეთ“. თქვენი აზრით, სათაურის მიხედვით („უძველესი ნახატები“), რა შეიძლება აერთიანებდეს ამ ორ ტექსტს? (სათაურის მიხედვით, ამ ტექსტშიც საუბარი იქნება იმ უძველესი ეპოქის შესახებ, როდესაც უღუ და თეთ ცხოვრობდნენ; უღუ ნახატებს ხატავდა გამოქვაბულის კედლებზე, ამჯერადაც ალბათ საუბარი იქნება პირველყოფილი ადამიანების ნახატებზე).

– კიდევ ერთხელ გადავიკითხოთ წინათქმა „უძველესი ადამიანები“, რომელიც უძღვის მოთხრობას „უღუ და თეთ“ და მივაქციოთ ყურადღება წინადადებას: „მათ (იგულისხმებიან პირველყოფილი ადამიანები) ამქვეყნად თავიანთი ნაკვალევი დატოვეს, რომლის მიხედვითაც ვცდილობთ, გავიგოთ, თუ როგორ ცხოვრობდნენ და შრომობდნენ ... უძველესი ადამიანები“. როგორ გესმით ეს, რა არის ნაგულისხმევი უძველესი ადამიანების ნაკვალევში? (პირველყოფილი ადამიანების იარაღები – ძველი ცულები, ხელკეტები, აგრეთვე, ცხოველების კბილებისაგან დამზადებული უძველესი სამკაული, პირველყოფილი

ადამიანების ძვლები, თავის ქალა და ა. შ.).

– რა ეწოდება იმ მეცნიერებას, რომელიც ადამიანის შორეულ წარსულს უძველესი დროიდან მოღწეული ამგვარი „ნაკვალევის“ მიხედვით შეისწავლის? (არქეოლოგია)

– რა იცით არქეოლოგიაზე? ხომ არ გსმენიათ რაიმე საინტერესო არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ? მამაკაცისა და ქალის („ზეზვასა და მზიას“) თავის ქალების აღმოჩენა სოფ. დმანისში, ტროის აღმოჩენა და ა. შ.

აქტივობა 2. / *ნაწილის წაკითხვა, წაკითხულის გააზრება, მეტყველება*

ალტამირას გამოქვაბულის აღმოჩენა

გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია. ყველა მოსწავლე დამოუკიდებლად, ჩუმად კითხულობს ტექსტს. დაავალეთ მოსწავლეებს, დაასათაურონ ცალკეული აბზაცი. კითხვის დასრულების შემდეგ ხმამაღლა წააკითხეთ ბავშვებს აბზაცთა დასათაურებები, ჰკითხეთ, რით ხელმძღვანელობდნენ აბზაცთა დასათაურებისას (აუხსენით, რომ ნებისმიერი სათაურის შერჩევისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მოცემული მონაკვეთის მთავარ აზრზე, ძირითად სათქმელზე). განიხილეთ მოსწავლეთა ვარიანტები. შერჩეული სათაურები მოსწავლეებმა რვეულებში ჩაწერონ.

კითხვების დასმის დროს მოსწავლეთა ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ ტექსტი მთლიანად ფაქტებზე – ნამდვილ ამბებზეა აგებული.

– როგორ მიაგნო მონადირემ მღვიმეს? (მოსწავლეებმა მოკლედ უნდა გადმოსცენ I აბზაცის შინაარსი)

– თავიდან რატომ არ დაინტერესდა საუთოლა გამოქვაბულით? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას მოსწავლეთა ყურადღება გაამახვილეთ ტერმინზე „მოყვარული“ („მოყვარული არქეოლოგი“). მოკლედ გაესაუბრეთ თემაზე, რას ნიშნავს „მოყვარული“ და „სპეციალისტი“, რა უპირატესობით სარგებლობს სპეციალისტი მოყვარულთან შედარებით, თუმცა აღნიშნეთ ისიც, რომ არსებობს გამონაკლისიც (შეგიძლიათ ბავშვებს მოუყვანოთ შლიმანის – მოყვარული არქეოლოგის შესახებ).

– რამ გადააწყვეტინა საუთოლას არქეოლოგიური გათხრების მოწყობა ალტამირას გამოქვაბულში? (პარიზში პირველყოფილი ადამიანების შესახებ მოწყობილი გამოფენის ნახვამ). – შეგიძლიათ, ბავშვებს გაესაუბროთ გამოფენებისა და, ზოგადად, მუზეუმების მნიშვნელობის შესახებ: ყოფილან თუ არა მუზეუმში, აქვთ თუ არა ნანახი რაიმე საინტერესო გამოფენა და რა ზეგავლენა მოახდინა გამოფენის ნახვამ მათზე.

– კედლებზე გამოსახული ნახატების გარდა, კიდევ რა მიანიშნებდა იმას, რომ ალტამირას გამოქვაბულში ძველად ადამიანები ცხოვრობდნენ? („საუთოლამ ... გათხრების შედეგად შესანიშნავად ნახელავი ქვის იარაღი იპოვა“) – მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ ტექსტში ცხადად, ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაცია, რომელიც, მართალია, მეორეხარისხოვანია, მაგრამ არ არის უმნიშვნელო. წახალისების მიზნით, ბავშვებმა შეიძლება წარმოიდგინონ, რომ ისინიც არქეოლოგები არიან, მაგრამ ამ შემთხვევაში პირველყოფილი ადამიანების „ნაკვალევს“ ეძებენ არა მიწაში, არამედ ტექსტში.

– რა არის ის ორი რამ, რითაც ესპანეთისა და საფრანგეთის მღვიმეთა კედლებზე გამოსახული ცხოველები ნამდვილ ცხოველებს ჰგვანან? (ფერი და მოძრაობა). – მოსწავლეებს გაახსენეთ უღუს ნახატი. მოაძებნინეთ უღუს ნახატის აღწერაში წინადადება, რომელშიც საუბარია მოძრაობაზე („მხეცებს, რომლებიც ყირამალა, ტრიალ-ტრიალით ცვიოდნენ უფსკრულში“). სთხოვეთ, შეადარონ ერთმანეთს მხატვრულ და საინფორმაციო ტექსტებში წარმოდგენილი სურათების – უღუს ნახატისა და ალტამირას გამოქვაბულის მხატვრობის აღწერა. იმსჯელონ, რომელი უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე და რატომ. შეგიძლიათ, მოკლედ გაესაუბროთ ნახატში ფერისა და მოძრაობის შესახებ, თვითონ რას ანიჭებენ უპირატესობას ნახატში ან ხატვისას; როგორი ნახატები უფრო მოსწონთ.

აქტივობა 3. *II ნაწილის წაკითხვა, წაკითხულის გააზრება, მეტყველება*

გამოაცხადეთ კითხვის წუთები. გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია.

მოთხრობიდან „უღუ და თეთ“ მოყვანილი პარალელებისა თუ განსხვავებების განხილვისას მოსწავლეებს გაამახვილებინეთ ყურადღება მხატვრული და საინფორმაციო ტექსტების სხვადასხვაგვარ დანიშნულებაზე. კითხვების დასმის გზით აუხსენით მოსწავლეებს, რა არის ფაქტი და ვარაუდი.

– რატომ ხატავდნენ, მეცნიერთა აზრით, ძველი მხატვრები ცხოველებს მღვიმეთა კედლებზე? დაასახელეთ ორი მიზეზი.

– გაიხსენეთ, რატომ მოხატა უღუმ თავის მღვიმეში კედელი.

– შეადარეთ ერთმანეთს მეცნიერებისა და მწერლის თვალსაზრისი ამ საკითხის თაობაზე.

III აბზაცში მოცემულია მეცნიერთა მიერ გამოთქმული რამდენიმე ვარაუდი. პასუხის გასაცემად საკმარისია ორიც; ბავშვებს უნდა მისცეთ საშუალება, თვითონ აირჩიონ ისინი, ან მიუთითონ ყველაზე. მოსწავლეებს ყურადღება გაამახვილებინეთ ვარაუდის რაობაზე. ტექსტიდან დაუსახელეთ რამდენიმე ფაქტი და ვარაუდი და მოსთხოვეთ, გამიჯნონ ერთმანეთისაგან. შეკითხვის მეორე ნაწილზე პასუხის გასაცემად მოსწავლეებს გაახსენეთ ტესტური შეკითხვა „უღუ და თეთიდან“ (რატომ გამოსახა უღუმ მღვიმის კედელზე ნადირობის სურათი?) და მისი სწორი პასუხი (მას ამ ნახატით თავისი გრძნობებისა და განცდების გამოხატვა მოუნდა). ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა გამოიკვეთოს, რომ მხატვრული ტექსტის ავტორს უფრო აინტერესებს ადამიანის (ამ შემთხვევაში – პატარა ბიჭის) ფიქრები და გრძნობები, მისი შინაგანი სამყარო, ხოლო II ტექსტის ავტორის მიზანია, მიაწოდოს მკითხველებს მეცნიერთა აზრები – მათი დასკვნები თუ ვარაუდები, რომლებიც უფრო მასალის შესწავლას ეყრდნობა.

– დაასახელეთ ორი რამ, რითაც საქართველოში აღმოჩენილი მღვიმის მხატვრობა განსხვავდება საფრანგეთისა და ესპანეთის მღვიმეთა მხატვრობისაგან. – ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას მოსწავლემ ერთმანეთს უნდა დაუკავშიროს ტექსტის I და II აბზაცებში მოცემული ინფორმაცია მღვიმეთა ნახატების შესახებ და გამოიტანოს დასკვნა – გამოკვეთოს სხვაობა უცხოეთსა და საქართველოში აღმოჩენილ ნახატებს შორის: (1) შესრულების ფორმა – ფერადი ნახატები (ესპანეთი და საფრანგეთი) და ნაკაწრი (საქართველო), (2) განსხვავებული დათარიღება 18-17 ათასი წელი (ესპანეთი, საფრანგეთი) და 11-9 ათასი წელი (საქართველო). ჰკითხეთ ბავშვებს, რა იციან ბოლოდროინდელ არქეოლოგიურ აღმოჩენაზე დმანისში, სადაც არქეოლოგებმა მიაკვლიეს 1, 8 მილიონი წლის წინ აფრიკიდან მოსული ადამიანის უძველესი წინაპრის ნაშთებს – მამაკაცისა და ქალის (ზეზვასა და მზიას) თავის ქალების აღმოჩენა)

– რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მეცნიერებისათვის უძველესი გამოქვაბულების კედლებზე ისეთ ცხოველთა გამოსახულებების აღმოჩენას, რომლებიც დღეს ევროპაში აღარ ბინადრობენ?

ამ შეკითხვაზე პასუხი მოითხოვს მოცემული ინფორმაციის ანალიზს საკუთარ ცოდნასთან და გამოცდილებასთან შეჯერებით. შესაბამისად, პასუხი შეიძლება იყოს სხვადასხვა (მაგალითად, ამ ნახატების მიხედვით მეცნიერები იგებენ, თუ რაზე ნადირობდნენ და რითი იკვებებოდნენ ძველი ადამიანები; როგორი იყო ცხოველთა სამყარო ევროპის კონტინენტზე მრავალი ათასი წლის წინ და მისთ.). ჰკითხეთ მოსწავლეებს, მათ მიერ გამოთქმული აზრები ფაქტებია თუ ვარაუდები. ურჩიეთ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას გამოიყენონ ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: „შესაძლოა,“ „მე ვფიქრობ“, „არ არის გამორიცხული“, „დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მაგრამ, ჩემი აზრით...“

გაკვეთილის დასასრულს მიეცით მოსწავლეებს წერითი საშინაო დავალება:

– რომელმა ტექსტმა შეგიქმნა უკეთესი წარმოდგენა უძველესი ადამიანის შესახებ: მოთხრობამ „უღუ და თეთ“ თუ ტექსტმა „უძველესი ნახატები“? რატომ? ახსენი შენი პასუხი იმ ტექსტიდან მოტანილი მაგალითებით, რომელიც ამოირჩიე.

წინასწარ გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ ისეთი ზოგადი პასუხი, როგორიცაა „იმიტომ მომეწონა,

რომ უფრო საინტერესოა“, მიუღებელია. მიუთითეთ ბავშვებს, ყურადღება მიაქციონ დავალების პირობას – მათ მოეთხოვებათ საკუთარი აზრის დასაბუთება არჩეული ტექსტიდან მოყვანილი მაგალითებით.

მომდევნო გაკვეთილზე, თხზულებების წაკითხვის შემდეგ, მიეცით კლასს ჯგუფური დავალება:

- მოხატონ ქაღალდის დიდი ფორმატი, ისე როგორც ხატავდნენ მღვიმის კედლებზე პირველყოფილი მხატვრები.

სახლში შესასრულებლად კი დაავალეთ:

ა) საბავშვო ენციკლოპედიიდან მოიპოვონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აფერადებდნენ პირველყოფილი მხატვრები თავიანთ ნახატებს (ამ დავალების შესასრულებლად ნებადართულია უფროსის დახმარებაც).

ბ) შეასრულონ სახელმძღვანელოში მოცემული გრამატიკული სავარჯიშოები (გვ. 97).

დაგეგმეთ ექსკურსია მუზეუმში.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს წაკითხულის გაგება-გააზრება, ძირითადი ინფორმაციის ამოკრება, დასაბუთებული მსჯელობა.

სათაფლია

მასალა ენციკლოპედიიდან:

სათაფლია – მღვიმე ქუთაისის მახლობლად, სამგურალის სერზე, სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე. მღვიმე დერეფნის ტიპისაა, აქვს განშტოებები და დარბაზი. მისი სიგრძე 900 მ-ს აღწევს, მაქსიმალური სიმაღლე 10 მ-ია, სიგანე – 12 მ. სათაფლია მდიდარია სტალაქტიტებით და სტალაგმიტებით. მღვიმეში ჰაერისა და წყლის ტემპერატურა თითქმის თანაბარია – 12-13°C. აღმოაჩინა პედაგოგმა და მხარეთმცოდნემ პ. ჭაბუკიანმა. სათაფლიის ნაკრძალის ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილია კიდევ სამი შედარებით მცირე ზომის მღვიმე.

გიორგი შატბერაშვილის მოთხრობაში პაპა საზაფხულო არდადეგებზე მასთან ჩასულ შვილიშვილს სათაფლიის ახლად აღმოჩენილ გამოქვაბულს ათვალიერებინებს.

***

– აი, ესეც სათაფლიას მთა, აგერ, მის ძირში სათაფლიას გამოქვაბული! – წამოიძახა პაპა პეტრემ, როცა ტაფობის ბოლოს აღმართული მაღალი კლდოვანი გორაკი გამოჩნდა.

ჯერჯერობით ნიკო გამოქვაბულის შესასვლელს ვერ ხედავდა, მას ბუჩქნარი

ფარავდა და უცხო თვალისთვის ძნელი იყო მისი შემჩნევა. ტაფობში ატეხილ შამბსა და ანწლის ბუჩქნარში გველივით მიიკლაკნებოდა პატარა ნაკადული.

– ეს მდინარე ოღასყურას სათავეა. ხედავ, აი აქ, ამ ძაბრისებრ ადგილას ჩადის და იკარგება, – უთხრა პაპა პეტრემ შვილიშვილს.

– როგორ თუ იკარგება? – შეეკითხა ნიკო.

– ჰო, ერთხანს მიწისქვეშ მიედინება, მერე კი ბანოჯის მახლობლად ისევ ამოყოფს თავს.

– საკვირველია.

– ჰოდა, პირველად სწორედ ამან მიიქცია ჩემი ყურადღება. მაშასადამე, აქ მიწისქვეშა ხეობა ან გამოქვაბული უნდა იყოს-მეთქი, გავიფიქრე, როცა მიდამოები პირველად დავათვალიერე. კარგად დავზვერე ეს მიდამო და, აი, ამ კლდის ძირში შევამჩნიე... თუმცა, მივიდეთ და შენი თვალით ნახე.

პაპა და შვილიშვილი კლდის ძირს მიადგნენ, სადაც მანამდე მათთვის შეუმჩნეველი გამოქვაბულის შესასვლელი გამოჩნდა. გამოქვაბული მათ ჩაღამებული თვალივით უმზერდა. საოცარი სიგრილე და ნესტი იდგა ამ იდუმალებით სავსე მიწისქვეშა მღვიმის შესასვლელთან.

– ასე კი არ იყო მაშინ, – გააგრძელა პეტრემ, – ეს ადგილი მთლად ქვით, ღორღითა და გვიმრით იყო დაფარული.

პაპამ და ბიჭმა ფრთხილად შეაბიჯეს გამოქვაბულში. ნიკომ უნებლიეთ თვალები მოიფშვნიტა და ჯერ პაპა პეტრეს სახე, ხოლო შემდეგ მისი მაღლა აწვდილი ხელი დაინახა, რომელიც სანთლის მკრთალ შუქს გაენათებინა. სიბნელეს



თვალი რომ შეაჩვია, გამოქვაბულის თაღის ბუნდოვანი მოხაზულობაც გაარჩია. გამოქვაბულის სამარისებურ სიჩუმეში წყლის სუსტი ჩხრიალი გაისმა.

– ეს ოღასყურას სათავე ჩხრიალებს. აი, ზევით რომ გაჩვენე პატარა ნაკადული, რომელიც ტაფობში იკარგება... ნამდვილად კი არ იკარგება, აი, აქ ჩამოდის თურმე და გამოქვაბულში მიედინება. ასე რომ, ეს გამოქვაბული მიწისქვეშა ხეობაა, რომელიც კირქვის კლდეში ამ პატარა მდინარის მუდმივი „მუშაობის“ შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი. მართლა წარმტაცი და მშვენიერია ბუნების ჯადოსნური ხელით შექმნილი ძეგლი. აი, შეხედე ამას!

პეტრემ გამოქვაბულის თაღს სანთელი მიანათა. თვალისმომჭრელად აციმციმდნენ გამოქვაბულის ჭერში ჩამოკიდებული საოცარი სილამაზის ყინულის ლოლუებისა და თაფლში ამოვლებული ჩურჩხელების მსგავსი სხეულები, რომელთა ბროლისფრად წაწვეტებულ ბოლოებზე დილის ნამივით ბრწყინავდნენ წყლის წვეთები.

– ამას სტალაქტიტი ჰქვია, – ამბობდა პაპა პეტრე და ერთ უზარმაზარ ლოლუას სხვადასხვა მხრიდან ანათებდა, – სტალაქტიტი წარმოიქმნება წყლის წვეთებისგან, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გამოქვაბულის ჭერიდან მოედინებიან. წყლის წვეთს კლდიდან კირი გამოაქვს, რომელიც ჰაერზე გამოსვლის შემდეგ ისევ მყარ ნივთიერებად იქცევა და გამოქვაბულის ჭერს ეკიდება. ზოგჯერ კირიანი წყლის წვეთები სანთელივით ძირს იღვენთებიან და სტალაგმიტებს წარმოქმნიან. აბა, ქვემოთ დაიხედე!

პაპამ ახლა გამოქვაბულის იატაკი გაანათა. გაოცებული ნიკო დაიხარა და უზარმაზარი სოკოს მსგავსი, თითქოს მიწიდან ამოზრდილი სხეული დაინახა. ხელი დაადო ამ უცნაურ სოკოს, რომელიც სველი და ყინულივით ცივი იყო.

– აი, ეგ არის სტალაგმიტი! სტალაგმიტები და სტალაქტიტები დროთა განმავლობაში იზრდებიან, გრძელდებიან და ერთმანეთს უახლოვდებიან. მაგრამ რომ იცოდე, როგორ ნელა, როგორ დინჯად... როგორ გგონია, რამდენ წელიწადში შეერთდებიან ეს სტალაგმიტი და სტალაქტიტი? ათასეული წლები უნდა! – ღიმილით თქვა პაპა პეტრემ და სანთელი ახლა გამოქვაბულის სიღრმისკენ მიმართა.

– აგერ, ის უზარმაზარი სვეტი, რომელსაც ორი კაციც ვერ შემოაწვდენს ხელს, სტალაქტიტისა და სტალაგმიტის შეერთების შედეგადაა შექმნილი. აბა, რომელი ადამიანის ხელს შეუძლია ასეთი იშვიათი სილამაზის სვეტების, დარბაზებისა და უცნაური გამოსახულებების შექმნა. ბუნება უცნაური, დიდი ხელოვანია!

ნიკო მოხიბლული ათვალიერებდა გამოქვაბულს. სიბნელეში ალალბედზე მიაბიჯებდა და შთაბეჭდილებებით დამძიმებულ თავში ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა. ეს უცნაური, ბუნდოვანი ფიგურები ხან გაქვავებულ ადამიანად, ხანაც ცხოველად თუ ფრინველად ეჩვენებოდა.

პაპამ და ნიკომ გამოქვაბულში თითქმის მთელი საათი დაყვეს. როდესაც ნიკო გამოქვაბულიდან მზის სინათლეზე გამოვიდა, იგი უკვე იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ამოვიდოდა მომავალ ზაფხულს ამხანაგებთან ერთად სათაფლიაზე და ამ მშვენიერ, იდუმალებით აღსავსე მიდამოებსა და ულამაზეს გამოქვაბულს კვლავაც მოინახულებდა.

გიორგი შატბერაშვილის „სათაფლიას“ მიხედვით

თავი 5 – ადამიანი და ცხოველი

ანდროკლე და ლომი

შენიშვნა: ტექსტის „ანდროკლე და ლომის“ სტრუქტურის იდენტიფიცირებისათვის ჩვენ შევარჩიეთ მეთოდი „ტექსტის ჩარჩოები“. მეთოდი გულისხხმობს ნაწარმოების სტრუქტურაზე მუშაობას, რადგან თუ მოსწავლეები აღიქვამენ ტექსტის სხვადასხვა ნაწილს შორის კავშირს და ხედავენ მის სტრუქტურას, უკეთ იაზრებენ ნაწარმოებს და შეუძლიათ გარკვეული დასკვნების გამოტანა.

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს ტექსტის შინაარსის გაგება-გააზრება, პერსონაჟის დახასიათება; განუვითარდება ინტერპრეტაციის უნარი.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორ-მაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით (მსგავსება-განსხვავების, მზარდი-კლებადი ხარისხისა და ა.შ. მიხედვით);

ქართ.დაწყ.(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.

- ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ.

ქართ.დაწყ.(I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.

- ახასიათებს სხვადასხვა სახის ტექსტს სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით (მაგ., ღია ბარათს დასაწყისში აქვს მიმართვის ფორმა, მას მოსდევს ძირითადი ტექსტი, ბოლოს კი არის ხელმოწერა; კულინარიული რეცეპტი შედგება სათაურისა და ორი ძირითადი ნაწილისაგან: ინგრედიენტთა ჩამონათვალი და დამზადების წესი; დარგობრივ-შემეცნებით ტექსტს აქვს სათაური, ახლავს ილუსტრაციები წარწერებით და აბზაცებად დაყოფილი ტექსტი და ა.შ.);

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს აქვთ ტექსტის მოსმენისა და შინაარსის გააზრების ელემენტარული უნარები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ჯგუფური, ინდივიდუალური.

აქტივობა 1. *პროვოცირება*

ტექსტის წაკითხვამდე, პროვოცირების მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება მოთხრობის სათაურს: „ანდროკლე და ლომი“, და ეკითხება:

– თქვენი აზრით, რის შესახებ იქნება მოთხრობა?

სთხოვს მოსწავლეებს, თავიანთი პასუხი დაასაბუთონ.

აქტივობა 2. *ტექსტის წაკითხვა, გაგება-გააზრება*

მასწავლებელი ტექსტს კითხულობს ხმამაღლა, სათანადო სიჩქარით, ტონითა და ინტონაციით, რომელიც შეესაბამება მოცემული ტექსტის შინაარსს. კითხვის პროცესში გზადაგზა ჩერდება და აკვირდება, რამდენად ესმით მოსწავლეებს ტექსტი და, ამასთან, ინარჩუნებს მათ ყურადღებას. პარალელურად ამოწმებს, დაემთხვა თუ არა მათ მიერ გამოთქმულ ვარაუდებს ტექსტის შინაარსი; აძლევს საკუთარი ემოციისა და შთაბეჭდილების გამოხატვის საშუალებას. კითხვის პროცესში მასწავლებელი გზადაგზა განმარტავს სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც გაუგებარია, ან არასაკმარის ინფორმაციას შეიცავს, რათა მოსწავლეებს დაეხმაროს წაკითხული მონაკვეთის მნიშვნელობის დაზუსტებაში (მაგ.: სიკეთის გადახდა, მებატონის მონა, ბუნაგი, უშველებელი, სიკვდილის ფერი დაედო, არენა, სეირი აჩვენა...).

აქტივობა 3. *ტექსტის სტრუქტურის გაცნობა, მინილექცია*

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ ნებისმიერი თხრობითი ტექსტის შინაარსი ერთმანეთთან სიუჟეტურად დაკავშირებული ნაწილების ერთობლიობაა, რომელიც იყოფა სტრუქტურულ ერთეულებად: 1. დასაწყისი – შესავალი სიტუაცია. 2. შუა ნაწილი – მოქმედებებისა და მოვლენების განვითარება. 3. დასასრული – ტექსტის ბოლო ნაწილი.

აქტივობა 4. *ილუსტრირება*

მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს ჯგუფებად, ურიგებს ფურცლებს, სთხოვს მათ, დაყონ ეს ტექსტი სწორედ ამგვარ სტრუქტურულ ელემენტებად (სავარაუდოდ, მოსწავლეები გამოყოფენ შემდეგ ეპიზოდებს: გამოქვაბულს თავშეფარებული ანდროკლე და იქ შესული ლომი; ლომისა და ანდროკლეს დამეგობრება; საბრძოლო არენა. თუმცა, შესაძლოა, სხვა ვარიანტიც მოიფიქრონ). შემდეგ სთხოვს სუფთა ფურცელი გაყონ სამ ნაწილად და თითოეულზე დახატონ ილუსტრაციები ტექსტის სტრუქტურული ნაწილების მიხედვით. დახატონ ის, რაც მოთხრობის მოსმენის შედეგად დაამახსოვრდათ. თითოეულ ილისტრაციას მიუწერონ კომენტარი: 1-2 წინადადებით აღწერონ ნახატი (შენიშვნა: კომენტარების დაწერა მნიშვნელოვანია, რადგან წინადადებების აგება დაკვირვების უნარს ავითარებს. აქტიურდება ყურადღება, ფანტაზია, აზროვნება და მეტყველება. ამ აქტივობის გამოყენებით, მოსწავლე ტექსტის ნაწილებსა და მათგან გამომდინარე ძირითად იდეებს ერთმანეთთან აკავშირებს, რაც ეხმარება, გაიაზროს და მოკლედ, საკუთარი სიტყვებით ჩამოაყალიბოს ტექსტის კონკრეტული ნაწილის ძირითადი იდეა.).

აქტივობა 5. *პრეზენტაცია*

ილუსტრაციებისა და კომენტარების შესრულების შემდეგ მოსწავლეები პრეზენტაციით უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს ტექსტის სტრუქტურული ნაწილებისა და სიუჟეტური განვითარების შესახებ. თითოეული ჯგუფი განმარტავს:

- რატომ შექმნა ილუსტრაციები მოცემული თანმიმდევრობით;
- რატომ დაუკავშირა კონკრეტული წინადადებები ტექსტის მოცემულ ნაწილს და ა.შ.

აქტივობა 6. *ტექსტისა და ილუსტრაციების შედარება*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელო, წაიკითხონ ტექსტი და შეადარონ, რამდენად ემთხვევა მათ მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული დაყოფა ტექსტის შინაარსის თანმიმდევრობას. მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ: რა საკითხებია ილუსტრირებული;

- როგორ მიჰყვება ილუსტრაციები ტექსტის სიუჟეტურ განვითარებას;
- როგორ უკავშირდება ამხსნელი წინადადებები შესაბამის ილუსტრაციას.

აქტივობა 7. *შეჯამება*

ტექსტის სტრუქტურული ნაწილების სიუჟეტური გამთლიანების მიზნით, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, თანმიმდევრობით ჩამოთვალონ მოთხრობაში განვითარებული მოვლენები.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, დაწერონ მოთხრობის მოკლე შინაარსი.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს ტექსტის შინაარსის სათანადოდ გაგება და კარგად დამახსოვრება, ილუსტრაციების შინაარსობრივად სწორად აგება, ეპიზოდებად დაყოფა.

ლმობიერი მონადირე და ირმის გონიერება

გამიხარდიმ ვერცხლის სალტეებით მორთული მამაპაპური თოფი ცაცხვზე მიაყუდა, საგზლიანი გუდა მოიხსნა და ცაცხვის ტოტზე ჩამოკიდა, თვითონ კი არაგვზე ჩავიდა წყლის დასალევად. როცა დაბრუნდა, მივიდა ხის ქვეშ და ხედავს, რას ხედავს?! გამოუგდია მგელს ფურირემი და მოსდევს უკან, როგორც დაგეშილი მწევარი. საცაა, უნდა დაეწიოს.

გამიხარდიმ თოფი მოიმარჯვა, ცაცხვს მოეფარა და გაფაციცებით ადევნებდა თვალს მგელს და იმის სადავლოს. ირემი პირდაპირ წყალს ეცა, ფონი როდი მოძებნა, შევიდა წყალში კარგა შორს, თითქმის გაანახევრა არაგვი, მისცა მკერდი აღმა და გაჩერდა. მგელიც მიჰყვა, მაგრამ ფეხებს ვერ უწვდენდა მიწას, ჩქარმა არაგვმა აითრია და ქვევით წაიღო. ირემი გამობრუნდა, აჰყვა წყალს, შეცურა უფრო ღრმა ალაგას. ირმის მკერდით ორად გაპობილი არაგვი ყვიროდა, ღრიალებდა, ირემი კი იდგა ერთ ადგილას გაჩერებული და ელოდა ბედისწერის განჩინებას.

მგელი მაინც გამოვიდა წყლიდან და შეჰყვა მდინარის ქვიან ნაპირს. გაუსწორდა რა ირემს, შეცურა კვალად, მაგრამ წყალმა, ვიდრე ირემთან მიაღწევდა, აითრია და იქვე ქვევით წაიღო. ირემი გამობრუნდა უკან, გამოვიდა მშრალზე, გაიარა ცოტა ადგილი, ისევ წყალში შეცურა და გაჩერდა. მგელიც გამოვიდა მდინარიდან და გასწია ისევ ირმისაკენ. მაგრამ ახლა წინანდებურად აღარ მოიქცა, გამოცდილებას მგლისთვისაც ჭკუა ესწავლებინა: ირემს ზემოდან მოუარა და იქიდან დააპირა იერიშის მიტანა. ახლა კი ვეღარ გადაურჩებოდა ირემი მგელს.

გამიხარდის გულმა ვეღარ გაუძლო, გაუწყდა მოთმინების ძაფი, დაუმიზნა მგელს თოფი და ესროლა. მგელმა წყალში ჩააფარა თავი და დაიკარგა სამუდამოდ. ირემი კი იქვე იდგა გაყუჩებული, ვერ გაეგო, რა მოხდა. იდგა წყალში და თვალი იქით ეჭირა, საიდანაც მგელს მოელოდა.

გამიხარდიმ მოკლულ მგელს ორი სიტყვა გაატანა: „შე რჯულძაღლო, შენა!“ ირემს არ დანახვებია.

ირემი კარგა ხანს იდგა წყალში და ელოდა მტერს. ბოლოს გამოვიდა, აღარაფრის შიში ჰქონდა – მგელი აღარსად ჩანდა და გაკურცხლა ტყისაკენ.

ვაჟა-ფშაველა

წიქარა

(ქართული ხალხური ზღაპარი)

1.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ობოლი ბიჭი. დედა ადრე მოუკვდა და მამამ მეორე ცოლი შეირთო.

ბიჭს ერთი ხარი ჰყავდა. სახელად წიქარა ერქვა, ძალიან უყვარდა. ყოველდღე მინდორში დაჰყავდა, დაბინდებამდე აძოვებდა, აბანავებდა, ჩრდილში ასვენებდა, რომ სიცხეს არ შეეწუხებინა და მისი მოვლით თვითონაც ერთობოდა.

დედინაცვალი ავი ქალი გამოდგა: ხარი აითვალწუნა და მისი თავიდან მოშორება განიზრახა. რომ ვერას გახდა, ადგა და ერთხელ თავი მოიავადმყოფა, დაიწყო ტყუილი კვნესა და გმინვა. ქმარმა ჰკითხა:

– რა გიშველისო?

– წიქარას გულ-ღვიძლის გარდა, ვერაფერი მომარჩენსო, – უთხრა ბოროტმა ქალმა.

მამა ძლიერ შეწუხდა ამ სიტყვების გაგონებაზე, მაგრამ რას იზამდა, ქალი რომ ლოგინიდან აღარა დგებოდა, გადაწყვიტა, დაეკლა წიქარა.

მეორე დილას ვაჟი ხედავს, მამა დანას ლესავს.

– რად გინდა, მამა, ეგ დანა, რისთვის ლესავო? – ჰკითხა ვაჟმა.

– წიქარა უნდა დავკლაო, – მიუგო მამამ.

დაღონდა ბიჭი, მაგრამ რა უნდა ექნა!

– წავალ, წყალს მაინც დავალევინებო, – უთხრა ბიჭმა.

წაიყვანა წიქარა წყალზე, ასმევს წყალს და ტირის. ტირის ისე, რომ მისი ცრემლები წყალს ეწევიან.

– რა გატირებს, ჩემო მეგობარო? რაზე ითხრი თვალებს, შემოგევლოს შენი წიქარაო.

ბიჭმა მიიხედ-მოიხედა, ეგონა, მომესმაო, განცვიფრებული დიდხანს გონს ვერ მოსულიყო. ბოლოს მიხვდა, რომ თავისი წიქარა ელაპარაკებოდა.

– დაკვლას გიპირებენ, დაკვლასაო, – მიუგო ვაჟმა.

– ვიცი, ვიცი, ჩემო მეგობარო, მაგრამ არც შენ მოგელის

კარგი დღე. წადი, წამოიღე ერთი სალესავი, ერთი სავარცხელი და ერთი ბოთლი წყალი, შემაჯექი ზურგზე და გავიპაროთო.

ბიჭმა მოიტანა ყველაფერი და მოვიდა. წიქარამ შეისვა ვაჟი ზურგზე და გაჰქუსლეს. მამა ელოდა, ელოდა და ვაჟი რომ აღარ მობრუნდა, წავიდა წყალზე. ბიჭი იქ არ დაუხვდა, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ შვილისა და წიქარას ასავალ-დასავალი ვერ შეიტყო. დედინაცვალმა გერის* დაკარგვა არად ჩააგდო, მაგრამ როცა ქმარმა უთხრა, წიქარაც თან წაუყვანიაო, ერთი წყეული ღორი ჰყავდა და ის დაადევნა.

მირბის წიქარა, მიარბენინებს პატარა მეგობარს, მისდევს ეშვებდალესილი ღორი. ეს არის, უნდა დაეწიოს, რომ წიქარამ უთხრა ბიჭს:

– რაღას ელი, მეგობარო, სიკვდილი თვალწინ გვიდგას, გადაღვარე ბოთლი წყალიო.

გადაღვარა ბიჭმა წყალი, გაჩნდა საშინელი ზღვა. ღელავს ზღვა შავად, სიკვდილს უქადის ყველას, მაგრამ ღორი არ უდრკება ზვირთების ცემას და მიცურავს. სანამ ღორი ზღვას გადაცურავდა, წიქარამ და იმისმა მეგობარმა კარგა გზა გაიარეს... ბოლოს გამოვიდა ღორიც. წიქარამ უთხრა ვაჟს:

– თავი მიიბრუნე, აბა, მოდის თუ არაო?

მიიბრუნა ბიჭმა თავი:

– შორს ბუზისოდენად რაღაც მორბის თუ მოფრინავსო, – უთხრა წიქარას.

– ეგ ღორიაო, – მიუგო წიქარამ.

მირბის წიქარა, მიაქროლებს ბიჭს, მორბის ღორი, ცოტა კიდევ და, დაეწევა წიქარას.

– გადააგდე სავარცხელიო! – შესძახა ბიჭს წიქარამ.

გადააგდო ბიჭმა სავარცხელი. უცებ ისეთი წვრილი და ხშირი ტყე აიყარა, შიგ თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა. ჭრა ეშვებით ღორმა ტყე, ჭრა და გავიდა. მირბის წიქარა, მიაქროლებს ბიჭს. კარგა გზა გაიარეს. მოიხედა ბიჭმა, შორს ბუზივით ისევე რაღაც მოჩანდა.

– ბუზის ტოლა რაღაცა ჩანსო, – უთხრა წიქარას.

– ღორი მოგვდევსო, – მიუგო წიქარამ.

ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ და, ღორი წიქარას დაეწევა, მაგრამ გადააგდო ვაჟმა სალესავი და აიმართა თვალუწვდენელი კლდე წიქარასა და ღორს შუა. სჭრის ღორი, სჭრის რაც ძალი და ღონე აქვს კლდეში საფეხურებს და ადის ზემოთ. შუა ადგილზე რომ მივიდა ღორი, დაუსხლტა ფეხი და უფსკრულში ჩაინთქა. წაიღო ჩემიცა და თქვენი ჭირიც.

უპასუხე შეკითხვებს

1. რა მოიმიზეზა დედინაცვალმა წიქარას თავიდან მოსაშორებლად?
2. რისი თან წამოღება სთხოვა ხარმა ბიჭს? რომელმა ნივთმა რა გააჩინა გზაზე? რომელი დაბრკოლება ვეღარ გადალახა მადევარმა ღორმა?

მოძებნე ტექსტში (ჯგუფური სამუშაო)

3. ამოკრიბეთ ტექსტიდან 5 ისეთი მონაკვეთი, რომლებითაც დაადასტურებთ, რომ „წიქარა“ ზღაპარია.
4. იპოვეთ ტექსტში გამოთქმა, რომელიც ტყეში ადგილის სივიწროვეს გამოხატავს.

იმსჯელე

5. მეზღაპრემ სამი ჯადოსნური საგანი მოიგონა; ამათგან რომელმა მოახდინა შენზე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება?
6. რით დაადასტურებ იმას, რომ ზღაპრის მთავარი პერსონაჟი წიქარაა?
7. ზღაპარში კეთილი და ბოროტი ძალების ჭიდილი დაიხატა. დახაზე ცხრილი და ამ ორი ძალის შესაბამისად დააჯგუფე პერსონაჟები: ობოლი ვაჟი, დედინაცვალი, ღორი, ხარი.
8. შეაფასე ვაჟისა და წიქარას ურთიერთობა.

დაწერე (დავალება)

9. შეადგინე თხრობის გეგმა (გამოყავი 6 საკითხი).
10. შენ მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით დაწერე ზღაპრის ამ ნაწილის მოკლე შინაარსი.

გრამატიკა

11. აქციე ზმნად სახელი:

რა?	რას შვრება?
სირბილი	მირბის
დევნა	...
გაქროლება	...
ღელვა	...
გაფრენა	...
ასვლა	...
ჩანთქმა	...

2.

ბიჭსა და წიქარას ხსნის იმედი მოეცათ. იარეს და გავიდნენ სამშვიდობოს. წიქარამ გაიყვანა ბიჭი ერთ ტრიალ მინდორზე. იქ ერთი ალვის ხე იდგა, მისი კენწერო ცასა სწვდებოდა, შესვა ზედ, მისცა ორი სალამური, ერთი საჭირვარამო, ერთი სალხინო და უთხრა:

– მე წავალ, მარტოკა ვივლი მინდვრად, ბალახს მოვძოვ და ვირჩენ თავს. შენ აქ იჯექი. თუ რამე გაგიჭირდეს, საჭირვარამო სალამური დაუკარი და მაშინვე აქ გავჩნდები, თუ გილხინდეს, სალხინო სალამური დაუკარი, საჭმელსაც ის მოგიტანს და სასმელსაცო, – გამოეთხოვა და წავიდა წიქარა.

ბიჭი იჯდა ალვის ხეზე და უკრავდა სალხინო სალამურს... გაიგონა ერთმა მეცხვარემ სალამურის ხმა, ძალიან მოეწონა და მიჰყვა ხმას, მივიდა ალვის ხესთან და ხედავს, ბიჭი სალამურს უკრავს, პეპლები კი გარს შემოჰხვევიან, სალამურის ხმაზე თამაშობენ და ირევიან ერთმანეთში. მეცხვარეს შურით აევსო თვალები და გადაწყვიტა, ხელთ ეგდო სალამური.

– ჩამოდი ერთი ძირს, მაჩვენე ეგ სალამური, რისგან არის გაკეთებულიო, – დაუძახა ვაჟს. მაგრამ ვაჟი არ ჩამოვიდა. წიქარას ჰქონდა ნათქვამი, ალვის ხიდან არ ჩამოხვიდეო. ადგა შურიანი მეცხვარე, წავიდა ხელმწიფესთან და მოახსენა:

– ამა და ამ ადგილას ერთი ბიჭი ზის ალვის ხეზე და ისე უკრავს სალამურს, რომ იმისი დაკვრით მთელი ქვეყანა ხარობსო.

ხელმწიფემ მაშინვე დაიბარა თავისი ნაზირ-ვეზირები და უთხრა, ან თქვენ უნდა მომგვაროთ ის ბიჭი, ან კაცი იშოვოთ იმისი მომყვანიო. ნაზირ-ვეზირებმა ხელმწიფესთან ერთი ცბიერი დედაბერი მიიყვანეს.

– მე მოგგვრით იმ ბიჭსაო, – უთხრა ხელმწიფეს დედაბერმა.

ადგა დედაბერი, წაიყვანა ერთი თხა, წაიღო სადგისი და მივიდა ალვის ხესთან. ბიჭი ზის თავისთვის ალვის ხეზე და უკრავს სალამურს. დედაბერი ალვის ხის ძირში დადგა, ამოიღო სადგისი და ჩხვლეტა დაუწყო თხას. ჩხავის საწყალი თხა. ვაჟმა რომ დაინახა, მოხუცი თხას აჩხავლებდა, დაუძახა:

– რასა შვრები, დიდედ, რად აჩხავლებ მაგ თხასაო?

– დაკვლა მინდა, შვილო, და ვერ დამიკლავს, იმდენი სიკეთე მიყავი, ჩამოდი და დამიკალიო.

რას მოიფიქრებდა ბიჭი, რომ მოხუცს ღალატი ედო გულში. ჩავიდა ძირს. დედაბერმა რაღაც ჯადოთი გააბრუა და დააძინა. ასწიეს და წაიყვანეს მძინარე ბიჭი ხელმწიფის კაცებმა და ჩასვეს ცხრაკლიტულში. ბიჭს გამოეღვიძა, ხედავს – დატყვევებულია. დაღონდა, დაიწყო ტირილი, ინატრა თავისი სალამურები, მაგრამ მისი სალამურები ალვის ხეზე ეყარა ოხრად დარჩენილი. ბიჭი ფანჯარასთან დაჯდა და ცას მიაცქერდა. ამ დროს ცხრაკლიტულს ყვავმა ჩამოუფრინა, დაინახა ვაჟმა და შესძახა:

– ყვავო, ყვავო, სად მიფრინავ, სად მიგეჩქარება? წადი, შენი შვილების მზესა, მინდორში რომ ალვის ხე დგას, ზედ ჩემი სალამურებია და აქ მომიტანე!

– მე რომ ლეშსა* ვჭამდი და შენ ქვებს მესროდი, აღარ გახსოვს? – უპასუხა ყვავმა და გაუდგა გზას. გააყოლა თვალი ბიჭმა და ჩამოყარა ცრემლები.

უცებ მერცხალი დაინახა ბიჭმა და შესტირა:

საით მიფრინავ, მერცხალო, საითკენ მიეშურები?
მინდორთ რომ ალვის ხე ხარობს,
ცივნი წყარონიც დიანო,
პეპლებიც იქა სხდებიან,
ტურფად ჭრელ მხრებსა შლიანო,
სალამურებიც იქ არის,
უჩემოდ დალპებიანო...
გაფრინდი, აქ მომიტანე,
ჩემო ლამაზო მხრიანო.

გაფრინდა მერცხალი და მოუტანა სალამურები.

უპასუხე შეკითხვებს

1. ზღაპრის ამ ნაწილში რა ახალი ჯადოსნური საგნები გაჩნდა?
2. სად დატოვა წიქარამ ბიჭი და რა დაუბარა მას?
3. ვინ და როგორ ჩამოიყვანა ბიჭი ხიდან?

მოძებნე ტექსტში

4. იპოვე ტექსტში გამოთქმა, რომელიც ალვის ხის სიმაღლეს აღწერს.

ტექსტის შინაარსი

5. წარმოიდგინე თავი ვაჟის ადგილზე და ტექსტის ამ ნაწილის შინაარსი ისე გადმოეცი, როგორც შენი თვალით ნანახი.
6. აღწერე სალხინო სალამურის ძალა.

დაწერე

7. განაგრძე კეთილი და ბოროტი ძალების ცხრილის შევსება; გაანაწილე: დედაბერი, ყვავი, მერცხალი, მეცხვარე.
8. შეადგინე თხრობის გეგმა (გამოყავი 6 საკითხი).

იმსჯელე

9. მეზღაპრეს ამ ნაწილში შურიანი მეცხვარე და ცბიერი დედაბერი შემოჰყავს; განმარტე, რატომ არის მეცხვარე შურიანი, ხოლო დედაბერი – ცბიერი?
10. რა შეცდომა დაუშვა ბიჭმა? შეაფასე მისი საქციელი.

გრამატიკა

11. მეცხვარის ნათქვამიდან ამოიწერე წინადადება, რომელშიც ყველა ზმნა აწმყო დროშია.
12. დაასრულე სიტყვები:

    გაიგონა ერთმა მეცხვარემ სალამურის ხმა, ძალიან მოეწონა და მიჰყვა ხმას, ...ვიდა ალვის ხესთან და ხედავს, ბიჭი სალამურს უკრავს, რამდენიმე პეპ... კი გარს შემოხვევ... , სალამურის ხმაზე თამაშობ... და ირევ... ერთმანეთში.

თეორია (დავალება)

13. გადაიწერე ტექსტის ამ ნაწილში ჩართული ლექსი და ხაზი გაუსვი გარითმულ სიტყვებს.

მოსწავლისჩანთიანი სპილო

სპილო და გოგონა ერთი ხნისანი იყვნენ, ერთად იზრდებოდნენ და ცირკის არენაზეც ერთად გამოდიოდნენ. ცხოველს ისე უყვარდა გოგონა, ერთ დღესაც რომ არ ენახა, საშინელ გუნებაზე დგებოდა, პირდაპირ განგაშს ტეხდა, საჭმელ-სასმელზეც უარს ამბობდა, თან საყვირივით გაჰკიოდა. იმ დღესაც ასე მოხდა. გოგონას როლი არ ჰქონდა და არენაზე მისი გამოსვლა საჭირო არ იყო. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: როცა სპილოსათვის კარგად ნაცნობი მუსიკა აჟღერდა, ის ვოლიერიდან გამოვიდა, არენაზე შევარდა და გოგონას დაუწყო ძებნა.

დარბაზი სავსე იყო მაყურებლებით, განსაკუთრებით ბლომად იყვნენ ბავშვები. სპილო წრეზე დარბოდა და ვეება ხორთუმს აქეთ-იქით იქნევდა. იმ დროს იქ არც სპილოს მწვრთნელი იყო. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა რეჟისორმა ყველაზე სწორი გადაწყვეტილება მიიღო: სასწრაფოდ მოძებნა გოგონა და ყველაფერი აუხსნა.

ექვსი წლის გოგონას ოდნავადაც არ შეშინებია. აიღო წითელი ვაშლი და არენისკენ გაიქცა. სპილო, გოგონა რომ დაინახა, მონუსხულივით გაშეშდა, ხოლო როცა გოგონამ ალერსიანი ხმით დაუძახა, გახარებული ცხოველი მიუახლოვდა და მოფერების ნიშნად პატარა მეგობარს თავზე ხორთუმი გადაუსვა. გოგონამ ვაშლი მიაწოდა. სპილომ ხორთუმით გამოართვა და გემრიელად შეახრამუნა. გოგონამ პაწია ხელი ხორთუმზე წაავლო და მასთან ერთად კულისებისკენ გაემართა. მაყურებლებს ეს სცენა ნომრის გაგრძელება ეგონათ და მეგობრები სიცილითა და ტაშით გააცილეს. წარმოდგენის შემდეგ გოგონას ჰკითხეს:

– გაბრაზებული სპილოსი არ შეგეშინდა?

გოგონამ კი ღიმილით უპასუხა:

– რატომ უნდა შემშინებოდა, ის ხომ ჩემი საყვარელი მეგობარი და ცოცხალი სათამაშოა?..

დრო გადიოდა. სპილოსა და გოგონას მეგობრობა კიდევ უფრო მტკიცდებოდა.

ლამაზად მორთულმა სპილომ პირველკლასელი მეგობარი სკოლაშიც კი გააცილა პირველ სექტემბერს. სპილოს მოსწავლის ჩანთა მიჰქონდა

ხორთუმით, გოგონას კი ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა. მათ უკან მიჰყვებოდნენ აჟრიამულებული ბავშვები, მაგრამ სპილო ყურადღებას არავის აქცევდა.

სკოლის ეზოში საზეიმო შეკრება გაიმართა. სპილო მოშორებით იდგა და წყნარად უყურებდა ეზოში მოწყობილ მხიარულ სანახაობას. მალე ზარიც დაირეკა და მოსწავლეები საკლასო ოთახებში შევიდნენ. სპილომაც მოინდომა შესვლა, მაგრამ სკოლის ვიწრო კარში ვერ შეეტია. ამიტომ უკან დაბრუნდა და პირველ სართულზე განლაგებული საკლასო ოთახების ფანჯრებში შეიჭყიტა, რათა მეგობარი ეპოვა. თითქმის მთელ შენობას შემოუარა და ბოლოს ერთ-ერთ ფანჯარაში თვალი მოჰკრა გოგონას, რომელიც ფეხზე იდგა და მასწავლებელს რაღაცას პასუხობდა. გახარებულმა სპილომ ფანჯრის მინას რამდენჯერმე მიარტყა ხორთუმი, რითაც გოგონას აცნობა, გიცდი და ბევრი არ მალოდინოო.

სკოლის დარაჯს შეეშინდა, ფანჯრები არ ჩალეწოსო, და სპილოს ეზოდან გაყვანას შეეცადა. არაფერი გამოუვიდა – სპილო იმ საკლასო ოთახს არ სცილდებოდა, რომელშიც მეგობარი ეგულებოდა.

შუადღისას, გაკვეთილების დამთავრების მაუწყებელი ზარი დაირეკა თუ არა, გოგონა ეზოში გავიდა. სპილოს ისე გაუხარდა მისი დანახვა, რომ წაუცეკვა კიდეც. მერე გზას ერთად გაუდგნენ. ცირკისკენ მიმავალ სპილოს ხორთუმით მოსწავლის ჩანთა მიჰქონდა და დინჯად მიჰყვებოდა მეგობარს.

ტარიელ ხავთასი

თავი 6 – სახალისო ამბები

მელა და ყურძენი

შენიშვნა: ტექსტის, „მელა და ყურძენის“ შესასწავლად ჩვენ შევარჩიეთ მეთოდი „ლექსის აწყობა“.

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს ტექსტის ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება, დასაბუთებული მსჯელობა მათ ურთიერთმიმართებაზე. მოსწავლეებს განუვითარდებათ დეტალების გააზრებისა და ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევები.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო გარემოში.

- კორექტულად, ეტიკეტის დაცვით გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას დისკუსიის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს;
- ყურადღებით ისმენს სხვათა მოსაზრებებს, არ აწყვეტინებს მოსაუბრეს ლაპარაკს.

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

- ამოიცნობს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში ექსპლიციტურად მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას, მათ შორის, არსებულ ლოგიკურ (მიზეზ-შედეგობრივ, ოპოზიციურ და სხვ.) კავშირებს;

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- ამოიცნობს ტექსტში გადმოცემულ მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებულ ქრონოლოგიურ და ლოგიკურ (მიზეზ-შედეგობრივ, ოპოზიციურ, პირობით, დათმობით და სხვა) კავშირებს;

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს აქვთ ტექსტის მოსმენისა და შინაარსის გააზრების ელემენტარული უნარები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ჯგუფური, ინდივიდუალური.

აქტივობა 1. *მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ლექსის ავტორსა და სათაურს. ეკითხება მოსწავლეებს:*

– თქვენი აზრით, რის შესახებ იქნება ეს ტექსტი?

სთხოვს მოსწავლეებს, თავიანთი პასუხები დაასაბუთონ.

აქტივობა 2. *ლექსის წაკითხვა-ანალიზი*

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად, ურიგებს ბარათებს, რომლებზეც გადანაწილებულია ტექსტი (ბარათები მასწავლებელს წინასწარ აქვს გამზადებული.):

დამშეული კუდა-მელა
ვენახში მიიპარება,

მიცუნცულებს ნელა-ნელა,
ღობე-ყორეს ეფარება.

ბოლოს შეძვრა, ნახა კარი,
მაგრამ აზრი კი წაუხდა,

ბაღი იყო სულ მაღლარი
და დაბლარი არ დაუხვდა.

ყურძენი რომ მაღლა ნახა,
მიმწიფებულ-მინაბდული,

დაუღო მას წუწკმა ხახა,
აუძგერდა მსუნაგს გული.

ხან დაწვება, ხან ადგება,
ნდომის ნერწყვი პირს ადგება,

კბილები მთლად აექავა,
მაგრამ მაღლა ხომ ვერ ავა?

დარჩა ამოძუებული...
მაგრამ აღარ გაიტეხა

კუდიანმა ვითომ გული
და ურცხვად ეს დაიკვეხა:

რომ არ ვჭამე, კარგი ვქენი,
გეფიცებით შვილებსაო,

მკვახე იყო ის ყურძენი
და მომკვეთდა კბილებსაო.

(მასწავლებელს შეუძლია სხვაგვარადაც დაყოს ტექსტი) და სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ, რა იქნება ლექსის თემა, იმსჯელონ ჯგუფებში და სცადონ ტექსტის აწყობა-გამთლიანება. თუ მოსწავლეებს

დავალების შესრულება გაუჭირდებათ, მასწავლებელს შეუძლია, კონსტრუქციული მითითებებით დაეხმაროს ჯგუფებს. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა შინაარსობრივად ზუსტად ააწყონ ტექსტი, ორიგინალის სრული სიზუსტით ვერგამოცნობა მათ შეცდომად არ ჩაეთვლებათ.

აქტივობა 3. *პოსტერების დამზადება*

მასწავლებელი ჯგუფებს ურიგებს ფორმატის ფურცლებსა და სხვა საჭირო მასალას (მარკერებს, წებოს, მაკრატელს...) საპრეზენტაციო პოსტერებისთვის. ჯგუფები ამზადებენ პოსტერებს, ტექსტის თავიანთი ვერსია გადააქვთ დიდი ფორმატის ქაღალდზე.

აქტივობა 4. *პრეზენტაცია*

მოსწავლეები წარმოადგენენ ნამუშევრებს და მსჯელობენ, რატომ შეარჩიეს ესა თუ ის ვარიანტი.

აქტივობა 5. *დისკუსია*

თუ ჯგუფების მიერ შემუშავებული ვერსიები ძალზე დაშორებულია ორიგინალს, ჯგუფების პრეზენტაციების შემდეგ შესაძლოა გაიმართოს საერთო საკლასო დისკუსია ერთიანი ვერსიის შესამუშავებლად. არგუმენტების გაცვლისა და მსჯელობის შემდეგ, სასურველია, მასწავლებელმა წარმართოს ეს დისკუსია და დამატებითი კითხვების, მითითებებისა და კომენტარების საშუალებით მოსწავლეებს დაეხმაროს, მაქსიმალურად მიუახლოვდნენ ნამდვილ ვერსიას.

აქტივობა 6. *შედარება*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელო, წაიკითხონ ტექსტი და შეადარონ, რამდენად დაემთხვა მათ მიერ წარმოდგენილი ვერსია ორიგინალს.

აქტივობა 7. *შეჯამება*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოკლედ ჩამოაყალიბონ რეკომენდაციები, რა უნდა გაითვალისწინონ მომავალში მსგავსი დავალების შესრულებისას.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად სახელმძღვანელოში მოცემულ მე-8 სავარჯიშოს: დაწერე იგავი „მელა და ყურძენი“ მოთხრობის სახით (მოსწ. წიგნი, გვ. 112).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად ლოგიკურად შეძლეს ტექსტის ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება და არგუმენტირებული მსჯელობა.

მსხლის ქურდი

ერთხელ, კალოობის დროს, ჩემი პატარა და-ძმა დილაადრიან ვენახში წავიყვანე. შევედით თუ არა კარებში, მაშინვე გავექანეთ გემრიელი მსხლისაკენ. გვინდოდა, აგვეკრიფა ნაქარი მსხალი და პირი ჩაგვეტკბარუნებინა, მაგრამ, დახე ჩვენს დაღონებას! ერთი მსხალიც ვერ ვიპოვეთ.

– დემეტრე! რა ღმერთი გაგწყრომია, რომ ამ ადრიან დილაზე სულ შეგითქვლეფია ნაქარი მსხალი! – გავძახე მე მოჯამაგირეს, რომელიც იქვე ახლოს ვაზებში მუშაობდა.

– თავი მომიკვდეს და ღმერთი გამიწყრეს, თუ მე დღეს მსხალი გემოთი მენახოს, – გვიპასუხა მოჯამაგირემ.

– მაშ, რა იქნა ნაქარი მსხალი? წუხელ ქარი ქროდა და ცოტაოდენი მაინც უნდა ჩამოეყრევინებინა.

– მართალია, ქარმა ხუთი-ექვსიოდე მსხალი ჩამოაგდებინა, მაგრამ ამ მსხლებს მე ახლოსაც არ მივკარებივარ. როგორც ჩანს, ისინი შეჭამა წუხელის ერთმა დაუპატიჟებელმა ოთხფეხა სტუმარმა! – გვითხრა მოჯამაგირემ.

– რას მიედ-მოედები, ღამით რა უნდოდა აქ სტუმარსა და ისიც ოთხფეხას?!..

– კი არ მივედ-მოვედები, ჭეშმარიტ სიტყვას გეუბნებით! – გვიპასუხა მოჯამაგირემ, – წუხელის, სათივეზე დაძინებულს, შუაღამისას გამომეღვიძა და ქვევიდან სლაპასლუპი და ხრამიხრუმი შემომესმა. წამოვიწიე ჩემი საწოლიდან, გადმოვიხედე ქვევით და მსხლის ძირში მთვარის შუქზე დავინახე ვეებერთელა ზღარბი, რომელიც ფაცაფუცით ნაქარ მსხალს ჭამდა. ერთი ღონივრად დავსჭყივლე, შეეშინდა, გაგოგმანდა და თხრილში ჩაგორდა. მერე ისევ გულიანად დამეძინა. უთუოდ ისევ მობრძანდა და დანარჩენი მსხლებიც შეახრამუნა!

შინ რომ ჩამოვედით, დედ-მამას ვუამბეთ ზღარბის ოინი. მოჯამაგირეს უბრძანეს, რომ ზღარბისათვის მოესწრო და დაეჭირა. დემეტრე ბევრს ეცადა, აესრულებინა ბრძანება: დღისით ვენახში თვალი ეჭირა, ეგებ სადმე შევხვდე ზღარბსო, და ღამით სათივეზე, თავის საწოლთან, ქვები ეწყო, რომ ესროლა ზღარბისათვის, როცა ის მსხლის ძირში მიგოგდებოდა. არაერთხელ მოარტყა თურმე ქვა საწყალ მსხლის ქურდს, მაგრამ მოკვლით კი არ მოკლა, რა თქმა უნდა.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენიდან“

იმსჯელე

1. ავტორმა ჩაიფიქრა, ისე მოგვითხროს ამბავი, რომ მკითხველი გაახალისოს. ქვემოთ ჩამოთვლილთა შორის შეარჩიე ის სამი რამ, რითაც ავტორის ამგვარ ჩანაფიქრს დაადასტურებ:

ა) მითითება იმის შესახებ, რომ ეს ამბავი კალოობის დროს მოხდა.
ბ) ტექსტში გამოყენებული გამოთქმა: „დახე ჩვენს დაღონებას“.
გ) მოჯამაგირის მიმართ გამოთქმული საყვედურის სიტყვები.
დ) სიტყვები, რომელთაც დემეტრე ამბობს თავის გასამართლებლად.
ე) მინიშნება დაუპატიჟებელი სტუმრის შესახებ და მისი ვინაობის თანდათან გამხელა.
ვ) ბრძანების შემდეგ ზღარბზე მოჯამაგირის თვალთვალის აღწერა.
ზ) ბოლო აბზაცში ზღარბის საქციელის შესაფასებლად შერჩეული სიტყვები (ოინი, ქურდი).

2. შენი აზრით, რას ნიშნავს გამოთქმა „ნაქარი მსხალი“?

3. ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს სწორად დემეტრეს? შენ მიერ შერჩეული პასუხი დაასაბუთე:
ა) ღონიერი და დაუნდობელი;
ბ) თამამი და უპასუხისმგებლო;
გ) საქმიანი და ენამახვილი;
დ) ზარმაცი და ხუმარა.

ტექსტის შინაარსი

4. მესამე პირში გადაიყვანე მონათხრობი და გვიამბე. დაიწყე ასე: „ერთხელ, კალოობის დროს, უფროსმა ძმამ...

დაწერე (დავალება)

5. ამოიწერე ტექსტიდან სიტყვები, რომლებიც დეფისით იწერება.

6. დაწერე თხზულება: „ზღარბის ოინი“ (გამოიყენე ტექსტიდან დემეტრეს მონათხრობი).

ჩხუბი არაფერზე

ერთ ტრიალ მინდორზე ორი კაცი იწვა და ერთმანეთს ელაპარაკებოდა. ვარსკვლავებით მოჭედილი ღამე იყო. ერთმა გადაავლო თვალი მინდორს და თქვა: ნეტავ, ეს მინდორი ჩემი იყოსო, ვირებს გავიჩენდიო.

მეორემ თქვა: ნეტავ, რაც ამ ცაში ვარსკვლავია, იმდენი ცხვარი მომცაო.

მოუვიდათ კამათი:

– მაგოდენა ცხვარი რომ გყავდეს, ჩემს მინდორში უნდა მოძოვონ და ვირები უბალახოდ უნდა დამირჩნენო? – უთხრა პირველმა.

– თუ შენს ვირებს საძოვარი უნდათ, ცხვარს კი არ უნდაო?

– მერე ვინ დაგანებებსო?

– არ დამანებებს და ძალათი შემოვრეკავო!

შეჰყვნენ ლაპარაკს, მოუვიდათ ჩხუბი და ერთმანეთს ცხვირ-პირი დაამტვრიეს. გამოიარა მგზავრმა და ჰკითხა: რა გაჩხუბებთო?

უთხრეს თავიანთი საჩივარი.

– ვაჰ, თქვენს ჭკუას! რაც არა გაქვთ, რაზე ჩხუბობთო!

ხალხური

3. ნახევარცხენი

ბრძოლის ველზე, რა თქმა უნდა, ტოლი არა მყავდა: ყველაზე ადრე მე ვეკვეთებოდი ხოლმე მტერს.

ერთხელ, თურქებთან ფიცხელი ბრძოლის შემდეგ, მტრის სიმაგრე ვიგდეთ ხელთ. მე პირველი შევიჭერი სიმაგრეში, გავრეკე თურქები და წყაროსთან მივედი. მინდოდა, დაღლილი ცხენისთვის წყალი დამელევინებინა. ცხენი სვამდა, სვამდა წყალს, მაგრამ წყურვილს ვერ იკლავდა. ვერაფრით ვერ მოვაცილე წყაროს. გამაკვირვა ამ სასწაულმა! ამ დროს უცნაური ჩხრიალი მომესმა. უკან მივიხედე და განცვიფრებისაგან კინაღამ უნაგირიდან გადმოვვარდი. ცხენს თურმე უკანა ნაწილი სრულიად მოჭრილი ჰქონდა. წყალს რომ სვამდა, მუცელში არ უჩერდებოდა და

თავისუფლად იღვრებოდა უკნიდან. ამის გამო ჩემ უკან ვეებერთელა ტბა გაჩენილიყო. ეს ნამდვილი სასწაული იყო.

ამ დროს ერთი ჩემი ჯარისკაცი მოიჭრა ცხენით და ყველაფერი გაირკვა. თურმე, როცა მე მტერს მივდევდი და მათ სიმაგრეში შევიჭერი, თურქებმა კარი მოკეტეს და ჩემი ცხენის უკანა ნაწილი შიგ მოჰყვა. ის უკანა ნაწილი თურმე კარგა ხანს იქვე დარჩენილა, ჭიშკრის ახლოს, და წიხლების ცემით ერეკებოდა თურქებს, შემდეგ კი მახლობელ მინდორში გასულა.

– ახლაც იქ ბალახობს! – მაცნობა ჯარისკაცმა.

– როგორ თუ ბალახობს? ყოვლად შეუძლებელია!

– წამოდით, თქვენ თვითონ ნახეთ!

ცხენის წინა ნახევარზე მჯდომი მეც იმ მინდვრისაკენ წავედი. იქ მართლაც დამიხვდა ჩემი ცხენის ნახევარი. მწვანე მდელოზე ბალახობდა. სასწრაფოდ დავიბარე სამხედრო ექიმი. მან დაუყოვნებლივ მიაკერა ცხენის ერთი ნაწილი მეორეს დაფნის წვრილი ჩხირებით, რადგან ხელთ ძაფი არ ჰქონდა.

ორივე ნაწილი მშვენივრად შეეხორცა ერთმანეთს, დაფნის ტოტებმა კი ცხენის სხეულში გაიდგა ფესვები და ერთი თვის შემდეგ უნაგირზე დაფნის ტოტების ფანჩატური გაიმართა.

ამ სასიამოვნო ფანჩატურში მჯდომს ბევრი საკვირველი გმირობა ჩამიდენია.

4. თმაში ხელის წავლებით

საერთოდ ამ ომში ბევრი რამ შემემთხვა. ერთხელ თურქებს გავექეცი. მინდოდა, ცხენით ჭაობზე გადავმხტარიყავი, მაგრამ ცხენმა ნაპირს ვერ მიაღწია და ლაფში ჩავცვივდით, ჩავეფალით და ვიხრჩობოდით. ხსნა არსად ჩანდა. ჭაობი სულ უფრო და უფრო ღრმად გვითრევდა. ცხენი მთლად დაიფარა აშმორებულ ლაფში. აი, მეც ვეფლობი შიგ, მხოლოდ ჩემი პარიკის ნაწნავი მოჩანს.

რა უნდა მექნა? უთუოდ დავიღუპებოდი, ხელებში რომ საკვირველი ძალა არა მქონდეს. მე ხომ ძალიან ღონიერი ვარ! წავივლე ხელი ნაწნავში, მთელი ძალ-ღონით ავწიე ზევით, თან ცხენს ფეხები მარწუხებივით მოვუჭირე და ადვილად ამოვათრიე ჭაობიდან ჩემი თავიც და ცხენიც. შემდეგ კი ჩემი თავიც და ცხენიც ჰაერში ავიტაცე. თუ ეს იოლი გგონიათ, თქვენ თვითონ სინჯეთ!

ე. რასპე

თარგმნა მზია ერისთავმა

უპასუხე შეკითხვებს

1. ვის წინააღმდეგ გამართულ ომში მონაწილეობდა ბარონი მიუნჰაუზენი? რა გადახდა თავს მიუნჰაუზენის ცხენს მტრის სიმაგრის აღებისას?
2. როგორ შენიშნა ბარონმა, რომ მის ცხენს რაღაც უჩვეულო სჭირდა?
3. რით მიაკერა ექიმმა ერთმანეთს ბარონის ცხენის წინა და უკანა ნაწილები და რა შედეგი გამოიღო ამან?

იმსჯელე

4. რა არის ის მთავარი თვისება, რომელიც ბარონ მიუნჰაუზენს გამორჩეულად ახასიათებს?

უპასუხე შეკითხვებს

5. როგორ აპირებდა ბარონი მტრისაგან თავის დაღწევას? რა საფრთხე დაემუქრა ბარონსა და მის ცხენს?
6. ახალს რას იგებ ამ თავიდან მიუნჰაუზენის გარეგნობის შესახებ?
7. როგორ დააღწია ბარონმა მიუნჰაუზენმა თავი ჭაობს? რატომ მოუჭირა მან ფეხები ცხენს მარწუხებივით?

თავი 7 – იყო და არა იყო რა

თეორია – ზღაპარი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლე გაიხსენებს ზღაპრის რაობასა და მნიშვნელობას, გაიაზრებს განსხვავებას ლიტერატურულ და ხალხურ ზღაპარს შორის, განუვითარდება დეტალებზე დაკვირვებისა და შემოქმედებითი აზროვნების უნარი.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ. დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- გამოყოფს ტექსტის მთავარ საკითხს, ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;

ქართ.დაწყ.(I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.

- ახასიათებს სხვადასხვა სახის ტექსტს სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით (მაგ., ღია ბარათს დასაწყისში აქვს მიმართვის ფორმა, მას მოსდევს ძირითადი ტექსტი, ბოლოს კი არის ხელმოწერა; კულინარიული რეცეპტი შედგება სათაურისა და ორი ძირითადი ნაწილისაგან: ინგრედიენტთა ჩამონათვალისა და დამზადების წესისგან; დარგობრივ-შემეცნებით ტექსტს აქვს სათაური, ახლავს ილუსტრაციები წარწერებით, აბზაცებად არის დაყოფილი და ა.შ.).

წინარე ცოდნა

მოსწავლეებმა იციან კითხვის სტრატეგიები, ზღაპრის რაობა, აქვთ თანამშრომლობისა და შემოქმედებითი აზროვნების ელემენტარული უნარები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ინდივიდუალური, ჯგუფური.

აქტივობა 1. *მოტივაცია*

მოტივაციის მიზნით, მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში სვამს კითხვას: რა არის ზღაპარი? მასწავლებელი აზუსტებს მოსწავლეთა პასუხებს: ზღაპარი მთლიანად გამოგონილ ამბავზე აგებული ნაწარმოებია.

შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: რით გამოირჩევა ზღაპარი სხვა ნაწარმოებებისგან? მოსწავლეები ასახელებენ. მასწავლებელი მოსწავლეების პასუხებს ჩამოწერს დაფაზე (სავარაუდო პასუხ-

ები: დასაწყისი და დასასრულია განსხვავებული; დასასრული; ზღაპარი ხალხური სიბრძნეა, რომელშიც ბოროტი მარცხდება და კეთილი იმარჯვებს და ა.შ.).

აქტივობა 2. *თეორიული მასალის გაცნობა*

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გადაშალონ სახელმძღვანელოები 131-ე გვერდზე და წაიკითხონ მოცემული მასალა და მონიშნონ მათთვის მნიშვნელოვანი ან ბუნდოვანი საკითხები.

აქტივობა 3. *წაკითხულის გაგება-გააზრება (კითხვა-პასუხი)*

ბუნდოვანი მონაკვეთების განმარტების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს იმის გასარკვევად, რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა წაკითხული თეორიული მასალა, და უსვამს იქვე მოცემულ კითხვას: სახელმძღვანელოს ამ თავში შეტანილი ზღაპრები ხალხურია თუ ლიტერატურული? სთხოვს, პასუხი დაასაბუთონ.

აქტივობა 4. *პრაქტიკული სავარჯიშოები*

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად, ურიგებს ფურცლებს და სთხოვს, შეასრულონ სახელმძღვანელოში მოცემული 1-ელი დავალება: ათ წუთში ჩამოწერონ ფურცელზე მათთვის ცნობილი ხალხური და ლიტერატურული ზღაპრების სათაურები. გაიმარჯვებს ის ჯგუფი, რომელიც უფრო მეტი ზღაპრის დასახელებას შეძლებს.

აქტივობა 5. *ზღაპრის შექმნა*

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, რომელიმე ცნობილი ხალხური ზღაპრის პერსონაჟის/პერსონაჟების მონნაწილეობით შექმნან საკუთარი ზღაპარი.

აქტივობა 6. *პრეზენტაცია*

აქტივობის შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს. აფასებენ ერთმანეთს იმის მიხედვით, თუ რამდენად მოახერხა გამომსვლელმა ზღაპრის მახასიათებლების გამოყენება.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაახასიათონ თავიანთი საყვარელი ზღაპრის პერსონაჟი და გამოკვეთონ, რა მოსწონთ მასში განსაკუთრებულად.

შეფასება

მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, რამდენად მართებულად შეუძლია ახსნილი მასალის გაგება-გააზრება და პრაქტიკულად გამოყენება, ჯგუფებში მუშაობა, შემოქმედებითი აზროვნება.

ჭიამაია და ბოროტი კაცი

იყო ერთი ბოროტი კაცი.

ქვეყანაზე ამდენი სიკეთე რაღა საჭიროაო! – თქვა ბოროტმა კაცმა და გზას გაუდგა.

შროშანაზე შემოსკუპებული ჭიამაია ნახა.

– რა მხართეძოზე წამოგდებულხარ, შე არამზადავ, შენაო! – დაუღრიალა ბოროტმა კაცმა ჭიამაიას.

საბრალო ჭიამაია ისედაც პატარა იყო და ახლა შიშისგან სულ ერთი ციცქნა გახდა.

– ძაღლადაც რომ არ მაგდებსო? – განრისხდა ბოროტი კაცი და შროშანას წიხლი გაუქნია.

ჭიამაია ცაში კენჭივით ავარდა, ისევ ქვევითკენ ჩამოექანა და ბოროტი კაცის ზურგზე დაეცა.

დაეცა, გონს მოეგო და რიგიანად მოიკალათა.

ბოროტმა კაცმა თქვა, ეს ერთი საქმე ხომ მოვაგვარე და ახლა სხვა საქმეს უნდა მოვეკიდოო.

ჭიამაია ბოროტი კაცის ზურგზე იჯდა და ფიქრობდა:

„ამ კაცს ღრიალი ძალიან ეხერხებაო!“

მცირე მანძილი გაიარეს და ჭიამაიას ვიღაცის მუდარა* შემოესმა:

– არიქა, ადამიანო, მიშველე, შენი ჭირიმეო!

ბოროტი კაცი შედგა და ძირს დაიხედა.

მიწიდან რომელიღაც მცენარეს ყლორტი ამოეტანა და მუშტისოდენა ცრემლებით ტიროდა.

– შენს გახარებას, ამ რიყის ქვას ფეხი წაჰკარი, თორემ ზედ გულზე მაწევს და ამოსვლას მიშლისო!

– ვინ ოხერი ხარო?! – ჰკითხა ყლორტს ბოროტმა კაცმა.

– ხილი ვარო!

– ხილი? შენც გურული ატამი არ იყოო! – დასცინა ბოროტმა კაცმა.

– გურული ატამი, მართალსა ბრძანებ, არა ვარ, მაგრამ გულაბი მსხალი ნამდვილად ვარო! – მიუგო ყლორტმა, – ეს რიყის ქვა მომაშორე, მზე დამხედავს, ტანს ავიყრი, ნაყოფს მოვიბამ, შენ იქნები თუ სხვა იქნება, აქეთკენ ჩამოივლით და გაგიმასპინძლდებითო.

– ქვები გადაგიგორ-გადმოგიგორო? მოჯამაგირედაც გინდა დამიყენოო! – დაიღრიალა ბოროტმა კაცმა, წიხლი გაიქნია, ქვის მაგივრად ყლორტს უთავაზა და ჩათელა.

ბოროტი კაცი ისევ გზას გაუდგა. ჭიამაიამ გაიფიქრა:

„ამ კაცს ღრიალი და წიხლი ძალზე ჰყვარებიაო!“

კიდევ იარა ბოროტმა კაცმა და ერთ მინდორზე გაჩერდა.

– ეს ამოდენა მიწა აქ რისთვის მოგიგროვებიათ, თქვე მათხოვრებო, თქვენაო! – დაუღრიალა მან ვიღაცეებს.

ჭიამაიამ ზემოდან თვალი გადმოაპარა, ჭიანჭველების ვეებერთელა ქალაქი დაინახა.

– პატივცემულო მგზავრო, ჩვენი მიწაც ეს არის, სარჩო-საბადებელიც, საცხოვრებელიც და სამყოფიც, ქალაქი არ დაგვიზიანოთ, არ დაგვღუპოთო! – თავაზიანად მიუგეს ჭიანჭველებმა.

ბოროტმა კაცმა გულიანად გადაიხარხარა, ჭიანჭველების ქალაქს ფეხით შესდგა, მიწასთან გაასწორა და გზა განაგრძო.

ჭიამაიამ გაიფიქრა:

„თუ არ იღრიალა და წიხლი არ ისროლა, ამ კაცს ისე სიცოცხლე არ შეუძლიაო!“

ახლა ერთი თოვლივით ჭაღარა მოხუცი ბებო შემოხვდათ. ისეთი მოხუცებული იყო, რომ ძლივს მილასლასებდა.

– შენ, ეი, დედაბერო, ხელში რა გიჭირავსო! – შეუტია ბოროტმა კაცმა.

– იჰ, არაფერი, შვილო! ბერიკაცი წელკავმა წამიქცია, ბოთლით წამალი მიმაქვს, ზურგი უნდა დავუზილოო, – მიუგო მოხუცმა ბებომ.

– მაჩვენე, ვნახო, როგორი წამალიაო! – ისევ დაუღრიალა ბოროტმა კაცმა.

შეშინებულმა ბებომ წამალი გამოუწოდა. ბოროტმა კაცმა ბოთლი გამოართვა, წიხლი ამოსცხო, გადააგდო. ბოთლი ქვაზე დაენარცხა და დაიმსხვრა.

ბებომ შესტირა:

– რას მერჩოდი, რატომ დამღუპეო?!

ბოროტმა კაცმა ბებოს ყურიც არ ათხოვა და ისევ გზას გაუდგა.

ჭიამაიას მოთმინების ფიალა აევსო. გაიფიქრა:

ბოროტ ადამიანს კეთილი პირუტყვი სჯობიაო! – და დაიძახა: – ბოროტო კაცო, ამას იქით ლუკმაპური კეთილი საქმით გეშოვოს: ტვირთი სხვისი გეზიდოს, ოფლი საკუთარი გეღვაროსო!

ბოროტი კაცი მყისვე სახედრად გადაიქცა. ჭიამაია ძალზე გაჯავრებული იყო და დაავიწყდა, დაეყოლებინა: აღარც წიხლი შეგძლებოდეს და აღარც ღრიალიო!

ჭიამაიას ამისი თქმა რომ არ დავიწყებოდა, სახედარს არც ყროყინი ეყვარებოდა და არც წიხლი.

ჭაბუა ამირეჯიბი

კურდღლების მიწისძვრა

(ინდური ზღაპარი)

იყო ერთი კურდღელი, რომელიც სულ რაღაცის გამო წუხდა. „ვაი," – ოხრავდა მთელი დღე, – „ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!" ყველაზე მეტად კურდღელს მიწისძვრის ეშინოდა. „მართლა რომ მოხდეს მიწისძვრა, რა მეშველება?" –ბუტბუტებდა ხოლმე თავისთვის.

და აი, რა მოხდა ერთ დღეს. ხეს უზარმაზარი ნაყოფი მოსწყდა და კურდღლის მახლობლად დაეცა. გაისმა გამაყრუებელი ხმა და მიწა შეზანზარდა. კურდღელი შეხტა. „მიწისძვრა!" – შეჰყვირა მან და თავისიანების გასაფრთხილებლად მინდვრებისკენ გაქანდა.

– მიწისძვრა! თავს უშველთ!

შეშინებული კურდღლები კისრის ტეხით აედევნენ თავიანთ მეგობარს. გადაირბინეს ველები, ტყეები, გორაკები, გზადაგზა სხვა კურდღლებსაც აფრთხილებდნენ:

– მიწისძვრა! თავს უშველეთ!

ათასობით კურდღლებმა გადაირბინა ველები. ტყეები, გორაკები — თითქოს სეტყვამ გადაუარა არემარეს. ბოლოს მთებამდე მიაღწიეს და მალე მწვერვალსაც მიადგნენ. ჩვენმა კურდღელმა უკან მიიხედა, რომ გაეგო, ხომ არ უახლოვდებოდათ მიწისძვრა. ერთადერთი, რაც მან დაინახა, კისრისტეხით მორბენალი კურდღლების აცქვეტილი ყურები იყო. ხოლო როდესაც წინ გაიხედა, ერთადერთი, რაც მან დაინახა, ლურჯი ზღვა იყო, შორს ძალიან შორს თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა.

უეცრად მთის მწვერვალზე ლომი გამოჩნდა.

– რა ხდება? – იკითხა მან.

– მიწისძვრაა, მიწისძვრა! – ერთხმად შესძახეს კურდღლებმა.

– მიწისძვრა? – გაიკვირვა ლომმა, – კი მაგრამ, ვინმემ ნახა ან გაიგონა რაიმე?

– აი, ამას ჰკითხე, ამას! – ყვიროდნენ კურდღლები და ჩვენს კურდღელზე უთითებდნენ.

– ჩემო ბატონო, – ჩაილუღლუღა დარცხვენილმა კურდღელმა, – ჩემთვის წყნარად ვიჯექი სახლში და უცებ საშინელი ხმა შემომესმა, მიწა ზანზარებდა და მივხვდი, რომ ეს მიწისძვრა იყო. ჰოდა, ჩემიანებისკენ გავქანდი გასაფრთხილებლად. ხომ უნდა ეშველათ თავისთვის?

ლომმა შეხედა კურდღელს თავისი ღრმა, ჭკვიანი თვალებით.

– ძმობილო, იქნებ ის ადგილი მაჩვენო სადაც ეს ამბავი მოხდა.

კურდღელი მთლად ყოჩაღად ვერ გრძნობდა თავს, მაგრამ გადაწყვიტა, ლომს მინდობოდა. მათ გადაიარეს გორაკები, ტყეები, ველები და ბოლოს კურდღლის სახლს მიადგნენ.

– აი, აქ გავიგონე, ბატონო!

ლომმა იქაურობა დაათვალიერა და მალე შენიშნა ის უზარმაზარი ნაყოფი, რომელიც, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, ხიდან ჩამოვარდა და არემარე გააყრუა.

ლომმა თავისი უზარმაზარი კბილი მოსდო ნაყოფს, იქვე კლდეზე აიტანა და იქიდან გადმოაგდო. მიწა შეზანზარდა. კურდღელი შეხტა. „მიწისძვრა!“ – შეჰყვირა მან, – „თავს უშველეთ, მიწისძვრა განმეორდა!“ მაგრამ უცებ დაინახა ნაყოფი, რომელიც მისკენ მოგორავდა, ლომი გულიანად იცინოდა.

– მაშ, ეს მიწისძვრა არ იყო, არა? – ჩაიბურტყუნა კურდღელმა.

– რა თქმა უნდა, არა, – თქვა ლომმა, – ეს არ იყო მიწისძვრა და საშიშიც არაფერია.

– რა სულელი ვარ, – აღიარა კურდღელმა.

ლომმა კეთილად გაიღიმა.

– არა უშავს, ჩემო პატარა ძმობილო, ზოგჯერ მეც მეშინია ხოლმე ისეთი რამის, რაც არ ვიცი, – თქვა და გაბრუნდა, წავიდა, რომ ის კურდღლები დაემშვიდებინა, რომლებიც მთის წვერზე იცდიდინენ, ეთქვა მათთვის, რომ არავითარი საშიშროება არ ელით და შეუძლიათ სახლებში დაბრუნდნენ.აქეთკენ ჩამოივლით და გაგიმასპინძლდებითო.

– ქვები გადაგიგორ-გადმოგიგორო? მოჯამაგირედაც გინდა დამიყენოო! – დაიღრიალა ბოროტმა კაცმა, წიხლი გაიქნია, ქვის მაგივრად ყლორტს უთავაზა და ჩათელა.

ტესტი ტექსტისთვის „კურდღლების მიწისძვრა“

1. ყველაზე მეტად რა აშინებდა კურდღელს?

ა) ლომი

ბ) მიწისძვრა

გ) ნაყოფის ხიდან ჩამოვარდნა

დ) გამაყრუებელი ხმაური

2. რამ შეარყია მიწა?

ა) მიწისძვრამ

ბ) უზარმაზარმა ნაყოფმა

გ) კისრისტეხით მორბენელმა კურდღლებმა

დ) ძლიერმა სეტყვამ

3. მოვლენები ძალინ სწრაფად განვითარდა მას შემდეგ, რაც კურდღელმა შეჰყვირა: „მიწისძვრა!“ ამოიწერე ტექსტიდან ორი ისეთი სიტყვა ან ფრაზა, რომლებიც ამ სისწრაფეს გამოხატავს.

1 _____

2

1 _____

4. სად სთხოვა ლომმა კურდღელს წაყვანა?

1 _____

5. რატომ ჩამოაგდო ლომმა ნაყოფი მიწაზე?

ა) კურდღელს რომ შეშინებოდა და გაქცეულიყო.

ბ) კირდღელს რომ დახმარებოდა ნაყოფის მოპოვებაში.

გ) კურდღლისთვის რომ ეჩვენებინა, თუ რა მოხდა სინამდვილეში.

დ) კურდღელი რომ გაემხიარულებინა.

6. რა განცდა დაეუფლა კურდღელს მას შემდეგ, რაც ლომმა ნაყოფი ჩამოაგდო?

ა) გაბრაზდა

ბ) იმედი გაუცრუვდა

გ) თავისი სისულელის შერცხვა

დ) ძალიან დადარდიანდა

7. ზღაპრის ბოლოს რას ამბობს ან აკეთებს ლომი იმისათვის, რომ კურდღელმა თავი უკეთ იგრძნოს? მოიყვანე ორი მაგალითი.

1 _____

_____

2

1 _____

_____

8. როგორ იცვლება ზღაპარში კურდღლის გრძნობები და რატომ?

ზღაპრის დასაწყისში _____

იმიტომ, რომ _____

2

ზღაპრის ბოლოს _____

იმიტომ, რომ _____

9. რა არის ამ ზღაპრის მთავარი აზრი?

ა) საფრთხე ყოველთვის თავიდან უნდა აიცილო.

ბ) შენზე სუსტს და უმწეოს უნდა დაეხმარო.

გ) მტაცებელ ცხოველს არ უნდა ენდო.

დ) მიწისძვრის დროს გადარჩენის იმედი არ უნდა დაკარგო.

შეფასების სქემა ტესტისთვის „კურდღლების მიწისძვრა“

არჩევითპასუხიანი კითხვები

თითო ქულა: **1. ბ . 2. ბ. 5. გ. 6. გ. 9. ბ.**

ღია კითხვები

შეკითხვა 3. **ორი ქულა** (ქვემოთ წარმოდგენილი სიტყვებიდან და ფრაზებიდან პასუხებში მოცემული უნდა იყოს ორი):

– გაქანდა.
– კისრისტეხით აედევნენ.
– გადაირბინეს.
– ათასობით კურდღელმა გადაირბინა ველები.
– კისრისტეხით მორბენალი კურდღლები.

ერთი ქულა (პასუხში მოცემული უნდა იყოს მხოლოდ ერთი სიტყვა ან ფრაზა).

შეკითხვა 4. **ერთი ქულა:**

– იქ, სადაც ეს ამბავი მოხდა.
– იქ, სადაც კურდღელს საშინელი ხმა შემოესმა.
– იქ, სადაც მიწა შეზანზარდა.
– კურდღლის სახლში.
– იქ, სადაც კურდღლის აზრით, მიწისძვრა მოხდა.

0 ქულა: სადაც მიწისძვრა მოხდა (არასწორია).

შეკითხვა 7. **ორი ქულა:**

ქვემოთ წარმოდგენილი ფრაზებიდან პასუხში მოცემული უნდა იყოს ორი.

– ლომმა კურდღელს მიმართა – „ძმობილო“.
– ლომმა კეთილად გაიღიმა.
– არა უშავს, ჩემო პატარა ძმობილო, ზოგჯერ მეც მეშინია ხოლმე ისეთი რამის, რაც არ ვიცი.
– ლომმა კურდღელი დაამშვიდა.
– უთხრა, არა უშავსო.
– ლომი მშვიდად იყო.
– აუხსნა, თუ რა მოხდა სინამდვილეში.
– უთხრა, რომ თვითონაც ყოფილა შეშინებული.

ერთი ქულა: პასუხში მოცემული უნდა იყოს წარმოდგენილთაგან მხოლოდ ერთი სიტყვა ან ფრაზა.

შეკითხვა 8. **ორი ქულა:**

პასუხში ნაჩვენები უნდა იყოს, თუ როგორია პერსონაჟის განწყობა ზღაპრის დასაწყისში და ბოლოს, ამასთანავე მოყვანილი უნდა იყოს მისი სხვადასვაგვარი განწყობის განმაპირობებელი მიზეზები. მაგალითად:

– ზღაპრის დასაწყისში კურდღელი შეშინებულია, რადგან ფიქრობს, რომ მიწისძვრა მოხდა; ზღაპრის ბოლოს კურდღელი დამშვიდებულია, რადგან მიხვდა, რომ შეცდა, / ლომის მხარდაჭერა იგრძნო.

– ზღაპრის დასაწყისში კურდღელი აღელვებულია, ფიქრობს რომ ის და მისი მეგობარი კურდღლები დაიღუპებიან. ზღაპრის ბოლოს მას თავისი სისულელის რცხვენია, რადგან ხვდება, რომ განგაში ტყუილად ატეხა.

– ზღაპრის დასაწყისში კურდღელი შეწუხებულია, ის სხვა კურდღლებზე ზრუნავს; ზღაპრის ბოლოს კურდღელი დარცხვენილია, რადგან მიხვდა, რომ ტყუილად ააფორიაქა ყველა.

ერთი ქულა:

პასუხში ნაჩვენები უნდა იყოს პერსონაჟის განწყობა ზღაპრის დასაწყისში და ბოლოს მისი განმაპირობებელი ბიზეზის დასახელების გარეშე, / ან პერსონაჟის განწყობა მხოლოდ მოთხრობის დასაწყისში ან ბოლოს მიზეზის დასახელებით. მაგალითად,

– მოთხრობის დასაწყისში კურდღელი შეშინებულია, ბოლოს დამშვიდებულია.

– მოთხრობის დასაწყისში კურდღელი შეშინებულია, რადგან ფიქრობს, რომ მიწისძვრა მოხდა.

თავი 8 – იგავ-არაკები

მგელი და კრავი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტური ხაზის თავიდან ბოლომდე გააზრება და მოვლენების თანამიმდევრობით გადმოცემა; ძირითადი თემის, იდეის ამოცნობა; ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე მსჯელობა, მათი საქციელის შეფასება; მხატვრული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა; ტექსტის ცალკეული რეპლიკის გაანალიზება; პერსონაჟის როლის განსასახიერებლად საჭირო მონაცემების დაუფლება.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

- მსჯელობს მხატვრულ ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე;
- თანამიმდევრულობის დაცვით გადმოსცემს ტექსტების შინაარსს (ვრცლად და/ან მოკლედ);
- მიჰყვება მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს და თანამიმდევრულად გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს;

ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.

- აფასებს გმირის საქციელს და განმარტავს თავის დამოკიდებულებას;
- მონაწილეობს მხატვრული ნაწარმოების შესახებ გამართულ დისკუსიაში;

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- გამოყოფს მხატვრულ ტექსტში სიუჟეტის განვითარების ეტაპებს (დასაწყისს, ამბის შუა ნაწილს, დასასრულს);

ქართ.დაწყ.(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.

- როლის (მოლაპარაკე ცხოველების, უსულო საგნების) განსასახიერებლად ადეკვატურად იყენებს დამხმარე საშუალებებს (ჟესტს, მიმიკას, დამახასიათებელ მოძრაობას, გარკვეულ არტიკულაციას; მოხერხებულობის, ტყუილისა თუ სხვა თვისებებისა და გრძნობების გამომხატველ მინიშნებებს).
-

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. *მეტყველება*

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ტექსტის სათაურს „მგელი და კრავი“. მოსწავლეებს შეახსენეთ, რა არის იგავი, ვინ არიან ხშირად იგავის პერსონაჟები.

შემდეგ დასვით შეკითხვები:

– როგორი ცხოველია კრავი? (სავარაუდო პასუხები: წყნარი, მშვიდი, უწყინარი, უმწეო, დაუცველი)

– მგელი როგორია? (სავარაუდო პასუხები: საშიში, მტაცებელი, ვერაგი, დაუნდობელი)

– ჩვეულებრივ, რა დამოკიდებულებაა მგელსა და კრავს შორის? (სავარაუდო პასუხი: მგელი კრავს ყოველთვის ერჩის, მგელი კრავს იტაცებს და ჭამს.)

– როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება მოხდეს ამ იგავში? (სავარაუდო პასუხი: მგელი კრავს შეჭამს / გაიტაცებს.)

ბავშვებს ყურადღება გაამახვილებინეთ იგავის ფორმაზე. ფორმის თვალსაზრისით, შეადარებინეთ „მგელი და კრავი“ სულხან-საბას იგავებთან.

– რას წარმოადგენს ეს იგავი ფორმის მიხედვით? რით განსხვავდება ის სულხან-საბას იგავებისგან? (სავარაუდო პასუხი: ამ იგავს ლექსის ფორმა აქვს, / აქ ამბავი გალექსილია; სულხან-საბას იგავები კი პატარ-პატარა მოთხრობებია, პროზაული ნაწარმოებებია.)

აქტივობა 2. *წაკითხულის გააზრება, მეტყველება*

ა) გამოიყენეთ ჩუმი კითხვის სტრატეგია. ყველა მოსწავლე თავისთვის, ჩუმად კითხულობს. შესთავაზეთ ბავშვებს, სტროფების გასწვრივ ფანქრით მიაწერონ პერსონაჟთა სახელები, რათა კარგად გაარკვიონ, რომელი პერსონაჟი რას ამბობს.

ბ) კითხვის დასრულების შემდეგ დასვით შეკითხვები წაკითხულის გააზრების შესამოწმებლად:

– სად შეხვდნენ ერთმანეთს კრავი და მგელი? (მდინარის პირას)

– რას ნიშნავს გამოთქმა „გამოიგონა შარები“ და რატომ მოიქცა ასე მგელი? (მგელმა ბრალდებები გამოიგონა; მან ტყუილად დაადანაშაულა კრავი, რათა შემდეგ შეეჭამა.)

– ჩამოთვალე სამი ბრალდება, რომლებიც მგელმა კრავს წაუყენა (წყლის ამღვრევა, ძველი წყენა, კრავის ძმის დადანაშაულება).

– მგელი ძალიან უხეშად მიმართავს კრავს, ამცირებს მას. იპოვე ტექსტში ის სიტყვები, რომლებშიც ეს ჩანს („შე, ბრიყვო!“ „შიგ ჰყოფ ტუჩს უწმინდურსაო!“ „ნუ წაგიგდია ენაო! ხმა ჩაიკმინდე ჩქარაო!“ და მისთ.).

– კრავი ასე მიმართავს მგელს: „ბატონო“, „ჩემო ხელმწიფევ“. რისი გამომხატველია ამგვარი მიმართვა? (პატივისცემის, მორიდების, მოკრძალების, თავმდაბლობის და სხვ.)

– კრავი მგელს შემდეგ სიტყვებს ეუბნება: „რას მერჩით მე, საწყალსაო“, „ჯერ ერთი წლისაც არა ვარ“. რას ცდილობს კრავი? (კრავი ცდილობს, თავი შეაცოდოს მგელს, / ცდილობს, თავი გადაირჩინოს.)

– თქვენი აზრით, კრავი

ა) მგლის ბრალდებებს ჭკვიანურად და დასაბუთებულად პასუხობს.

ბ) შიშისაგან დაიბნა და ხმას ვერ იღებს.

გ) შეშინებულია და მგლის ბრალდებებს აბნეულად პასუხობს.

ეს არის არჩევითი პასუხის მქონე კითხვა, რომლის სწორი პასუხია ა). იმსჯელეთ ამ კითხვაზე. დაასაბუთებინეთ, რატომ არის სწორი პასუხი ა). თუ რომელიმემ სწორ პასუხად აირჩია ბ) ან გ), სთხოვეთ, დაასაბუთოს თავისი მოსაზრება.

– მგლის ნალაპარაკევიდან რომელი სიტყვებია თქვენთვის ყველაზე თავხედური და მიუღებელი? სასურველია, ამ კონტექსში ბავშვებმა იმსჯელონ შემდეგ სტროფზე: შემოუძახა: „შე, ბრიყვო! / აქ როგორა სვამ წყალსაო, / რომ აღარ დასდევ კანონებს/ და აღარც სამართალსაო?“ რომელშიც მგელი უტიფრად და თავხედურად კანონსაც კი იშველიებს თავისი ვერაგი ზრახვების გასამართლებლად.

– მგლის რომელ სიტყვებში გამჟღავნდა საბოლოოდ მისი ნამდვილი ზრახვები? („მომწყინდა შენი ბღავილი, / ხმა ჩაიკმინდე ჩქარაო! / შენი ჩაკვრეხა რომ მნებავს, / მიზეზად ისიც კმარაო!“).

– იპოვეთ ლექსში ის სტრიქონები, რომლებშიც გადმოცემულია იგავის დედააზრი („დიდ კაცთან პატარა კაცსა /როდის გასვლია მართალი?“).

დაიხმარეთ დამატებითი შეკითხვები:

– მიუხედავად დიდი მცდელობისა, უმწეო კრავი ბოლოს მაინც ვერაგი მგლის მსხვერპლი ხდება. შენი აზრით, ვინ ან რამ უნდა მოაწესრიგოს ასეთ დროს მდგომარეობა? რაშია გამოსავალი?

ა) ადამიანი თვითონ უნდა იყო ფიზიკურად ძლიერი, რომ ყოველთვის მოახერხოს საკუთარი სიმართლის დაიცვა.

ბ) უნდა გყავდეს ძლიერი მფარველი, რომელიც ყოველთვის დაგიცავს, მართალი იქნები თუ მტყუანი.

გ) უნდა არსებობდეს კანონი, რომელიც შენს სიმართლეს დაიცავს.

მართალია, ეს შეკითხვა ფორმით ჰგავს ზემოთ დასმულ არჩევითი პასუხის მქონე კითხვას, მაგრამ ბავშვი ამ შემთხვევაში თავისუფალია თავის არჩევანში (მიაქცევინეთ ყურადღება, შეკითხვაში წერია „შენი აზრით“). ამიტომ იმსჯელეთ კლასში ამ საკითხზე, საუბარი დაუკავშირეთ დღევანდელობას, პიროვნების სამოქალაქო თვითშეგნებას, მართლმსაჯულების უზენაესობას და ა. შ. ამ საუბრის წარმართვაში დაგეხმარებათ შემდეგი კითხვაც:

– თქვენ რა ცხოვრებისეული გამოცდილება მიიღეთ ამ იგავიდან?

ა) ვფიქრობ, რაღაც უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ ადამიანი უსამართლოდ არ დაიჩაგროს.

ბ) მივხვდი, რომ, რაც უნდა მართალი და ჭკვიანი ვიყო, ჩემზე ძლიერის წინაშე თავს მაინც ვერ ვიმართლებ, ამიტომ ასეთ ადამიანს უნდა მოვერიდო.

გ) გავიგე, რომ ძლიერი ყოველთვის ჩაგრავს სუსტს, ეს ცხოვრების კანონია.

ჩამოთვლილთაგან რომელს უჭერთ მხარს? რატომ ფიქრობთ ასე? ხომ არ გაქვთ ზემოთ გამოთქმული აზრებისაგან განსხვავებული თვალსაზრისი?

მოსალოდნელია, რომ პიროვნების შესაძლებლობებისა და მოქალაქის როლის გააზრება მოსწავლეებს (ა) პაუხისაკენ მიიზიდავს.

აქტივობა 3. *მეტყველება, მხატვრული კითხვა*

კლასი მოამზადეთ იგავის ინსცენირებისათვის: გაუნაწილეთ ბავშვებს როლები (მთხრობელი, კრავი და მგელი). სასურველი და სახალისოც იქნება, თუ მგლის როლს მისცემთ ჩუმ, პასიურ მოსწავლეს, ხოლო კრავისას – შედარებით ცელქს, აქტიურს. „მსახიობებს“ ხმამაღლა წააკითხეთ იგავი.

საშინაო დავალება

გაკვეთილის დასასრულს მიეცით მოსწავლეებს სახლში შესასრულებლად წერითი დავალება, რომელიც გულისხმობს იგავის პერსონაჟთა დახასიათებას:

„იმის მიხედვით, რას ამბობენ მგელი და კრავი, ჩვენ ვიგებთ, თუ როგორები არიან ისინი. დაახასიათე ორივე პერსონაჟი. ტექსტზე დაყრდნობით დაასაბუთე შენი აზრი მათ შესახებ“.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლეს ძირითადი თემისა და იდეის ამოცნობა, პერსონაჟებზე მსჯელობა, მსჯელობის ტექსტური მასალით გამყარება, ინტონაციის დაცვით როლის წაკითხვა.

იგავი

იგავი დამრიგებლობითი ხასიათის, ჭკუის სასწავლებელი ნაწარმოებია. მისი მოქმედი პირები ხშირად ცხოველები და ფრინველები არიან, მაგრამ სინამდვილეში ამ პერსონაჟებში ადამიანები იგულისხმებიან. იგავის ბოლოს ხშირად მოკლედ არის ჩამოყალიბებული მისი მთავარი სათქმელი, რასაც შეგონება ეწოდება. შეგონებები ზოგჯერ ანდაზებად იქცევა ხოლმე.

ანდაზა ხალხური გამონათქვამია, რომელშიც მოკლედ, სხარტად, გონებამახვილურადაა გადმოცემული ჭკვიანური აზრი. ანდაზას ძალიან ჰგავს აფორიზმი – ასევე მხატვრულად გამოთქმული ბრძნული აზრი. განსხვავება ის არის, რომ ანდაზა ხალხურია, აფორიზმის ავტორი კი ჩვენთვის ცნობილია. იგავის მსგავსად, ანდაზაც და აფორიზმიც ყოველთვის რაღაცას გვასწავლის, მიგვითითებს, ჭკუას გვარიგებს.

იგავებს უძველესი დროიდან თხზავდნენ მწერლები. ცნობილი მეიგავეები იყვნენ: ეზოპე (ძველი საბერძნეთი, ძვ. წ. VI-V სს), ლაფონტენი (საფრანგეთი, XVII ს.), კრილოვი (რუსეთი, XVIII-XIX სს). ცნობილმა ქართველმა მეიგავემ, სულხან-საბა ორბელიანმა, შექმნა „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“, რომელშიც პერსონაჟები ერთმანეთს იგავებით ეპაექრებიან. სულხან-საბა ორბელიანი XVIII საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იგი პირველი ქართველი მეიგავეა.

იგავს ქმნიან როგორც ლექსად, ისე პროზად. მაგალითად, „მგელი და კრავი“ გალექსილია. სულხან-საბა ორბელიანის იგავები კი პროზის ნიმუშია.

სულხან-საბას იგავებს ხშირად ერთვის შეგონებანი. „კეთილი საქმე არ უნდა გადადო“, – ასე გვარიგებს მისი ერთ-ერთი იგავი, რომლის სათაურია „უკან მიდევნებული ლამპარი“.

უტკბესი და უმწარესი

ერთხელ ერთმა მეფემ თავის ვეზირს უბრძანა, ამქვეყნად ყველაზე ტკბილი საჭმელი რაც არის, ის მომიტანეო. წავიდა ვეზირი, საქონლის

ენა იყიდა, შეწვა და მეფეს მიართვა. ცოტა ხნის შემდეგ მეფემ ისევ დაიბარა ვეზირი და უთხრა, მწარე საჭმელთა შორის ყველაზე მწარე მომართვიო. ვეზირი წავიდა, ისევ ენა იყიდა, შეწვა და მეფეს მიართვა.

მეფემ გაიკვირვა, ტკბილი ვითხოვე, ენა მომიტანე, მწარე მოვისურვე და ისევ ენა მომართვიო?

ამქვეყნად ყველაზე ტკბილიც და ყველაზე მწარეც ენა არისო, – უპასუხა ვეზირმა.

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით

უპასუხე შეკითხვებს

1. როგორ მოიქცა ვეზირი, როცა მეფემ ყველაზე ტკბილი საჭმლის მორთმევა უბრძანა?
2. რა კერძი მიართვა ვეზირმა მეფეს, როცა მან ყველაზე მწარე საჭმელი მოითხოვა?

იმსჯელე

3. ნათქვამში – „ამქვეყნად ყველაზე ტკბილიც და ყველაზე მწარეც ენა არისო“ – რა სიტყვით შეიძლება შევცვალოთ „ენა“, აზრი იგივე რომ დარჩეს?
4. შენი აზრით, როგორი უნდა იყოს ის მეფე, რომლის ვეზირიც ასე ცდილობს, მიახვედროს მას, თუ რა ძალა აქვს ენას?
5. რა აერთიანებს სულხან-საბა ორბელიანის ამ სამ იგავს? პასუხი დაასაბუთე.

   ა) სამივე იგავში პერსონაჟები ცდილობენ, საქციელით, ქმედებით გამოხატონ თავიანთი აზრი.
   ბ) სამივე იგავში მოქმედება სამეფო კარზე ხდება.
   გ) სამივე იგავის მთავარი სათქმელია ის, რომ სიტყვას დიდი ძალა აქვს.

დაწერე (დავალება)

6. ჩამოაყალიბე ამ იგავის მთავარი აზრი, ძირითადი სათქმელი.

გრამატიკა

7. იპოვე იგავში წინადადებები, რომლებშიც მნიშვნელობით საპირისპირო სიტყვებია.
8. მოძებნე იგავში ორი არსებითი სახელი, რომელიც მოთხრობით ბრუნვაში დგას.
9. მოძებნე იგავში არსებითი სახელი, რომელიც: ა) მიცემით ბრუნვაშია; ბ) ნათესაობით ბრუნვაშია.

ყველას ვალი

მთვრალი ბუზანკალი ტყე-ტყე მიდიოდა, მიბორიალობდა, ჩხუბი ეწადა. ცა ქუდად არ ჰყოფნიდა, მიწა – ქალამნად.

ქინქლა-ბუზებს წააწყდა და შეუტია:

– თავ-პირი უნდა დაგალეწოთო!

– რისთვის ბარონო ბუზანკალო, რას გვერჩითო? – გაუკვირდათ ქინქლებს.

– ასეთი სურვილი მაქვსო! – ბუზანკალმა ქულაჯა გაიძრო და ქინქლებს კეტით დაერია.

ხეზე ჩხიკვი იჯდა. ფეხი ფეხზე შემოედო, სიცილით კვდებოდა, რა სეირსა ვხედავო!

– არიქათ, გვიშველეთ, ბუზანკალმა დაგვხოცაო! – იყვირეს ქინქლებმა.

ყვირილზე გომბეშომ მოირბინა; ბუზანკალი შეშინდა, კეტი ხელიდან გაუვარდა. გომბეშომ თვალები გადმოკარკლა და ბუზანკალს შეუყვირა:

– გალეშილხარ, ქინქლებს დარევიხარ, შე ასეთ-ისეთო, შენაო! ახლავე ბოდიში მოიხადე და აქედან დაიკარგე. მეორედ აღარ იჩხუბო, თორემ ბუზანკალებს მე საერთოდ არ გიახლებით, მაგრამ მაინც გადაგყლაპავო!

ბუზანკალმა ქინქლებს ბოდიში მოუხადა და იქაურობას გაეცალა.

გომბეშო ახლა ჩხიკვს მიუბრუნდა:

– მანდ რომ ჩამოსკუპებულხარ, ქალბატონო ჩხიკვო, ეს გათავხედებული ბუზანკალი ვერ დააშოშმინეო?!

ჩხიკვმა მუხლისთავებზე კაბა ჩამოიფარა და მხრები აიჩეჩა:

– მე ხომ არავინ მირტყამდა, რა ჩემი საქმეაო!

– რა ჩემი საქმეაო? ერთად ვცხოვრობთ და ყველა ჩვენგანი მოვალეა, ჩაერიოს, როცა უსამართლობა ხდება. ეგ სიტყვები წინ დაგხვდება, შე უსირცხვილო, შენაო! – გაჯავრდა გომბეშო.

ჩხიკვს სასაცილოდ არ ეყო. სხვა ხეზე გადაფრინდა და რა დაინახა:

ხოჭოს შინისკენ მზეზე შემჭკნარ-შეშაქრებული მარწყვი მიჰქონდა. წინ ჭრელჩოხიანი კრაზანა გადაუდგა:

– ეგ მარწყვი კაი ტკბილი ჩანს და აქ მომეციო!

– ერთი ბოგანო ხოჭო ვარ, ბატონო კრაზანავ, მარწყვს ნუ წამართმევ, შვილებს ნუ დამიმშევო! – შეემუდარა ხოჭო.

კრაზანამ ყანყრატოდან სატევარი გადმოაცურა:

– მარწყვი დადე, თორემ გავჯავრდები და მაგ დაგლეჯილ ქალამნებსაც დაგხდიო!

– არიქათ, მძარცვავენო! – იყვირა ხოჭომ.

კრაზანამ იერიში მიიტანა, ხოჭო საზარელ დღეში ჩააგდო. ჩხიკვმა, ვითომც აქ არაფერიაო, თმის ვარცხნას მიჰყო ხელი. ხოჭოს ყვირილი ზღარბმა გაიგონა, ელვის სისწრაფით მოიჭრა. კრაზანას ზღარბისა ისე შეეშინდა, რომ სატევარი ყელში გადასცდა. ზღარბი აიბურძგნა, კრაზანას შეუყვირა:

– მარწყვი თუ მოგინდა, ავაზაკო კრაზანავ, გაისარჯე და იშოვე! ხოჭოს ნაოფლარს ართმევ, ქვეყანა ჩალით დახურული გგონია? აქედან დაიკარგე და ავაზაკობა მოიშალე, თორემ კრაზანებს მე საერთოდ არ გიახლები, მაგრამ მაინც შეგახრამუნებო!

კრაზანა ფეხაკრეფით გაიპარა.

ზღარბი ახლა ჩხიკვს მიუბრუნდა:

– მანდ რომ ჩამოსკუპებულხარ, ქალბატონო ჩხიკვო, ამ ავაზაკ კრაზანას ჭკუა დროზე ვერ ასწავლეო?

ჩხიკვმა მხრები აიჩეჩა.

– მე ხომ არავინ მძარცვავდა. რა ჩემი საქმეაო?!

– რა ჩემი საქმეაო? ერთად ვცხოვრობთ და ყველა ჩვენგანი მოვალეა, ჩაერიოს, როცა უსამართლობა ხდება. ეგ სიტყვები წინ დაგხვდება, შე უსინდისო, შენაო! – გაჯავრდა ზღარბი.

ჩხიკვს სასაცილოდ არ ეყო, ძირს ჩამოვიდა, გაისეირნა და გამოისეირნა.

ამ სეირნობაში კაკანათმა წკაპანი გაიღო. ჩხიკვი მახეში გაება და ისე შეეშინდა, რომ ძლივს წაილუღლუღა:

– გომბეშო და ზღარბო, მიშველეთ, ხომ ხედავთ, მახეში გავები და ვიღუპებიო!

– გაები და ახია შენზე, ჩვენ ხომ არ ვიღუპებით, რა ჩვენი საქმეაო! – მიუგეს მათ.

– ოღონდ ახლა გადამარჩინეთ და, როგორი ჩხიკვობაც გავწიო, მერე ნახეთო!

ზღარბმა და გომბეშომ ითათბირეს და ჩხიკვს უთხრეს:

– ეს ერთი დაგხმარებივართ, მაგრამ თუ ისევ ისეთი ჩხიკვობა გაგიწევია, იმედი ნუღარავისი გექნებაო.

ზღარბმა და გომბეშომ კაკანათი დიდის წვალებითა და ვაივაგლახით გახსნეს და ჩხიკვი დაღუპვისგან იხსნეს.

ჩხიკვი სიტყვას დღესაც პირნათლად ასრულებს: თუ უსამართლობას წააწყდა, ყველას უძახის, არიქათ, ჩავერიოთო! ასე გასინჯეთ, ტყეში მონადირეს რომ დაინახავს, თავს დასტრიალებს და საქვეყნოდ გაჰყვირის:

– მეგობრებო, საფრთხე გელით, თავს უშველეთო!

ჭაბუა ამირეჯიბი

ანდაზა: ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო.

თავი 9 – კარგი და ცუდი

თავდადებული მღვდელი თევდორე

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის დეტალებზე დაკვირვება, ანალიზი.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

- ამოიცნობს ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციას;
- ახარისხებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული ნიშან-თვისებების მიხედვით;
- ამოიცნობს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში ექსპლიციტურად მოცემულსხვადასხვა ინფორ-მაციას, მათ შორის არსებულ ლოგიკურ (მიზეზ-შედეგობრივ, ოპოზიციურ და სხვ.) კავშირებს;

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორ-მაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- მოიძიებს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., მოვლენათა, მოქმედებათა დროსა და ადგილს);
- აკავშირებს ერთმანეთთან ექსპლიციტურად მოცემულ ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები;
- ამოიცნობს ტექსტში გადმოცემულ მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებულ ქრო-ნოლოგიურ და ლოგიკურ (მიზეზ-შედეგობრივ, ოპოზიციურ, პირობით, დათმობით და სხვა) კავშირებს;
- აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით (მსგავსება-განსხვავების, მზარდი-კლებადი ხარისხისა და ა.შ. მიხედვით);
- ასახელებს მხატვრული ნაწარმოების მოქმედ პირებს, განსაზღვრავს თვალსაზრისს (ვისი თვალით არის აღქმული მოვლენები).

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ინდივიდუალური, წყვილური.

აქტივობა 1. *წინარე ცოდნის გააქტიურება*

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს წინარე ცოდნის გამოწვევით: გაიხსენეთ სამშობლოსთვის თავ-დადებული ადამიანები. მოსწავლეები ჩამოთვლიან, ვინც ახსოვთ. თუ ვერ დაასახელებენ, მასწავლებელი ჩამოთვლის რამდენიმე მათგანს და ეტყვის, რომ მათ შორის იყო მღვდელი თევდორე.

აქტივობა 2. *ტექსტის შინაარსზე დაკვირვება*

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ მოუსმინონ ყურადღებით: ის მოუყვება მათ ტექსტის მოკლე შინაარსს, თუმცა არასრულად და ამასთან, დაამატებს სხვა ცნობებსაც ამ ცნობილი გმირის შესახებ.

თხრობისას მასწავლებელს შეუძლია გამოტოვოს ტოპონიმები, ემოციების გამომხატველი მონაკვეთები და ა. შ. ჰყვება ტექსტის მოკლე შინაარსს, სამაგიეროდ, უმატებს სხვა ინფორმაციას (მაგ., ტექსტში არ არის მოხსენიებული მეფის სახელი). შეუძლია, კლასის შესაძლებლობების გათვალისწინებით, მხოლოდ გამოაკლოს ინფორმაცია და არაფერი დაუმატოს.

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და შემდეგ წყვილებად მსჯელობენ, რა ინფორმაცია იყო მასში განსხვავებული ან რა აკლდა.

აქტივობა 3. *პრეზენტაცია*

აქტივობის დასრულების შემდეგ 1 წყვილი აკეთებს პრეზენტაციას, დანარჩენები ავსებენ. თუ რამე გამორჩა, მასწავლებელი ამატებს.

აქტივობა 4. *ლექსიკაზე მუშაობა*

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებინებს ბუნდოვან სიტყვებსა და ტოპონიმებზე. მასალაზე მსჯელობისას მას შეუძლია დაიხმაროს XVII საუკუნის საქართველოს რუკა, მოსწავლეებთან ერთად მონიშნოს გზა, რომელიც გაიარა თევდორე მღვდელმა.

აქტივობა 5. *რეფლექსია*

მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ბარათებს და სთხოვს, რამდენიმე სიტყვით დაწერონ ზედ, რა მოხდებოდა, რომ არა მღვდელი თევდორეს თავდადება. ბარათებს მოსწავლეები ტოვებენ მასწავლებლის მაგიდაზე გაკვეთილის დასრულების შემდეგ. ბარათებს განიხილავენ მომდევნო გაკვეთილზე.

საშინაო დავალება

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ თევდორე მღვდლის დახასიათება.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს შინაარსის აღქმა, დეტალების დამახსოვრება, აზრის ნათლად და არგუმენტირებულად ჩამოყალიბება.

მოთხრობები წმინდა ზნეობაზე

1. სირცხვილის აშორება

შუადღე იყო. დიდი სიცხე იდგა. მინდვრიდან სახლში მიდიოდა პატარა სანდრო. შიმშილიც ძლიერ აწუხებდა და წყურვილიც. გზაზე, მეზობლის ვენახში, ღობესთან დაინახა წითლად დაკუნწლული ვაშლი. თვალი ზედ დარჩა, პირზე ნერწყვი მოადგა და კბილებმა კაწკაწი დაუწყო. ვაშლები თითქოს უცინოდნენ სანდროს, იწვევდნენ და ეუბნებოდნენ: ამოხტი, მოგვგლიჯე, ჩაგვკბიჩე და პირი ჩაიტკბარუნეო.

სანდრო ყოყმანობდა. სხვისი ვაშლის ქურდულად მოკრეფა ეძნელებოდა, ეთაკილებოდა; თავის დღეში ქურდობა არ ჩაედინა. ბოლოს ვეღარ მოითმინა, სულმა წასძლია, ახტა ღობეზე, მოიწია ტოტი და ოთხი წითლად დაბრაწული ვაშლი მოწყვიტა.



მიდის შინისაკენ სანდრო, ჭამს ვაშლს და თანაც რაღაც ჯავრს გრძნობს, თითქოს გულში ვიღაც უზის და ეუბნება: ქურდობა ჩაიდინეო. შხამად ეჩვენება ვაშლი საწყალ ბავშვს, წუხს თავის სულწასულობაზე; მაგრამ რაღა ქნას? ვაშლებს ხომ ვეღარ მიაბამს ხეზე. მიდის ასე შეწუხებული.

უცებ სანდრო გაჩერდა, რაღაც აზრი მოუვიდა, სახე გაუნათლდა. იქნებ წამალი უპოვა თავის სირცხვილს?

სანდრომ მოკურცხლა ვენახის პატრონის სახლისკენ, მიირბინა კარებთან და დაიძახა:

– ნათლია, თუ შეიძლება, გარეთ გამობრძანდით.

– შენა ხარ, სანდრო? რა გინდა, ჩემო კარგო? – ჰკითხა შინიდანვე დიასახლისმა.

– ნათლია, გეთაყვა, ნუ გეწყინება:

თქვენს ვენახში განაპირა ხეხილზე ოთხი ვაშლი მოვწყვიტე და სამაგიერო სიკეთეს გადაგიხდით!

– შეგარგოს ღმერთმა, – უთხრა ღიმილით დიასახლისმა.

სანდრო დაბრუნდა შინ სინდისდამშვიდებული და ტკბილად შეირგო წითელი ვაშლები.

იაკობ გოგებაშვილი

უპასუხე შეკითხვებს

1. რა ცდუნების წინაშე აღმოჩნდა პატარა ბიჭი?
2. ტექსტის მიხედვით, რომელია სწორი აზრი?

   ა) დაინახა თუ არა სანდრომ წითლად დაკუნწლული ვაშლის ხე, ოთხი ვაშლი მოწყვიტა.

   ბ) სანდრო თავიდან ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს ოთხი წითლად დაბრაწული ვაშლი მაინც მოწყვიტა.

   გ) სინდისდამშვიდებულმა სანდრომ მოიწია ტოტი და ოთხი წითლად დაბრაწული ვაშლი მოწყვიტა.
3. რა უწოდა მწერალმა სანდროს საქციელს?
4. როგორ დაიმშვიდა სანდრომ სინდისი, რა მოიმოქმედა მან?

იმსჯელე

5. განმარტე, სწორად რატომ გამოხატავს მესამე შეკითხვის პასუხი სანდროს საქციელს.

მოძებნე ტექსტში

6. იპოვე ტექსტში მონაკვეთი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბავშვს საკუთარი სინდისის ხმა ჩაესმის.
7. იპოვე ტექსტში სიტყვა „ჯავრი“ და შეურჩიე მნიშვნელობით მსგავსი სიტყვა:

   ა) სიამოვნება; ბ) კმაყოფილება;

   გ) ბოღმა; დ) დარდი.
8. იპოვე და გაასწორე შეცდომა: შენახარ, სანდრო? რა გინდა, ჩემო კარგო?

იმსჯელე

9. რა მნიშვნელობა აქვს სიტყვას – „სათაკილო“?

   ა) სასიხარულო; ბ) საეჭვო;

   გ) სამარცხვინო; დ) საამაყო.
10. შეაფასეთ, რა იყო ცუდი, არასაკადრისი და რა – კარგი, მოსაწონი სანდროს საქციელში.

დაწერე (დავალება)

11. შეადგინე გეგმა და შემდეგ დაწერე ამ მოთხრობის მოკლე შინაარსი.

დედამიწამ რა სთქვა

მე ვარ დედა, მშობელი ყველასი. რაც კი თვალით ჩანს, თუ არა ჩანს, ყველას ჩემს კალთაზე უძევს თავი, ყველა ჩემით სულდგმულობს, არსებობს, საზრდოობს. ჩემ გარეშე სულ პატარა მწყერსაც კი სული ამოხდება. ამიტომ არის, რომ დედას მიწოდებს ყოველი არსი. ვამაყობ ჩემი თავით, ჩემი სახელით.

აუარებელი საქმე მაქვს, დიდი და მძიმე ტვირთი მკიდია ზურგზე, მაგრამ არ ვდრკები, არ ვტირი, არც ვჩივი. მუდამ სველი მაქვს უბე და კალთები: ჩემს გულ-მკერდზე დიან მდინარენი, დგანან ოკეანენი; უნდა იდინონ, უნდა მასველონ; მე უნდა მოვითმინო, ხოლო ჩემმა შვილებმა გაიხარონ. ყველამ – განა თუ ერთმა და ორმა?! არა, არა, მე გული მიკვდება, ვიტანჯები, ავად ვარ მაშინ, როცა ყველა ჩემი შვილი ერთნაირად არ გაიხარებს ჩემი ამაგით... დედა ვარ, დედა! იცით კი, დედის გული როგორია? ნუ გგონიათ, ყელმოღერებული, ზურგზე რქებგადაწყობილი ირემი, ტურფა და ლამაზი, მერჩივნოს საწყალ, გაქუცულ წრუწუნა თაგვს. ნუ გგონიათ, ნუ დაიჯერებთ!

ნურც იმას დაიჯერებთ, თითქოს ნადირთა მეფედ წოდებული კლანჭმაგარი და გულმაგარი ლომი თრითინაზე, საწყალ თრითინაზე მეტად მიყვარდეს. რატომ? იმიტომ, რომ დედა ვარ, ჩემი გული, ჩემი გრძნობა სხვაა. ბევრჯერ ბევრ თქვენგანს რაც მოსწონს, მე მეწუნება.

...ადამიანებო! თუ მე დედა ვარ და თქვენ – ჩემი შვილები, რატომ არ ცხოვრობთ, როგორც ძმები?...

...ვიტანჯე დიდხანს, მინდა დავისვენო. მინდა გავიხარო დღეს. მინდა ვნახო, რომ ძმა ძმას აღარ ჩაგრავს უსამართლოდ!...

ვაჟა-ფშაველა

თავი 10 – თარგმნის ხელოვნება

ჰაიდი (მოსასმენი ტექსტი)

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის შინაარსის მოსმენა-გაგება-გააზრება, ჩანიშვნების გაკეთება, ლოგიკური კითხვების დასმა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

- ახარისხებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული ნიშან-თვისებების მიხედვით;
- ამოიცნობს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში ექსპლიციტურად მოცემულსხვადასხვა ინფორ-მაციას, მათ შორის არსებულ ლოგიკურ (მიზეზ-შედეგობრივ, ოპოზიციურ და სხვ.) კავშირებს;
- თანამიმდევრულობის დაცვით გადმოსცემს ტექსტების შინაარსს (ვრცლად და/ან მოკლედ);
- მიჰყვება მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს და თანამიმდევრულად გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს;

ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით სვამს კითხვებს წაკითხულის შესახებ.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ მოსმენილი ტექსტის გაგება-გააზრება, აქვთ ყურადღებით მოსმენის უნარი, შეუძლიათ სხვადასხვა ტიპის კითხვების დასმა.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ინდივიდუალური, წყვილური.

აქტივობა 1. *წინარე ცოდნის გამოწვევა*

თემის და მიზნის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, ყველაზე მეტად რა მოსწონთ ან რა უჭირთ, მაშინ როცა მხოლოდ უსმენენ უცხო ტექსტს და არ კითხულობენ. მოსწავლეები ჩამოთვლიან. სავარაუდოდ მოსწონთ ის, რომ ინტონაციის დაცვით, გამომეტყველებით წაკითხული ტექს-ტი უფრო ადვილი აღსაქმელია, წამკითხველის მხრიდან გარკვეული ემოციაც ჩანს, შეიძლება უჭირდეთ ყურადღების კონცენტრაცია, გარკვეული სიტყვებისა თუ მონაკვეთების აღქმა. მასწავლებელი ეუბნება

მოსწავლეებს, გაიხსენონ ერთად სტრატეგია, როგორ დაძლიონ ეს პრობლემები. ესენი შეიძლება იყოს: მოსმენის დროს მოკლე ინფორმაციის ჩანიშვნა (როგორიცაა, მაგ.: შემდეგ კითხვებზე მოკლე პასუხები: ვინ? რა? როდის? როგორ? სად?..); აბზაცის მოკლედ შეჯამება; კითხვების დასმა; საკვანძო სიტყვების ჩაწერა.

აქტივობა 2. *ტექსტის წაკითხვა მასწავლებლის მიერ*

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, რომ მოუსმინონ ყურადღებით: ის წაუკითხავს მათ მასწავლებლის წიგნიდან იოჰანა შპირის „ჰაიდის“ ნაწყვეტს მონაკვეთებად:

1. დასაწყისიდან „...ადგილიდან დაძვრა არ უნდოდა“.
2. „ჰაიდიმ შინ შეირბინა... – ...გადმოჰყურებდნენ მაღლიდან“.
3. „დილამ...“ – ბოლომდე.

თითოეული ეპიზოდის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები რომელიმე სტრატეგიის გამოყენებით ინიშნავენ ინფორმაციას ტექსტიდან.

აქტივობა 3. *წაკითხულის გაგება-გააზრება*

მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს და სთხოვს, მოიფიქრონ 5-5 შეკითხვა წაკითხული ტექსტის ირგვლივ (სასურველია, დასვან სხვადასხვა ტიპის შეკითხვები: შინაარსობრივი, ლექსიკური, მიზეზ-შედეგობრივი...), და შემდეგ გაუცვალონ სხვა წყვილებს; უპასუხონ მათთვის მიცემულ კითხვებს წერილობით.

მასწავლებელი ხელახლა კითხულობს ტექსტს და შემდეგ მსჯელობენ, რომელი შეკითხვა იყო სწორად დასმული, პასუხი – სწორად გაცემული და რომელი – არა; რა იყო ამ შეცდომების მიზეზი.

აქტივობა 5. *პრეზენტაცია*

რამდენიმე წყვილი წარადგენს ნამუშევარს, კითხულობენ კითხვებს და პასუხებს, საუბრობენ იმის შესახებ, რა შეცდომები აღმოაჩინეს თავიანთ ნაშრომებში და რა იყო ამის მიზეზი.

საშინაო დავალება

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ ტექსტის მოკლე შინაარსი.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს შინაარსის აღქმა, დეტალების დამახსოვრება, კითხვების ფორმულირება, გააზრებული პასუხების გაცემა.

ჰაიდი

კლარასა და ჰაიდის იმ დღისთვის ბევრი გეგმა ჰქონდათ და არ იცოდნენ, რით დაეწყოთ.

– მოდი, ჯერ ბებიკოს მივწეროთ წერილები, – შესთავაზა ჰაიდიმ, – ხომ დავპირდით, ყოველდღე მოგწერთო.

ბებიკო მაინც შეფიქრიანებული იყო, ვაითუ, კლარას მთაში ყოფნა არ მოუხდესო, ამიტომაც პირობა ჩამოართვა გოგონებს, ყოველდღე მომწერეთ, რათა გულდინჯად ვიყო რაგაცში და, თუ კლარას დასჭირდა, მაშინვე ამოვიდეო.

– წერილების მისაწერად შიგნით უნდა შევიდეთ? – იკითხა კლარამ. ისე სიამოვნებდა იქ ყოფნა, რომ ადგილიდან დაძვრა არ უნდოდა.

ჰაიდიმ შინ შეირბინა და სახელმძღვანელო, საწერი მოწყობილობა და თავისი პატარა ტაბურეტი გამოიტანა. წიგნი კლარას ჩაუდო კალთაში, რათა მას ზედ ფურცელი დაედო და მოხერხებულად ეწერა, თვითონ კი თავისი ტაბურეტი ძელსკამთან მისწია. მერე ორივენი წერილის წერას შეუდგნენ. კლარა ყოველი წინადადების შემდეგ ჩერდებოდა, აქეთ-იქით იხედებოდა და ფიქრობდა, ასეთ მშვენიერ ამინდში რა დროს წერილის წერაა. ნიავი მსუბუქად დაქროდა ნაძვებში, მწერები კი ზუზუნით დასტრიალებდნენ გარშემო. საძოვრებზე სიწყნარე იდგა, ხოლო მთის მწვერვალები დიდებულად გადმოჰყურებდნენ მაღლიდან.

დილამ ელვისსისწრაფით გაიფრინა. შუადღისას პაპა გამოვიდა, ორი ორთქლადენილი ტოლჩა გამოიტანა და კლარას უთხრა, მინდა, სანამ დღეა, გარეთ იყოთო. გუშინდელივით ჰაერზე ისადილეს. მერე ჰაიდიმ კლარას სავარძელი ნაძვებქვეშ შეაგორა, სადაც ნაშუადღევს ჩრდილში გაატარებდნენ და ერთმანეთს დაწვრილებით უამბობდნენ, რა გადახდათ მას მერე, რაც ჰაიდი ფრანკფურტიდან გამოემგზავრა. ფრანკფურტში თითქოს ისეთი არაფერი მომხდარა, მაგრამ კლარას მაინც ბევრი ჰქონდა სალაპარაკო იმ ხალხზე, ვისაც ასე კარგად იცნობდა ჰაიდი.

გვერდიგვერდ ისხდნენ ნაძვებქვეშ და რაც უფრო მეტად

უჩინარი ბავშვის ამბავი

ერთ მრუმე, წვიმიან საღამოს მუმინები ვერანდის მაგიდას შემოსხდომოდნენ და სოკოს არჩევდნენ. მაგიდაზე გაზეთები გადაეფარებინათ, შუაში კი ნავთის ლამპა იდგა. ვერანდის კუთხეები ბნელში იყო ჩაძირული.

– პატარა მის ისევ გუდაფშუტა მოუკრეფია, – თქვა მამამ, – შარშანაც სულ შხამა სოკოებს კრეფდა.

– იმედია, გაისად ქამა სოკოს მოკრეფს, – მიუგო დედამ, – ან ნიყვს მაინც.

– იმედი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, – ახითხითდა პატარა მი.

ვერანდაზე უშფოთველი სიჩუმე ჩამოვარდა.

უცბად ფანჯარაზე მსუბუქად მოაკაკუნეს. ოჯახმა გაპასუხებაც კი ვერ მოასწრო, რომ ვერანდაზე ტუუტიკი ამოძვრა და საწვიმრიდან წყლის წვეთები ჩამოიფერთხა. მერე კართან მივიდა, გამოალო და წვიმაში გასძახა:

– შემოდი, შემოდი.

– ვინ მოიყვანე? – ჰკითხა მუმინტროლმა.

– ნინი, – მიუგო ტუუტიკიმ.

ტუუტიკი ისევ კართან იდგა და იცდიდა, მაგრამ ვერანდაზე არავინ შემოსულა.

– კი, ბატონო, იდგეს გარეთ, თუკი რცხვენია, – მხრები აიჩეჩა ტუუტიკიმ.

– მერე, არ დასველდება? – ჰკითხა დედა მუმინმა.

– რა ვიცი, შეიძლება არც სველდები, როცა უჩინარი ხარ, – უპასუხა ტუუტიკიმ და სკამზე ჩამოჯდა.

ოჯახმა სოკოს გარჩევას თავი მიანება და ტუუტიკის გაოცებული მიაჩერდა.

– ხომ იცით, კაცს თუ ხშირ-ხშირად შეაშინებ, ადვილი შესაძლებელია, გაუჩინარდეს, – დაიწყო ტუუტიკიმ და ლამაზი, თოვლის გუნდის მსგავსი სოკო ჩაკბიჩა, – ჰოდა, ნინისაც ასე დაემართა. ნინი ერთმა დეიდამ იშვილა, მაგრამ ბავშვი არ უყვარდა. მე ვნახე

დეიდამისი. საშინელი ქალია. არა, ბრაზიანი კი არ არის, ბრაზიანს რამეს მაინც გაუგებდა კაცი. უბრალოდ, ყინულივით ცივი და ირონიულია.

– რას ნიშნავს ირონიული? – ჩაეკითხა მუმინტროლი.

– აი, წარმოიდგინე, რომ ფეხი დაგიცდა და პირდაპირ გარჩეულ სოკოებს დააჯექი. ასეთ დროს დედაშენი, ცხადია, გაგიბრაზდებოდა, ის ქალი კი – არა. სამაგიეროდ, ცივად და დამცინავად გეტყოდა: მშვენივრად მესმის, რომ შენ ეს ცეკვა გგონია, მაგრამ მადლობელი დაგრჩები, საჭმელში თუ არ იცეკვებო, – აუხსნა ტუუტიკიმ.

– ფუჰ, რა საძაგლობაა, – აღშფოთდა მუმინტროლი.

– ჰო, – დაეთანხმა ტუუტიკი, – სწორედ ასე იქცეოდა ის ქალი. დილიდან საღამომდე ირონიული იყო. ბოლოს გავშვი ნელ-ნელა გაფერმკრთალდა და უჩინარი გახდა. პარასკევს უკვე საერთოდ აღარ ჩანდა. იმ ქალმა ნინი მე გადმომცა და მითხრა, სულაც არ მეხალისება ისეთი ნათესავების მოვლა-პატრონობა, რომელთა დანახვასაც კი ვერ მოვახერხებო.

– მერე, არ სცემე იმ ქალს? – ჰკითხა განცვიფრებულმა მიმ.

– ირონიულებს ცემა არ შველით, – უთხრა ტუუტიკიმ, – ნინი შინ წავიყვანე და ახლა თქვენ მოგგვარეთ, რომ როგორმე ისევ გამოაჩინოთ.

ერთხანს ყველა დუმდა.

ვერანდის სახურავზე წვიმა წკაპუნობდა. მუმინები ჩაფიქრებულები მისჩერებოდნენ ტუუტიკის.

– ლაპარაკი იცის? – იკითხა მამამ.

– არა. მაგრამ იმ ქალმა კისერზე ზანზალაკი შეაბა, რომ გაეგო ხოლმე, სად იყო.

ტუუტიკი წამოდგა და კარი ხელახლა გამოაღო.

– ნინი! – გასძახა სიბნელეში.

ვერანდაზე შემოდგომის გრილი ჰაერი შემოიჭრა. სველ ბალახს შუქის სწორკუთხა ზოლი დაეფინა. გარედან ზანზალაკის წკარუნი მოისმა. წკარუნი ყოყმანით მოახლოვდა, კიბე ამოიარა და მიჩუმდა. ჰაერში, იატაკიდან ოდნავ მაღლა, შავ ზონარზე ჩამობმული

თავი 11 – სამშობლო და პოეტები

გრამატიკა – თხრობითი და კითხვითი წინადადებები

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეებმა შეძლონ თხრობითი და კითხვითი (კითხვითსიტყვიანი და არაკითხვითსიტყვიანი) წინადადებების ერთმანეთისგან გარჩევა, მეტყველებისას შესაბამისად გამოყენება.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონ-სტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.

- იყენებს ინტონაციას სასვენი ნიშნების ფუნქციით.

ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.

- მხატვრულ ტექსტებში აკვირდება მწერლის ენას, ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეს (სინონიმებს, ანტონიმებს, ფრაზეოლოგიზმებს და ა.შ.), ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას);

წინარე ცოდნა

მოსწავლეებმა იციან, რა არის წინადადება, შეუძლიათ ინსტრუქციების შესრულება, ტექსტის შესახებ კითხვების დასმა.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, წყვილური, ინდივიდუალური.

აქტივობა 1. *მოტივაცია*

მასწავლებელი დაფაზე წერს წინადადებებს:

გიორგი ლეონიძე მწერალი იყო.

გიორგი ლეონიძე მწერალი იყო?

და ეკითხება: რა განსხვავებაა ამ ორ წინადადებას შორის? მოსწავლეები პასუხობენ, რომ ერთი გვიყ-ვება ამბავს, მეორე სვამს კითხვას.

აქტივობა 2. *თეორიული მასალის გაცნობა, მინილექცია*

მასწავლებელი მინილექციის მეშვეობით განუმარტავს მოსწავლეებს, რომ შინაარსის მიხედვით წინადადება შეიძლება იყოს თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი; უხსნის განსხვავებას თხრობით და კითხვით წინადადებებს შორის.

მასწავლებელი ასევე უხსნის, რომ კითხვითი წინადადება შეიძლება იყოს კითხვითსიტყვიანი და არაკითხვითსიტყვიანი. კითხვითი სიტყვებია: ვინ? რა? სად? როდის? როგორ? რატომ? რისთვის?..

აქტივობა 3. *პრაქტიკული სავარჯიშო*

მასწავლებელი განვლილი მასალიდან ირჩევს ერთ-ერთ (ნებისმიერ) გაკვეთილს, მიუთითებს მოსწავლეებს ამ გაკვეთილის ქვეშ მოცემულ სავარჯიშოებზე და სთხოვს მოსწავლეებს მონიშნონ, კითხვითსიტყვიანი და არაკითხვითსიტყვიანი წინადადებები. კითხვითსიტყვიან წინადადებებში კი ამოარჩიონ კითხვითი სიტყვები. აქტივობის დასრულების შემდეგ რამდენიმე მოსწავლე აკეთებს პრეზენტაციას.

აქტივობა 4. *ინტონაციაზე მუშაობა*

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ კითხვითსიტყვიან წინადადებაში კითხვითი სიტყვა გამოითქმის მკვეთრად და ხმის აწევით, არაკითხვითსიტყვიანში კი – ზმნის ბოლო მარცვალზე, თუ ზმნა არ არის – ბოლო სიტყვის ბოლო მარცვალზე. თხრობითი წინადადების წარმოთქმისას კი წინადადების ბოლოს ხმა დაბლდება.

მასწავლებელი რამდენიმე წინადადებას თვითონ უკითხავს შესაბამისი ტემბრით, მერე კი მონაცვლეობით აკითხებს მოსწავლეებს (სავარჯიშო 1-ლი).

აქტივობა 5. *პრაქტიკული სავარჯიშო*

მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს, აძლევს კითხვით სიტყვებს და სთხოვს, ამ სიტყვების გამოყენებით დაუსვან ერთმანეთს კითხვები განვლილი მასალიდან. მეწყვილემ გასცეს პასუხი, შემდეგ კი გაცვალონ როლები.

აქტივობა 6. *პრეზენტაცია*

მასწავლებელი რამდენიმე წყვილს აკეთებინებს პრეზენტაციას. გამოსვლისას მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ როგორც შინაარსზე, ისე ინტონაციაზე.

აქტივობა 7. *შეჯამება*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაუსვან ერთმანეთს გაკვეთილის შესახებ ნებისმიერი ტიპის კითხვები.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, საშინაო დავალებად შეასრულონ სახელმძღვანელოში მოცემულ მე-2 სავარჯიშო (მოსწ. წიგნი, გვ. 170).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს თხრობითი და კითხვითი (კითხვითსიტყვიანი და არაკითხვითსიტყვიანი) წინადადებების ერთმანეთისგან გარჩევა და პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება.

თავი 12 – დიდები და პატარები

ერეკლე მეფე და ინგილო ქალი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა, გააზრება, ანალიზი.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.

- ამოიცნობს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში ექსპლიციტურად მოცემულ სხვადასხვა ინფორ-მაციას, მათ შორის არსებულ ლოგიკურ (მიზეზ-შედეგობრივ, ოპოზიციურ და სხვ.) კავშირებს;
- მსჯელობს მხატვრულ ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე;

ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება დასაკუთარი თვალსაზრისის ახსნა.

- ასახელებს მოსმენილი ტექსტიდან ესთეტიკურად ღირებულ ადგილებს;
- აფასებს გმირის საქციელს და განმარტავს თავის დამოკიდებულებას;

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორ-მაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება.

- ამოიცნობს ნაწარმოების თემას, დედააზრს (მთავარ იდეას);
- გამოყოფს ტექსტის მთავარ საკითხს, ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას;
- მოიძიებს კონკრეტულ ინფორმაციას (მაგ., მოვლენათა, მოქმედებათა დროსა და ადგილს);

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ უცხო ტექსტის დამოუკიდებლად წაკითხვა-გააზრება, კითხვების დასმა, აქვთ პერსონაჟის დახასიათების უნარ-ჩვევები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო საკლასო, ინდივიდუალური, ჯგუფური.

აქტივობა 1. *წინარე ცოდნის გამოწვევა*

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს წინარე ცოდნის გამოწვევით და სვამს კითხვებს:

რა ვიცით ერეკლე მეფეზე? (მოსწავლეთა პასუხებს მასწავლებელი თავად შეავსებს.) როგორ გესმით „ინგილო ქალი“? (სავარაუდოდ, ბავშვები იტყვიან, რომ ეს სადაურობის აღმნიშვნელია, თუ არადა, თავად მასწავლებელი განუმარტავს.)

აქტივობა 2. *საინგილო – მინილექცია*

მასწავლებელი მინილექციის მეშვეობით ესაუბრება საინგილოზე, მის ისტორიაზე... უხსნის, რომ ეს უძველესი ქართული ისტორიული მხარე დღეს აზერბაიჯანს ეკუთვნის. შესაძლებლობის შემთხვევაში, ელექტრონულ პრეზენტაციას წარმოუდგენს ან აჩვენებს ფოტომასალას.

აქტივობა 3. *მოთხრობის წაკითხვა*

მასწავლებელი სთხოვს, გადაშალონ სახელმძღვანელო და ჩუმად წაიკითხონ მოთხრობა „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ და მონიშნონ გაუგებარი სიტყვები. ვარსკვლავით აღნიშნული ტერმინების განმარტებები მოიძიონ სახელმძღვანელოს ლექსიკონში, სხვების განმარტება სცადონ კონტექსტიდან გამომდინარე, მერე კი თავად განუმარტავს.

აქტივობა 4. *ტექსტის გაა ზრება-ანალიზი*

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად. მას წინასწარ გამზადებული აქვს დავალებები ბარათებ-ზე. მიდის თითოეულ ჯგუფთან და სთხოვს ბარათის ამოღებას. რომელი დავალებაც შეხვდებათ, იმაზე მუშაობს ჯგუფი. ბარათებზე წერია შემდეგი დავალებები:

დაუსვი კითხვები ერეკლე მეფეს;

დაუსვი კითხვები ინგილო ქალს;

დაახასიათე ერეკლე მეფე;

დაახასიათე ინგილო ქალი;

მომეწონა – არ მომეწონა.

აქტივობა 5. *პრეზენტაცია*

აქტივობის დასრულების შემდეგ ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციებს. ერთი ჯგუფის გამოსვლის დროს, მასწავლებელი დანარჩენებს აძლევს მითითებას, შეაფასონ, რამდენად სრულყოფილად შეასრულა ჯგუფმა მიცემული დავალება (რამდენად გამოყვეს მთავარი, მსჯელობდნენ თუ არა არგუმენტირებულად და ა. შ.).

შეჯამება

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეაფასონ გაკვეთილი – რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ, რა დაამახსოვრდათ, რა ვერ გაიგეს.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს საშინაო დავალებად აძლევს სახელმძღვანელოში მოცემულ 1-ელ სავარჯიშოს (მოსწ. წიგნი, გვ 188).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად შეძლეს შინაარსის აღქმა, აზრის ნათლად და არგუმენტირებულად ჩამოყალიბება, ჯგუფში კოორდინირებული მუშაობა.

შემთხვევით მოსმენილი საუბარი

პაპა და შვილიშვილი სკოლიდან შინ ბრუნდებოდნენ. გზა მეც იქით მქონდა და უნებურად მესმოდა მათი საუბარი.

გოგონა შვიდი-რვა წლისა იქნებოდა, პაპა კი, ვინ იცის, რამდენის.

– მიამბე, რა მოხდა დღეს საინტერესო სკოლაში, – სთხოვა პაპამ.

– არაფერი, – უპასუხა გოგომ.

– სულ არაფერი?

გოგო დაფიქრდა.

– ორი გოგო წაიჩხუბა. ერთმა უთხრა მეორეს, შენი არ მჯერა, ცნობილი მატყუარა ხარო. სულ თმები დააწიწკნეს ერთმანეთს!

– ოოო! ეს უკვე ხუმრობა არ არის! სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობსო, ამაზეა ნათქვამი.

გოგოს გაეცინა.

– როგორ შეიძლება სახელის გატეხა, ფინჯანი ხომ არ არის?!

– შეიძლება და მერე როგორ! გატეხილი თავი ისევ გამთელდება, ფინჯანიც დაწებდება, აი სახელი კი...

– რას ნიშნავს გატეხილი სახელი? – ჩააცივდა გოგო.

– შერცხვენილ სახელს ნიშნავს, შელახულსაც ეძახის ზოგი. – აუხსნა პაპამ, – აი, მაგალითად, ერთი კაცი დაჰპირდა მეორეს, მიდი და მოვდივარო.

– სად მიდიო?

– სულერთია, რამე ძნელ საქმეზე, ვთქვათ, ხანძრის ჩასაქრობად. ჰოდა, არ გაჰყვა, სიტყვა გატეხა და მიატოვა გზაში.

– სიტყვაც შეიძლება გატყდეს? – გაუკვირდა გოგოს.

– მააშ! სიტყვის გატეხას მოსდევს ხოლმე სახელის გატეხა, – განაგრძო პაპამ ჭკუის დარიგება, – ამიტომ თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე ორივეს!

გოგო დაფიქრდა და უცნაური რამ თქვა:

– შეხედე, რა ეშმაკები ყოფილან ფრანგები!

– ვინ ფრანგები? – ვერ მიუხვდა პაპა.

– ერთი ბიჭი სწავლობს ჩვენთან მესამე კლასში, ფრანგია, გვარად მუჟე. დედა ქართველი ჰყავს. და იცი, რა ჰქვია? ალენ ლევან გიგი.

– ჰოო, მაგათ ეგრე იციან, რამდენიმე სახელს ატარებენ. დიდი მეცნიერი ჰყავდათ ერთი, გვარად ლამარკი, სახელად კი ჟან ბატისტ პიერ ანტუან დე მონე ერქვა.

– აუუუ! – შეიცხადა გოგომ და ეშმაკური ღიმილით დააყოლა, – მივხვდი რატომაც! ერთი გაუტყდებათ – მეორე დარჩებათ, მეორე გაუტყდებათ – მესამე.

– არა, არა! – გაეცინა პაპას, ეს ეშმაკობა ვერ უშველით! ერთი თუ გატყდა, თავისთავად დაიმსხვრევა დანარჩენიც!

– გავიგე, მესმის, – დიდი ქალივით დაეთანხმა გოგო, – ეს ისე ვთქვი, ხუმრობით. ვეცდები არასდროს გამიტყდეს ჩემი ერთადერთი სახელი,– და ისევ ეშმაკურად გაიღიმა.

„ნეტავ, რა ჰქვია?“ – გავიფიქრე მე.

პაპამ თავზე ხელი გადაუსვა და ერთად შევიდნენ პატარა ლამაზ ეზოში.

რატომღაც მისამართი დავიმახსოვრე და ვინატრე: „ნეტავ, ბევრი იყოს ჩვენს ქალაქში ასეთი ეზოები“.

დავით ჯავახიშვილი

8. რვეულში მოცემული ტესტების პასუხები

ტესტი 1

1. *(1)* გულუბრყვილო, *(2)* გულადი, *(3)* კეთილი.
2. *(1)* გულჩვილი, *(2)* ცნობისმოყვარე, *(3)* დაღვრემილი.
3. *(1)* გამოიკვლია, *(2)* გაფიცხდა, *(3)* იდავა.
4. *(1)* საუბრობს, *(2)* ყოყმანობს, *(3)* ოხუნჯობს.
5. *(1)* დაასრულა, *(2)* მოისაზრა, *(3)* ახსნა.
6. *(1)* უცაბედად, *(2)* განზრახ, *(3)* კრძალვით.
7. *(1)* პაექრობა, *(2)* ოინი, *(3)* ნადიმი.
8. *(1)* მლაშე, *(2)* ქაფქაფა, *(3)* ნოყიერი.
9. *(1)* ბარბაცი, *(2)* ტრიალი, *(3)* ორომტრიალი.
10. *(1)* უცქერს, *(2)* თავს იქცევს, *(3)* შეექცევა.
11. *(1)* თვინიერი, *(2)* მოქნილი, *(3)* კოხტა.
12. *(1)* განთქმული, *(2)* უნაკლო, *(3)* საოცარი.

(1) სათნო, *(2)* უნაკლო, *(3)* მიამიტი, *(4)* დამყოლი, *(5)* სხარტი, *(6)* ფანდი, *(7)* უცაბედად, *(8)* განზრახ, *(9)* ცნობისმოყვარე, *(10)* მსუყე, *(11)* კამათი, *(12)* საყოყმანო, *(13)* გულჩვილი, *(14)* ძიება, *(15)* ორომტრიალი, *(16)* ხუმრობა, *(17)* საუბარი, *(18)* გასართობი, *(19)* მოხდენილი, *(20)* მოწიწებით, *(21)* გამოჩენილი, *(22)* წვეულება, *(23)* შეჯიბრი.

ტესტი 2

1. *(1)* ძუნწი, *(2)* უტიფარი, *(3)* მხდალი.
2. *(1)* ზანტი, *(2)* დაუდევარი, *(3)* ამპარტავანი.
3. *(1)* ბლაგვი, *(2)* მძიმე, *(3)* ხორკლიანი.
4. *(1)* ცოცხლად, *(2)* გულდასმით, *(3)* ნათლად.
5. *(1)* ბობოქარი, *(2)* მღვრიე, *(3)* მუქი.
6. *(1)* უვიცი, *(2)* უმოწყალო, *(3)* უკმეხი.
7. *(1)* გამრჯე, *(2)* მტკიცე, *(3)* უწყინარი.
8. *(1)* მოსაწყენი, *(2)* ხშირი, *(3)* მობეზრებული.
9. *(1)* თანამედროვე, *(2)* ახალბედა, *(3)* ახალგაზრდა.
10. *(1)* საეჭვო, *(2)* მდარე, *(3)* მავნებელი.
11. *(1)* მშვიდი, *(2)* დამყოლი, *(3)* მორცხვი.

(1) მრუდე, *(2)* ბლაგვი, *(3)* გლუვი, *(4)* მღვრიე, *(5)* ბაცი, *(6)* ძუნწი, *(7)* მტკიცე, *(8)* ახალბედა/გამოუცდელი, *(9)* ძველებური, *(10)* სანატრელი, *(11)* უტიფარი, *(12)* მდარე, *(13)* მავნებელი, *(14)* მავნე, *(15)* ცოცხლად, *(16)* გულდასმით/გულმოდგინედ, *(17)* თავაზიანი, *(18)* მკვირცხლი, *(19)* დაუდევრად, *(20)* გამრჯე, *(21)* წყნარი, *(22)* იშვიათი, *(23)* ნათლად, *(24)* თავმდაბალი, *(25)* მშფოთვარე.

ტესტი 3

1. ა *(1)* ბელტი, *(2)* გუნდა, *(3)* ქულა. ბ *(1)* მარცვალი, *(2)* ლებანი, *(3)* გული.
2. ა *(1)* კალთა, *(2)* ძგიდე, *(3)* ყუა. ბ *(1)* ფუჩეჩი, *(2)* ნაჭუჭი, *(3)* ქერქი.
3. ა *(1)* ხორთუმი, *(2)* დრუნჩი, *(3)* დინგი. ბ *(1)* ნესტარი, *(2)* ეკალი, *(3)* ფხა.
4. ა *(1)* პარკი, *(2)* კბილი, *(3)* ფურცელი. ბ *(1)* პერანგი, *(2)* ბაკანი, *(3)* ფარფლი.
5. ა *(1)* ლულა, *(2)* პირი, *(3)* ყელი. ბ *(1)* მტევანი, *(2)* ბიბილო, *(3)* უპეები.
6. ა *(1)* ძირი, *(2)* ფსკერი, *(3)* დასალიერი. ბ *(1)* ფანტელი, *(2)* ალი, *(3)* შხეფები.
7. ა *(1)* ხროვა, *(2)* ჯოგი, *(3)* ფარა. ბ *(1)* ბარტყი, *(2)* ბახალა, *(3)* მართვე.
8. ა *(1)* ფარეხი, *(2)* თავლა, *(3)* გალია. ბ *(1)* ჯაგარი, *(2)* მატყლი, *(3)* ფაფარი.

9. *(1)* კენწერო, *(2)* ქიმი, *(3)* სათავე.

ტესტი 4

1. *(1)* დაეხმარა, *(2)* უჯავრდებიან /უბრაზდებიან.
2. *(1)* ეფერება, *(2)* უამბობს.
3. *(1)* უვლის, *(2)* გაუნაწილა.
4. *(1)* მორთო, *(2)* გადნა /დადნა.
5. *(1)* მოსწია, *(2)* იგრძნო/შეიგრძნო.
6. *(1)* გადაწვა, *(2)* გაასწორა.
7. *(1)* გაიარა, *(2)* მოისურვა.
8. *(1)* გადაიკარგა, *(2)* ასწია.
9. *(1)* შეუწუხდა, *(2)* გამოაწრთო /გაამაგრა.
10. *(1)* გააგდეს, *(2)* აპატია.
11. *(1)* ავნო /უყო, *(2)* გააყოლა.
12. *(1)* შეამოკლა, *(2)* ქანაობს.

ტესტი 5

1. *(1)* ფოთოლი შრიალებს, *(2)* წყარო ჩუხჩუხებს, *(3)* კარი ჭრიალებს, *(4)* ქარი ზუზუნებს.
2. *(1)* ბავშვი ტიკტიკებს, *(2)* ლეკვი წკმუტუნებს, *(3)* საათი წიკწიკებს, *(4)* ჩაიდანი შიშინებს.
3. *(1)* ცეცხლი გიზგიზებს, *(2)* ქარი შხუის, *(3)* ზღვა ღელავს, *(4)* მიწა იძვრის.
4. *(1)* ჭიანჭველა მიცოცავს, *(2)* მწყერი დაგოგავს, *(3)* პეპელა ფარფატებს, *(4)* ბაჭია დახტის.
5. *(1)* ეჟვანი ჟღარუნებს, *(2)* სალამური კვნესის, *(3)* წყარო წანწკარებს, *(4)* ბალახი ბიბინებს.
6. *(1)* გველი სისინებს, *(2)* ცხენი ჭიხვინებს, *(3)* ცხვარი ბღავის, *(4)* მგელი ყმუის.
7. *(1)* ძაღლი მიძუნძულებს, *(2)* სახედარი მიჩაქჩაქებს, *(3)* კამეჩი მიიზლაზნება, *(4)* თაგვი მიცუნცულებს.
8. *(1)* ღორი თქვლეფს, *(2)* ძროხა ძოვს, *(3)* მამალი კენკავს, *(4)* თაგვი ღრღნის.
9. *(1)* თავქუდმოგლეჯილი გარბის, *(2)* სხაპასხუპით პასუხობს, *(3)* გულამოსკვნილი ტირის, *(4)* ფეხაკრეფით დადის.
10. *(1)* ხელთათმანი გაიკეთა, *(2)* ქუდი დაიხურა, *(3)* ქურქი ჩაიცვა, *(4)* ქამარი შემოირტყა.
11. *(1)* ელვა გაიკლაკნა, *(2)* მეხი გავარდა, *(3)* ქარი ამოვარდა, *(4)* ქუხილი ატყდა.
12. *(1)* თეთრად ქათქათებს, *(2)* ოქროსფრად ბრწყინავს, *(3)* წითლად ღვივის, *(4)* მწვანედ ხასხასებს.

ტესტი 6

1. *(1)* ცხენის / ბედაურის / ტაიჭის, *(2)* თმის, *(3)* ხმლის *(4)* ქილის.
2. *(1)* ფეხსაცმლის, *(2)* შარვლის, *(3)* კიბის *(4)* ყურძნის.
3. *(1)* სიმინდის, *(2)* კარის, *(3)* ნემსის /მახათის *(4)* თევზის.
4. *(1)* ცხენის, *(2)* აქლემის, *(3)* ანკესის *(4)* ფუტკრის.
5. *(1)* ფეხსაცმლის, *(2)* ფარდის, *(3)* კლდის /გემის *(4)* ფანჯრის.
6. *(1)* დათვის, *(2)* ბლის /ალუბლის, *(3)* თხის *(4)* პურის.
7. *(1)* ხომალდის /ნავის, *(2)* მატარებლის, *(3)* ნაძვის /ფიჭვის *(4)* თივის.
8. *(1)* სანთლის, *(2)* წიგნის, *(3)* ცხენის *(4)* შვლის.
9. *(1)* ფარდის / სუფრის, *(2)* შეშის, *(3)* ოქროს *(4)* თოვლის.
10. *(1)* თაფლის, *(2)* მანქანის, *(3)* ძაფის *(4)* თოკის.

ტესტი 7

1. *(1)* ნორჩ, ხასხასა, *(2)* ფერად-ფერადი, ჭრელი, *(3)* მდორედ, ნელა.
2. *(1)* ანკარა, კრიალა, *(2)* ცხარე, მწარე, *(3)* ჩვილი, ქორფა.

3. *(1)* ჩქარა, მალე, *(2)* მართალი, ნამდვილი, *(3)* ფსკერი, ძირი.
4. *(1)* ხშირი, უხვი, *(2)* სქელი, მსხვილი, *(3)* მეჩხერი, ცოტა.
5. *(1)* ირიბი, ელამი, *(2)* ცარიელი, ნაკლული, *(3)* მშვიდი, წყნარი.
6. *(1)* უდაბური, უღრანი, *(2)* გალობდნენ, ჟღურტულებდნენ, *(3)* აქებდა, ადიდებდა.
7. *(1)* ვიწრო, წვრილი, *(2)* ბასრი, მახვილი, *(3)* გაიჭედა, გაიხლართა.
8. *(1)* გაახურა, გააცხელა, *(2)* უმ, ნედლ, *(3)* ქაფქაფა, ცხელი.
9. *(1)* გააკეთა, ჩაიდინა, *(2)* სანუგეშო, საიმედო, *(3)* კვნესოდა, ოხრავდა.
10. *(1)* შემოდგა, შემოდო, *(2)* ჩაიტკბარუნა, ჩაიკოკლოზინა, *(3)* ცხადი, აშკარა.

ტესტი 8

1. *ხელოსანი:* მეწაღე, მესაათე, დურგალი.
2. *ჭურჭელი:* ლამბაქი, ფინჯანი, ლანგარი.
3. *სამუშაო იარაღი:* ცელი, ჩარხი, ურო.
4. *ავეჯი:* სკივრი, თარო, სავარძელი.
5. *საომარი იარაღი:* ქვემეხი, დამბაჩა, დაშნა.
6. *მცენარე:* ბუჩქი, ნარი, ხავსი.
7. *ქსოვილი*: ტილო, აბრეშუმი, ჩითი.
8. *სამკაული*: სამაჯური, ყელსაბამი, ქინძისთავი.
9. *სამოსი:* ლაბადა, ნაბადი, ჩოხა.
10. *საკვები:* ჩირი, ლორი, მწნილი

ტესტი 9

1. *(1)* მშვიდი, *(2)* გულუხვი, *(3)* გამრჯე.
2. *(1)* შეუპოვარი, *(2)* მარჯვე, *(3)* გამჭრიახი.
3. *(1)* პატიოსანი, *(2)* ლმობიერი, *(3)* ჟინიანი.
4. *(1)* წინდახედული, *(2)* სულგრძელი, *(3)* მიამიტი.
5. *(1)* მომჭირნე, *(2)* მერყევი, *(3)* მუყაითი.
6. *(1)* მხდალი, *(2)* სულსწრაფი, *(3)* ფრთხილი.
7. *(1)* გულისხმიერი, *(2)* თადარიგიანი, *(3)* გემოვნებიანი.
8. *(1)* უზრუნველი, *(2)* უხასიათო, *(3)* უხეირო.
9. *(1)* უპირო, *(2)* პირფერი, *(3)* პირდაპირი.

ტესტი 10

1. (ბ) **2.** (ბ) **3.** (ბ) **4.** (ბ) **5.** (ბ) **6.** (გ) **7.** (ბ) **8.** (ბ) **9.** (გ)

ტესტი 11

1. *(1)* მაღალი, *(2)* მაგარი, *(3)* წვრილი, *(4)* გრძელი.
2. *(1)* წვრილი, *(2)* ბასრი, *(3)* მტკიცე, *(4)* მრგვალი.
3. *(1)* ცივი, *(2)* ქათქათა, *(3)* შავი, *(4)* ტკბილი.
4. *(1)* წითელი, *(2)* თეთრი, *(3)* შავი, *(4)* ყვითელი.
5. *(1)* წვრილი, *(2)* მცირე, *(3)* მსუბუქი, *(4)* მაგარი.
6. *(1)* ნელი, *(2)* ცბიერი, *(3)* ღონიერი, *(4)* მსუბუქი.
7. *(1)* ფუსფუსებს, *(2)* ნებივრობს, *(3)* იზეპირებს, *(4)* დახტის.
8. *(1)* მხდალი, *(2)* მშრომელი, *(3)* თავისუფალი, *(4)* ერთგული.
9. *(1)* მუთაქასავით, *(2)* გუდასავით, *(3)* კასრივით.

ტესტი 12

1. *(1)* პატარა, *(2)* მშრომელი, *(3)* ქედმაღალი.
2. *(1)* იღბლიანი, *(2)* ამპარტავანი, *(3)* უქნარა.
3. *(1)* უწყინარი, *(2)* უსარგებლო, *(3)* მხიარული.
4. *(1)* სუსტი, *(2)* გულჩვილი, *(3)* დასაფასებელი.
5. *(1)* ამპარტავანი, *(2)* მშრომელი, *(3)* ლამაზი.
6. *(1)* უპირო, *(2)* სახელგატეხილი, *(3)* დარდიანი.
7. *(1)* გაიძვერა, *(2)* საბრალო, *(3)* დაუფიქრებელი.
8. *(1)* მონდომებული, *(2)* უვიცი, *(3)* უსაქმური.
9. *(1)* განრისხებული, *(2)* მოხერხებული, *(3)* გამოცდილი.
10. *(1)* გულგატეხილი, *(2)* მიმბაძველი, *(3)* უკადრისი.

ტესტი 13

1. ნამდვილი **2.** ბებერი **3.** სადა **4.** უნაკლო **5.** გააპო **6.** დაალბო **7.** გაახშირა **8.** ეახლნენ **9.** დაბეჟილი **10.** წვერი **11.** მკაფიოდ

ტესტი 14

1. *(1)* ვეება, *(2)* ციცქნა.
2. *(1)* განცვიფრებული, *(2)* განთქმული.
3. *(1)* მრისხანება, *(2)* მუდარა.
4. *(1)* უსუსური, *(2)* გალუმპული.
5. *(1)* დაჯაბნა, *(2)* გამძვინვარდა.
6. *(1)* ქიშპი, *(2)* შველა.
7. *(1)* დაქანცული, *(2)* უტიფარი.
8. *(1)* შფოთვა, *(2)* ფუფუნება.
9. *(1)* აღშფოთებული, *(2)* უვარგისი.
10. *(1)* გაუმაძღარი, *(2)* წკრიალა.

ტესტი 15

1. სერი **2.** ზვირთი **3.** ქვიშნარი **4.** ჩირგვი **5.** ნექტარი **6.** ხნული **7.** ნაშიერი **8.** ზონარი **9.** კოჭი **10.** ბურუსი **11.** სახედარი

ტესტი 16

1. *(1)* წერა-კითხვა, *(2)* ცეკვა-თამაში, *(3)* ახსნა-განმარტება, *(4)* კვლევა-ძიება.
2. *(1)* ხვნა-თესვა, *(2)* მოვლა-პატრონობა, *(3)* ცეკვა-სიმღერა, *(4)* ხვევნა-კოცნა.
3. *(1)* მინდორ-ველი, *(2)* ოქრო-ვერცხლი, *(3)* სტუმარ-მასპინძელი, *(4)* სიცილ-ხარხარი.
4. *(1)* მთა-ბარი, *(2)* სახლ-კარი, *(3)* ქამარ-ხანჯალი, *(4)* ფარ-ხმალი.
5. *(1)* ია-ვარდი, *(2)* სიზმარ-ცხადი, *(3)* ბედ-იღბალი, *(4)* ხვეწნა-მუდარა.
6. *(1)* ძალ-ღონე, *(2)* ჭკუა-გონება, *(3)* სიგრძე-განი, *(4)* ზომა-წონა.
7. *(1)* ნადირ-ფრინველი, *(2)* ტყე-ველი, *(3)* მიწა-წყალი, *(4)* ლოცვა-კურთხევა.
8. *(1)* ყელ-ყური, *(2)* მხარ-ბეჭი, *(3)* ცხვირ-პირი, *(4)* თვალ-წარბი.
9. *(1)* კარ-ფანჯარა, *(2)* ჯამ-ჭურჭელი, *(3)* ბატონ-პატრონი, *(4)* ციხე-კოშკი.
10. *(1)* სანთელ-საკმეველი, *(2)* მშვილდ-ისარი, *(3)* სიტყვა-პასუხი, *(4)* სარჩო-საბადებელი.

ტესტი 17

1. *(1)* თვალმოჭუტული, *(2)* ცხვირჩამოშვებული, *(3)* წარბშეკრული
2. *(1)* თავღია, *(2)* ძირგავარდნილი, *(3)* ყურმოტეხილი.
3. *(1)* გულღია, *(2)* ფრთაშესხმული, *(3)* ხელგაშლილი.
4. *(1)* ხელმარჯვე, *(2)* ფეხმარდი, *(3)* ენამოსწრებული.
5. *(1)* ყელმოღერებული, *(2)* პირმრგვალი, *(3)* კუნთმაგარი.
6. *(1)* თავგამოდებული, *(2)* გულთბილი, *(3)* სულგრძელი.
7. *(1)* ენამწარე, *(2)* გულგრილი, *(3)* ტანმორჩილი.
8. *(1)* ხახამშრალი, *(2)* კუდამოძუებული, *(3)* ყურჩამოყრილი.
9. *(1)* თმაგაშლილი, *(2)* თვალწარმტაცი, *(3)* მზემოკიდებული.
10. *(1)* ჯანმრთელი, *(2)* ფეხბედნიერი, *(3)* ტანმაღალი.

ტესტი 18

1. *(1)* ჭიქა, *(2)* სირჩა, *(3)* ბოკალი, *(4)* ფინჯანი, *(4)* თასი, *(5)* კათხა, *(6)* ფიალა, *(7)* ლამბაქი.
2. *(1)* საწვნე, *(2)* ჩამჩა, *(3)* ლანგარი, *(4)* მათლაფა, *(5)* გობი.
3. *(1)* დოქი, *(2)* სურა, *(3)* ტოლჩა, *(4)* ქილა, *(5)* ლარნაკი.
4. *(1)* ფუნთუშა, *(2)* ბლითი, *(3)* შოთი, *(4)* ორცხობილა, *(5)* ლავაში.
5. *(1)* ტომარა, *(2)* ხურჯინი, *(3)* ფუთა, *(4)* აბგა.
6. *(1)* ჭიკარტი, *(2)* მახათი, *(3)* ქინძისთავი, *(4)* სადგისი.
7. *(1)* ქურქი, *(2)* პალტო, *(3)* ქურთუკი, *(4)* ლაბადა, *(5)* პიჯაკი, *(6)* პერანგი, *(7)* მაისური.
8. *(1)* შანდალი, *(2)* ჭაღი, *(3)* ფარანი, *(4)* ჩირაღდანი.
9. *(1)* სალამური, *(2)* ჩანგი, *(3)* დაირა, *(4)* დოლი, *(5)* ჩონგური.
10. *(1)* თოხი, *(2)* ცული, *(3)* ცელი, *(4)* ნამგალი.
11. *(1)* ჯაჭვის პერანგი, *(2)* მუზარადი / ჩაჩქანი, *(3)* ჯავშანი, *(4)* ფარი.

ტესტი 19

1. *(1)* პირობა დადო, *(2)* ბოდიში მოიხადა, *(3)* მადლობა გადაიხადა.
2. *(1)* გული გადაუშალა, *(2)* თვალი მოჰკრა, *(3)* თავი დაუკრა.
3. *(1)* ხმა გამოსცა, *(1)* სიცილი წასკდა, *(1)* ტირილი მორთო.
4. *(1)* ენა დაება, *(2)* გული აუძგერდა, *(3)* ფერი ეცვალა.
5. *(1)* ზურგი გაუმაგრა, *(2)* ხელი გაუწოდა, *(3)* მხარი აუბა.
6. *(1)* იმედი ჩაუნერგა, *(2)* ღიმილი მოჰგვარა, *(3)* მოწყალება გაიღო.
7. *(1)* ელდა ეცა, *(2)* სუნთქვა შეეკრა, *(3)* თავზარი დაეცა.
8. *(1)* წესი დაიცვა, *(2)* საქმე მოაგვარა, *(3)* ნატვრა აისრულა.
9. *(1)* თავი გამოიდო, *(2)* გული იჯერა, *(3)* ხელი მიჰყო.
10. *(1)* სინდისი არ გააჩნია, *(2)* ძვრა ვერ უყო, *(3)* ხუმრობა ნუ გგონია.
11. *(1)* თვალებს აბრიალებს, *(2)* კბილებს კრეჭს, *(3)* ხელებს ასავსავებს.
12. *(1)* ღონე გამოეცალა, *(2)* გული წაუვიდა, *(2)* ძილი მოერია.
13. *(1)* გუნებაზე მოვიდა, *(2)* ეშხში შევიდა, *(3)* ფიქრებში წავიდა.

ტესტი 20

1. (ა) **2.** (ბ) **3.** (ა) **4.** (ა) **5.** (ბ) **6.** (ბ) **7.** (ა) **8.** (ა) **9.** (ა) **10.** (ბ)

ტესტი 21

1. *(1)* მსუსხავი, *(2)* გრილი.
2. *(1)* მოკლე, *(2)* უებარი.
3. *(1)* მსხვილი, *(2)* წვრილი.
4. *(1)* პირქუში, *(2)* ხრიოკი.
5. *(1)* მტკიცე, *(2)* წკრიალა.
6. *(1)* მძაფრი, *(2)* უხეში.
7. *(1)* მჭახე, *(2)* მკვეთრი.
8. *(1)* ხშირი, *(2)* სუსტი.
9. *(1)* მკრთალი, *(2)* სიფრიფანა.
10. *(1)* ბუნდოვანი, *(2)* მახვილი.
11. *(1)* ჭარბი, *(2)* ორმაგი.

ტესტი 22

1. ა მოთენთილი, ბ მობუზული.
2. ბ გაფითრებული, ა გაწბილებული.
3. ბ დამბალი, ა დამზრალი.
4. ბ შემკრთალი, ა შემცბარი.
5. ბ გაცრეცილი, ა დაობებული.
6. ა ქანცგაწყვეტილი ბ მუხლმოკვეთილი.
7. ბ გატაცებული, ა გამხნევებული.
8. ა აძაგძაგებული, ბ აცახცახებული.
9. ა ფერწასული, ბ ფერგადასული.
10. ბ გაჭვარტლული, ა შეჭმული.
11. ა მოთხუპნილი, ბ გამურული.
12. ბ დაფუფქული, ა შეტრუსული.
13. ა გაჟღენთილი, ბ გარუჯული.
14. ბ ცნობილი, ა სახელგანთქმული.
15. ა სავსე, ბ შემკული.
16. ა შეიარაღებული, ბ გაკაჟებული.
17. ა ჩავარდნილი, ბ მოხვედრილი.
18. ა მოუსვენარი, ბ მოწადინებული.
19. ა გაწაფული, ბ გამობრძმედილი.
20. ბ გულგახეთქილი, ა გულგატეხილი.
21. ბ მოფარფატე, ა მოტივტივე.
22. ბ. შესული, ა. მოსული

9. დამატებითი რეკომენდაციები

კითხვის ხელშეწყობის სტრატეგიები

კვლევებმა დაადასტურა, რომ კითხვა ინტერაქტიული და სოციალური პროცესია. კითხვისას პარტნიორის არსებობა სასარგებლოა მოსწავლის კითხვის უნარის განვითარებისათვის. ამიტომაც კითხვის სწავლების პროცესში ხშირად იყენებენ ხმამაღლა წაკითხვის ტექნიკას, ამბის მოყოლის ტექნიკას.

კითხვის ხელშეწყობის სტრატეგიების მოკლე აღწერა:

1. ხმამაღლა წაკითხვა (ამბის მოყოლა)

მიზანი: ტექსტის შესწავლის გარეშე ამბის მოსმენისაგან სიამოვნების მიღება. ხელს უწყობს ენის სტრუქტურისა და კითხვის პროცესის გააზრებას.

პროცედურა: მასწავლებლის მიერ კლასის შეკრება და ხმამაღლა წაკითხვა.

2. „ძვირფასი დრო“ (ანუ „მიატოვე ყველაფერი და იკითხე“)

მიზანი: გაკვეთილზე მოსწავლეებს ეძლევათ დრო, იკითხონ მათ მიერ შერჩეული ტექსტები.

პროცედურა:

ა. ყველა, მასწავლებლის ჩათვლით, კითხულობს;

ბ. არავითარი ჩარევა!

სუსტი მხარეები: „ძვირფასი დროის“ დადგომამდე საჭიროა დროის გამონახვა იმისათვის, რომ შეირჩეს წიგნები (საკლასო ბიბლიოთეკის დახმარებით).

3. საკითხავი მასალის განაწილება („დიდი წიგნი“)

მიზანი: კოოპერაციული სწავლება.

პროცედურა:

ა. წიგნის გარშემო შემოკრება (ეკრანზე ჩვენება იმ შემთხვევაში, თუ დიდი წიგნის მოძიება შეუძლებელია);

ბ. ავტორის, წიგნის თავფურცლის, გამომცემლის (საავტორო უფლების) შესახებ საუბარი;

გ. მოსწავლეები ერთობლივად კითხულობენ მოთხრობას;

დ. მსჯელობენ პუნქტუაციასთან დაკავშირებით.

ძლიერი მხარე: კლასი ერთად სწავლობს და იღებს ინფორმაციას წიგნის (წიგნების) შესახებ.

სუსტი მხარე: შეიძლება გართულდეს მოსწავლეთა ქცევის მართვა.

4. წყვილებში კითხვა

მიზანი: გამოცდილი მკითხველის მიერ სუსტი მკითხველისათვის დახმარების გაწევა.

პროცედურა:

ერთდროულად, ხმამაღლა კითხვა;

ან შენაცვლებით კითხვა: პირველი მკითხველი კითხულობს რაიმე ნაწყვეტს, ხოლო მეორე აგრძელებს კითხვას იქიდან, სადაც პირველი მკითხველი გაჩერდა.

ძლიერი მხარე: სოციალიზაცია.

სუსტი მხარე: გამოცდილმა მკითხველმა, შესაძლოა, დაჯაბნოს სუსტი მკითხველი. სასურველია, რადიკალური განსხვავება მათ შორის არ იყოს.

5. მეგობრული კითხვა

მიზანი: ორი, ერთნაირი სიძლიერის მკითხველისთვის უკეთესი შედეგების მიღწევაში ხელშეწყობა.

პროცედურა: იგივე, რაც წყვილებში კითხვის შემთხვევაში.

6. ტექსტის ჩარჩოები

მიზანი: ტექსტის სტრუქტურაზე მუშაობა წაკითხულის გააზრების მიზნით.

დასაბუთება: მოსწავლეები აღიქვამენ ტექსტის სხვადასხვა ნაწილს შორის კავშირს და ხედავენ ტექსტის სტრუქტურას, რის შედეგადაც მათი გააზრების პროცესი უფრო გაუმჯობესებულია და მათ შეუძლიათ გარკვეული დასკვნების გამოტანა.

პროცედურა:

1. დაავალეთ მოსწავლეებს, აიღონ ფურცელი და გაყონ ის სამ ნაწილად;
2. ფურცლის თითოეულ ნაწილში ჩახატონ ნახატები ტექსტის დასაწყისთან, შუა ნაწილსა და ბოლოსთან დაკავშირებით;
3. ამის შემდგომ თითოეული ნახატის შესახებ მათ უნდა მოიფიქრონ და დაწერონ წინადადებები ამ ნახატების ასახსნელად;
4. ბოლოს მოსწავლეები ერთმანეთს გაუზიარებენ აზრს ტექსტის სტრუქტურული ნაწილების შესახებ.

ძლიერი მხარე: მოსწავლეები მეტ პრაქტიკას იღებენ ტექსტის დასაწყისის, შუა ნაწილისა და ბოლოს იდენტიფიცირებაში.

7. მკითხველების თეატრი

მეთოდის/აქტივობის შესახებ

„მკითხველთა თეატრი“ არის მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მიერ წინასწარ შერჩეული ტექსტის როლებში წაკითხვას. მეთოდი ძალიან ეფექტური და თანაც ბუნებრივი გზაა გაწაფული კითხვის უნარის დასახვეწად, რადგანაც მოსწავლეები თავიანთ როლებზე მუშაობის პროცესში ვარჯიშობენ კითხვაში. „მკითხველთა თეატრი“ საუკეთესო ეფექტს იძლევა ხშირი გამეორების შემთხვევაში. ამიტომაც სასურველია წლის განმავლობაში მისი არაერთხელ განხორციელება. მეთოდის ხშირად გამოყენება მნიშვნელოვანი უნარების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ესენია:

- გამართულად (გაბმულად, სწრაფად, უშეცდომოდ, ინტონაციით) კითხვის უნარი;
- ყურადღების კონცენტრირების უნარი;
- მოსმენისა და მეტყველების უნარები;
- სოციალური, თანამშრომლობითი და ინტერპერსონალური უნარები;
- თვითშეფასების უნარი.

მუშაობის ფორმა: ჯგუფები.

რესურსი: ტექსტი/წიგნი/ სახელმძღვანელო თითოეული მოსწავლისთვის.

მსვლელობა

- მასწავლებელი შეარჩევს ნაწარმოებს. სასურველია, ეს იყოს ნარატიული/თხრობითი სახის ტექსტი საინტერესო გმირებითა და სიუჟეტით.

• მასწავლებელი ტექსტს დაამუშავებს კლასში სამფაზიანი მოდელის გამოყენებით;

• მას შემდეგ, რაც მოსწავლეები კარგად გაიაზრებენ ნაწარმოებს, მასწავლებელი მოამზადებს ტექსტს „მკითხველთა თეატრის“ დასადგმელად. პირველ რიგში, იგი განსაზღვრავს საჭირო რაოდენობის როლებს;

შენიშვნა: თუ როლების რაოდენობა ზუსტად არ ემთხვევა მოსწავლეთა რაოდენობას კლასში, შესაძლებელია მთხრობელის ტექსტის დანაწევრება და გადანაწილება მოსწავლეებს შორის.

• მასწავლებელი ტექსტს გადააკეთებს ისე, რომ მითითებული იყოს, ვინ წაიკითხავს ტექსტის თითოეულ მონაკვეთს (პიესის ტექსტის მსგავსად);

• მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს როლებად დანაწევრებულ ტექსტს და ანაწილებს როლებს;

შენიშვნა: სასურველია, თავდაპირველად ვრცელი და უფრო რთული მონაკვეთები შედარებით წარმატებულ მკითხველებს დაურიგდეს.

• მოსწავლეები ინდივიდუალურად, ჩუმად ეცნობიან საკუთარ მონაკვეთებს და ცდილობენ წარმოიდგინონ, როგორ წაიკითხავენ ტექსტს ინტონაციისა და ჟესტების გამოყენებით;

• ინდივიდუალურად მუშაობის შემდეგ მოსწავლეები წყვილში/ჯგუფში არაერთხელ კითხულობენ ტექსტს და ერთმანეთის დახმარებით ცდილობენ, დახვეწონ გამოთქმა, ინტონაცია, ჟესტები და ა.შ.;

შენიშვნა: კარგი იქნება, თუ მოსწავლეები თავადვე იზრუნებენ საკუთარი პერსონაჟისთვის სახასიათო, მარტივი რეკვიზიტის დამზადებაზეც.

• ბოლოს მოსწავლეები წარმოადგენენ „მკითხველთა თეატრს;

• აქტივობის შემდეგ მასწავლებელი გამართავს შემაჯამებელ დისკუსიას. მოსწავლეები ფიქრობენ და მსჯელობენ წარმოდგენის ძლიერ და დასახვეწ ასპექტებზე, საკუთარი როლის შესრულების ეფექტურობაზე. შესაძლებელია, შეჯამება სხვაგვარადაც წარიმართოს.

კერძოდ: 1. მოსწავლეებმა შეავსონ თვითშეფასების რუბრიკა, რომელიც შეიცავს შესატყვის კრიტერიუმებსა და მაჩვენებლებს; (ნიმუში იხ. ქვემოთ) 2. თუ მოსწავლეები მიმოწერის დღიურებს აწარმოებენ (იხ. წერის კომპონენტი), სასურველია, რამდენიმე ჩანაწერი ჩატარებული გაკვეთილის მიმოხილვას მიეძღვნას.

შენიშვნა: მრავალრიცხოვანი კლასის შემთხვევაში შესაძლებელია კლასის ორ თანაბარ ნაწილად გაყოფა. ასეთ დროს პირველი ჯგუფი დადგამს წარმოდგენას, ხოლო მეორე აუდიტორიის/მაყურებლის როლს შეასრულებს. შემდეგ როლები შეიცვლება.

მკითხველთა თეატრის შეფასება

ნაწარმოების წაკითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი გამართავს შემაჯამებელ დისკუსიას მოსწავლეთა რეფლექსიაზე ორიენტირებული შეკითხვების დასმით:

• რას გრძნობდით წარმოდგენის მსვლელობისას?
• მოგეწონათ თუ არა ჩვენი წამოდგენა?
• რა მოგეწონათ ყველაზე მეტად?
• რის გაუმჯობესება შეიძლება შემდგომი წარმოდგენისათვის?

სასურველია, მასწავლებელმა შეიმუშაოს რუბრიკა შესატყვისი კრიტერიუმებით და მაჩვენებლებით. პირველი წარმოდგენის შემდეგ მოსწავლეები გაეცნობიან რუბრიკას და იმსჯელებენ იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამებოდა წარმოდგენა ამა თუ იმ კრიტერიუმს.

შესაძლოა, დისკუსიის ან ჩანაწერების გაცნობის შედეგად რუბრიკა შეივსოს/ჩასწორდეს.

ქვემოთ მოცემულია რუბრიკის ნიმუში. იგი გამოდგება როგორც ცალკეული მოსწავლის შესაფასებლად, ისე მთლიანი პროცესის შესაჯამებლად. როგორც უკვე აღინიშნა, მასწავლებელს შეუძლია გადააკეთოს ან დაამატოს ესა თუ ის კრიტერიუმი და შესაბამისი ინდიკატორი/მაჩვენებლები:

	გასაუმჯობესებელი	დამაკმაყოფილებელი	საუკეთესო
უშეცდომოდ წაკითხვა	შეცდომით წაკითხული სიტყვების რაოდენობა დიდია	შეცდომით წაკითხული სიტყვების რაოდენობა უმნიშვნელოა	შეცდომით წაკითხული წიგნები არ არის
გამომეტყველებით კითხვა	ხმის ტემბრი მონოტონური და ერთგვაროვანია არ იყენებს მახვილებსა და პაუზებს	ზოგჯერ ცვლის ხმის ტონალობას.ზოგჯერ არ იყენებს მახვილებსა და პაუზებს.	ხშირად ცვლის ხმის ტონალობას.იყენებს მახვილებსა და პაუზებს.
მიმიკისა და ჟესტების გამოყენება	სახის გამომეტყველება და სხეულის მოძრაობა უცვლელია.	უმნიშვნელოდ ცვლის სახის გამომეტყველებასა და სხეულის მოძრაობას.	ამდიდრებს გამოთქმულ წინადადებებს ფრაზებს შესატყვისი მიმიკითა და სხეულის მოძრაობით.

წაკითხულის გააზრების პროცესები და ტექსტის გასააზრებლად დასმული შეკითხვები

კითხვის მიზნებს შორის სხვაობის მიუხედავად, პროცესები და სტრატეგიები, რომლებსაც მკითხველი იყენებს ამა თუ იმ ტექსტის კითხვის დროს, მეტ-ნაკლებად საერთოა. ეს პროცესებია:

ა. ტექსტში ცხადად (ექსპლიციტურად) მოცემული ინფორმაციის პოვნა;
ბ. ტექსტიდან უშუალო დასკვნების გამოტანა;
გ. ტექსტის აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან შეჯერების საფუძველზე;
დ. ტექსტის ენისა და მხატვრული ხერხების გააზრება.

ა. ტექსტში ცხადად (ექსპლიციტურად) მოცემული ინფორმაციის პოვნა

პროცესი გულისხმობს ტექსტის რომელიმე წინადადებაში ან ფრაზაში ღიად, ცხადად მოცემული ინფორმაციის, აზრის ან დეტალის დაკავშირებას შეკითხვაში მოცემულ მოსაძიებელ ინფორმაციასთან. ამ დროს მკითხველს არ მოეთხოვება (ან თითქმის არ მოეთხოვება) დასკვნის გამოტანა. ამ პროცესის ფარგლებში დასმული შეკითხვები ხელს უწყობს ამა თუ იმ საგნის სწავლებისას ფაქტობრივი ინფორმაციის ამოკრეფისა და დაგროვების უნარის განვითარებას.

ბ. უშუალო დასკვნების გამოტანა

პროცესი გულისხმობს ტექსტის სხვადასხვა ნაწილში მოცემული ინფორმაციისა თუ მოსაზრებების ერთმანეთთან დაკავშირებით უშუალო დასკვნის გამოტანას. ამგვარი დასკვნის გამოტანა, ისევე, როგორც ცხადად მოცემული ინფორმაციის პოვნა, უშუალოდ ტექსტს ემყარება, ოღონდ ამ დროს მკითხველის ყურადღება ტექსტის უფრო ვრცელ მონაკვეთზე ან მთლიან ტექსტზეა მიმართული. ეს პროცესი საშუალებას აძლევს მკითხველს, ამოიკითხოს ის, რაც ტექსტში ცხადად არ არის მოცემული, მაგრამ ტექსტიდან უშუალოდ გამომდინარეობს. შეკითხვის დასმა ამ პროცესის ფარგლებში ხელს უწყობს ზოგადად ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარებას, განსაკუთრებით კი – არგუმენტაციის უნარის ჩამოყალიბებას.

გ. ტექსტის აზრებისა და ინფორმაციის ინტერპრეტაცია საკუთარ ცოდნასთან შეჯერების საფუძველზე

პროცესი გულისხმობს ტექსტის მთლიანობაში გააზრებას, ტექსტში მოცემული აზრებისა და ინფორმაციის გააზრებას, როგორც მთელი ტექსტის, ისე მისი ცალკეული პასაჟის ფარული (იმპლიციტური) შინაარსის ამოცნობას და ინტერპრეტაციას საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან დაკავშირების საფუძველზე. შეკითხვის დასმა ამ პროცესის ფარგლებში ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, განსჯის უნარის განვითარებას.

მეოთხე კლასის დამთავრებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ტექსტის მთავარი იდეის, ძირითადი თემის ამოცნობა;
- მთლიანად ნაწარმოების ან პერსონაჟის განწყობის ამოცნობა;
- ნაწარმოებში მომხდარი ამბის, მოვლენის, აგრეთვე პერსონაჟის მდგომარეობის ან მოქმედების მოტივის ამოცნობა;
- საკუთარი ცოდნისა და ტექსტში მოცემული ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირების საფუძველზე დასკვნის გამოტანა;
- ვარაუდისა და ფაქტის ერთმანეთისაგან გარჩევა;
- გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმა და ლოგიკურად ჩამოყალიბება.

დ. ტექსტის ენა და მხატვრული ხერხების გააზრება

პროცესი გულისხმობს ტექსტის ენობრივი და მხატვრული გამოსახვის საშუალებების გარჩევასა და შეფასებას. შეკითხვის დასმა ამ პროცესის ფარგლებში ხელს უწყობს ტექსტის ესთეტიკური აღქმის უნარის ჩამოყალიბებას.

IV კლასის დამთავრებისას თავისი ცოდნისა და დაგროვილი გამოცდილების გამოყენებით მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- რეალურსა და შეთხზულს (მხატვრულ პირობითობას) შორის განსხვავების დანახვა; მხატვრული ჟანრების – ზღაპრის, იგავის, ლექსის და, აგრეთვე, საინფორმაციო ხასიათის (ისტორიული, საბუნებისმეტყველო, სალექსიკონო) ტექსტების სპეციფიკის ცოდნის გამოვლენა;
- მხატვრულ ტექსტში გამოსახვის საშუალებათა (დიალოგის, აღწერის, დახასიათების), აგრეთვე, მხატვრული ხერხების (ეპითეტის, შედარების, გაპიროვნების) ამოცნობა.

ზემოთ განხილული ოთხივე პროცესი წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში მხატვრული და საინფორმაციო ხასიათის ტექსტების მეშვეობით მოწმდება.

წიგნიერება
PIRLS 2006 საქართველოში
თბილისი, 2008 წელი, ავტორი – ია კუტალაძე

ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით ტექსტის (წინადადებების) შედგენა

იმისათვის, რომ წერა სახალისო პროცესად იქცეს, საწერად მოსწავლეთათვის საინტერესო თემა უნდა შეირჩეს. მასწავლებელს შეუძლია წინასწარ შეათანხმოს კლასთან, რა თემაზე სურთ მათ წერა.

წერის პროცესის პირველი ეტაპი საკმაოდ ადრეულ ასაკში იწყება. საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილებას, რომელიც მოსწავლეს უკვე აქვს სკოლაში მისვლამდე. ამიტომ მასწავლებელმა, პირველ რიგში, მოსწავლის წინარე ცოდნა უნდა გააქტიუროს.

ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით ტექსტის (წინადადების) შედგენის მეთოდი ეხმარება მოსწავლეს კონტექსტისათვის ადეკვატური ერთეულების შერჩევისა და გამოყენების უნარის ჩამოყალიბებაში; სპეციფიკური ტერმინოლოგიის შერჩევა-გამოყენებაში; ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში.

ტექსტის შედგენაში იგულისხმება წინადადების შედგენაც.

ამ მეთოდს შეგვიძლია მივმართოთ პირველი კლასის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც მოსწავლეს წერა-კითხვა დამოუკიდებლად შეეძლება. მეთოდი ორი სხვადასხვა მიზნით გამოიყენება:

1. ლექსიკური ერთეულების კონტექსტის ადეკვატურად გამოყენება;
2. კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სიტყვებით მხატვრული ან არამხატვრული ტექსტის შექმნისას.

მეთოდს სამი ვარიანტი აქვს.

ამ მეთოდის სამივე ვარიანტის გამოყენებით მოსწავლეები შეძლებენ:

- წერის პროცესში სათანადოდ გამოიყენონ საგნების, მათი თვისებებისა და მოქმედებების გამომხატველი სიტყვები;
- ააგონ მარტივი წინადადებები მასწავლებლის მიერ მიცემული სიტყვებით;
- დაახასიათონ მათთვის ნაცნობი ადამიანები და მოვლენები;
- დააკვირდნენ სიტყვების მნიშვნელობას და გამოიყენონ კონტექსტის გათვალისწინებით;
- ტექსტის შედგენისას გამოიყენონ ახლად შესწავლილი სიტყვები და ფრაზები;

- თანმიმდევრულად გადმოსცენ ფაქტები და მოვლენები;
- შესაფერისი ლექსიკის გამოყენებით შეადგინონ მარტივი დარგობრივი ტექსტები (კლიმატის აღწერა, გეოგრაფიული გარემოს აღწერა, მათემატიკური ამოცანა და სხვ.);
- ინფორმაციული ტექსტის შედგენისას გამოიყენონ სპეციალური ტერმინოლოგია;
- ამა თუ იმ ჟანრის ტექსტის შექმნისას გამოიყენონ სხვადასხვა მხატვრული ხერხი (ეპითეტი, შედარება და სხვ.);
- სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნის საფუძველზე შექმნან მცირე ზომის თხზულება (მაგ., „შემოდგომა“, „შინაური ცხოველები“ და სხვ.).

I ვარიანტი

ლექსიკური ერთეულების გამოყენება კონტექსტის ადეკვატურად

მეთოდის ეს ვარიანტი გულისხმობს, რომ მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ წინადადებები უკვე ნასწავლი და დამუშავებული სიტყვებით, სიტყვათშეთანხმებებით, ფრაზეოლოგიზმებით.

მსვლელობა:

1. მასწავლებელი დაფაზე წერს მოსწავლეებისათვის უკვე ახსნილ, ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს;
2. მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ წინადადებები დამოუკიდებლად, რისთვისაც ეძლევათ გარკვეული დრო;
3. წერის დასრულების შემდეგ მასწავლებელი წააკითხებს მოსწავლეებს მათ მიერ შედგენილ წინადადებებს;
4. მასწავლებელი გააკეთებს კომენტარებს მოსწავლეების მიერ შესრულებულ სამუშაოზე.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

ამ მეთოდით მუშაობა მიზანშეწონილია პირველკლასელებთანაც, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დამოუკიდებლად წერა-კითხვას შეძლებენ. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მათი შესაძლებლობები: დავიწყოთ მარტივი დავალებებით (მაგ., შევადგენინოთ ერთი-ორი წინადადება) და თანდათან გავართულოთ.

II ვარიანტი

კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სიტყვებით მხატვრული ან არამხატვრული ტექსტის შექმნა

მსვლელობა:

1. წერის დაწყებამდე მოსწავლეები შეარჩევენ თემას და მასწავლებლის დახმარებით ჩამოწერენ დაფაზე ამ თემასთან დაკავშირებულ სიტყვებს (მაგ., მზე – მცხუნვარე, ცხრათვალა, ოქროსფერი...);
2. მოსწავლეები ამ სიტყვების გამოყენებით წერენ მხატვრულ ან ინფორმაციულ ტექსტს.
3. ინფორმაციული ტექსტის შესაქმნელად მასწავლებელი სთხოვს, გაიხსენონ სხვა საგნებში მიღებული ცოდნაც (მაგ. ბუნებისმეტყველება).
4. მხატვრული ტექსტის შექმნისას კი უთითებს მათ, რა ტიპის ტექსტი უნდა შექმნან: თხრობითი, მონოლოგური თუ დიალოგური.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს ექნებათ პირველი ვარიანტით მუშაობის გამოცდილება. გარდა ამისა, ნასწავლი ექნებათ სხვადასხვა ტიპის ტექსტები; შეეძლებათ ერთმანეთისგან განასხვავონ მხატვრული და არამხატვრული ტექსტები.

III ვარიანტი

ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით ამბის შედგენა

ლექსიკურ ერთეულებზე დაყდნობით ამბის შედგენა მოსწავლეებს უვითარებს ისეთ უნარებს, როგორებიცაა: ფანტაზია, მოცემულ „საკვანძო“ სიტყვებს შორის კავშირების დამყარება და ახალი სიუჟეტის შექმნა, სიტყვებისთვის გრამატიკული ფორმის შეცვლა, სათქმელის გასაგებად და თანმიმდევრულად გადმოცემა, კორექტირება, სხვისი აზრის მოსმენა, ტექსტების შედარება.

მსვლელობა

1. წინასწარ შერჩეული, მოსწავლისათვის უცნობი ტექსტიდან მასწავლებელი დაფაზე წერს 4-5 „საკვანძო“ სიტყვას (მათ შორის შეიძლება იყოს: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა და სხვა);
2. მოსწავლეები ამ სიტყვებით შეადგენენ საკუთარ მოთხრობას;
3. აუცილებელია გამოიყენონ „საკვანძო“ სიტყვები. თუმცა, ტექსტის საჭიროებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს შეუძლიათ სიტყვების გრამატიკული ფორმის შეცვლა და სიტყვების დამატება;
4. მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად;
5. მოსწავლეები წყვილდებიან და უზიარებენ მეწყვილეს „ნაწარმოების“ საკუთარ ვარიანტს;
6. შემდეგ მასწავლებელი კითხულობს თავდაპირველ ტექსტს, საიდანაც არის ამოკრებილი „საკვანძო“ სიტყვები;
7. მოსწავლეები ადარებენ თავიანთ ვარიანტებს უკვე არსებულ მხატვრულ ტექსტს (პოულობენ მსგავსება-განსხვავებას მათ შორის).

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

მეთოდის გამოყენება რეკომენდებული არ არის დაწყებითი საფეხურის საწყის ეტაპზე (I–II კლასში);

მასწავლებელმა ყურადღებით უნდა შეარჩიოს საკვანძო სიტყვები, რათა უზრუნველყოს ამბის ერთი ქარგით განვითარება. მეთოდი კომპლექსურია; იგი ავითარებს წერის, კითხვის, მოსმენის, მსჯელობის უნარებს.

წერა მაგიდის ირგვლივ

მეთოდის მიზანია, განუვითაროს მოსწავლეს კრიტიკულად აზროვნების, საკუთარი აზრის ლოგიკურად და თანმიმდევრულად წერილობით გადმოცემის, ასევე თვითშეფასებისა და სხვათა შეფასების უნარი.

მეთოდის მოსალოდნელი შედეგია, რომ მოსწავლემ დამოუკიდებლად შეადგინოს მცირე მოცულობის ტექსტი ნაცნობი ლექსიკით და გასაგებად ჩამოაყალიბოს აზრი; შეეჩვიოს ჯგუფში მუშაობას, აუდიტორიის წინაშე გამოსვლასა და დროის განაწილებას; სხვათა ნააზრევის გაზიარებასა და პატივისცემას.

მსვლელობა:

1. დააჯგუფეთ მოსწავლეები (4-5 მოსწავლე) და გააცანით საწერი თემა. (თემა, სასურველია, შერჩეული იყოს მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე).
2. თითოეულ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს თავისი საწერი ფურცელი.
3. წინასწარ განსაზღვრულ დროში (3-5 წუთი) მოსწავლეებმა უნდა მოასწრონ თავინთი მოსაზრებების დაწერა თემის გარშემო.
4. დროის ამოწურვისთანავე მოსწავლეები ფურცელს, რომელზეც მათი ნააზრევია დაწერილი, გადააწოდებენ მარჯვნივ მჯდომს და თვითონ, შესაბამისად, მიიღებენ ფურცელს მარცხნივ მჯდომისაგან.
5. მოსწავლეები წაიკითხავენ და გააგრძელებენ თანაკლასელის ნააზრევს.
6. ფურცლები წრეში მანამ იტრიალებს, სანამ ჯგუფის ყველა წევრს საკუთარი არ დაუბრუნდება.
7. ნაწერები კლასში განიხილება, საუკეთესო ნაშრომს მასწავლებელი შეარჩევს და სათანადოდ შეაფასებს.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია მესამე კლასიდან. გასათვალისწინებელია კლასში მოსწავლეთა რაოდენობა. მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია 15-20 ბავშვიან კლასში. ეს მეთოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაწყებითი საფეხურის ნებისმიერ საგანში.

პირამიდული ისტორია

„პირამიდული ისტორიის“ მეთოდით მუშაობისას მოსწავლეები პატარა მწერლების როლში აღმოჩნდებიან: შექმნიან მცირე მასშტაბის მოთხრობას, შემდეგ კი ერთობლივად შეავსებენ წინასწარ მოცემულ სქემას.

მოსწავლეები ამ სტრატეგიის გამოყენებისას სწავლობენ: სიუჟეტის შედგენას; საკუთარი აზრის გადმოცემას; პრობლემების დანახვასა და გადაჭრის გზების ძიებას; სხვისი აზრის მოსმენასა და პატივისცემას.

„პირამიდული ისტორია“ სამი ეტაპისაგან შედგება:

- პირველი ეტაპი – „პირამიდის“ ჯგუფური შევსება; მონაწილეობს მთელი კლასი;
- მეორე ეტაპი – მოსწავლის ნააზრევის გამოხატვა ინდივიდუალურად;
- მესამე ეტაპი – შედგენილი ტექსტის ერთობლივი განხილვა.

გაკვეთილის დაწყებამდე დაფაზე ან ქაღალდზე მომზადებულია შემდეგი სქემა:

1. ------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------
6. ----------
7. ----------
8. ----------

მსვლელობა:

1. პირველ ხაზზე იწერება მოთხრობის მთავარი გმირის სახელი. მეორე ხაზზე ვწერთ ორ სიტყვას, რომელიც მთავარ გმირის ხასიათს ან გარეგნობას გამოხატავს.
2. მესამე ხაზზე იწერება სამი სიტყვა, რომლებიც გამოხატავს, სად ხდება მოქმედება (ქვეყანა, ადგილი, მოქმედების გარემო);

3. მეოთხე ხაზზე – ოთხი სიტყვა, რომლებიც აღწერს მოთხრობის მთავარ პრობლემას (ვთქვათ სიღარიბე, გზის დაკარგვა, შეხვედრა და ა. შ);
4. მეხუთე ხაზზე – ხუთი სიტყვა, რომლებიც აღწერს მოთხრობის იმ ეპიზოდს, საიდანაც იწყება პრობლემის გაშლა-განვითარება;
5. მეექვსეზე – ექვსი სიტყვა, რომლებიც ასახავს მოვლენების შემდგომ განვითარებას მოთხრობაში;
6. მეშვიდეზე – შვიდი სიტყვა, რომლებიც აღწერს ახალ მოვლენას, ამბავს, რომელიც სიუჟეტში წამოჭრილი პრობლემის მოგვარებას ემსახურება;
7. მერვე ხაზზე – რვა სიტყვა, რომლებიც გვიჩვენებს პრობლემის საბოლოო გადაჭრას;
8. მოსწავლეები ქმნიან პირამიდის საკუთარ ვარიანტებს;
9. მოსწავლეებთან ერთად მასწავლებელი ირჩევს მოსწავლეთა ნამუშევრებიდან ერთ-ერთ ვარიანტს და გადააქვს დაფაზე (ან დიდი ფორმატის ქაღალდზე);
10. პირამიდის შევსების შემდეგ მოსწავლეებს ვთავაზობთ, ამ სიტყვების გამოყენებით ინდივიდუალურად შეადგინონ მოთხრობის საკუთარი ვარიანტი (აუცილებელია ამ სიტყვების გამოყენება, მაგრამ მოსწავლეებს შეუძლიათ სიტყვების გრამატიკული ფორმის შეცვლა და სხვა სიტყვების დამატება);
11. მოსწავლეები თხზულებაზე 10-15 წუთი მუშაობენ;
12. მსურველები (ავტორები) გააცნობენ საკუთარ თხზულებას აუდიტორიას.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

მეთოდის გამოყენება რეკომენდებული არ არის I-II კლასებში; საჭიროა, რომ „პირამიდული ისტორიის“ წერას წინ უძღოდეს სათანადო ლიტერატურული გამოცდილება, ანუ მოსწავლეებს შესწავლილი ჰქონდეთ ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი სიუჟეტური ხაზი: პრობლემის გაჩენა – პრობლემის კულმინაცია – პრობლემის გადაჭრა.

„როლი, აუდიტორია, ფორმა, თემა“

წერა კომუნიკაციის საშუალებაა. ნაწერით ადამიანი სხვებს უზიარებს თავის აზრს, აცნობს ინფორმაციას და ა. შ. ამიტომ ნაწერის ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ წერს, ვისთვის წერს, რა მიზნით წერს. მოსწავლეს ყოველთვის წინასწარ განსაზღვრული უნდა ჰქონდეს რაზე წერს და ვისთვის წერს. იმისათვის, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ წერითი უნარ-ჩვევები, შემდეგი მნიშვნელოვანი პრინციპები უნდა გაითვალისწინოთ:

- მოსწავლეებს ნაწერში თამამად და თავისუფლად მსჯელობის საშუალება უნდა ჰქონდეთ;
- თავად უნდა აირჩიონ თემა, ფორმა, აუდიტორია;
- უნდა ჰქონდეთ საშუალება თანატოლებთან ერთად განიხილონ საკუთარი ნაწერი;

ამ მეთოდის მიზანია მოსწავლეებმა ისწავლონ სხვადასხვა ფორმატისა და შინაარსის მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტების შექმნა (წერილი, მოხსენება, განცხადება, მისალოცი ბარათი, დღიური, რეფერატი, საკონფერენციო თემა, მოთხრობა, სცენარი, ჩანახატი, ინტერვიუ და სხვა).

მსვლელობა:

1. თავდაპირველად მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ საწერი თემა და დაწერეთ დაფაზე;
2. სთხოვეთ მოსწავლეებს აირჩიონ როლი – ვის როლში ისურვებდნენ ყოფნას? ე. ი. ვინ იქნება წერილის ადრესანტი (ეს შეიძლება იყოს: მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, მეგობარი, დირექტორი, მინისტრი, პრეზიდენტი, მწერალი, ჟურნალისტი, რედაქტორი ან რომელიმე უსულო საგანი ან სულიერი არსება და სხვა);
3. ჩამოწერეთ მათ მიერ არჩეული როლები დაფაზე;
4. სთხოვეთ შეარჩიონ შესაფერისი აუდიტორია – ვისთვის უნდათ რომ დაწერონ? ე. ი. ვინ იქნება ტექსტის ადრესატი (ეს შეიძლება იყოს: მასწავლებელი, მეგობარი, საკუთარი თავი, ოჯახის წევრები, კლასელები, დირექტორი, პრეზიდენტი, პოპულარული ადამიანი, კედლის გაზეთი, ჟურნალი, ნაწარმოების გმირი, ავტორი და ა.შ.)

5. დაწერეთ მათი პასუხები დაფაზე;
6. სთხოვეთ მოსწავლეებს შეარჩიონ ფორმა – რა ფორმით ისურვებენ წერას? (წერილი, მონოლოგი, პირადი დღიური, მოხსენება, თემა, რეფერატი, კედლის გაზეთი, ჟურნალი, წიგნი, მოთხრობა, ზღაპარი, სცენარი, ლექსი, ჩანახატი, წერილი მომავალში, ინტერვიუ, განცხადება, ღია ბარათი, შეტყობინება, პრეზენტაცია და სხვა);
7. ყოველივე ამის შემდეგ მიეცით მოსწავლეებს დრო, წერონ თავისუფლად;
8. სურვილის მიხედვით გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი ნაშრომები;
9. ნაშრომის წაკითხვამდე დაასახელონ: **თემა, როლი, აუდიტორია, ფორმა;**
10. თავი შეიკავეთ უარყოფითი კომენტარებისაგან;
11. ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია ნაშრომი კლასის კედელზე გამოაკრას.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელია:

მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია მეორე კლასიდან (მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით).

მეთოდი კომპლექსურია; იგი ავითარებს წერის, კითხვისა და ზეპირმეტყველების უნარებს.

თავდაპირველად თავად შეურჩიეთ მოსწავლეებს როლი, აუდიტორია, ფორმა და თემა. შემდეგ, როცა გაიწაფებიან, მოსწავლეები დამოუკიდებლად შეძლებენ შერჩევას.

წერა „ფანტაზია“

მეთოდის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს წარმოსახვისა და ფანტაზიის განვითარებაში, შთაბეჭდილებების გადმოცემაში.

მსვლელობა:

1. წინასწარ მოამზადეთ საკლასო ოთახი ისე, რომ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობაში, სამუშაოზე კონცენტრაციაში ხელი არ შეეშალოთ.
2. იმ თემის ირგვლივ, რაზეც მოსწავლეებმა უნდა წერონ, რამდენიმე მინიშნება გააკეთეთ. ეს შეიძლება იყოს დაფაზე დაწერილი რამდენიმე სიტყვა, თვალსაჩინოება, მუსიკა ან სხვა.
3. სთხოვეთ მოსწავლეებს, მიცემული მინიშნებებიდან გამომდინარე, ჩაიწერონ თავიანთი აზრები, ემოციები და წარმოდგენები.
4. წერისათვის გამოყავით 15-20 წუთი.
5. მოსწავლეებს მიეცით დრო, რომ თავიანთი ფანტაზიის ნაყოფი მეგობრებსაც გაუზიარონ.
6. შეაგროვეთ მოსწავლეთა ნაწერები.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელია:

ამ მეთოდის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია თემის ირგვლივ მინიშნებების სწორად შერჩევა. დაწყებითი საფეხურის მაღალ კლასებში მინიშნებების გამოყენება შესაძლებელია არც იყოს აუცილებელი და მოსწავლეებს პირდაპირ გარკვეულ თემატიკაზე „თავისუფალი თემის“ დაწერა დაავალოთ. დაწყებითი საფეხურის უფრო დაბალ კლასებში კი მოსწავლის ფანტაზიის გასააქტიურებლად დამატებითი სტიმულატორების გამოყენება ხელს უწყობს მისი მოტივაციის გაზრდას წერითი სამუშაოსადმი.

სწავლა შეცდომების გასწორებით

ეს მეთოდი ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შეცდომების აღმოჩენასა და ადეკვატურად რეაგირებაში; ხელს უწყობს შეცდომების გასწორების უნარის ჩამოყალიბებას, ზრდის მოტივაციას და ავითარებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს. უყალიბებს შეცდომებისადმი ადეკვატურ დამოკიდებულებას (შეცდომის დაშვება და მისი შესწორება სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია). ამ მეთოდის მეშვეობით მოსწავლე სწავლობს აქტიურად, „კეთებით". ამავე დროს, მოსწავლეებს უვითარდებათ სოციალურ-კომუნიკაციური უნარები: ზეპირი და წერითი მეტყველება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, თანამშრომლობა.

შეცდომების გასწორება ნებისმიერი წერითი სამუშაოს შემდეგ შეიძლება ჩატარდეს. მთავარია, ზუსტად განსაზღვროთ, რა ტიპის შეცდომებს გაასწორებენ მოსწავლეები.

მსვლელობა:

1. მიეცით ინსტრუქცია მოსწავლეებს: წაიკითხონ მათ მიერ შესრულებული წერითი დავალება; მიაქციონ ყურადღება სასვენ ნიშნებსა და ორთოგრაფიას;
2. წინასწარ განუსაზღვრეთ დრო;
3. წააკითხეთ ხმამაღლა ერთ მოსწავლეს; მოსწავლემ უნდა თქვას, რა შეასწორა და რატომ;
4. იკითხეთ, ჰქონდა თუ არა ვინმეს მსგავსი შეცდომა;
5. ჩართეთ მსჯელობაში მთელი კლასი.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელია:

მეთოდი მოითხოვს დიდ დროს; შესაძლებელი უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი მოსწავლის ნამუშევრის განხილვა.

ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში.

ამ მეთოდს შეიძლება მთელი გაკვეთილი დასჭირდეს, ამიტომ სასურველია წერა და შეცდომების გასწორება დაწყვილებული გაკვეთილების დროს ჩატარდეს (თუ წერითი სამუშაო მცირე დროს მოითხოვს, შესაძლებელია, შეცდომების გასწორება იმავე გაკვეთილზე მოესწროს).

მოსწავლეებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, რისი გასწორება ევალებათ და როგორ.

შენიშვნებისათვის

ზეპირმეტყველების შეფასების რუბრიკები

კრიტერიუმები	არა	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
მიზნისა და სამეტყველო სიტუაციის ადრესატის გათვალისწინებით ირჩევს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს (ჟესტს, მიმიკას, ინტონაციას);				
შესაბამისი ლექსიკის გამოყენებით, თანამიმდევრულობისა და აზრობრივი შესაბამისობის დაცვით გადმოსცემს სათქმელის შინაარსს				
გამოკვეთს მთავარ სათქმელს/ ამახვილებს ყურადღებას ყველა მნიშვნელოვან დეტალზე				
მოჰყავს პარალელები პირადი გამოცდილებიდან, სხვა ტექსტებიდან თუ კინო/ ანიმაციური ფილმებიდან				
იცავს ელემენტარულ ენობრივ ნორმებს				
იყენებს საყრდენებს შესაბამისად				

კრიტერიუმები	არა	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
პირობასთან შესაბამისობა				
იცავს დროის ლიმიტს				
მიზნის შესაბამისად გადმოსცემს ინფორმაციას				
კომუნიკაციური უნარ–ჩვევები				
გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას				
მოჰყავს შესაბამისი მაგალითები				
ენობრივი უნარ–ჩვევები				
ადეკვატურად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ელემენტებს (მაგ. ჟესტიკულაციას, მიმიკას...)				

პრეზენტაცია

კრიტერიუმი	დიახ	არა	ნაწილობრივ	რეკომენდაცია
მითითებული გეგმის				
მიხედვით				
წარმოადგენს				
პრეზენტაციას				
ყურადღებას ამახვილებს მთავარ საკითხებზე				
იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ელემენტებს				
საუბრობს				
თავისუფლად, გარკვევით				
იყენებს შესაბამის				
თვალსაჩინოებას (საჭიროების შემთხვევაში)				
პასუხობს თემის				
ირგვლივ დასმულ				
შეკითხვებზე				

დისკუსია

კრიტერიუმი	დიახ	არა	ნაწილობრივ	რეკომენდაცია
აქტიურად მონაწილეობს				
დისკუსიაში, იცავს მის				
წესებს				
სწორად, თემის შესაბამისად				
სვამს კითხვებს				
დასმულ კითხვაზე სცემს				
გააზრებულ, დასაბუთებულ				
პასუხს				

გაკვეთილში ჩართულობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	ყოველთვის	ხშირად	იშვიათად	არ შეესაბამება
ყოველთვის მონაწილეობს და ხშირად წარმართავს კიდეც საკლასო მსჯელობას				
გამართულად მეტყველებს, აქვს მდიდარი ლექსიკა და შემოქმედებითად იყენებს ენობრივ–გამომსახველობით საშუალებებს				
ყოველთვის დამაჯერებლად და არგუმენტირებულად წარმოადგენს თავის მოსაზრებას				
უსმენს სხვებს და საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს მოსმენილზე დაყრდნობით. კორექტულია და ამჟღავნებს სხვისი აზრის მიმართ პატივისცემას				

ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობის თვითშეფასების სქემის ნიმუში

კრიტერიუმები	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
ჩემს აზრს ღიად გამოვთქვამ			
როცა სხვა ლაპარაკობს, ვუსმენ ყურადღებით			
დაკისრებულ მოვალეობას ვასრულებ			
ვიცი, რომ კამათი ჩხუბში არ უნდა გადაიზარდოს			
ვიცავ დროის ლიმიტს			

ჯგუფის წევრების თვითშეფასების რუბრიკა (მეორე ვარიანტი)

კრიტერიუმები	კი	არა
აქტიურად ვიყავი ჩართული ჯგუფის მუშაობაში		
ვიცავდი ჯგუფში მუშაობის წესებს		
ჩემი მოსაზრება იყო მნიშვნელოვანი		
ვუსმენდი სხვების მოსაზრებებს		
ვიცავდი დროის ლიმიტს		

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

კრტერიუმები	არა	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია				
ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს				
ჯგუფის წევრები თანამშრომლობენ (აზრის გამოხატვის თანაბარი პირობები)				
ჯგუფის პრეზენტაცია შეესაბამება მოთხოვნებს (პრეზენტაციის შეფასების რუბრიკას)				
ჯგუფი პასუხობს შეკითხვებს				
ჯგუფი იცავს დროის ლიმიტს				

კითხვის შეფასების რუბრიკები
„მკითხველის თეატრის“ შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	გასაუმჯობესებელი	დამაკმაყოფილებელი	საუკეთესო
უშეცდომოდ წაკითხვა	შეცდომით წაკითხული სიტყვების რაოდენობა დიდია	შეცდომით წაკითხული სიტყვების რაოდენობა უმნიშვნელოა	უშეცდომოდ კითხულობს ყველა სიტყვას
გამომეტყველებით კითხვა	ხმის ტემბრი მონოტონური და ერთგვაროვანია, არ იყენებს მახვილებსა და პაუზებს	ზოგჯერ ცვლის ხმის ტონალობას.ზოგჯერ არ იყენებს მახვილებსა და პაუზებს.	ხშირად ცვლის ხმის ტონალობას. იყენებს მახვილებსა და პაუზებს.
მიმიკისა და ჟესტების გამოყენება	სახის გამომეტყველება და სხეულის მოძრაობა უცვლელია.	უმნიშვნელოდ ცვლის სახის გამომეტყველებასა და სხეულის მოძრაობას.	ამდიდრებს გამოთქმულ წინადადებებს ფრაზებს შესატყვისი მიმიკითა და სხეულის მოძრაობით.

გაწაფულად კითხვა

კრიტერიუმები	არა	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
კითხულობს ხმამაღლა და გარკვევით.				
თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს.				
ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას სასვენ ნიშნებთან.				
კითხულობს სათანადო ინტონაციით, იცავს ტემპს.				

წაკითხულის გაგება-გააზრება

კრიტერიუმები	არა	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
ტექსტში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას (როდის, სად, რამდენი, როგორი, რამდენ ხანს, რამდენჯერ და სხვ.).				
აჯგუფებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას კონკრეტული ნიშნების მიხედვით				
ამოიცნობს ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზშედეგობრივ კავშირებს, გამოაქვს სათანადო დასკვნა.				
ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს;				
ამოიცნობს, რა ტიპის ურთიერთობა აქვთ პერსონაჟებს ერთმანეთთან (ნათესაური, მტრული, მეგობრული და სხვ.);				
გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნაწარმოებში გადმოცემული მოვლენისადმი/ პერსონაჟისადმი;				
გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, ამბის შუა ნაწილს, დასასრულს);				
საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს, ტექსტის ცალკეული მონაკვეთის არსებით ინფორმაციას				
ამოიცნობს ტექსტის თემას, სწვდება დედააზრს (მთავარ იდეას);				
ტექსტის და გასააზრებლად იყენებს მარტივ გრაფიკულ სქემებს				
მოჰყავს პარალელები პირადი გამოცდილებიდა, სხვა ტექსტებიდან, კინო/ ანიმაციური ფილმებიდან				

წერა

მცირე ზომის მარტივი თხრობითი ტექსტის შედგენა საყრდენების (ილუსტრაციის, მოდელის, მასწავლებლის მითითებების და ა.შ.) გათვალისწინებით

კრიტერიუმები	შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება	განმავითარებელი კომენტარი
საჭიროებისამებრ იყენებს საყრდენებს				
შინაარსი შეესაბამება დავალების პირობას				
ყურადღება გამახვილებულია არსებით დეტალებზე				
აზრები თანმიმდევრულად არის გადმოცემული				
იყენებს შესაბამის ლექსიკას				
იცავს მართლწერის ელემენტარულ ნორმებს				
კითხულობს საკუთარ ნაწერს და ასწორებს შემჩნეულ შეცდომებს				

მოკლე შინაარსი

კრიტერიუმები	შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება	რეკომენდაცია
მოსწავლე თანმიმდევრულობის დაცვით გადმოსცემს ეპიზოდის შინაარსს				
სწორად გამოყოფს აბზაცებს				
ყურადღებას ამახვილებს ყველა მნიშვნელოვან დეტალზე				
ლექსიკა შინაარსის ადეკვატურია იყენებს ახლად შესწავლილ სიტყვებსა და ფრაზებს				
იცავს მართლწერის ელემენტარულ ნორმებს				

წერილის დაწერა

კრიტერიუმები	შეესაბამება	ნაკლებად შეესაბამება	არ შეესაბამება	რეკომენდაცია
ადეკვატურად იყენებს წერილის სტრუქტურულ ელემენტებს (მიმართვა-მისალმება, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება)				
სათქმელს აყალიბებს გასაგებად და თანმიმდევრულად				
გამოხატავს საკუთარ თვალსაზრისს, დამოკიდებულებას				
იცავს ამ ტიპის ნაწერისთვის დამახასიათებელ ენობრივ სტილს				
იცავს მართლწერის საბაზისო ნორმებს				

თხზულების შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმები	შეესაბამება	ნაკლებად შეესაბამება	არ შეესაბამება	რეკომენდაცია
შინაარსი შეესაბამება დავალების პირობას				
აზრები თანმიმდევრულად არის გადმოცემული				
აბზაცები სწორადაა გამოყოფილი				
ყურადღება გამახვილებულია მნიშვნელოვან დეტალებზე				
საკუთარი თვალსაზრისის საილუსტრაციოდ მოსწავლეს მოჰყავს ადეკვატური მაგალითები ტექსტიდან...				
იყენებს შესაბამის ლექსიკას				
იცავს მართლწერის ელემენტარულ ნორმებს				

ინკლუზიური განათლება

ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე. ბავშვის უფლებათა ამგვარ ფართო აღიარებას მხოლოდ თეორიული საფუძველი არ გააჩნია. მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში ბავშვის უფლებები განმტკიცებულია კონკრეტული ღონისძიებებით საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და აღმასრულებელ სფეროებში. ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. სწავლის პროცესში სირთულეები შეიძლება

შეექმნათ ნიჭიერ ბავშვებსაც, ქუჩის და მომუშავე ბავშვებს, ეთნიკური, კულტურული უმცირესობის და სხვა მარგინალური ჯგუფის წარმომადგენლებს. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებაა, ყველა ბავშვისთვის მოძებნოს წარმატებით სწავლების გზები.

ინკლუზიური განათლება გულიხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მისცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს.

ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საკლასო ოთახში ყოფნას და თანატოლებთან ერთად გარკვეული დროის გატარებას. ინკლუზიური განათლება მოითხოვს მთლიანად სკოლის დაუღალავ შრომას, რათა გააძლიეროს და განავითაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები, გააუმჯობესოს მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აქტიურად შეუწყოს ხელი მოსწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

ინკლუზიური განათლების საერთაშორისო მოდელის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და კლასის სრულუფლებიანი წევრია. ის სრულად უნდა მონაწილეობდეს სასკოლო და საკლასო აქტივობებში; სკოლაში მიმდინარე აკადემიურ (მაგ. წერა, კითხვა) და არააკადემიურ (მაგ. დასვენებებზე თანატოლებთან თამაში) პროცესებში.

ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას და განსხვავებულობის აუცილებლობას მოსწავლეების სწავლების პროცესში. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობის და საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლება, რასაკვირველია, სწავლების განსხვავებული მიდგომების, სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ყველას მიმართ სწავლებისა და ქცევის მართვის ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება უარყოფს ბავშვებს შორის განსხვავებულობას და მათ ინდივიდუალობას. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან სწავლების ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება, (მსგავსი ინსტრუქციები მასალის ახსნისას, იდენტური საშინაო დავალებები, თანაბარი დრო დავალების შესასრულებლად) ერთი მხრივ, არაპროფესიონალური მიდგომაა, ხოლო მეორე მხრივ, არ უზრუნველყოფს ერთნაირ სასწავლო შედეგს ყველა მოსწავლისთვის. შესაბამისად, განათლების სისტემაში სკოლა წარმატებულად ითვლება, თუ მას შესწევს უნარი, შესაბამისი განათლებით უზრუნველყოს განურჩევლად ყველა მოსწავლე. სწორად დაგეგმილი ინკლუზიური განათლების პირობებში, ყველა მოსწავლეს

ეძლევა საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზების შესაძლებლობა.

ინკლუზიური განათლების დანერგვა სკოლისგან გარკვეული ამოცანების გადაჭრას მოითხოვს:

- სკოლაში ჩართულმა ყველა ადამიანმა უნდა მიმართოს ერთობლივ ძალისხმევას ინკლუზიური განათლების დასამკვიდრებლად სკოლის სივრცეში, ინკლუზიური განათლების იდეას უნდა იზიარებდეს ყველა სკოლა;
- ინკლუზიურმა გარემომ უნდა აღიაროს და გაითვალისწინოს მოსწავლის მრავალფეროვანი საჭიროებები; სკოლამ უნდა შეძლოს სწავლის განსხვავებული სტილით და შესაბამისი სტრატეგიის გამოყენებით სწავლების უზრუნველყოფა;
- სკოლის გარემომ უნდა შეძლოს სპეციალური საგნმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შესაბამისი მხარდაჭერა; საჭიროების შემთხვევაში, დაახმაროს მოსწავლეებს სპეციალისტები;
- სკოლა დაინტერესებული უნდა იყოს პედაგოგების უწყვეტი პროფესიული განვითარებით და მომზადებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შესაბამისი მხარდაჭერის აღმოსაჩენად;
- სკოლას უნდა ჰყავდეს მოტივირებული პედაგოგები, რომლებსაც უწყვეტი ურთიერთობა ექნებათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებთან; სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს მშობლებს, აქტიურად ჩაერთონ შვილების სწავლის პროცესში.
- სკოლამ უნდა შექმნას მისაწვდომი ფიზიკური გარემო და საჭიროების შემთხვევაში (კომუნიკაციისთვის, მობილობისთვის), გამოიყენოს შესაბამისი ტექნოლოგიები. ინკლუზიური განათლების მიდგომის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და მის სასწავლო პროცესში ჩართვა უმთავრესი პრიორიტეტია. მოსწავლეები სპეციალიზებულ სკოლებსა და კლასებში უნდა ნაწილდებოდნენ გამონაკლის შემთხვევებში და რეკომენდებულია მხოლოდ მაშინ, როცა ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ჩართულობა ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საგანამანათლებლო თუ სოციალურ საჭიროებებს ან როცა ეს აუცილებელია ამ ბავშვის ან სხვა ბავშვების კეთილდღეობისთვის. ამ შემთხვევაში მშობლებს აქვთ უფლება, მიიღონ კვალიფიციური და ამომწურავი კონსულტაცია განათლების იმ ფორმის შესახებ, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათი შვილების საჭიროებებს, რათა სწორი არჩევანი გააკეთონ.

სკოლები, რომლებიც იზიარებენ ინკლუზიური განათლების მიდგომებს, დისკრიმინაციული დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლის, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ინკლუზიური განათლება ინკლუზიური საზოგადოების ფორმირების აუცილებელი წინაპირობა. სწორედ ინკლუზიური განათლების კონტექსტში ხდება შესაძლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა მიაღწიონ პროგრესს განათლებაში და სოციალურ ინტეგრაციას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება

ტერმინი – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება - გულისხმობს სწავლის სირთულეებს ან შეზღუდულ შესაძლებლობას, რომელსაც აწყდება მოსწავლე სწავლის პროცესში და რომლის დაძლევაც მას სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ექმნება სირთულეები და სჭირდება დახმარება შემდეგ სფეროებში:

- კითხვა, წერა, ანგარიში
- ინფორმაციის გადამუშავება
- საკუთარი აზრის და შეხედულებების გამოხატვა, სხვების აზრის გაგება

- საშინაო და საკლასო დავალებების შესრულება
- ქცევა
- ურთიერთობა თანატოლებთან და პედაგოგებთან
- მოწესრიგებულობა
- სხვადასხვა სახის სენსორული და ფიზიკური დეფიციტი, რომელიც ზეგავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე
- გრძელვადიანი მკურნალობის/ჰოსპიტალიზაციის საჭიროება
- ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა
- სოციალური დაუცველობა
- სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვის საშიშროება

ტერმინის – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება – დამკვიდრება აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც სპეციალისტებმა აღიარეს, რომ სირთულეები სწავლის პროცესში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს არ ახასიათებთ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მოსწავლეს არ აღენიშნება თვალსაჩინო დაზიანება თუ განვითარების დარღვევა, ისინი მაინც წარუმატებელნი არიან სკოლაში.შესაბამისად, განსაზღვრა იმისა, აქვს თუ არა მოსწავლეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, დამოკიდებული უნდა იყოს არა მის სამედიცინო დიაგნოზზე ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსზე, არამედ სირთულეებზე სწავლის პროცესში.

2004 წლამდე საქართველოს განათლების სისტემა არ იცნობდა ინკლუზიური განათლების პრინციპებს და შესაბამისად, ნებისმიერი შეზღუდული შესაძლებლობის თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განათლების ერთადერთ ალტერნატივას სპეციალიზებული სკოლა წარმოადგენდა. ბავშვებს, რომელთაც აღენიშნებათ უყურადღებობისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომები, დისლექსია, კითხვის, წერისა თუ მეტყველების სპეციფიკური დარღვევები, შეზღუდული შესაძლებლობის პირის სტატუსი არა აქვთ, თუმცა განათლების მხრივ სერიოზული საჭიროებები უდგებათ. სამედიცინო დიაგნოზის თუ შეზღუდული შესაძლებლობის არარსებობის გამო კი, მათი სწავლისა და ქცევის თავისებურებები არასწორადაა ინტერპრეტირებული. ხშირად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის შეუსაბამო ქცევა სიზარმაცედ ფასდება. ეს კი, თავის მხრივ, სასწავლო პროცესის არასწორ დაგეგმვას, ჩარევის მცდარი სტრატეგიებისა და არაეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს. შესაბამისად, ნათელია, რომ სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა გამოვლენას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა თავიდან ავიცილოთ როგორც მოსწავლის ქცევის თავისებურების არასწორი ინტერპრეტაცია, ისე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის არასწორად მინიჭება იქ, სადაც ამის საჭიროება არ არსებობს.

ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი გარემო

სკოლაში ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებისთვის რამდენიმე აუცილებელი პირობის დაცვაა საჭირო. ესენია: სწავლისა და მოსწავლეებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა; მოსწავლეების ინდივიდუალური განსხვავებებისა და საგანმანათლებლო საჭიროების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება; ყველა მოსწავლისთვის ერთნაირი, სწავლისა და განათლების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა და თანამონაწილეობა მთლიან სასკოლო საქმიანობაში.

სწავლისა და მოსწავლეებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა სკოლის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების, უმთავრესი ამოცანაა. როდესაც ყველა მოსწავლის აკადემიური

და სოციალური წარმატებები სკოლისთვის მთავარი ღირებულებაა, მაშინ ყველა, ვინც სასწავლო პროცესშია ჩართული - მასწავლებლები, მოსწავლეები, ადმინისტრაცია და მშობლები, ყურადღებას ამ მიზნის მიღწევისკენ მიმართავს და შესაბამისად, სკოლაში თანამშრომლობის, ურთიერთდახმარებისა და პატივისცემის გარემო იქმნება. ინკლუზიური განათლება თავისი არსით სწორედ ასეთ დამოკიდებულებას გულისხმობს ყველა მოსწავლის მიმართ და აღიარებს, რომ მიუხედავად ინდივიდუალური განსხვავებებისა სწავლისა და მოსწავლის მიმართ, კეთილგანწყობილი გარემო განათლების აუცილებელი პირობაა.

ყველა მასწავლებლის მიზანი და ამოცანა მოსწავლის მიღწევებსა და წარმატებებზე ორიენტირებაა, მაგრამ მოლოდინი და მოსწავლისთვის დასახული მიზნები აუცილებლად რეალისტური და განხორციელებადი უნდა იყოს. შესაბამისად, ნებისმიერი დავალება, რომელსაც მოსწავლეს ვაძლევთ, მის შესაძლებლობებს, უნარებს და ცოდნის დონეს უნდა შეესაბამებოდეს.

მოსწავლეებს შორის ინდივიდუალური განსხვავებების მიუხედავად, არსებობს მათი მხარდაჭერის და სწავლის სტიმულირების რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველასთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მოსწავლის თვითშეფასების ამაღლება, ქცევის პოზიტიური მართვა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება და სწავლის მოტივაციის ამაღლება.

ინკლუზიური განათლება სკოლაში დანერგვისთანავე ამ სკოლის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი ხდება. სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესი გავლენას ახდენს ინკლუზიურ განათლებაზე და პირიქით. შესაბამისად, სკოლის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო და ინკლუზიური განათლების პროცესები სკოლის მართვის ერთიან კონტექსტში განიხილება. კარგად დაგეგმილი მართვის პროცესში სკოლა ქმნის ყველა აუცილებელ პირობას იმისთვის, რომ თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროება მაქსიმალურად იყოს დაკმაყოფილებული და ყველა მოსწავლეს სწავლისა და განვითარების ყველა აუცილებელი პირობა ჰქონდეს შექმნილი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სკოლა ერთი მიზნის გარშემოა გაერთიანებული და ყველა - სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები – ამ საერთო მიზნის მიღწევაშია ჩართული. ინკლუზიური განათლებისთვის საერთო მიზანი და თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რაც კარგ ორგანიზებულობასა და მართვას მოითხოვს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მართვაში არის რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს მთლიანად სკოლის და ინკლუზიური განათლების ეფექტიან მართვას. აღნიშნული პრინციპებია:

- სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ზოგადი განათლების მიღების უფლებას. მოსწავლეების მიღებისას სკოლა არ უშვებს რაიმე სახის დისკრიმინაციას და არ ამბობს უარს სწავლის სირთულეების მქონე ბავშვის სკოლაში მიღებაზე.
- თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები უზრუნველყოფენ ადეკვატურ და ხარისხიან განათლებას მისი საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით. ამისათვის სკოლის ადმინისტრაციამ სამინისტროს მიერ დადგენილი წესით[1] უნდა განახორციელოს: ა) კვალიფიციური სპეციალისტების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ფსიქიკური, ფიზიკური და სოციალური უნარების განვითარების შეფასება; ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოკვეთა და გ) შეფასების შედეგებსა და საგანმანათლებლო საჭიროებებზე დაყრდნობით, ბავშვის მშობელთან და მასწავლებლებთან ერთად მისთვის ინდივიდუალური

[1] იმ შემთხვევაში, თუ სკოლას არ ჰყავს შესაბამისი სპეციალისტი სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე ბავშვის განვითარების შეფასებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის, სკოლა ვალდებულია, მიმართოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დეპარტემანტის ინკლუზიური განათლების მიმართულებას და/ან საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს დახმარებისთვის.

სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება.

- სკოლის ადმინისტრაცია გამოყოფს სკოლისთვის ინკლუზიური განათლების კოორდინატორს. კოორდინატორი შეიძლება იყოს დირექციის წევრი, მასწავლებელი ან მშობელი. სასურველია, ინკლუზიური განათლების არჩეული კოორდინატორი სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრიც იყოს. სკოლის ინკლუზიური განათლების კოორდინატორის ფუნქციაა, თვალყური ადევნოს ინკლუზიური გა ნათლების პროცესს, მოსწავლეთა დასწრებას, სასწავლო პროცესსა და მთლიან სასკოლო აქტივობებში მათი ჩართულობის ხარისხს. კოორდინატორმა საბჭოს წინაშე უნდა დააყენოს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და საბჭოს წევრებთან ერთად პრობლემების მოგვარების ეფექტური გზები ეძიოს. მათ შორის, საბჭოს წევრებთან ერთად დაგეგმოს ინკლუზიური განათლებისთვის აუცილებელი დამატებითი სახსრების მოძიების ღონისძიებები. კვირის განმავლობაში კოორდინატორთან შეხვედრის დღეები წინასწარ უნდა იყოს გამოყოფილი, რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებმა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებმა და ამ მოსწავლეთა მეგობრებმა შეძლონ მასთან გასაუბრება გარკვეულ ინიციატივებზე, შესაძლო პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე.
- სკოლა, რომელსაც ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ვალდებულია, ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებზე დაყრდნობით, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოადგინოს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების ხელშემწყობი მექანიზმები: ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული ან ადაპტირებული სასწავლო გეგმები, განსაკუთრებული საგაკვეთილო განრიგი, დამატებითი ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი და ნაკლებად შემზღუდველი სასწავლო გარემოს შექმნა (მაგალითად, მეცადინეობა და/ ან დასვენება რესურსოთახში, შემეცნებითი ექსკურსიები, დამოუკიდებელი ცხოვრების გაკვეთილები და სხვა); სკოლამ სისტემატურად უნდა შეაფასოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები. ასეთი შეფასების პრინციპებია: 1. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მიყვება სასკოლო სასწავლო გეგმას ყველა საგანში და დამაკმაყოფილებელ დონეს აღწევს, მაშინ იგი ყველა დანარჩენი მოსწავლის მსგავსად ფასდება; 2. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, კლასიდან კლასში გადასასვლელად მან უნდა მიაღწიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს და ამოცანებს. ამ ამოცანების ფარგლებში კი შეფასება ჩვეულებრივი ათქულიანი სისტემით მოხდება. მაგალითად, VI კლასის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს მათემატიკის გაკვეთილზე დავალებად ჰქონდა, ეწარმოებინა მარტივი გამოთვლები ასის ფარგლებში. მან წარმატებით გაართვა თავი დავალებას. შესაბამისად, მას მასწავლებელი უმაღლეს შეფასებას (10 ქულას) უწერს. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დავალებებს თავს არიდებს და არ ასრულებს, ის დაბალ ქულას იღებს. უცილებელია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე თითოეული ბავშვი ქულებთან (ნიშნებთან) ერთად იღებდეს კომენტარს ტექსტის სახით, სადაც აღწერილია მისი ძლიერი და სუსტი მხარეები დავალების შესრულებისას და მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორ შეუძლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენა. 3. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ვერ აღწევს დამაკმაყოფილებელ დონეს რომელიმე კონკრეტულ საგანში, მისთვის უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო

გეგმა ამ საგანში. მაგ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სტანდარტულად სძლევს ქართულს და ისტორიას, ხოლო მათემატიკას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ეუფლება. შესაბამისად, ქართულსა და ისტორიაში მას სტანდარტული ნიშნები ეწერება, ხოლო მათემატიკაში – ნიშანი და შესაბამისი კომენტარი.

- მოსწავლის სკოლაში მიიღება და მისთვის შესაფერისი სწავლის საფეხური (კლასის) ირჩევა მისი აკადემიური და სოციალური უნარების, ასაკის და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალიწინებით. მოსწავლეთა საგანმანათლებლო და სოციალური ინტეგრაციის ინტერესების დასაცავად, სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ბავშვის ასაკსა და მისთვის შერჩეულ სწავლის საფეხურს (კლასს) შორის შესაბამისობას. დაუშვებელია, ათი წლის მოსწავლე სწავლობდეს I ან II კლასელებთან ერთად ან 14-15 წლის მოსწავლე - III ან IV კლასელებთან ერთად. დასაშვები განსხვავება მაქსიმუმ სამი წელია.
- სკოლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლებასთან დაკავშირებული შესაძლო სადავო საკითხების, საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიან მექანიზმს ქმნის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განათლებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვისას, სკოლა უფლებამოსილია, მიმართოს საგანმანათლებლო რესურსცენტრს და მოითხოვოს მულტიდისციპლინური გუნდის მომსახურება/დახმარება სადავო საკითხების მიუკერძოებლად განსახილველად.
- სკოლა ადგილობრივ თემთან ერთად გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას, რათა ხელი შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საზოგადოებაში ინტეგრაციას. მაგ. მოაწყოს მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა; საქველმოქმედო კონცერტები, რომელთა შემოსავლებითაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები მეგობრებთან ერთად დაეხმარება მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს და სხვა.

ყველა ამ პრინციპის დაცვის შემთხვევაში, ინკლუზიური განათლება კარგად ორგანიზებული ხდება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტში, იღებენ ხარისხიან და მათი შესაძლებლობების შესაბამის განათლებას, მოსწავლეთა მშობლები მასწავლებლებთან ერთად ჩართული არიან მათი განათლების პროცესში და სკოლაში ურთიერთპატივისცემისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო სუფევს. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ყველას, ვინც სკოლის ცხოვრებაშია ჩართული, გარკვეული უფლება-მოვალეობები აქვს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში

რამდენადაც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ძირითად საშუალებას ეროვნული სასწავლო გეგმა წარმოადგენს, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება იგივე მიზნების მიღწევას ემსახურება, აუცილებელია მათი სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით ხორციელდებოდეს და ამით საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებსაც თვითრეალიზაციის თუ წარმატების ისეთივე პირობები მიეცეთ, როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის გამოყენებით საგანმანათლებლო სისტემა შეძლებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფას, იმ ცოდნის გადაცემას და უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც მათ საკუთარი პოტენ-

ციალის სრულ რეალიზებაში დაეხმარება და ცხოვრების მაღალი ხარისხის განცდას მიანიჭებს.

ერთიანი სასწავლო გეგმა არის საუკეთესო საშუალება ჭეშმარიტად ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფისთვის. ამ მიდგომის თანახმად, ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისთვის უნდა არსებობდეს ერთი განსაზღვრული (მიზანდასახული, დოკუმენტირებული) სასწავლო გეგმა, რომლითაც იხელმძღვანელებს პედაგოგი განურჩევლად ყველა მოსწავლესთან. შესაბამისად, მიუხედავად მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებისა, პედაგოგის უპირველესი სურვილი უნდა იყოს, განავითაროს და გააძლიეროს მოსწავლე იმ ძირითად და პრიორიტეტულ საკითხებში, რომლებიც ეროვნული საგანმანათლებლო მიზნებით არის განსაზღვრული. ის უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება მეტად მიუახლოვოს მოსწავლე გათვალისწინებულ სასწავლო შედეგებს, რადგან სჯერა, რომ დადგენილი სასწავლო გეგმა მოსწავლისთვის ყველა მნიშვნელოვან სასწავლო ასპექტს მოიცავს. შესაბამისად, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისას, მათი სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა იყოს დატვირთული იმგვარივე შინაარსით, რაც ეროვნული სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული.

არსებული თანამედროვე მიდგომით, ეროვნული სასწავლო გეგმით სწავლებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ინტერესები, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობები, გაუწიოს ანგარიში მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სწავლებისას ეროვნული სასწავლო გეგმიდან მათთვის ყველაზე აქტუალურ სასწავლო მიზნებზე გააკეთოს აქცენტი. მასწავლებელმა თავისი მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით უნდა გაანალიზოს, რა სასწავლო შედეგების მიღწევაა პირველადი მნიშვნელობის

მოსწავლეთა სრულად რეალიზების, დამოუკიდებელი მაქსიმალური ცხოვრების დონის მისაღწევად. ამავდროულად, დასაშვებია, მოსწავლეთა სწავლების პროცესში მასწავლებელმა გადახედოს სასწავლო გეგმას და მოსწავლისთვის და/ან მოსწავლეთა გუნდის თავისებურებების გათვალისწინებით ხელახლა დაგეგმოს ის. მთავარია, მასწავლებელმა სწორად განსაზღვროს, რა სასწავლო მიზანია ამ კონკრეტული მოსწავლისთვის მისი პიროვნული ფაქტორების და სამომავლო ცხოვრებისეული მიზნების გათვალისწინებით პრიორიტეტული.

ეროვნული სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას, მასწავლებელმა თავად განსაზღროსპირველადი, მეორეული, მესამეული მნიშვნელობის სასწავლო შედეგები კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის და დააზუსტოს მიზნების თანმიმდევრობა სასწავლო გეგმის ფარგლებში. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, თუ რა იქნება მოსწავლისთვის ყველაზე შესაფერისი სასწავლო პროგრამა. მასწავლებელი მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით აზუსტებს და ეროვნული სასწავლო გეგმიდან ირჩევს მათთვის აქტუალურ მისაღწევ შედეგებს და განსაზღვრავს მიზნის მიღწევის (ცოდნის გადაცემის, უნარის გავარჯიშების) გზებს. დაზუსტებული სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად იგეგმება მასწავლებლის სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები (საკლასო და საშინაო), გამოყენებული მასალა, სახელმძღვანელოები. ამავდროულად, ზუსტდება დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს შერჩეულ მიზანს, აქტივობას თუ მასალას. მასწავლებელი ცდილობს, უფრო სპეციფიკური გახადოს სასწავლო გეგმა მოსწავლისთვის და მასში ასახოს ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო მიზანი. თუკი მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესი ამ პერსპექტივიდან დაიგეგმება, ეს დისკრეტული და იზოლირებული მიზნების დასახვისგან დაიცავს პედაგოგს და მის მოსწავლეს. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას, გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმა, რადგან შეუძლებელია იზოლირებულად დასახული მიზნებით ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა. ხშირად მოსწავლის პიროვნული ფაქტორები აუცილებელს ხდის მისთვის, სასწავლო პროგრამაში არსებობდეს დამატებითი მიზნები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში ნაკლებად არის ხაზგასმული, მაგრამ მნიშვნელოვანია მოსწავლის პიროვნული გან

ვითარებისთვის. ხშირ შემთხვევაში, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან ასეთი მიზნები ყოველდღიური უნარების გაუმჯობესებით განისაზღვრება.

მასალა ამოღებულია მასწავლებელთა გზამკვლევიდან „ინკლუზიური განათლება“,
2011, © ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი